
ალბერტი
ღმერთო ჩემო! გარიდება ძიძეც,
ფიქრებისთვის მიმეც მშვიდი დღენი,
რათა შეგძლო ფიქრითა შენითა წელიმა
და ვეწამი არსებობა შენი.
იანვარი №1 (5) 2002 წ.



სარკული

მოძრაობა „სრულყოფილი ადამიანი – სრულყოფილი საზოგადოება"

№ 1(5) 2002

შინაარსი

4 დიდება მართლისად
ათცამეტი სირიელი მამა

5 პროზა
ოთარ ჭილაძე

14 პოეზია
ზურაბ ნარმანია

17 პროზა
თამაზ თავაძე

19 პოეზია
ლია ბედოშვილი

22 რადიარდ კიპლინგი (თარგმანი)
ედიშერ გიორგაძე

31 პოეზია
ლაშა გაზარია

38 ხალხური პოეზია

39 საოპერო ხელოვნება

41 *სხარტულა*
უცნობი ავტორები

42 თარგმანები
ჯემალ აჯიაშვილი

45 ჰეი ვინ მოდის მანდ მომავლიდან

47 ერთ-არსებისა ერთისა
ვიქტორ ნოზაძე

49 გრიგალი მოდის ოკეანიდან
ჯემალ რატიანი

52 "სოლომონ დოდაშვილი"
შალვა მჭედლიშვილი

59 ჩვენი მეგობარი მასტინო სახელად შერხანი!.
გიორგი დიასამიძე

59 ხელოვნებაა თავად უკვდავება
ანა კლდიაშვილი

67 ნიკოლაი რერიხი -ხელოვანი მოძღვარი
სამყაროს საიდუმლოს გასაღები

მთავარი რედაქტორი:
ერეკლე საღლიანი
რედაქტორი:
თამაზ თავაძე
ლიტერატურული კონსულტანტი:
ედიშერ გიორგაძე

ტექნიკური დირექტორი, დიზაინერი:
ვახტანგ რატიშვილი
კომპიუტერულად უზრუნველყო:
გიორგი ძულიაშვილმა
კორექტორი: ნელი გოგოლაშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი, მაია მენაბდე

მისამართი: ჩუბინაშვილის ქ.38, ☎: 95 16 49 E-mail: elva@posta.ge

ჟურნალის ფასი 3,00 ლარი ტირაჟი 499



გიორგი ლეონიძის ერთი უცნობი ხელნაწერი მიმოცვა

ჩემო მშობელო ქართველო ხალხო! შენი მეკვლე ვარ, შემოვდგი ფეხი! გილოცავ ახალ წელს. სავსე ხონჩით და სავსე ჯამით ვსვამ შენი ახალი შრომითი გამარჯვების სადღეგრძელოს. გილოცავ ახალ დაჯილდოებას, შენი შემოქმედებითი შრომის საქვეყნოდ აღიარებას, შენი სახელის გარეთ გასვლას, ახალი ნაბიჯის შედგმას მომავალში და გისურვებ მომავალ წელშიც სახელისათვის კიდევ მიგემატებინოს ახალი სახელი.

ჩემო ტკბილო სამშობლოვ: ქართლო, კახეთო, იმერეთო, გურიავ, სამეგრელოვ, აჭარავ, რაჭავ, სვანეთო, ლეჩხუმო, ხევო, ფშავ-ხევსურეთო, თუშეთო, თიანეთო, ჰერეთო სამცხევ, აფხაზეთო მოგილოცავ ახალ წელს, ახალ დიდებას, ახალ სიცოცხლეს, მაჯის სიმაგრეს, სულის სიმტკიცეს. გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალიტო ვმაწვილები, გიცოცხლოს დანუკრებული, თვალგიშერა, იისთვალება ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები. თვალცეცხლი, ტალიკი ბიჭები, გიმრავლოს და გიბედნიეროს. გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, დედაენა. სულ ვარდი ეყაროს საქართველოს, სულ ღადღადებდნენ ჩარხები, ჩაქუჩები, მანქანები. სულ ჩქეფდნენ ახალი რუსხმულები, სულ ახალი ხნულები გაგეჯიმოს, სულ ახალი ფესვები ჩაებას მშობლიურ მიწას, სულ ფოლადიანობდეს შენი მარჯვენა, სულ ელვარებდეს შენი სადროშე ფარჩა!

გიცოცხლოს ვაზის დედა, ყანის მზეკაბანი. სულ თავს დაგნათოდეს გამარჯვების მზე. სულ ყვაოდეს შენი სიჭაბუკის ყვავილი, შენი მტევანდასხმული ვაზი, დაუშრეტელი რძით ჩქეფდეს შენი მიწის ძუძუ, სულ ნათობდეს შენი გონების ნათელი, დაუშრეტელი იყოს შენი ღონის მარაგი! ქართველო ხალხო, იღიდე შენი შრომით, გიმრავლოს შუქის კაცები, ჯაფის კაცები, შემოქმედნი გულისა, გონებისა, შრომისა! გიმრავლოს ხელხვავიანი შრომის გმირები და გმირებიც ვაჟკაცობისა! გიცოცხლოს მეკვლე, მეჭაშნიკე, მახარობელი, მოერთჯამე, ძმა და მეგობარი, მეუღლე სიყვარულისა! სულ ვარდული განთიადი ბრწყინავდეს შენს მწვერვალებზე და ველებზე! სულ იცინოდეს შენს მკერდზე თვალმაისი გაზაფხული! აიესე მზის ჯანითა და ბედნიერებით, ძმათა და მეგობართა თანამყოფობით იყავ ურღვევი, მყარი და მტკიცე! წყალი მიდის წყლისაკენ და ძმობილი ძმას დაეძებს. ია მომგონებელსა, ვარდი მახსენებელსა. გიცოცხლოს წინაპართა დიდი სახელი, არწივთა სადარ სამშობლოს გმირ დამცველთა სახელი! შინმოუსვლელთა, ტყვიაასხმულთა, ჭრილობით დაცხავებულთა, სამშობლოსათვის სისხლდანთხეულთა ხსენება მუდამ გედიდებინოს! სულ ელავდეს ბედაური ოქროს ენა შენი პოეტებისა, ოქროს ძაფზე დათვლილიყოს ახალ-ახალი ლექსები! მუდამ ისევე გვესმოდეს სეფე სიტყვა რუსთაველისა, დიდება სახელსა მისსა! ნურც გაგვცვეთოდეს ქართველებს ტყავი ვეფხისა, ნურც დაღლილიყოს შენი ჩაქუჩი, შენი ჩანგური, შენი აზრი და ინტელექტი! შენი ხელოვნება, მეცნიერება და შენი ხარაჩოები კიდევ უფრო მაღლა ასულიყოს; შორს, საქართველოს გარეთ გასულიყოს ქართველ დიდოსტატთა, დიდმეცნიერთა ქართული სახელი!

ქართველო ხალხო! აღარ გენახოს ყამირი, ტრამალი, ნაყანარი, ნავენახარი, აღარ იყოს არაშენდა, სულ აშენდა ყოფილიყოს! მრავალი გქონდეს სახვნელი, სამკელი გასალეწი, დასაკრეფი, დასარგავი! გიმრავლოს ზვრები, ხოდაბუნები, პლანტაციები, წალკოტები, ბაღნარები! სიუხვე არ მოჰკლებოდეს შენს მაღაროებს, შახტებს, ბუდობებს! კიდევ მეტად გასარწყავდეს ურწყავი და უდაბური ადგილები! მეტი დაგედგას ბარაქის ხვავები, ზვინები, წითელი მაჭრით იმღერონ მარნებში ღარებმა! სულ რძე დასდიოდეს შენს მინდვრებსა და იალაღებს, სულ ოქროთი და მარჯნით დახუნძლულიყოს შენი ხეხილის



ტოტები. ბარაქის ხვავები ბრწყინავდეს ოქროს ფერებით. სავსე იყოს შენი ქვევრი და გოდორი, ღილა ვარდისა გაშალოს ნიავმა, პირიმზე დაგნათოდეს ღიმილით, გიმრავლოს მეწველი ფური, რქადაქნილი ჭედილა! არ გამოლეოდეს შენს ტყეებს რქამაღალი ირემი, შენს ჭალებს-ტურფა ხოხობი, შენს მდინარეებს-დაჭითული კალმახი! გაუმარჯოს შენს სუფრას! სულ სადღეგრძელოდ ყოფილიყოს ავსებული მამეულ-პაპეული ჯამი, ყანწი, ფიალა, კვანჩხა, კათხა, ფარფლა, აზარფეშა, სულ დღეგრძელობას, კოცნასა და სიყვარულში შესულიყოს, სულ მოსალხენად!

ძმებო და დებო! ვიშრომოთ და გავაბარაქოთ ჩვენი მიწა! ავწიოთ დროშა ჩვენი შემოქმედებისა და კიდევ უფრო ავამაღლოთ ქართველი ერის სახელი. ვისურვოთ, რომ ჩვენს სამშობლოში მუდამ ტრიალებდეს საამო საყნოსელი და სურნელები და ელავდეს ვარდული ბრწყინვალება!

ქართველო ხალხო! სულ ძლიერდებოდეს ძალა შენი სულისა, შენი შემოქმედებისა. კიდევ დაგეპყროს ახალ-ახალი მწვერვალები. იხარე და იმრავლე, ისე რომ კერაზე ვერ ეტეოდე!

ქართველო ერო! იყავ ღონეძლიერი, ლაღი, ბედნიერი. კერა ოჯახი და სამშობლო გიბედნიეროს! თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი! სულ გამარჯვებასა მზეგრძელობას, სიყვარულსა და დაულეველ სიხარულში!

1965 წლის
31 დეკემბერი



"ნოლო იესუ ეოუწოლა და ჰკქუა: ანცაღეთ უკეეანა ეაგანს ეოსღვაღ ჩეეღა და ნუ აყენეთ ეაგათ, კაკეთუ ეგეეითაკთაკ ანს სასუფეეეღი ღეკთისაღ"

სანაკეაა ღუკასი

ოა ჯიშმარიტად!

ძნელია რაღაც ახალი თქვა, რამე ართქმული; არადა თქმულიც რომ გაიმეორო, ვერასგზით ამოსწურავ, მაინც ვერაფრით დაასრულებ ამ მშვენიერ თემას. მადლი, სიყვარული, სინაზე – ყოველი, რასაც ღვთის სათნოება ჰქვია, ერთ სიტყვაში იერის თავს – ყრმა.

ბავშვი სიცოცხლის დასაწყისია და დიდი ცხოვრების საწიდარი. იგი ღვთითბოძებული უბიწოებით ეელინება ქვეყანას და ვითარცა ნერგი *"აღმოცენებასვე თანა თვისსა ყოფადსა მას წარმატებას აუწყებს ქვეყნის მოქმედთა"*,[1] ყრმასაც, კეთილი ნაყოფის გამოღების ნიჭი და შესაძლებლობა, საწყისშივე ეძლევა ღვთისაგან.

დასაბამიდან ასე ყოფილა და ასე იქნება მარადჟამს. როგორც ღმერთშემოსილი ბასილი დიდი ბრძანებს, ჩვილმა *"ვითარცა ქუეყანამ კეთილი თესლი სწავლულობისა შეიწყნარა ორნატთა შინა სულისა თვისისათა, რომელი იგი ჟამს თვისსა გამოღებად იდვა"*[2] დიახ, ბავშვი ხომ არაჩვეულებრივად ნათელი, უსასრულოდ კეთილი საწყისია და გაგრძელება ისეთი უნდა მოუძებნო, რომ ჭეშმარიტად შედეგიანი დასასრული მიიღო. ეს მშობლის უპირველესი მოვალეობაა, ეს ერის გადარჩენა და გაძლიერებაა, ეს ოდითგანვე ღვთის წინაშე დადებული უცვლელი აღთქმაა.

ჰოდა, მაშ რა გვიშლის ხელს? ძნელბედობა? ო, ეს ხომ ნაცნობი თემაა, საქართველოსთვის ძნელბედობა უცხოა განა? ათასწლეულთა ქარტეხილი მას ბობოქარ ზღვაში გზააბნეულ ხომალდად დააქროლებდა, მაგრამ ეს ხომალდი ყოველთვის მამაცად უბრუნდებოდა ნაპირს. უბრუნდებოდა და კვლავ მარგებელ თესლს აღვივებდა. შვილის სწორი აღზრდით, მშობელო, შენი ქვეყნის მომავალს განაგებ! წმიდა ილია მართალი ბრძანდება, რომ *"თავი და ბოლო ჩვენი უგულობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენისა უბედურებისა – უმეცრება და უსწავლელობაა"*;[3] და თუმცა პატარა ოქროსფერ ოცნებებსა და ლამაზ ზღაპრებში უნდა ცხოვრობდეს, მისი განსწავლა არასოდეს არაა ადრე. გონიერებაა კაცთა შორის მთავარი, თორემ "სისპეტაკე თმათა არად სარგებელ არს".

შვილის კეთილად აღზრდა ეს გმირობაა. ეს გადაარჩენს მომავალს, ქართულ საგალობელსა და ქართულ ფრესკას. ყრმის პაწაწინა გულში კარგად თუ არ გააღვივე სამშობლოს სიყვარული, მაშინ ბრძენი წინაპრებისა და სისხლით ნაფერები საქართველო დასაღუპად გაიწირება. ყრმა ხომ სიყვარულის სათესი მსუყე ნიადაგია, მთესველს გააჩნია ოღონდ: მე მგონია, მეტი მოთმინებაა საჭირო, მეტი მონდომება. ჩვენი გულწრფელი ნატვრა, წამლისა და ნემსის ნაცვლად, სათამაშო უყიდოს დედამ, ისევ კეთილად აღსრულდეს, ვის საუკუნეთა ქარიშხალში კვალარეული ხომალდის გზა, ხომალდისა რომელსაც საქართველო ჰქვია და რომელიც ყოველთვის შეუპოვრად უბრუნდებოდა ნაპირს.

ღმერთმა ინებოს ივერიის გაძლიერება, მშობელთა მადლით ავსება, ყრმათა კეთილად აღსაზრდელად. ბავშვი ხომ ღიმილისა და გულწრფელობის სიმბოლოა.

"ამენ გეტყვ თქვენ, რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას შინა".

ოა ჯიშმარიტად!

ათცამეტი სირიელი მამა

"ესე ნეტარი იოვანე და ათორმეტნი მოწაფენი მისნი, აღძრულნი ღმრთისა მიერ წყალობისთვის ნათესავთა საქართველოსთა, რომელ იგი ეძიებს ვითარცა რა მწყემსი კეთილი ცხოვართა შეცდომილთა, რომელმან წარავლინა ათორმეტნი თვისნი სახედ კრავისა შორის მგელთასა და მათ მიერ მოაქცინა წარმართნი ცნობად ჭეშმარიტებისა."

სვინაქსარი.

ქრისტიანობის ჩამოყალიბება საქართველოში მოციქულთა პერიოდს ემთხვევა. საქადაგებლად ქვეყნების დაყოფისას, ღმრთისშობლის წილხვედრი ივერია, ანდრია პირველწოდებულის მადლმოსილების ქვეშ აღმოჩნდა. წმ. მოციქული, სიმონ კანანელთან ერთად, კაბადოკიისა და ტრაპეზუნის გავლით შემობრძანდა დასავლეთ საქართველოში და ქრისტეს რჯული იქადაგა კლარჯეთსა და აწყურში, ცხუმში, სამეგრელოსა

1.2.3. ეს ფრაზები ეკუთვნის ღმერთშემოსილ დიდი ქართველის, გიორგი ათონელის ბიოგრაფს.

და აფხაზეთში. უფლის ნებითა და წმ. მოციქულთა ღვაწლით, ჯერ კიდევ მართლმადიდებლობის პირველი თესლი ჩაითესა საქართველოში.

IV ს-ის დასაწყისში კი ციური ხილვით განმტკიცებული და ღმრთის მშობლის ნების აღმსრულებელი წმ. ნინო შემობრძანდა ივერიაში. მან უფლის კვართის მფლობელი ქვეყანა ქრისტეს რჯულს აზიარა.

318 წ. ქრისტეშობიდან, ხოსროიანთა გვარის მეფე მირიანი და მეუღლე მისი ნანა დედოფალი, დასცილდნენ კერპთაყვანისმცემლობას და გაქრისტიანდნენ. სწორედ წმ. ნინოს ლოცვა-კურთხევითა და მეფე მირიანის შემწეობით აიგო ივერიაში პირველი ეკლესია-სვეტიცხოველი.

337 წ. აღმოსავლეთმა საქართველომ ქრისტიანობა ოფიციალურ ენად აღიარა, VI ს-ის I ნახევარი უმძიმესი პერიოდი იყო ახალმოქცეული სამეფოებისთვის. სპარსეთის შემოსევებმა, რომელთა მიზანი ქვეყანაში ქრისტიანობის აღმოფხვრა და ზოროასტრის აღორძინება გახლდათ, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ივერიელთა ჭეშმარიტ აღმსარებლობას.

ღვთისმოშიში და კეთილმორწმუნე მეფე ფარსმან VI (542-557), ეკლესიის განმტკიცებას შეეცადა. სწორედ მისი ქრისტიანული ღვაწლის ნაყოფია ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ივერიის ეკლესიის განთავისუფლება. ამიერიდან, აღმოსავლეთ საქართველოში, პატრიარქები ქართველ ეპისკოპოსთაგან ირჩეოდნენ. ივერიის კათალიკოსი დამოუკიდებლად მართავდა ქართულ ეკლესიას.

552 წ. მცხეთის სასულიერო მოღვაწეთა კრებამ, კათალიკოსის ტახტი მიაკუთვნა ევლავიოზს (552-560 წწ.), რომლის მწყემსთაურობის წწ. აღსანიშნავია ქართული მართლმადიდებლობისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენით-ცამეტი სირიელი მამის მობრძანებით, "...Проповедью и влян емь которих Иверская церковь дошла до той висоты духовнава совершенства, до которой не дохадила вь то время ни одна изь церквей передней Фзий и, несмотря на бури и потрясения, претерпаваемыя Грузею оть вньишныхь и внутренныхь враговь, она осталась несокрушимою вратами ада"1.

ასურელ მამებს წინამძღოლობდა ანტიოქიელი ბერი, ბრძენი და განსწავლული ნეტარი იოანე. ეუწყა რა ღვთისმშობლის ბრძანება, 12 მოყვასითურთ "ქართლად და კახეთად" წასვლისა, წმ. მამამ ვერ იკადრა თავისი ნებით აერჩია მრავალთაგან თორმეტი, თავმდაბლობით აღვსილმა ასე მიმართა მოწაფეებს: "...დავსწერენ თქუენი სახელები ქარტათა და დავსხენ წმიდასა ტრაპეზსა ზედა და თქუენ განეკრძალენით ლოცვასა და მარხვასა ამა ათთა დღეთა ვედრებასა შინა ღმერთისა და იხილოთ, თუ რა არს აღსასრული გამოცხადებისა." მეათე დღეს ნაზიარები და ხელაპყრობილი მოწაფენი საოცრების მხილველნი შეიქმნენ: "აღიღო ანგელოზმან სახელები ათორმეტთა მათ მოსცა პელთა თვისთა თვითო."2

ასე აირჩია 12 მამა თვით უფლის ანგელოზმა, ასე გადარჩა ივერია მართლმადიდებლობის შემუსვრას. მათი ლოცვითა და ღვაწლით "Грузия... просяла цлымь соймомъ святихъ угодников Божих".

უფლის რჩეული 12 ქარტიის მფლობელნი კი იყვნენ: დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკენელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ზენონ იყალთოელი, პიროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოლი, სტეფანე ხირსელი და ისიდორე სამთავნეოელი.

ქართლის საზღვრებს მოახლოებულმა წმ. მამებმა ფეხდაულტობლად გადალახეს მდინარე და მცხეთაში შევიდნენ. კათალიკოს ევლავიოზს უფლის ანგელოზის ბაგით ეუწყა მათი მობრძანება. პატივითა და მოწიწებით მიგებულ ერს, მეფესა და პატრიარქს, ნეტარი იოვანე ქართულად მიესალმა, რამეთუ "წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა."

ასურელი მამები, მოციქულთა მსგავსად, ქართული ეკლესიის ძლიერ, ურყევ სვეტად იქცნენ. მათ თავიანთი დიადი მოღვაწეობით აღმოფხვრეს ბოროტება და ცრურწმენა, ჩააქრეს ზოროასტრის ცეცხლი, განავრცეს და განამტკიცეს ქრისტიანობა ივერიის სახელმწიფოს მიუვალ ადგილებში; ისინი იყვნენ "Основателии законопалажители инуческого житя въ Грузии."

მათ დაარსებულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ განსწავლული, ღვთიური სიბრძნით განმტკიცებული ადამიანები. აქ პოულობდნენ ნეტარ სიმშვიდეს გვირგვინ და პორფირებ გამოსილი ქართველი მეფეები; ამ სავანეთა კარი მუდამ ღია იყო "Убожеству и богатству, свобод и рабству, ученымь и не ученымъ, духовнымъ и мирянамъ."[1] ამ წმიდა კელიებში შექმნილი ბიბლიოთეკები წარმოადგენენ უმთავრეს საგანძურს ქართველი ერისა და ეკლესიისა. დარბეულ სავანეთაგან გატაცებული და ევროპა-აზიის სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში მოხვედრილი მანუსკრიპტებით, გასაოცარი მდიდარი შინაარსითა და ხელწერის დიდებულებით.

უდიდესი დანაკლისია იმ ისტორიულ ნარკვევთა დაკარგვა, რომელნიც შეიცავდნენ მასალებს ამ სავანეთა დამაარსებლების ცხოვრების შესახებ. ეს სამწუხაროდ, იდუმალებითაა მოცული. უზარმაზარი ტაძრები, გალავნების ბასტიონებით, კედლები კელიებით-მოწმობენ მეუდაბნოეთა ერთ დროს აყვავებულ მდგომარეობაზე.

წმ. ასურელმა მამებმა, ფაქტობრივად იხსნეს მართლმადიდებლობა უსჯულოთა ხელყოფისაგან, მხსნელი ქადაგებებით გადაარჩინეს მრავალი სული საუკუნო განსაცდელისაგან. მათი მოწამეობრივი ღვაწლი საუკუნეთა მანძილზე მაგალითი იყო მრავალთათვის.

წმ. მამათა ქართლში მობრძანება, ეს დიადი გარდამავალი ეპოქაა ეკლესიის კეთილმდგომარეობისაკენ. აფასებს რა მათ ქრისტიანულ ღვაწლს, ჭეშმარიტებას ბრძანებს ეპ. კირიტონი:"...Грузинское монашество блестит на мрачных страницахъ нашей историй путеводной звездой"[2]

ათცამეტი ასურელი მამა, ისეთივე მხსნელად მოევლინა ახალმოქცეულ საქართველოს, როგორც წმ. დიდ მოწამე ნინო წარმართულ ივერიას.

1. Еп. Кирион. Заслуги грузинского монашества и монастырей.

2. Еп. Кирион. Заслуги грузинского монашества и монастырей.

თეა კობახიძე,
ხელოვნებათმცოდნე



თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი მწერლის, - ოთარ ჭილაძის წარდგენამ ნობელის პრემიაზე, ვერ დავმალავთ და, ძალიან გაგვახარა.

გაგვახარა თუნდაც იმიტომ, რომ როცა ერს ასეთი შემოქმედი ჰყავს, მისი მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის თანაზიარიცაა და იწყება მისი აღიარება.

"გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", კიდევაც ეყრდნობა და კიდევაც ემიჯნება უძველეს მითს "არგონავტებზე".

მწერალი გვიჩვენებს, რომ ადამიანი დგას პარალელური სამყაროების გადაკვეთის წერტილში, და ამდენად დროში გადაადგილება არ არის მისთვის უცხო.

ერთი ასპექტით წარმოუდგენელია უზარმზარი აქტის გაშუქება და შემოქმედიც მისეულ სამყაროს ეხება არა ერთ მოცემულობაში, არამედ მასშტაბურად.

იაზონის ლაშქრობას უძღვის ფრიქსეს გახიზვნა კოლხეთში.

ზღვისაგან ნაჩუქარია ფრიქსე. ზღვა კი უკიდეგანობის სიმბოლოა, მარადმოძრავი სტიქიაა. მიქცევ–მოქცევაშია.

სიმბოლურია, რომ ფრიქსეს მეუღლეს ქარისა ჰქვია. ქარი სტიქიის ის ნაირსახეობაა, ზღვის "ჭირკოდალობას" რომ იწვევს.

ჩამთრევია ქალიც და ჩამთრევია ზღვაც. ჩამხვევია ქალიც და ჩამხვევია ზღვაც. მედეა წინამორბედია იმ წინარექრისტიანული კაცობრიობისა, ჯერ სულიწმიდას რომ არ ზიარებია.

მედეას მეოხებით იაზონი იძენს ნათელმხილველურ ძალას. ახალ სამყაროს შესაცნობად წამოსული ბერძენი უფლისწული ეძებს დაუცემელ ცოდნას, შეუბღალავსავე მისტერიებში შემონახულს და იწყებს საკუთარ ორეულთან ჭიდილს.

საბერძნეთიდან "ნაპირის მოსასინჯად" წამოსულმა პირველმა ტალღამ გზა მოუმზადა მეორე და მესამე ტალღას. მეოთხე ტალღის ამოცნობა კი უმთავრესი საზრუნავია ვანელებისათვის.

აიეტი იმ კლდის ნატეხია, ზღვა რომ უნდა მიასკდეს. ის მზის – ჰელიოსის შვილია და ამადაც ხელმწიფის სასახლის თავზე მზე ჩამოისვენებს ხოლმე.

"მე იმიტომაც ვერ წარმიტაცა ზღვამ, რომ ჩემი მიწის მადლი მყავებდა," ამბობს ძელვამოსილი მეფე და იწყებს მის მიერ გავლილ გზის გაცნობიერებას.

უწყის კიდეც, რომ ცდვდომილია, უცხოტომელი ფრიქსეს გუგულის ბუდიდან ცოდვის ბარტყები რომ ამოჩეკა, მაგრამ აიეტს ისიც ეგუმანება რომ კლდე, რომელზედაც საყდარი უნდა აღიმართოს, ერთადერთი სწორედ- გულია. და გულს მინდობილ ადამიანს გაუჭირდებოდა "შეცდომა დაერქმია იმისთვის, რასაც ადამიანის მოვალეობად თვლიდა. სიკეთედ აღქმული ბოროტებად დაენახა. არა, აიეტს არ უნდოდა ასეთი ცოდნა, მაინც ვერაფერს ისწავლიდა მისგან".

"ოქროს საწმისის" სახით კოლხეთიდან საბერძნეთში მიდის საკრალური სიბრძნე, მისტერიული საიდუმლოება.

დრომონაცვლეობით, ჟამსამანების უარყოფით მწერალი ამზადებს მკითხველს, ვით უნდა გარდაიქმნას კოლხური საწმისი "წმინდა გრაალის თასად".

ისინი ხომ ერთი არსის სხვადასხვა შრეებია.

"გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", მიდიოდა, მიჰქონდა და მიაქვს ნაღველი უკიდეგანო,-მარტოსულისა.

ოქროს საწმისი

ოთარ ჭილაძე

ქვილების გაპარვამ ქარისა საფუძვლიანად შეარყია, არ ელოდა და იმიტომ, თუმცა ერთი შეხედვით თითქოს უნდა ჰქონოდა ამის მოლოდინი, რადგანაც ისინიც ფრიქსეს ნაშიერები იყვნენ, და, ალბათ, ფრიქსე თავის შხამს მათაც გადასცემდა, სანამ საბოლოოდ მოახერხებდა ცოლის კლანჭებიდან თავის დაღწევას; მაგრამ ქარისა სხვანაირად ფიქრობდა, სანამ ეს ოთხი ბიჭი გვერდით ჰყავდა, არც ფრიქსე ითვლებოდა მთლიანად გაპარულად, ის ახლა, ამ ოთხ ბიჭში განაწილებულიყო და ყველა შვილს თვალებსა თუ მოძრაობაში რაღაცა დარჩენოდა, უეცრად გულს რომ გადაუქანებდა ხოლმე ქარისას. ახლა კი ისინიც გაპარულიყვნენ, ისინიც ქარისას გაჰპარვდნენ, თითქოს იმ ეზო-ყურეში, რომელიც ქარისას საკუთარი რწმენით, სიამაყითა და სიყვარულით შემოეღობა, მის გარდა მართლა არავისთვის არ იყო ადაგილი, არც ქმრისათვის და არც შვილებისათვის, ქარისა კი იმდენ ხანს ღობავდა ამ ეზო-ყურეს, ისეთი მონდომებითა და აღტაცებით, წკნელიც რომ შეეტეხა ვინმეს, თვალებს ამოწიწკნიდა. წკნელს კი ისევ მისი ქმარ-შვილი ატეხდა. ატეხდა კი არა, ღორის კოლტივით ძირს უთხრიდა, როგორმე რომ გაეღწია, თითქოს ღობის იქით უკეთესი მიწა იყო, უფრო იოლად მოსაჩიჩქნი და უფრო გემრიელიც. ამიტომაც იყო, რომ ცეცხლი წაეკიდა ქარისას გულზე, შვილების გაპარვამ კი არ შეაშფოთა, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა, არამედ შეურაცხყო და გააბრაზა, როგორც ვაჭარი მუშტრის სიბეცემ, მის კარგ საქონელს სხვისი ცუდი რომ ამჯობინა. ქარისას მაშინვე ის უძილო და უსასრულოდ გრძელი ღამეები გაახსენდა, როცა დაკოჭლებულ საწოლში კბილს კბილზე აჭერდა, სიკვდილივით მკაცრი, დაუნდობელი და გათოშილი, რადგან მაშინ ქმრის სიკვდილზე ოცნებობდა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ ქმრის სიკვდილი გადაარჩენდა შერცხვენასა და დამცირებას. მარტო იმის

წარმოდგენაც აგიუებდა, ქმარს რომ აღარ უნდოდა, გაურბოდა, გვერდზე გამდგარიყო და თავის მაგივრად უაზრო, დამაკნინებელი მოთმინება შეეწვინა ცოლისათვის. მადლობა ღმერთს, ოცნება აუსრულდა, ფიზიკური ნაკლივით რომ აწუხებდა და გამოჩენისაც რცხვენოდა. ფრიქსე რომ არ მომკვდარიყო, ღმერთებს რომ არ შეესმინათ ქარისას ლოცვა-ვედრება, მაშინ თვითონ მოკვდებოდა, რადგან ვერ აიტანდა ასეთ ცხოვრებას, სხვა თუ არაფერი მარტო ბოღმა მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ქმრის სიკვდილი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. თვითონ ხარის ტყავში არხეინად მოკალათებულიყო, ქარი უნანავებდა, ჩიტები ასხდებოდნენ, გაზაფხულზე იმდენი ყვავილი დაეყრებოდა ხოლმე, შორიდან აღარც ჩანდა, მიწაზე კი შხამიანი თესლი დაეტოვებინა და ახლა ის თესლი უპირებდა მის ცოლს თავის მოჭრასა და გაპამპულებას. მაგრამ არა, ქარისა იმის ქალი არ იყო, ხალხი რომ გაეცინებინა, ანდა სხვათა უჩუმრად ესლუკუნა და ეყლაპა ძნელად ჩასაყლაპი ცრემლი მიტოვებული ცოლისა და ათვალწუნებული დედის.

ქარისა ახლა სკდებოდა გულზე, ფრიქსე რომ აირჩია ქმრად, ჯერ აირჩია და მერე შეიყვარა, ანდა დაიჯერა, რომ შეიყვარა, რადგან ასე უნდოდა. ამიტომ გამორჩა თავის დროზე, ვერ შეამჩნია თუ ვერ გაითვალისწინა ის, რაც თავისთავად, მისგან დამოუკიდებლად, მისი სურვილისა და ცოდნის საზღვრებს გარეთ არსებობდა, არა მარტო არსებობდა, ქარისაზე ძლიერიც იყო, მაგრამ ქარისა ასე ღრმად არ ჩაჰყოლია ამ დაგვიანებულ აღმოჩენას, მას შეცდომის მომხიბვლელობა აინტერესებდა და არა მისი ფესვები, რაც თავიდანვე ღრმად იყო ჩამალული სულსწრაფობისა და წინდაუხედაობის მიწაში. შეცდომის მიმართ ადამიანი უმთავრესად ბრმაა, მაგრამ თუკი აღმოაჩენს მას, ერთ სიამოვნებად ესეც ეყოფა და თითქმის მაშინვე გაუნახევრდება ამ შეცდომის მიზეზით თავს დატეხილი უბედურება, განსაკუთრებით ქალს და კიდევ უფრო განსაკუთრებით ქარისასთანა ქალს, შეცდომაშიც საკუთარი გზისა და გრძნობების გამართლებას რომ ეძებდა.

აიეტმა უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, არ იცოდა რა ექნა ნესვისთვის, თქრიალით რომ გასდიოდა წვენი, ვეღარც ბრაზდებოდა, თითქოს გაბრაზების უფლებაც არ ჰქონდა, სანამ ეს რბილი და სურნელოვანი ნაყოფი ეჭირა ხელში.

- მამაშვილობას, თავი შეიკავე! – შეეხვეწა აიეტი ქარისას და რატომღაც ხმას დაუწია.

აიეტს საერთოდ უჭირდა ქალებთან ლაპარაკი, მით უფრო საკუთარ ქალიშვილებთან, განსაკუთრებით ამგვარ ამბებზე. ქარისა ოთხი შვილის დედა იყო, მაგრამ აიეტს ვერც კი წარმოედგინა, თუ მისი ქალიშვილიც ისევე ორსულდებოდა, როგორც სხვა ქალები. "ძნელია, განა არ ვიცი, მაგრამ რა ვუყო, ასე მოხდაო. – ამოილუღლუღა დამნაშავე ბალღივით და შვილს თვალი აარიდა, რადგან შერცხვა მისი, თითქოს ის არაფერ შუაში არ იყო და იძულებული გაეხადათ, მოესმინა ამგვარი საუბარი. "ჩემი ცოლი მოსაკლავიაო" – გაიფიქრა აიეტმა ბრაზიანად, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს საქალებო საქმე იყო და მისი ცოლის სიბრიყვეს აეძულებინა ქარისა მამასთან მისულიყო შესაჩივლად. მამაღლა კი თქვა: შენი ქმარი ხეზე ჰკიდია, შვილებიც მოსავლელი გვყავს, ნუ გავაცინებთ ქვეყანასო.

- შვილები თუ მყავს. ერთი დამანახვე, სად არიან! – არ დაიხია ქარისამ, მაგრამ ხმამ უმტყუნა და პირზე მუშტი მიიფარა.

აიეტს გული ჩაწყდა, შვილის სევდა-წუხილი უპატრონო ბავშვივით შეაცოცდა ფეხებზე და ისიც უნებურად გაშეშდა, გაუთვალისწინებელი, ტლანქი მოძრაობით რამე რომ არ ეტკინა მისთვის. მან უცებ იგრძნო, რა ცეცხლს გამოქცეოდა მისი ქალიშვილი და თუ სახიდან ღიმილს არ იშორებდა, ესეც მათი ჯილაგის სიამაყისა და გაუტეხლობის ბრალი იყო. აიეტმა ნესვი იატაკზე დადო და გაწებილი ხელები ბარძაყზე შეიხოცა.

- გამოჩნდებიან. შვილო, აბა რა იქნება... - დაუყვავა გაბზარული ხმით.

ქარისამ კი კვლავ ძველებური სიკეკლუცით შეჰღიმლა თითქოს ვერც კი შეამჩნია მამის ხმასა და თვალებში უნებლიეთ გაელვებული სისუსტე, მასაც რომ ავალდებულებდა ჩამოეხსნა უდარდელობის ნიღაბი, ყოფილიყო გულახდილი და თამამად დაედო ხელი ნატკენ ადგილზე. ახლა მასაც გაუჭირდებოდა თვალთმაქცობა, რადგან მამამაც ძალის ნაცვლად თანაგრძნობა შესთავაზა. ქარისა აჩქარდა მეფის სიტყვისა მჯერაო, თავი დაუკრა აიეტს და დარბაზიდან წელი რხევით გაიტანა.

აიეტმა დიდხანს აძებნინა შვილიშვილები, მაგრამ მათ კვალს ვერც ზღვაზე მიაგნეს და ვერც დაუშრეტელ მდინარეზე. ვერც ის გაიგეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. და სწორედ მაშინ, როცა აღარავინ ელოდა ფრიქსეს ვაჟების გამოჩენას, ოთხივენი, ცოცხლები და უვნებელნი, თავის ფეხით დაბრუნდნენ შინ. ვანელებს იმდენი კარგიცა და ცუდიც ჰქონდათ ნათქვამი მეფის შვილიშვილებზე, აღარ იცოდნენ სწყენოდათ თუ გახარებოდათ მათი დაბრუნება. ყველა მხრებს იჩეჩავდა. სასახლე კი სიხარულით ფეხზე ვეღარ იდგა. ისევ გაისმა ქარისას კისკისი, ლაღი, გამომწვევი, მოზეიმე, და შეიძლება ამიტომაც შეუფერებელი, დაკარგული შვილების ხილვით გახარებული დედისათვის.

ფრიქსე მკვდარიც საშიში იყო. მკვდარიც ებრძოდა ქარისას. მის ხსოვნას ოთხი საიმედო ბურჯი ამაგრებდა, ოთხი მამაკაცის სიყვარული და ერთგულება, თავისი ნაადრევი სიკვდილით უარესად რომ განემტკიცებინა ფრიქსეს. ქარისას ხანდახან მართლა ეგონა, რომ ფრიქსე კი არ მომკვდარიყო, ოთხ ნაწილად გაყოფილიყო, ქარისას რომ გასჭირვებოდა მისი თვალთვალი და დაკავება, მართლაც, რომელი ერთისთვის ედევნა: ან ოთხივენი თავის ნებაზე უნდა მიეშვა, ანდა თვითონაც ოთხად უნდა გაჭრილიყო. თუმცა კიდევ იყო ერთი გამოსავალი და ქარისასაც ამის იმედი ჰქონდა: როგორმე თავისკენ გადმოებირებინა ვაჟიშვილები თუ გაოთხებული ქმარი, თანამზრახველად გახდომოდა, კვერცხი ეგორებინა, თუ საჭირო იქნებოდა ემლიქვნელა კიდევაც საკუთარი შვილების წინაშე, ოღონდ ისეთი წარმოდგენა შეჰქმნოდა ყველას, თითქოს ისიც საქმეში გადიოდა და თუ ისევ დააპირებდნენ გაპარვას, ისიც თან წაეყვანათ. ნუ მიატოვებდნენ ასე უსინდისოდ. ამდენის უფლება ხომ ჰქონდა დედას? მართალია, ჭიპის შეჭრის შემდეგ არც ერთი შვილი აღარ ეკუთვნის

მშობელს, როგორც აშვებული ნავი აღარ ეკუთვნის მიწას, მაგრამ შვილები ხომ სიკვდილამდე ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ და ჩირქი არ მოსცხონ დედის სახელს? არც ქარისა თხოულობდა მეტს, მაგრამ ესეც ბევრად ეჩვენებოდა, როცა ერთიანად გარუჯულ, დაკუნთულსა და ქოჩორაწეწილ ოთხ ვაჟკაცს უყურებდა, იმის დაჯერებაც უჭირდა, რომ ეს ოთხი, უკვე ხიფათგამოვლილი და გაუხეშებული მამაკაცი, მისი შვილები იყვნენ.

ფრიქსეს ვაჟები ამ ორ თვეში, მართლაც, დავაჟკა-



ცებულიყვნენ, ახლა უფრო უტიფრად და გამომწვევად ეჭირათ თავი, თითქოს დამხვდურების ბრალი იყო კუდამოძუებულნი უკანვე რომ მობრუნებულიყვნენ, ბოლომდე რომ ვერ მიეყვანათ პირველივე დამოუკიდებელი განზრახვა. სიტყვას იმადლებოდნენ, ძალიან ნუ აჰყვებით სიხარულს, დროებით ვართ დაბრუნებულიო, უღრენდნენ ყველას და ბუნაგიდან ძალით ამოთრეული მგლის ლეკვებივით მოფერებაც აღიზიანებდათ, რადგან ეშინოდათ დასაცინი არ გამხდარიყვნენ, ბავშვურ სისულელედ არ ჩაეთვალა ვინმეს მათი მტკიცე და მამაკაცური გადწყვეტილება.

ფრიქსეს ვაჟებმა მიცვალებულთა ჭალაშივე იგრძნეს, მამასთან ერთად მისგან გაცნობილ ზღაპრულ ქვეყანასაც რომ კარგავდნენ, სამუდამოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც, რადგან ახლა, ფრიქსეს სიკვდილის შემდეგ, აიეტი ასე ადვილად აღარ გაუშვებდა შვილიშვილებს უცხო ქვეყანაში, რომელიც, ვინ იცის, მართლა არსებობდა თუ არა; იქნებ მისი დასნეულებული სიძის ოცნების ნაყოფი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ის ნაყოფი მათაც ეგემნათ უკვე და მათაც გადახდებოდათ მამის სენი. ახლა სულ ერთი იყო, მართლა არსებობდა თუ არა ის ქვეყანა, ისინი მაინც წავიდოდნენ, ალალბედზე, ზღვისა და ხოფების ამარა და თუნდაც ხელში არაფერი შერჩენოდათ, მართლა მონაჭორი აღმოჩენილიყო ზღაპრულად ლამაზი ქვეყანა და მათი მეფური წარმოშობაც, გულის მოსაოხებლად ისიც ეყოფოდათ, თვითონაც რომ გაივლიდნენ იმ გზაზე, რომელზეც მათი მამის ოცნება დაძრწოდა, შეიძლება ფრიქსემ მართლა წარმოიდგინა ყველაფერი, მოიგონა და მემკვიდრეობად ეს მოგონილი ქვეყანა დაუტოვა თავის შვილებს, რადგან სხვა არაფერი შეეძლო, სხვა არაფერი ებადა, მაგრამ "მოგონილ ქვეყანასთან" ერთად ის ხომ იმედსაც უნერგავდა თავის შვილებს. იმედიც ქონება იყო, ისინი უფრო თამამად იცხოვრებდნენ, თავს არავის დააჩაგვრინებდნენ, რადგან "წასასვლელი" ექნებოდათ. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი შებრუნებულად გამოვიდა. ამ "წასასვლელის" არსებობით მან შვილებს სულიერი სიმშვიდე დაუკარგა, რადგან კაცს თუ წასასვლელი ეგულება, აუცილებლად წავა კიდეც, რადგან ყველას იქ ურჩევნია, სადაც თვითონ არ არის. აკი ფრიქსეს ვაჟებიც წავიდნენ, წარმოდგენილი არჩიეს ნამდვილს, დაუფიქრებლად მიატოვეს სახლი, სადაც გაჩენილიყვნენ და დაზრდილიყვნენ. რა იცოდნენ მაშინ ფრიქსეს ვაჟებმა, რომ პაპისეული სახლი ერთადერთია, ნამდვილად მათი სახლი იყო, რომლის მაგივრობასაც ვერ გასწევდა ვერც ერთი სახლი, რომლის კედლების სუნი შეუმჩნევლად მაგრამ ჯიუტად ილექებოდა მათი კანის ხვრელებში, ნაოჭებში, სულშიც და სამუდამო, წარუშლელ მოგონებად აკრისტალებდა მათ პირველ ნაბიჯსა თუ სიტყვას, ცრემლსა თუ ღიმილს, პირველ შეკრთომას თუ სიხარულს, ისევე, როგორც თაფლი აკრისტალებს ხოლმე თავის ოქროსფერ წიაღში მოხვედრილ მწერს, ყვავილის ბუსუსსა და უბრალო ხიწვს.

წყალუხვი მდინარის ლერწოვანებში უკვე იდგა ბერძნული თორმეტნიჩბიანი ხომალდი. შვილიშვილების მიკიბულ-მოკიბული ნაამბობიდან მან უკვე იცოდა, რომ ამ ხომალდს გადაერჩინა ისინი დაღუპვისაგან, თორემ მათი ხორცით თევზები უკვე კარგა ხნის დამძღრები იქნებოდნენ. ასე რომ, აიეტი უკვე დავალებული იყო იმ ხომალდისაგან, უნებართვოდ რომ შემოჭრილიყო მის ქვეყანაში, ვალს კი გადახდა უნდოდა. "საოცარია - ფიქრობდა აიეტი – რა იცოდნენ იმ მამაძაღლებმა, რომ მაინცდამაინც ჩემს შვილიშვილებს გადაარჩენდნენო." მართლაც, წარმოუდგენელი იყო, ამ იმედით ამხელა გზაზე წამოსვლა. ახლა იმის დადგენაც ჭირდა, თავიდანვე იცოდა იმ ხომალდმა, რისთვის მოცურავდა კოლხეთისაკენ თუ მერე, კოლხეთის მეფის შვილიშვილების გადარჩენის შემდეგ, გასჩენოდა ამგვარი განზრახვა. იქნებ სულაც აიეტის შვილიშვილებისაგან გაეგო ოქროს ვერძის არსებობა. იქნებ თვითონ ბიჭები დაჰპირდნენ გადარჩენის საფასურად, რადგან წყალნაყლაპებსა და შიშნაჭამებს სხვა ვერაფერი მოაფიქრდათ უკეთესი. მართალია, მისი შვილიშვილები ჯიუტად გაიძახოდნენ, იმ ხომალდის მეთაური მამაჩვენის ნათესავია, კანონიერი ტახტის დაბრუნება უნდა და შენთან შემწეობის სათხოვნელად არის მოსულიო, მაგრამ აიე-

ტის თავში ათასგვარი ფიქრები ირეოდა და დაუზოგავად ნთქავდა ერთმანეთს მშიერი თევზებივით. რომ შეიძლებოდა, ისინი ჩვეულებრივი ავაზაკები ყოფილიყვნენ, კი არ გადაერჩინათ, არამედ, უბრალოდ ტყვედ ჩაეგდოთ მისი შვილიშვილები, დაეშინებინათ და ახლა გამოსასყიდს თხოულობდნენ, მაგრამ შენიღბულად, ეჭვი რომ არ შეეპარვოდა ვინმეს მათს ავაზაკობაში. ასე თუ აღმოჩნდებოდა, დიდი დღე არ ეწერა იმ ხომალდს, მაგრამ თუ შვილიშვილები არ ტყუოდნენ, აიეტისაგან, მართლაც, წარმოუდგენელი უმადურობა და სისასტიკე იქნებოდა, ასე განუკითხავად რომ დაეწვა ხომალდიცა და მისი პატრონიც. პირიქით, მეფური ბუნება ავალდებულებდა, პატივით მიეღო შვილიშვილების გადამრჩენი ხალხი და ღირსეულადაც დაესაჩუქრებინა. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ვერძის ტყავს თხოულობდნენ ისინი? ფრიქსეს ვაჟებს ამაზედაც ჰქონდათ მზად პასუხი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი, იყო ყველაფერი. თუ შვილიშვილებს დაუჯერებდა. ვითომ მათი მამის აჩრდილი სამშობლოში ჩასულიყო და აეწრიალებინა თავისიანები, "თუ გინდათ, რომ მოგასვენოთ და ჩემი ცოდვაც მოგაშოროთ, გინდათ თუ არა იმ ცხვრის ტყავი დაიბრუნეთ, რომლითაც თქვენც დანას დავაღწიე თავიო." ასე ჰყვებოდნენ და იფიცებოდნენ ფრიქსეს ვაჟები. მაგრამ ეჭვის მყრალი სუნი ჯიუტად ეტანებოდა აიეტის დაბერილ ნესტოებს. იმდენ ბედნიერ შემთხვევას მოეყარა თავი, რომ ერთნაირად სასაცილო ჩანდა ნდობაც და უნდობლობაც. რაღა მაინცდამაინც მისი შვილიშვილები უნდა გადაერჩინა იმ ხომალდს, რომელსაც მაინცდამაინც კოლხეთისაკენ ედო გზა და მამასისხლად უღირდა საიმედო მეგზური და შუამავალი. რაღა მაინცდამაინც გადარჩენილების ნათესავი უნდა აღმოჩენილიყო გადამრჩენელი, თუ თვითონ ღმერთებს არ უნდოდათ ასე, ანდა თუ კი უკეთესი ვერაფერი მოეგონებინა შეშინებული ბავშვისა თუ ხარბი ავაზაკის გონებას. "თუ კარგი ხალხია - ფიქრობდა აიეტი, - ლერწამში რატომ იმალებიან, ჩემი ნავსადგური ხომ ყველასათვის ღიაარ".

აიეტმა ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, მერე თავი ასწია, ჰაერი ხმაურით დაყნოსა ცხენივით, და თქვა: ჩემს სასახლეში ღალატის სუნი ტრიალებსო. მაგრამ მაინც დათანხმდა მიეღო უცხოელი და როგორც შვილიშვილები სთხოვდნენ, "მხოლო მოესმინა" მისთვის. აიეტს უკვე თვითონაც აინტერესებდა იმ უცხოელის ნახვა და თუ არ ბრძანა, კნუტებივით ამოეყარათ ისიც და მისი მხლებლებიც თორმეტნიჩბიანი ხომალდიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან აეცდინა უსიამოვნო გაუგებრობა, თუ კი ის უცხოელი, მართლაც, მისი სიძის ნათესავი აღმოჩნდებოდა.

თორმეტნიჩბიან ხომალდზე კი მოუთმენლად ელოდებოდნენ ფრიქსეს ვაჟების დაბრუნებას, უფრო სწორად, გაურკვეველ, უსახელო და უმისამართო მოლოდინს შეეპყრო ყველანი.

ფრიქსეს ვაჟების დაბრუნება შეიძლება საბედისწეროც აღმოჩენილიყო მათთვის. ადვილი შესაძლებელი იყო ახლა აიეტის ხალხისათვის გაეწიათ მეგზურობა, მიესწავლებინათ მათი ადგილსამყოფელი და მაშინ... მაშინ აღარაფერი უშველიდათ, იმაზედაც მადლობა უნდა ეთქვათ და სამ-სამჯერ უდა ეკოცნათ მიწისთვის აიეტის ფეხებთან, თუკი უკან გაბრუნების ნებას მისცემდა.

პირველ ღამეს საგულდაგულოდ შენიღბულ ხომალდზე უვახშმოდ დაიძინეს, უფრო სწორად, გაათენეს, რადგან ახლა, როცა სულ ერთი ნაბიჯიღა აკლდათ მიზნამდე, ყველაფერს თავისი ნამდვილი ფერი და სუნი დაებრუნებინა. უკვალოდ გამქრალიყო უცხო ქვეყნისაკენ მოგზაურობის სიამოვნებაც და ხიფათების განცდის სურვილიც. აიეტის ქვეყანაში ქურდულად შემოპარულნი მწარე ფიქრებს მისცემოდნენ. უცხო გარემო, ღამის წყვდიადი და ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი მოსვენებას უკარგავდათ. ირგვლივ საზარელი მოჩვენებები დაძრწოდნენ, დაშლიგინობდნენ, წითელ თვალებს აბრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, ფაჩუნობდნენ, კიოდნენ და ხარხარებდნენ. წყლის ჩვეულებრივი ჩქაფანიც და ლერწმის შრიალიც თავზარს სცემდათ. იმ ღამეს ცეცხლის ანთება ვერ გაბედეს. არც სანდლის თასმა შეუხსნია ვინმეს, თითქოს მზად უნდა ყოფილიყვნენ გასაქცევად. ისხდნენ ასე, დამდურებულებივით და თვითონაც არ იცოდნენ რას ელოდნენ. ოღონდ მალე მოთავებულიყო ყველაფერი და, რაც მთავარია, ეს მტანჯველი, გულისგამაწვრილებელი მოლოდინი, ერთადერთი სინამდვილე რაც გარესამყაროსთან აკავშირებდათ.

"როგორ მომივიდა, როგორ ვენდე და როგორ გავუშვიო". – გულს ასკდებოდა იასონი. ის ხომალდის ერდოზე იჯდა, ხელები წვივებზე შემოეხვია და ნიკაპი შიშველ მუხლებზე ჩამოედო. შორიდან კაცს ეგონებოდა, დასძინებიაო, მაგრამ საკმარისი იყო, ოდნავ გაფაჩუნებულიყო რამე, პატრონის მომლოდინე ძაღლივით, მაშინვე წამოსწევდა თავს და წყვდიადს მიაშტერდებოდა. იასონი შეგნებულად მოიქცა ასე. შეგნებულად გაუშვა ოთხივენი, რადგან ვერ გაბედა მძევლების დატოვება. იმდენი რამე უამბეს მისმა "ნათესავებმა" მრისხანე აიეტზე, ეს უშიშარი ბედისმაძიებელიც კი ჩააფიქრეს. მართალია, წამოსვლამდეც ბევრი რამე უთხრეს, ბევრი თვითონაც გამოიკითხა კოლხთა მეფეზე, მაგრამ იქ, სამშვიდობოს, სხვა იყო, იქ მოსწონდა, ეამაყებოდა კიდეც, ასეთ მრისხანე და ძალგულოვან კაცთან რომ მოუწევდა შეხვედრა. შენს სახლში, სადაც მხოლოდ შენი ნაცნობ-მეგობრები შეკრებილან, თანაც ხელში ღვინით სავსე თასი გიჭირავს, სასიამოვნოცაა ლომზე საუბარი, თანაც ისეთ ლომზე, რომლის სიავე და დაუნდობლობა ზღაპრად ქცეულა და მთელ ქვეყანას მოსდებია, მაგრამ ბრიყვი უნდა იყო, თუ ასეთი გრძნობა დაგეუფლება, როცა იმ ლომის ბუნაგის სუნი გეცემა ცხვირში. იასონს ძალის იმედი არც ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდა, ეშმაკობითა და მოხერხებულობით თუ გამოაცლიდა იმ ქეციანი ვერძის ტყავს, რომელზეც ლომი იწვა და შეფერებული მედიდურობით, ზანტად, ათასში ერთხელ თუ დაახამხამებდა უცხო სტუმრისაკენ მიპყრობილ ყვითელ თვალებს. იასონსაც ცხვრის ქურქი უნდა ჩაეცვა, თავი ჩაეღუნა და მორიდებით დაეკიკინებინა თავისი გასაჭირი, იქნებ ასე მაინც მოეგო გული მრისხანე მეფისათვის, რომელმაც, ალბათ, უკვე იცოდა დაუპატიჟებელი სტუმრების შესახებ და, ვინ იცის, რა ავი ზრახვები უტრიალებდა თავში. იასონს სხვა მაინც არაფერი შეეძლო. რომელიმე შვილიშვილის მძევლად დატოვება უარესად გააცეცხლებ-

და აიეტს და იასონის სათხოვარსაც ავაზაკის ტყაპუჭს გადააცმევდა. ის მეფე იყო, უსამართლოდ დაკარგული ტახტის სამართლიანი მემკვიდრე, და ახლა მეორე მეფესთან შემწეობის სათხოვნელად მოსულიყო. ამით ხომ ის აიეტის უპირატესობასაც აღიარებდა, უსაზღვრო ნდობასაც უცხადებდა მის მეფურ ძალას და კეთილშობილებას. განა მეფე, მით უფრო აიეტივით ძლიერი, ვალდებული არ არის მხარში ამოუდგეს მეორე მეფეს, მით უფრო იასონივით უძლურს. თუკი იმ მეორის სახელი და პატივი უსამართლოდ ითელება და თუ კი ამ სახელისა და პატივის აღდგენა ერთ ქეციან ტყავს შეუძლია, რომელიც აიეტისათვის, ოქროთი მდიდარი აიეტისათვის, მართლაც, ქეციანი ტყავია და მეტი არაფერი? "აბა, თვითონ იფიქრე, შენი სიკეთისა და გულუხვობის იმედი რომ არ მქონდა, ამხელა გზაზე ასე ალალბედზე გიჟის მეტი ვინ წამოვიდოდაო" – ალაგებდა იასონი აიეტისთვის სათქმელ სიტყვებს, მაგრამ თვითონვე არ მოსწონდა, რაც უფრო მეტს უკირკიტებდა, არბილებდა და ატკბილებდა, მით უფრო ყალბად და არაბუნებრივად ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, აიეტი, თუკი მართლა ეღირსებოდა მასთან მშვიდობიანი საუბარი, მაშინვე მიუხვდებოდა ეშმაკობას. სათქმელს არ დაამთავრებინებდა, ანდა ენასთან ერთად ამოგლეჯდა სიმართლეს. არა, აშკარად დიდ გამოცდას უმზადებდა ბედი იასონს. ან ბოლომდე უნდა გაეძლო, შიშს არ აჰყოლოდა, ანდა ახლავე, შეუმჩნეველად, ისე რომ მის ბიჭებსაც არ გაეგოთ, ჩაცურებულიყო წყალში და ბაყაყურით გასცლოდა აქაურობას, სანამ ღონე ეყოფოდა, სანამ სამშვიდობოს გავიდოდა. უცებ, მართლაც, ისე მოუნდა იასონს გაპარულიყო აქედან, თავი ძლივს შეიკავა, ბაყაყივით წყალში რომ არ მოადინა ტყაპანი. ეს მაცდური ფიქრი რომ მოეშორებინა, წინ გადმოიხარა, ოთხზე დადგა დანესტიანებულ მორებზე და ხომალდზე ჩამოწოლილ წყვდიადს, მის ბიჭებს რომ მალავდა, ჩურჩულით გასძახა: გძინავთ, ძმებო. მისმა ჩურჩულმა წყდიადი შეაკრთო, ფუძეგამოცლილ სილის ბორცვივით ჩამოაქცია; წვდიადის დონდლო ნაფლეთები იასონისკენ გამოცოცდა, ბუდედანგრეული ხოჭოებივით. მეთაურის ჩურჩულმა ოდნავ მიყუჩებული შიში ისევ გამოაფხიზლა და ყველამ უნებურად იმ ადგილს მიაშურა, საიდანაც ეს უსიამო ჩურჩული მოესმათ; თითქოს ხომალდს უეცრად ბზარი გასჩენოდა და იმ ბზარიდან მათი დამღუპველი წყალი მოშხუოდა.

- ძმებო. – ისევ დაიჩურჩულა იასონმა.

მერე მუჭში ჩაახველა და რატომღაც მიიხედ-მოიხედა. მერე სინათლეც დაინახეს; ყვითელი, მოუსვენარი ლაქა დევნილი ნადირივით მოხტოდა დაყურსულ ბუჩქებზე, მოძვრებოდა ასწლოვან ხეებს შორის, მოცოცავდა გველებივით დაგრეხილ ფესვებზე და ყოველ წუთს ახლოვდებოდა, რადგან დიდხანს ვერაფერზე ვერ იმაგრებდა თავს, მთელი ქვეყანა ქონწასმულივით ეცლებოდა ფეხქვეშ.

სინათლეს ფრიქსეს ვაჟები მოჰყვებოდნენ. "ჩვენ ვართო" – შორიდანვე გამოსძახეს ხომალდს, თითქოს იგრძნეს, რა აუტანელი იყო ხომალდზე მყოფთათვის მოხტუნავე, ყველაფრის დამბრმავებელი სინათლის ყურება, სანამ გაიგებდნენ, რას მოუძღოდა, რას მალავდა იგი. ახლა სინათლე ხომალდზე მყოფთა სახეებს ანათებდა და ამდენი დამფრთხალი სახის ხილვამ ისე შეაძრწუნა არგუსი, ჩირაღდანი წყალში გადააგდო. შიშინით ჩამქრალმა ცეცხლმა ჰაერში კვარის სუნი დააყენა.

დილით იასონი და ფრიქსეს ვაჟები ერთად გაემართნენ აიეტის სასახლისაკენ. დილამ სიმხნევე შეჰმატა ყველას. დანახული ქვეყანა არც ისე საშიში იყო, როგორც წარმოდგენილი. ღამის წყვდიადით გადაშლილი და გადაგვარებული. ღამეს უჟმურიც თან წაეყოლა, ერთიანად მოელოკა ქვეყანა, როგორც გველი ლოკავს ხოლმე ქვას, რომელზეც შხამს ტოვებს. ფრიქსეს ვაჟების ნაამბობმა ცოტათი ჩააწყნარა ავი წინათგრძნობით აწრიალებული გულები. აიეტი თანახმა იყო მიეღო უცხო სტუმარი, ეს კი სხვას თუ არაფერს, სიცოცხლის შენარჩუნებას მაინც ნიშნავდა. მიჩქმალულმა შიშმა ახლა ლაზღანდარობის გუნებაზე დააყენა ისინი. "ერთ ღამეში მაზანდა აიწია, ახლა ცხვრის ტყავს პაპათქვენის ტყავიც თუ არ მოაყოლეთ, ისე სამშობლოთი არ წაგიყვანთო", - უთხრა იასონმა ფრიქსეს ვაჟებს, თვითონაც გაღიმებული და აღტაცებული რომ შესცქეროდნენ მეთაურის ხუმრობაზე ახარხარებულ თანამემამულეებს.



ნელა, წვალებით თენდებოდა, მაგრამ საღღაც, უსასრულობის წიაღიდან დაძრულ დღეს ვერაფერი შეაჩერებდა, სანამ მთლიანად არ დაიბადებოდა. ჯერ კიდევ წელამდე რძისფერ ბურუსში იდგნენ ყველანი. თორმეტნიჩბიან ხომალდს მარტო ცხვირი და ანძა ამოეყო გაგლეჯილი ბურუსიდან. საღღაც ჩიტმა დაუსტვინა და

ამ სუსტმა, თითქმის უმნიშვნელო ხმამ კიდევ უფრო დაადასტურა მიწის არსებობა. ყველამ ყურადღება მიაქცია ჩიტის სტვენას, კისრები მოეღრიცათ, თითქოს ჩიტის დანახვასაც შეძლებდნენ, თითქოს სანამ ჩიტი უსტვენდა, ცუდი არაფერი მოხდებოდა. მერე ბურუსის მცოცავი ხელებით უთანასწოროდ დაგლეჯილი მიწაც გამოჩნდა.

იასონს ხელში ზეთისხილის ტოტი ეჭირა. როგორც კი მიუახლოვდნენ სასახლეს, გაიქცა და სამოციქულო ქვაზე ჩამოჯდა. მედეა ამ დროს ჯერ კიდევ თავის ოთახში იყო და ქარისასთან წასასვლელად ემზადებოდა. არაფერი არ უგრძვნია, არაფერს არ შეუშფოთებია მისი არსება, თუმცა სამოციქულო ქვაზე ჩამომჯდარ იასონს გული ბაგაბუგით უცემდა. ფრიქსეს ვაჟები მოშორებით იდგნენ, თითქოს მათაც გადასდებოდათ იასონის დაფარული მღელვარება და, რადგან მასთან ერთად მოსულიყვნენ პაპისეულ სასახლეში, ახლა ისინიც თავს უცხოებად გრძნობდნენ. მცველებმა მალე შეამჩნიეს სამოციქულო ქვაზე ჩამომჯდარი უცნობი და როცა მის სიახლოვეს ფრიქსეს ვაჟკაცებიც დაინახეს, მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო იგი.

უკვე მთელი სასახლე ლაპარაკობდა თორმეტნიჩბიან ხომალდზე, ფრიქსეს დაკარგული ვაჟები რომ მოეყვანა. აიეტმა ბრძანა, სტუმრებს ღირსეულად დახვედროდნენ. "სტუმრებს" – ხაზგასმულად თქვა აიეტმა, რადგან შვილიშვილებსა უკვე "უცხოებად" თვლიდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს პირველად ხედავდა მათ. ფერგაცრეცილი, მაგრამ ამაყად წელში გამართული იასონი გაღიმებული მოუძღოდა წინ ფრიქსეს ვაჟებს. მედეას ჯერ კიდევ არ გამოეღო თავისი ოთახის კარი, როცა დერეფანში მხევლებმა ჩაირბინეს და მისმა სმენამ უნებურად გაარჩია მათი საუბრის უმნიშვნელო, თითქმის არაფრის მთქმელი ნაწყვეტი, როგორც გამოდებული თავშლის ნაკუწი – ღობემ. მედეას გონებამ თითქოს არ მიიღო, უყურადღებოდ დატოვა შემთხვევით ჩასმენილი სიტყვა თუ სიტყვები. მაგრამ, ეტყობა, მაინც მოასწრო და აღიქვა იგი, რადგან ცოტა ხნის შემდეგ, როცა სასახლისაკენ მომავალი უცნობი დაინახა, მაშინვე პირველყოფილი სიცხადით გაახსენდა დერეფანში ჩარბენილი მხევლების უცნაურად მოეღურტულე ხმები, რომლებსაც რატომღაც, მხოლოდ ახლა, უცნობის ხილვისას მისცა გარკვეული აზრი და მნიშვნელობა. მედეამ ღობეს წამოდებული თავშლის ნაკუწიც დაინახა, უმწეოდ რომ ფრიალებდა ქარში, როგორც ცალფრთიანი და ამიტომაც გასაფრენად უვარგისი არსება. მთელი სასახლე ეზოში გამოფენილიყო და მედეას შეეშინდა, ხომ არ შეეკავლეო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველას ყურადღება უცხო სტუმარს მიეპყრო.

ქარისამ, შვილები რომ დაინახა, გული მოერღვა იმდენად უმწეონი ჩანდნენ მომხიბვლელი სტუმრის გვერდით. თვითონაც უცხოებივით მოაბიჯებდნენ, გუშინდელი სითამამის ნასახიც არ შერჩენოდათ და ისე აცეცებდნენ თვალებს, თითქოს პირველად შემოედგათ ფეხი პაპისეულ სასახლეში. ქარისამ იგრძნო, შვილები მას დაეძებდნენ და უნებურად წინ გამოვიდა. შვილებს გაუხარდათ დედის დანახვა, დაბნეულად გაუღიმეს და ქარისას უარესად ეტკინა გული. ნამვილ უცხოელს კი თავი ამაყად ეჭირა, ზეთისხილის შტოს წვივზე იტყლაშუნებდა და მომხიბვლელად იღიმებოდა. ქარისა ჯერ დაიბნა, მერე გაბრაზდა, თითქოს გული დასწყდა, რადგან თავი სიცოცხლეში პირველად იგრძნო ასე მტკივნეულად, ასე შვებისმომგვრელი სიძულვილით მამაკაცის მიმზიდველი ძალა, გულუბრყვილო ღიმილს რომ ამოფარებოდა ახლა და, უპირველეს ყოვლისა, მის საკუთარ შვილებს თრგუნავდა, აფერმკრთალებდა, ამდაბლებდა. ქარისას ერჩია, მიწა გასკდომოდა ფეხქვეშ, ვიდრე ამ დღეში ეხილა შვილები. მან უკვე იცოდა, ვის ბაძავდნენ ისინი, საიდან მოდიოდა მათი გუშინდელი სითამამე, სიტლანქე და უხეშობა, ასე რომ გააოცა და მოხიბლა კიდეც იგი. "აი, თურმე როგორი ყოფილა ჩემი მეტოქეო", - ფიქრობდა ქარისა და თვითონვე უკვირდა, ასე მშვიდად, ასე უდრტვინველად, დამაწყნარებელი უმწეობით რომ ითმენდა მის არსებობას. იქნებ იმიტომ რომ მის ქალურ ბუნებას მამაკაცად ვერ წარმოედგინა მეტოქე და ახლა, ამგვარი მოულოდნელობით უცაბედად დამშვიდებული, არ სურდა აჯანყებოდა მას, რისთვისაც გაჩენილიყო, რასაც ელტვოდა, უსიტყვოდ ენდობოდა და ემორჩილებოდა კიდეც.

მედეას კი ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, ისე მოშვებოდა, ისე დაცარიელებოდა მთელი სხეული, თითქოს გონი დაეკარგა და ნელ-ნელა, თანდათანობით ერკვეოდა სისუსტისა და არარაობის ბურანიდან. ამ ავადმყოფურ შეგრძნებას ისიც უმძაფრებდა, ყველანი რომ უღიმოდნენ. აფრასიონმა ხელიც შეავლო ფრთხილად, თითქოს მაჯას უსინჯავდა. ის კი, მისი სიზმრის გმირი, ზეთისხილის შტოს იტყლაშუნებდა წვივზე, მედეას მხოლოდ მოქნეული ტოტის შხუილი ესმოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა, რადგან ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ მოდიოდა და რატომ არ ადებდა მხარზე ხელს, როგორც საკუთრებას. მედეა ხომ მისი საკუთრება იყო. ეს უკვე ყველამ იცოდა, ალბათ, ამიტომაც უღიმოდნენ. ისიც იცოდნენ, რის სათხოვნელად იყო მოსული უცხოელი და რაზე ელაპარაკებოდა აიეტს. მაგრამ რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო, რას შეცვლიდა ლაპარაკი, როცა ღმერთებს უკვე გადაეწყვიტათ მისი ბედი.

მედეა იასონს ვიღაცას ახსენებდა, ახსენებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ვის. შეიძლება იმიტომაც, რომ მაშინ, აიეტის სასახლეში, არ შეეძლო მარტო მედეაზე ეფიქრა, თუმცა ცალი თვალით მაინც მოასწრო გადაეთვალიერებინა ხსოვნაში ჩარჩენილი ქალები, მაგრამ ვერც იქ მიაკვლია მედეას მსგავსებას. ახლა კი, გემბანზე ჩაცუცქულს, ბურუსში ჩაკარგულს, უცებ გაუნათდა გონება. მედეა ზღვას ჰგავდა. ახლა ისიც გაახსენდა, განუწყვეტლივ ზღვის ხმაური რომ ესმოდა. სანამ მედეა დარბაზში იყო, მაშინ ამ ხმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, არც არაფერი იყო გასაკვირი, იცოდა რომ ზღვა ახლოს იყო, მაგრამ გაახსენდა თუ არა მედეა, ისევ ჩაესმა ზღვის გუგუნი, დინჯი, შეკავებული, თითქოს სამუდამოდ დამცხრალი და სამუდამოდ შეგუებული ბუნებისაგან დადგენილ ჯაბირებს. ეს ხმა მედეას ხმა იყო. ზღვა კი იმიტომ იყო ზღვა, რომ არც დამცხრალიყო და არც შეჰგუებოდა რამეს. ის უბრალოდ სულს ითქვამდა. კლდოვან ნაპირებზე ჩამოკაწრულ ტალღებს იმშვიდებდა, რათა კიდევ ერთხელ შეხეთქებოდა ერთფეროვნებასა და უძრაობას. იასონის

ყურებში მართლა ხმაურობდა ზღვა, როცა მედეა თავჩაღუნული იჯდა მამასა და უცხოელ სტუმარს შორის და ხელის გაშლილი მტევნები მუხლებზე დაეწყო. როგორც... როგორც სასამართლოს მაგიდაზე ყველას დასანახად დააწყობენ ხოლმე იარაღს, რომლითაც მკვლელობაა ჩადენილი. რა თქმა უნდა, იასონს ასე არ უფიქრია. მაგრამ უცნაურად შეძრა და ააფორიაქა ამ ხელების ხილვამ, სიტყვა გაუწყდა და ფეხი ისე აუკანკალდა, თითქოს დასაკლავ პირუტყვზე ედგა. "აი, ვინ მიშველიდაო", - ფიქრობდა ახლა იასონი. ხომ შეიძლებოდა მედეას მოსწონებოდა და შეჰყვარებოდა კიდეც იგი. განა იშვიათად მომხდარა ასეთი რამ? რამდენიც გინდა. რამდენჯერ უთქვამთ იასონისთვის, ამა და ამ დღეს აქა და აქ ჰყოფილხარ და მავანსა და მავანს ისე შეჰყვარებიხარ, თითი რომ დაუქნიო, მოედანზე დაგიწვებაო. რატომ არ შეიძლებოდა, ახლაც ასე მომხდარიყო, რას დაუწუნებდნენ ვითომ იასონს კოლხი გოგონები. რასაკვირველია, ახლა ამ გაუკვალავ ბურუსში სისულელე იყო მედეას სიყვარულის იმედით საოცნებო კოშკების აგება, მაგრამ იასონმა ვერაფრით ველარ მოიშორა მედეაზე ფიქრი, გული უგრძნობდა, რომ რაღაცის გამოღნობა შეიძლებოდა ამ ფიქრიდან, ქალის ხელით გაკეთებულ საქმეს გემოც განსაკუთრებული ჰქონდა; არც ეს იყო უცხო ხილი იასონისთვის, მაგრამ ის ქალები, სხვა ქალები იყვნენ, როცა ისინი იასონისთვის ირჯებოდნენ, უყვარდათ კიდეც იგი. სიყვარული ახუჭვინებდათ თვალს და უნათებდათ გონებას. მედეას კი რა სჯიდა, რატომ უნდა გამოედო თავი ამ უცხოელისათვის, სულ ერთხელ რომ ჰყავდა ნანახი და ისიც საკითხავი იყო, მართლა ენახა თუ არა. როგორც იასონს ახსოვდა, მედეას თავიც არ აუწევია, არც კი გამოუხედავს მისკენ, იჯდა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, როცა უყვარხარ. ასე რომ, იასონს ჯერ თავი უნდა შეეყვარებინა მედეასათვის და მერე ეთხოვა შემწეობა. "კი არ მეშორებაო, მაგრამ მეჯორებაო", - წაიმღერა გუნებაში იასონმა. მან კარგად იცოდა, რა ძნელი მოსავლელი იყო ასეთი ჩუმი და თავჩაღუნული გოგოები. უღელი კამეჩის ძალაც არ გეყოფოდა, ოდნავ მაინც რომ მოგეცილებინა ერთმანეთისათვის მათი მიტყუებული მუხლები. მაინც სასიამოვნო იყო მედეაზე ფიქრი, იმედისმომცემი, გამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, მით უფრო, რომ სიცივე უკვე ძვალ-რბილში ატანდა, ფილტვებიც წებოვანი ბურუსით გაჟღენთილიყო და სადღაც, თითქოს ჯიბრზე, გულსაკლავად მოთქვამდა ჭოტი.



აიეტი უკვე გრძნობდა, დიდი შეცდომა რომ ჩაიდინა, როცა მშობლებისაგან განწირული ფრიქსე შინაური კაცივით მიიღო სასახლეში და მერე დაინათესავა კიდეც. ახლა ფრიქსეს კვალზე მთელი ხომალდი მოსულიყო, ხვალ კი შეიძლება მთელი საბერძნეთი მოსდგომოდა კარს. არა, დათმობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, დათმობა სისუსტეს ნიშნავდა. მართალია, უცხოელს თითქოს უფლებაც ჰქონდა მოეთხოვა ის, რასაც თხოულობდა და, რაც მაინცდამაინც ძნელი შესალევი არ იყო, მაგრამ ვინ დაუდგებოდა თავდებად, უცხოელი რომ არ ტყუოდა. განა მგელი ითაკილებს ცხვრის ტყავში გახვევას, თუკი ფარეხში უნდა შეპარვა? აიეტს არ სჯეროდა უცხოელის, საამისოდ ზედმეტად მომხიბვლელი ეჩვენა იგი. ჰქონდა კიდეც უნდობლობის საბაბი. საიდან აღარ მოდიოდნენ ვანში ხომალდები, რა არ მოჰქონდათ და მიჰქონდათ, მაგრამ არც ერთს არ აურიდებია თავი ნავსადგურისათვის და დაუშრეტელი მდინარის ჭანჭრობში არ დამალულა. არც შვი-

ლიშვილების მათთან ერთად დაბრუნება, მათთვის ასეთი ზრუნვა და თავგამოდება მიაჩნდა ბუნებრივად. შეიძლება შვილიშვილებს მართლა კეთილშობილი გრძნობა ამოქმედებდათ, თავს რომ არ იშურებდნენ, რათა საკადრისი სამსახური გაეწიათ გადამრჩენებისათვის (თუკი მართლა გადამრჩენი იყო), მით უფრო, რომ ეს გადამრჩენელი ნათესავად ეკუთვნოდათ, (თუკი მართლა ეკუთვნოდათ), მაგრამ ასევე შეიძლებოდა, დაეშინებინათ ისინი, ანდა ისეთ რამეს დაჰპირებოდნენ, გადაებირებინათ ეს ოთხი ღლაპი პაპისა და ქვეყნის წინააღმდეგ. მოკლედ აიეტს არ სჯეროდა არც უცხოელისა და არც შვილიშვილებისა. "შენიანის გეშინოდესო", - აკი ყოველთვის აფრთხილებდა მამა. აუხდა კიდეც; როცა კიდევ ერთხელ გადაათავალიერებდა ხოლმე გუნებაში თავისიანებს, ეჭვს მხოლოდ და მხოლოდ ქარისას შთამომავლობა იწვევდა. მედეას სათვალავშიც არ აგდებდა, რადგან გაუთხოვარ ქალს მშობლებზე ძვირფასი არავინ არ უნდა ჰყოლოდა. აფრასიონი კი სხვანაირად აბრაზებდა აიეტს. წლები გადიოდა, აფრასიონი იზრდებოდა, მაგრამ ძველებურად გულჩათხრობილი და "უცნაური" რჩებოდა. "რაღაცაში გაერიოს, მეფობასაც სწავლა უნდაო", - ეტყოდა ხოლმე აიეტი მეუღლეს, მაგრამ გულის სიღრმეში, სადაც მამა სჭარბობდა მეფეს, სიამოვნებდა კიდეც, რომ ასეთი თავდაჭერილი შვილი ჰყავდა, ცხვირს რომ არ ჰყოფდა ყველაფერში, აქაო და მეფის მემკვიდრე ვარო. ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ღალატის კაცი კი ნამდვილად არ იყო, თითქოს სულ ასე მემკვიდრედ აპირებდა ყოფნას და, ვინ იცის, იქნებ ღმერთსაც ევედრებოდა, მამაჩემი დიდხანს მიცოცხლე, ქვეყნის საზრუნავი ჩემს კისერზე რომ არ გადმოვიდესო. აფრასიონს მართლა უყვარდა მამა და ეს აიეტმაც იცოდა. ერთხელ ხუმრობით ჰკითხა, თუ მართლა ყველაფრის გამომცნობელი ხარ, ისიც მითხარი, როდის მოვკვდებიო; აფრასიონს თვალში ცრემლი ჩაუდგა, ყბა აუცახცახდა და ძლივს ამოილუღლუღა: არ ვიცი, ეგ ჩემს მერე მოხდებაო. აიეტს შვილის სიბრალულით გული დაეწვა და მერე აღარ მიუცია ამგვარი შეკითხვა. ასე იყო თუ ისე, აფრასიონი მამის ეჭვს არ იმსახურებდა და ამიტომაც იყო, რომ აიეტმა ფიქრშივე მოუხადა ბოდიში: მაპატიე, შვილო, ტახტი ისეთი რამეა, ყურზე ყური უნდა გამოიბა და თვალზე თვალიო.

აიეტმა ცხვირწინ აქანავებულ ფიქრის ბაწარს ხელი აუქნია, რადგან ისედაც იცოდა, რა ზარზეიმი იდგა, ალბათ, ჭაში და ხმამაღლა განაცხადა:

- ჩემი აზრით, ბერძნების თორმეტნიჩბიანი ხომალდი უნდა დაიწვასო...

ფრიქსეს არ შეეძლო ასეთი ცხოვრება, ანდა რისი მაქნისი იყო, რას აკეთებდა, არაფერს არ აკეთებდა და არც არავის არ აინტერესებდა იგი, თვითონ კი არა, მისი ბუდე და სამარე აინტერესებდა ყველას, აკი ასეც უთხრეს, შენგან არაფერი არ გვინდა, ბუდისა და სამარის მეტიო. ბუდე უკვე შექმნა, კი არ შექმნა, შავფრჩხილებიანმა ხელმა გუგულის კვერცხებივით ჩააგდო სხვის ბუდეში, რათა გამოჩეკისთანავე სამარეზე ეფიქრა, რომელსაც ოდესმე პატრონიც გამოუჩნდებოდა და ნარ-ეკალს მოჰგლეჯდა. არა, ის ნარეკალი ჯერ სულზე ჰქონდა მოდებული ფრიქსეს და თვითონვე უნდა მოეგლიჯა, ანდა როდემდე უნდა ყოფილიყო ასე ცოცხლად დამარხული, რისი გულისთვის? მაგრამ... მაგრამ არც ისე ადვილი იყო ოცდახუთწლიანი დუმილის დარღვევა, ოცდახუთწლიანი მორჩილების დავიწყება, ოცდახუთწლიანი ვალიდან ამოსვლა. მაინც გადაწყვიტა შური ეძია სინამდვილეზე, ამდენი ხანი ცხვარივით თავჩაღუნულს რომ აბალახებდა სხვის საძოვარზე, ამდენი ხანი ტყუილს რომ ალაპარაკებდა და დუქნის ბიჭივით ათვალთმაქცებდა. როგორმე შვილებისთვისაც უნდა შეეზიზღებინა სინამდვილე, როგორმე უკანვე უნდა გამოესყიდა თავიცა და ისინიც და მათთან ერთად დაბრუნებულიყო "ზღაპრულ ქვეყანაში", გოგრის თესლის სუნით რომ ყარდა, ობი რომ მოსდებოდა, სიძულვილის შხამით რომ გაჟღენთილიყო, მაგრამ მართლა მათი იყო, მათი საკუთრება.

მედეა რომ შემოვიდა, აიეტი ტახტზე იჯდა და ფრიქსეზე ფიქრობდა. ის უკვე მიხვედრილიყო ფრიქსე მტრის ბანაკიდან დაძრული პირველი ტალღა რომ იყო, ნაპირის მოსასინჯი, აბრეშუმივით ნაზი და უხმაური, ასევე უხმაუროდ რომ ჩაიწრიტა სილაში და თეთრი ტყემლის ყვავილივით თეთრი ქაფი შეატოვა ნაპირს. ტალღის ქაფის სუნი ჰქონდა ფრიქსეს თმასაც და ესეც ახლა, ოცდახუთი წლის მერე გაახსენდა აიეტს. აიეტს ბავშვობიდანვე უყვარდა ეს სუნი, ზღვის პირას პირქვე დაწვებოდა ხოლმე, ცხვირ-პირს სველ სილაში ჩაჰყოფდა ისე, რომ ნაპირზე ამოვარდნილ ტალღას ზედ გადაევლო და, ტალღა რომ გადაივლიდა, აიეტს ესმოდა, როგორ შიშინებდა მის შიშველ ზურგზე დარჩენილი ქაფი. ზღვა იზიდავდა, ისრუტავდა აიეტის გარუჯულ სხეულს, ქვიშას ჩხრიალით აცლიდა, მაგრამ აიეტი მაინც ახერხებდა თავის შემაგრებას ამოძრავებულ ქვიშაზე. ასე ეთამაშებოდა იგი ზღვას, რომელსაც მისი წაყვანა უნდოდა, მაგრამ ბიჭის ძარღვიანი და მოქნილი სხეული ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებდა ამოდენა სტიქიას. ეს პატარა ბიჭი უკვე ისე კარგად იცნობდა ზღვას, სილაში ცხვირჩაყოფილს მარტო ხმით შეეძლო გამოეცნო ტალღის სიძლიერე. შეეძლო გამოეცნო, სად დაეჯახებოდა უკან მობრუნებული წყალი და ამიტომაც ყოველთვის ისე დროულად და მოხერხებულად გაარიდებდა ხოლმე სხეულს, გაწბილებულ ტალღას ქვიშისა და ხმელი ნაფოტების მეტი ვერაფერი მიჰქონდათ. აიეტმა ბავშვობიდანვე იცოდა ისიც, რომ ტალღას ტალღა უნდა მოჰყოლოდა, ისიც იცოდა, მომდევნო ტალღა წინამორბედზე ძლიერი რომ იყო, ტალღები კი ისევ და ისევ ფრიქსეზე ფიქრმა გაახსენა. ფრიქსე პირველი ტალღა იყო, მისი ვაჟები კი... მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა მომღიმარე უცხოელის სახით, ხოლო მესამეს რა თქმა უნდა, მეოთხეც უნდა მოჰყოლოდა, რადგან ასე მოითხოვდა ბუნებისაგან დადგენილი წესი და რიგი. სწორედ ამ მეოთხე ტალღის ამოცნობას ცდილობდა ახლა აიეტი, მეოთხე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, უფრო თამამიც და ხმაურიანიც. აიეტი ისე აწრიალდა, თითქოს უზარმაზარი, ყალყზე შემდგარი, თავზე მღვრიე ქაფმობმული ტალღა მართლა ეპარებოდა სილაში პირქვე ჩამხობილ ბიჭს.

შეცდომა დიდი ხნის წინ იყო ჩადენილი, აიეტმა კი ახლა ამ შეცდომის მოწეული ნაყოფი მოწყვიტა მხო-

ლოდ, მწარე და ლორწოვანი. მისი ნდობა და გულკეთილობა უცხო თესლის ნაშიერებმა, მისი პურით გამოკვებილმა და გაზრდილმა შვილიშვილებმა, ბოროტად გადაუხადეს. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. როგორც კი საშუალება მიეცათ, მაშინვე თავიანთი თანამემამულის მხარე დაიჭირეს, თუმცა ის თანამემამულე იქამდე თვალითაც არ ჰყავდათ ნანახი. მისმა სიუცხოვემ მოხიბლა და სისხლმა უგრძნოთ, რომ თვითონაც შეიძლება ყოფილიყვნენ ისეთები, სხვანაირად



რომ წარმართულიყო მათი ბედი. ამ უცნაურმა აღმოჩენამ ერთ წამში დაავიწყათ ფრიქსეს ვაჟებს ის ზრუნვა და ამაგი, რამაც ხელი შეუშალათ გამხდარიყვნენ "ისეთები" და დაუფიქრებლად ჩადგნენ ავაზაკთა სამსახურში, თითქოს მხოლოდ ამით დაამტკიცებდნენ თავიანთ ბერძნულ წარმოშობას.

ხიზანის ბუნებაც ხომ ასეთია. ის, რა თქმა უნდა, მადლობელია, პური რომ გაუყავი, ჭერქვეშ რომ შეიფარე, ცეცხლთან ადგილი რომ გამოუნახე, მაგრამ ამავე დროს გული შურით ევსება, მაგრამ მას არც საკუთარი პური, არც საკუთარი ჭერი და არც საკუთარი ცეცხლი გააჩნია. მართალია, შენ (მისი შემფარებელი) ამაში სრულებითაც არა ხარ დამნაშავე, მაგრამ მისი ფარული სიძულვილი უმთავრესად შენსკენაა მომართული, რადგან შენ გაქვს ის, რაც შეიძლება მასაც ჰქონოდა და თუკი ასეა, მაშინ ბუნებრივად იბადება მის აფორიაქებულ გონებაში ამგვარი კითხვაც: რატომ გაქვს შენ და არა მას? ისიც აღიზიანებს, ვალდებული, რომ მადლიერი იყოს შენი. მადლიერების ეს გრძნობა კი დამაკნინებელია, ის თავისთავად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, მაღლა სწევს, უფრო გამოსაჩენს ხდის შენს უპირატესობას. რაც უფრო ხელგაშლილი და ლმობიერი ხარ ხიზანის მიმართ, მით უფრო სისხლჭარბი და დაუოკებელია მისი ღვარძლი. შენი ხელგაშლილობა თრგუნავს მას და უფრო ზრდის იმ ვალის სიდიდეს და სიმძიმეს, რომლის განაღდებასაც შენ არ ელოდები, მაგრამ "ვალი" თავის თავში ანაზღაურების აუცილებლობასაც გულისხმობს. ამგვარი "ვალი" კი, უმთავრესად, ისეც ანაზღაურდება, როგორც ფრიქსეს ვაჟებმა აანაზღაურეს. ბოროტებით, ღალატითა და სისხლით, რათა თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ, კეთილსა და შემბრალებელს, დაგიმტკიცონ, რომ ისინიც რაღაცას წარმოადგენენ, რომ მთლად სამოწყალოდ არ გახდომიათ საქმე. პირიქით, ისინი ისეთ მდგომარეობას შეგიქმნიან რომ თვითონ დაგჭირდეს ახალი მოწყალების თხოვნა; და თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ გაჩვენებენ, როგორ უნდა მოწყალების გაღება. მათ უკვე უსწავლიათ შენგან და საკუთარ კისერზედაც გამოუცდიათ, თუ რა ბოროტების მოტანა შეუძლია უთავბოლო, უანგარიშო სიკეთესა და ხელგაშლილობას. ისინი ხომ ზურგს უკან ყოველთვის დაგცინოდნენ, როცა პურს თანაბრად ჭრიდი მათთვისაც და საკუთარი შვილებისთვისაც; როცა შვილებს მეტი სიმკაცრით სჯიდი, თუკი უნებურად რამეს აწყენინებდნენ უცხო თესლის ნაშიერებს, მარადიულ ლტოლვილებსა და ამით, რა თქმა უნდა, სიკეთის ნაცვლად ბოროტებას სჩადიოდი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოჯახში შემოშვებული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცავს, რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია და ვიდრე შენთან მოვიდოდა, თავისი მზე ჰქონდა ახლა ის მზე, რომელიც სადღაც ისევ არსებობს, სიშორისა დამიუწედომლობის გამო, ასმაგად საყვარელი და სანატრელი გახდომია. შენი მზე იმ მზეს ვერასოდეს შეცვლის.

ახლა აიეტმაც იცოდა შეცდომა რომ ჩაიდინა, რადგან სწორედ ფრიქსეს ნაშიერებს გადაებირებინათ მის წინააღმდეგ დედაცა და დეიდაც, მისი ღვიძლი ქალიშვილები და გუშინდელი ბიჭივით გაეცურებინათ კაცი, რომელიც საზარელი ხმითა და ღონით ომის ღმერთს ედრებოდა. მაგრამ აიეტის არსება მაინც წინააღმდეგი იყო მიეღო ეს შეცდომა, შეცდომა დაერქმია იმისათვის, რასაც ადამიანის მოვალეობად თვლიდა, სიკეთედ აღქმული ბოროტებად დაენახა. არა, აიეტს არ უნდოდა ასეთი ცოდნა, მაინც ვერაფერს ვერ ისწავლიდა მისგან, რადგან ახლავე, მოტყუებულსა და გაწბილებულს, ვინმე უპოვარი და უსახლკარო რომ მისდგომოდა კარზე, დაუფიქრებლად მიიღებდა და სანამ რამეს გამოჰკითხავდა, ჯერ დააპურებდა. ასეთი იყო მისი ბუნება და მას ვეღარაფერი შეცვლიდა.

დუმილის წრეში

შენ ახლა დუმილი ხარ. ხილულიდან უხილავ სამყაროში, დიდი სიბნელიდან დიდ სინათლეში გადასული. საკუთარი სხეულიდან დინჯად ამოსხლეტილი. მიწის დემონური წიაღიდან გასული და ცის ღვთაებრივ სილურჯესთან განივთებული.

ამ სამი თუ ოთხი თვის წინ გაგიცანი. მას შემდეგ გსწავლობ. კიდევ დიდი დრო დამჭირდება შენთან საუბარი რომ შევძლო, რომ ამოგიცნო და ის საიდუმლო ამოვხსნა, შენ რომ ასე კარგად ფლობ.

ახლა წინ შენი გამოუქვეყნებელი ლექსები მიდევს, შენსავით ლამაზები, შენსავით გულგამთბარები, შენსავით ზნეკეთილები და გულჩვილები, შენსავით დარდიანები და მადლიანები.

"სხვებს თუ ჰგონიათ, თითქოს დიდი გზებით დადიან, მეც ვგონებ ვიცი, რა მაბადია და ბილიკებით ვივლი", - წერ შენ და იქვე აგრძელებ: - "სამაგიეროდ, სიკვდილამდე გზას რომ უნდება, ცის სამთავროებს ბედნიერი დაუბრუნდება ჩემი გემების ციკლი..."

მჯერა, ასეც იქნება, მჯერა იმიტომ, რო ეს ჩემს თვალწინ მოხდა. ეს გუშინ იყო. მართლა ბედნიერად დასრულდა შენი მგზავრობა უწვრილესი ბილიკებიდან ცის ულამაზეს სამთავროებამდე და მთელმა საქართველომ გაიგო შენი ულამაზესი "გემების ციკლი".

რატომ ამბობდი "ცას ამ პატარა ფიქრის ფრთებით ვერ მოვერევიო", "რაა თვალთაგან ცრემლი, მთელის სხეულით ვტირიო", "ლექსს და სივრცეებს შევწირე ცხოვრება აუწყობელი, ბოლოს ნუგეშსაც არ მეტყვის, ისე ჩაივლის სოფელიო", "ბედნიერი ვარ, მაგრამ მაინც მიშველეთ რამეო", "რა მეშველება მართლა სადმე გიპოვო ღმერთო, ამ ქვის ქალაქში ვინ ვეძებო შენზე მა\ღალიო", "ისევ სჯობია მთვარესავით ჩამქრალი ენთო და მაწვალებდე – მუდამ ძველი, მუდამ ახალიო", "არაფერი არ აკლია ამ ლექსებს, გარდა ჩემი უეცარი სიკვდილისაო".

"გადაურჩინე სიხარული მზეს და ქალაქებს, ან დააქციე და ხელახლა ჰყავ დადგინებაო", წერდი შენ იმ დროს, როცა შენი ტოლი გოგო-ბიჭები ჯერ კიდევ ლახტის თამაშით ერთობოდნენ. რა ცრემლი გიდუღდა ასეთი, რა ფიქრი გაწვალებდა, რა დარდი მოგეძალა, როდის ჩაგისახლდა სხეულში მარადიული კითხვა-პასუხებით სახედაკაწრული ღამე.

ან ეს რა არის? რამ გათქმევინა შე დალოცვილო: - "მას ერთი წიგნი დაიტევს, რაიც წიგნებში სწერია, ეძებ, – ვარსკვლავებს გადაჩხრეკ, იპოვი – არაფერია. არცა რამ გზაა - იარო, არც დაკეტილი კარები, არც გემალება, არცა ჩანს, ვერსაით მიეპარები. შრომობს და კაცად გვალაგებს – უცნაურ საქმეს უნდება, ჩვენ თავს შეაჭმევს ქალაქებს, შეჭმულს არ დაუბრუნდება"...

იქნებ ამიხსნა, ამ სტრიქონების შემდეგ როგორ უნდა მოიქცს კაცი, როგორ...

ზურა!

ჩემო თვალშეუდგამო, აწ უკვე მარადიულ ლაჟვარდებად ქცეულო ძმაო, მარტოობის უღელს მარტოდმარტო შებმულო, ენატრები ახლა შენს ნაღვლიან ქალაქს, ძალიან ენატრები.

შენს სამყოფელში ახლა სიჩუმე ბატონობს და აღარაფერი გაწუხებს, რადგან უკვე კარგა მანძილით დასცილდი საკუთარ სხეულს, რადგან უკვე სხვა დანიშნულება მიიღეს რიცხვებმა, საგნები უკვე აღარ ჰგვანან ბავშვობის საგნებს და უკვე სხვა მნიშვნელობები მიეცა შენს ხორკლიან და სველ ტილოზე.

მადლობელი ვარ შენი ამ ლექსებისათვის, იმისათვის, რომ უფლის სიყვარული მასწავლე, იმისათვის, რომ ის გზა მაჩვენე, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვეძებდი, იმისათვის, რომ ის მაპოვნინე, რაიც დიდი ხნის წინათ გამომგლიჯეს ხელიდან; კიდევ ბევრი, ბევრი რამისათვის, რასაც ახლა ვეღარ გიამბობ, მაგრამ დაუფარავად გეტყვი მაშინ, როცა შევხვდებით.

-რა თქა უნდა, თუკი შევხვდებით...

ნონა დავითაია.

ცხრა მთა და ბარი გადავიარე
და მიმალავდნენ, რომ მქონდა ფრთები...
ახლა ჩემსავე სულში იარებს
ვეფიცხები და ამგვარად ვთბები.

* * *

ღვთის შესაწირი ღრუბლების სია
მიაქვს ქარების ტირილს,
ცის ბალდახინზე დღეები ზიან,
მზე – დამხობილი კვირის.

ვერსად ავიღე ნადირის გეში,
ისევ ამაოდ ვნატრობ,
ვნადირობ ჩემი ფიქრების ტყეში,
ფიროსმანივით მარტო.

მაგრამ ამ თვალებს შეხსნიან ოდეს
სამაჯურს მზის და მთვარის,
მაშინ ცის სიზმარს იმედი ჰქონდეს
ჩასვენებული ქარის.

* * *

ცაზე კრუხივით ჩამოჯდა მზე და
თბებოდა კვერცხი ჩაძირულ ნავში;
და ჭიშარივით გაიღო დედა,
და შინ ტირილით დაბრუნდა ბავშვი:
- ვისია კოვზი ვარსკვლავით სავსე?
ვინ გამოძერწა მიწისგან გემი?
ამ უდაბნოში ვის დავემსგავსე?
იქნება მითხრათ სახელი ჩემი.
- ის, ვინც გისროლა, ალბათ ცის არი,
მიაყურადე სივრცეთა სიცილს,
ისე მიფრინავ, როგორც ისარი,
მაგრამ სამიზნე არავინ იცის.

მარტი

ხეებს ჰკიდია ეჭვიანი მარტი – მამიდა,
თვალებს ჩხაპნიან სურათები ცივი კლანჭებით,
დღეებო, მალე ჩაიარეთ, მომწყდით თავიდან,
ვერ მივხვდი რისთვის მეგრიხებით და მემანჭებით.

ჩემზე ცბიერს რომ ასე სურდა, მიტომ მოვედი,
მზეს ვემალები, ვით ცოფიან ძაღლსა და კატას,
დააქვს გაზაფხულს ტრამალების დიდი მოლბერტი,
და ჩემს თვალებზე მატყუარა ყვავილებს ხატავს.

* * *

ცაზე ვინ დადო ცეცხლის კვერცხი დედა – დიანა?
წყვდიადს სძოვს ღამის ნაკრძალებში მთვარის მუმია,
მორჩა, გათავდა – სამუდამოდ დამაგვიანდა,
ცა საიმედოდ დაკეტილი მუზეუმია.
თვალით ვკიდივარ მის სახეზე, როგორც მნათობი,
ალილუია, ლაჟვარდებო, ალილუია,
ასე შორიდან ერთმანეთის ვართ გასართობი,
მაგრამ სათავე უსაშველოდ დაკარგულია.

* * *

რა პატარა ვარ სიხარულო, თუ გულს ედები,
ან თუ სულელი დარდი მომკლავს, როგორც – პეპელას,
ესაზღვრებიან სევდას სივრცე და პლანეტები,
მე სიყვარულით ვემტერები ამქვეყნად ყველას.
თვალებზე მადევს ვარსკვლავების ლამაზი მტვერი,
მზერას ვარიდებ სიმახინჯეს მშვენიერ ქალთა,
არ მსურს – ვიცოდე ვინ არის მტერი,
მაგრამ რა ვქნა, თუ სინამდვილეს მოუჩანს კალთა.

* * *

გული მგლის ღმუილს ჰგავდა, ცას გატეხოდა ტუჩი.
რაზე იცინის ნეტა ადამიანის თავის ქალა?
წვიმს, არაფერი მესმის აცრემლებული ქუჩის.
ცაც იმ ბავშვივით ტირის, დედა რომ დაემალა.

ფრენას უკრძალავს სახლებს მუხლში ჩასხმული რვალი,
და მეგობარი ქალი ითხოვს ბეჭედს და მძივებს,
დღეებს ვაგროვებ ღმერთო, რომ დაგიბრუნო ვალი,
და თან მიზანი მიმაქვს მკვდარი ბავშვივით მძიმე.

ვერც სიძულვილმა მითხრა – რაა, რას ნიშნავს ჭორი,
ხშირად ყვავილსაც შხამით სავსე ფიალა მიაქვს,
აღარ ეძებოთ ზღვარი მზეს და ჯოჯოხეთს შორის,
არ მკითხოთ, ამ ლურჯ ქოხში რა უნდა მისცეს იამ.

* * *

თვალში ყელამდე დგანან ცათა მძიმე ბაღები,
და რადგან მიწას არ სურს ერქვას ჭიანჭველეთი,
ეძებს მიზანთა საფრთხობელას, რომ ხელაღებით
გამოამწყვდიოს სინათლეში დიდი ბნელეთი.

თვალების ხორცით ვარსკვლავები რომ გაძღებიან,
ბაგეებს ატკენს უსასრულო ცას მზის საყვირი,
რამეთუ ნათელს სიხარული არ შეძლებია,
ველარ მოთოკავს ალვის ცხენებს ქარის აღვირი.

და მობეზრდებათ ამ ბილიკებს ჩემი ტარება,
ის დამაბრმავებს, რაც ვეძებე და ტანჯვით ვნახე,
თმებდაშლილ ზღვებში მოვა წყევლა და მღელვარება,
მოჰყვება რევას გიგანტიურს მშვიდობის სახე.

თაობა

სულ მალე ღამის ვარსკვლავები გაიღვიძებენ,
მე კი აქამდის ვერ ნათელვყავ, რამ მქნა, რამ მშობა?
ჩუმად! – მიწაზე იასავით ამოდის ღამე...
ჩუმად! მთვარეში მეორდება ჩემი ბავშვობა...

ახრჩობს შუადღეს თებერვალი თეთრი ხელებით,
მე უკვე მათრობს ცარიელი თოვლის მთქნარება,
დღეებს აბოლებს ჩემი ქოხი ხველებ-ხველებით
და სხეულიდან თვითონ სუნთქვა მიიპარება...

მოდის მევალე, ვისიც მზე და ოცნება მმართებს,
სადღა ვიქნები? – სიჩუმეში, არც შორს, არც ახლოს...
მივდივარ, მაგრამ, შვილო, გითმობ თეატრში პარტერს,
რომ ამ ცხოვრების მშვენიერი სპექტაკლი ნახო.

* * *

ვერ მოვიშორე სურვილების მძიმე ხუნდები,
გიჟი სინათლე, სიხარულზე წუხილს ვუნდები...
და უღრანი ტყის ლამაზ ტბაში დღეთა გუნდები
ისე მხიბლავენ, სინამდვილეს ვერ ვუბრუნდები.

გიხაროდეს

ჩაიხედე გულში... ნახე, რა თამამი ყოფილა
მეოცნებე, ღამის ზეცა ვარსკვლავით რომ მოფინა...
დაიჯერე სიხარულის მიზეზი და დარდებად
თუ არ წვეთავს შენი სული, არსად არ დამთავრდება,
მზე და ზეცა, ლელიანი. ყანჩა, კატაბალახა...
ახდენილი ოცნებები, რაც ხარ და რაც არა ხარ...
აივსე და აივსები, თუ სიცოცხლის წყაროდან

მოწანწკარე შენი წილი ცრემლიც კი გიხაროდა...
დედამიწის ტანჯვით შობას, აყვავებულ ედემის,
გრძნობდი ნებას, მიწის კაცად გარდაქმნ-გადამეთებლის...
ნატვრის თვალად გადამდნობლის გულის საოცრებისა,
გიხაროდეს, თიხავ, ხელში უკვდავების ნებისა.
გიხაროდეს, და როდესაც ვარსკვლავების ზარები
გვაუწყებენ უძირობას ჩვენს გულებში ბზარების...
დინება ხარ და შენივე დინებაზე ხიდი ხარ,
ნუ შეკრთები, კი არ კვდები, ჩვეულებრივ მიდიხარ...

* * *

...ღამეს მშიერი მისდევს ავაზა,
აქაც თოვლია ჩემი სავალი,
ტყემ შეცდომების გასწორება შემომთავაზა,
გზას დაეძებენ გზები მრავალი...

მეტს იგი სცოდავს, არ შია რომელს,
მოვედი... ეს მზე სულ არ მეცნობა,
მიაცილებენ მნათობები გზაშეშლილ სოფელს
და არ იციან, რაა სწორი, რაა შეცდომა.

...ღამეს მშიერი მისდევს ავაზა,
ბოლო არ უჩანს ქმნილების კვნესას,
მე კი, წუხილშიც ჩემი ლამაზი
იმედისმომცემ მწყალობელს ვესავ.

* * *

სად ვიმყოფებით, ალუბლებო, სად ვიმყოფებით?
საით მიარწევს ცრემლით სავსე ღრუბლებს ზღვაური?
ვინ სწყვეტს სიმღერას ბაღში ჟამის დანაყოფებით?
სამყაროებში ვინ ატეხა აურზაური?

ფიქრს ვარსკვლავებთან რა უნდოდა ფრთების გარეშე?
ვინ შეაღწია, სიზმარი ვინ გამიფერადა?
რაისთვის გახსნა მზის საფანქრე, ვინც მოთარეშე
ღამეებისთვის მნათობმოყრილ კაბას კერავდა?..

ცნობისწადილზე მოწყალებას რომ არ აპირებ,
არც ღირსვარ, მაგრამ ყვავილების და ბეღურების
ულრან თვალებში იმგვარად გცნობ, ვით მონადირე
ნადირს სცნობს თოვლზე ცარიელი ნაფეხურებით.

როგორ ვთქვა...

ეჰა, ჟამთასვლის გარეთ მდგარო, არ მისცემია
ამ სიტყვებს სიღრმე ყოვლისმთქმელი შენი სახელის,
მიქელანჯელო –
თითქოს ქვაში სივრცეს სწვდებიან
თვალებგახელილს...

უძირობიდან მტვერთა მფენი, სხივთა მკრძალავი,
ვით ბაღს სურნელი, მწვერვალებს ნისლი,
გვახლავს, როგორ ვთქვა, როგორც არავინ...
ჰყავს სული სრული ცხოვრების ღირსი.

უსაფეხურო კიბე

ბევრი ვჩხრიკე და ვჩხიბე,
ცას ვერ ვუპოვე ბოლო,
თვალსაწიერის იქით
არაფერი ჩანს ოლოლ...

ვერც უაზრობას ვხედავ,
ვერც სამიზნეებს წესის,
ნუთუ დაგვტოვა დედამ
მარად უცნობი სქესის?

ყველა დილემას ერთობ
ხსნიდეს მარტივად იგი,
ბრმამ ვით იკითხოს ღმერთო,
შენი სინათლის წიგნი...

ბევრი ვჩხრიკე და ვჩხიბე,
ცისას რომ სწვდება ბოლოს,
უსაფეხურო კიბე
გულში ყოფილა მხოლოდ.

ღამე

მზე ჩაესვენა ზღვებს იქით, ღმერთო,
რა უსაფუძვლო ყოფილა შიში...
ლამის ვირწმუნე, რომ განწირული
ვარ და სიკვდილით დასჯილი ვიშვი.

ჩაკარგულიყო სივრცეში მზერა,
თვალი კი, თურმე, ჩემი გულია,
მზე ჩადის, მაგრამ თუ გიყვარს ჯერაც,
ღამე დილამდე დავარსკვლულია...

დღე

სინათლის სოლით გაიპო ბნელი,
გამოჩნდა მიწა მძიმე და შავი,
ახალშობილი ბავშვივით სველი
შრება მინდორი, დრო ჩხავის-ყვავი...

მაინც ჩნდება და იზრდება მაინც.
რაც მზისქვეშეთში წყალობით თბება,
ცაზე ბილიკებს ვუსინჯავთ დაისს,
თავისუფალი რომ ვიყო ნება...

მაჯა სცემს, კედლებს ეხლება გული,
სისხლის ცდას, სადმე დაუძვრეს ნახაზს...
გზაზე ეწევა შუადღის რული
და სიზმარიდან საღამო გაჰყავს.

ზურაბ ნარმანია

სანთელ-ია

ალდის ფხაზე თეთრო
ყვავილო,
სანთელო ქარაფებისა!
ივანე წიკლაური

(ზღაპარი დიდებისა და პატარებისათვის)

უკუნეთი. კუპრივით სქელი სიბნელე. იგრძნობა უხილავი სივრცე, რომელშიც მრავალი, მჭიდროდ ჩალაგებული რაღაც საგნებია. საგნები ერთმანეთზეა დალაგებული და თვითონაც იტანჯებიან და სხვასაც აწუხებენ. ისმის გმინვა, ხვნეშა, ვაი-ვიში...

-ცოტა რომ გაიწიო, ნეტავ რა მოხდება?

-საცაა სული ამომხდება! როგორ გავიწიო, ამოდენა ხალხი თავს მაწევს!

-ვაიმე, ვაიმე! ამ ბღენძიანს ვინ გაწევს?! არადა, ველარ ვსუნთქავ.

-ერთი დამანახვა ეგ შენი სულთამხუთავი, მაგრამ ამ სიბნელეში აბა როგორ გიშველო?

-ეეჰ! ან ისეთი რა დავაშავეთ, ან გამჩენმა რად დაგვიწყა?

ეს იყო და ეს!

ნაპერწკალმა რკალი შემოხაზა უხილავ სივრცეში. სადღაც სიმაღლიდან ძირს დაეშვა და ერთ-ერთს თმაში ჩააფრინდა. თმას ცეცხლი მოედო, უხილავი ხილული გახდა. უცნობებმა შეხედეს ერთმანეთს და იცნეს.

მაგრამ ამ საოცარი მადლისა და სიკეთისათვის, რაც ბნელის განდევნას ნიშნავდა, პაწაწინა სანთელს აუტანელი ტანჯვა დაედო საფუძვლად.

-ვაიმე დედა! მიშველე, ცეცხლი მომედო და ვიწვები!

- ახლავე, დედა გენაცვალოს! ახლავე - შეშფოთებით წამოიძახა გამწარებულმა დედამ და შვილს თავზე თავისი თმები შემოავლო ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ ერთ წამს ცეცხლი ვითომ განელდა, შემდეგ კი ისეთი ძალით აგიზგიზდა, რომ ბნელი კიდევ უფრო შორს მიიმალა. უკვე დედა-შვილს ეკიდა ცეცხლი თმებზე. საშინლად იტანჯებოდნენ და ირგვლივ გარშემოჯარული სანთელთა ბრბო დიდი ყურადღებით უცქერდა ყოველივეს. ნელნელა ტანჯვა განელდა და ასევე ნელ-ნელა ტანჯვა ნეტარებად გარდაექცათ. ამაყად აღმართეს პატრუქები და თავზე დადგმული გვირგვინი ამაყად მოიმართეს. თუმცა, ყველა შენატროდა, ვერავინ ბედავდა ცეცხლის მოდებას. და აჰა! ერთმა გაბედა, პატრუქი მიუშვირა დედა-შვილს და აინთო. აინთო და საშინელი ტკივილისაგან დაკრუნჩხული მიწაზე განერთხო. ბრბომ დაიგმინა. წრე გაიზარდა. გასცილდნენ, უფრო შორს დადგნენ. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დედა-შვილის თავს და დამშვიდებული, გულადი სანთელი ფეხზე წამოდგა და მარჯვნივ ამაყად ამოუდგა დედა-შვილს. სხვებმაც გაბედეს და ზარ-ვარსკვლავებივით აკიაფდნენ უსასრულო რაოდენობის სანთლები.

მხოლოდ ზოგიერთმა ვერ გაბედა...

ოღონდ ზოგიერთმა ვერ ირწმუნა...

ვაგლახ! ბევრს გონება ვერ ეყო და დანესტიანებულ პატრუქს ცეცხლი ვერ მოეკიდა.

და ეყარნენ მიწაზე...

და უცეცხლოდ დაეღვენთნენ...

და ფერფლად იქცნენ,

და დაიხოცნენ სამარადისოდ, უნაყოფოდ, უვარგისად. უშინაარსოდ...

უამრავი სანთლისაგან გამოღვიძებულმა, მიძინებულმა მცენარემ წამოყო მიწიდან თავი და სანთლების ყურადღება მიიქცია.

შვილი - სანთელი ერთ ახლადამოწვერილ მცენარესთან დადგა და მხოლოდ მისთვის ანათებდა. მხოლოდ მას ათბობდა და ისევ იწყო ზრდა სიცივისაგან შეყოვნებულმა მცენარემ. გაიშალა და გაიფურჩქნა და ყველამ იხილა ია, ლურჯთვალა ია, ნაზი, მკრთომარე. თავის სიყვარულს ვერ უმა-

ლავდა სანთელს და მორცხვად მალავდა ლივლივა ლურჯ თვალებს. სანთელმა სათუთად ჩაიხუტა გულში და ჩურჩულით ჰკითხა, - რატომ კრთიხარო... და მცივაო.

და განა ჩემი ცეცხლი არ გათბობსო!? და მინათებსო! და სითბოს კი ვერა ვღებულობო. და მაშ რა ვიღონოო?! სად იქნება ის ცეცხლი, რომელიც გაგათბობსო და ალბათ იქ იქნებაო, საიდანაც ნაპერწკალი შემოფრინდაო.

აიხედა პატარა სანთელმა მაღლა და გაყინული ზეცის თაღის ერთ-ერთ კუთხეში პატარა ნაპრალი შეამჩნია და იმისაკენ გაეშურა. ფეხი უცურდებოდა სრიალა ყინულოვან ფერდობებზე, მაგრამ აკანკალებული ია თვალწინ ედგა და ჯიუტად და შეუპოვრად მიიწევდა მთის მწვერვალისაკენ.

და აჰა! მთის მწვერვალიც და გაყინული ზეცის პატარა ნაპრალიც. მიუშვირა თავისი ალი პატარა სანთელმა და მხოლოდ რამდენიმე წვეთი ჩამოადნო ვეება ყინულის ლოდებს. მკურნალ წვიმად დაეპკურა ეს რამდენიმე წვეთი იას, გამოაცოცხლა იგი, მაგრამ ისეთი ცივი იყო წვიმა, რომ ისედაც გაცივებულს მეტად შესცივდა და სუსტად და საცოდავად ამოიკვნესა, - მცივაო.

ამ სუსტმა ბგერამ თაღებქვეშ მეხივით იქუხა და პატარა სანთელს გული ისე ატკინა, რომ მან მწარედ ამოიხვნეშა. მის ამოსუნთქვაზე ალი გაავდა. რაღაც ენიშნა პატარას და მძლავრად დაუბერა თავის ალს და ისე გააშმაგა იგი, რომ ცეცხლი ვულკანივით აგრიალდა. მიუშვირა ალი გაყინულ ზეცას და ელვისებურად გამოჭრა მასში უზარმაზარი ხვრელი. გამდნარი წყალი ჩანჩქერებად იღვრებოდა მთებიდან და წმინდა ნაკადულებად მოედინებოდა ბარში. უეცრად ხვრელში მზე შემოსრიალდა. დაიწყო დნობა ზეცამ, ბარში წამოწვიმა, გაიღვიძა ბუნებამ და აყვავდა დედამიწა. მთებშიც ისე ძალუმად დაიწყო თოვლის დნობა, რომ წააქცია პატარა გმირი, ცეცხლი შიშინით ჩაუქრო. მდინარემ იგი პირდაპირ იასთან გამორიყა. მწარედ ატირდა ია, თავის უსულო სანთელს რომ შეხედა და ლურჯ თვალებში აუწერელი კაეშანი აღებეჭდა, მაგრამ მოვიდა დედა და შვილი ხელში აიტაცა, გული გაუთბო, თმები შეუშრო და ისევ აუნთო შუქი. მზის სინათლეზე არ ჩანდა სანთლის შუქი, მაგრამ ჩაიხუტა იამ გაცოცხლებული სიყვარული გულში და ძლიერ უფრთხილდებოდა მას, რათა ხელიდან არ გავარდნოდა ეს უსასრულო განძი, რომელიც მის გულში მზესავით ანათებდა. მიდიოდა ია უდაბნოში და კლდე-ღრეზე და ყველგან მის ნაკვალევზე ია და წალკოტი რჩებოდა. თვალებში კაეშანი გაუქრა და თითქოს ჩამქრალ თვალებში, იქ, სადღაც, სიღრმეში, იგრძნობოდა ნამდვილი სინათლე. არ ეშინია იას ამ ძნელი გზების და მხოლოდ მზისაგან გადაბუგულ უდაბნოს ირჩევს, რათა ააყვავოს ბუნება. მას ხომ დღისით, მზისით ყველასათვის უხილავი, მაგრამ მზესავით მოელვარე საკუთარი ცეცხლი აქვს ჩახუტებული გულში, - ის ცეცხლი, რომელიც მისი განსაკუთრებული გზის ერთადერთი მაჩვენებელიცაა და მოძღვარიც.

სიტყვის პაპა.

დიდი და გნელი ღამეა საქართველოში. ეს წიგნიც ამ ღამეშია დაწერილი. მეც თქვენებრ ღალატი, ულუკმაპურობა, გულზე დაგიჯეგა და ადამიანურ წვრილფეხობასთან ომი მივიღე გავმკური ოცნებათა წილ ჰოდა, ჩემო მოძმენო, ჭირში ფერუცვლელო, ნამუსშენახულო და ჯვარ-ხატთან მართალო ხალხო, ეს წიგნიცა და ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვაც თქვენია. ერთად გავითენებთ ამ ღამეს და ერთად გადავრჩებით.

ლია გედოშვილი.

* * *

რამ შეგაშინა სულო,
უფლისერთავ და თეთრო,
გახედე ღრუბლის ქულა
ღვთიურს წააგავს კალამს;
გასისხლებული ფრთებით
მაინც სჯობიხარ უფრთოს,
ცაზე განგების ხელი
კარს აღსავლისას ხატავს...
რამ შეგაშინა სულო?!
ლექსის და იღბლის გლახავ,
მოვა ჟამი და ნათლის
გამარჯვებასაც ნახავ!

საუბარი ძაღლთან

შენა ხარ ძაღლი,
მე ქალი ვარ...
შენ ერთგულება ხარ,
მე კი-ღალატი...
მოდი... ჩამოჯექ...
ამ ღამეში ავხედოთ მთვარეს,
ავყმუვლდეთ გაბმით...
ქალაქი
გაითრთოლებს და
ქვას დასწვდება მავანის ხელი...
გავიქცეთ ერთად
შეუმცდარის გუმანით, გეშით...
გავიქცეთ ერთად,
გავცდეთ სიზმრებს,
ხმებსა და სხეულს...
უთვისტომოებს
გვიალერსებს სინათლის თქეში...
სადმე ხომ მაინც გაიღება
საჩვენოდ კარი...
შენა ხარ ძაღლი
მე ქალი ვარ...
ლამაზი... ქალი...

* * *

იციან ხეებმა რა არის მარტოობა,
როგორი ნაღველია, როგორი სიმართლე,
პოეტი განა რამეში სანდო არის?
იცის კი რა უნდა ამ დედამიწაზე?!
რამდენი ხალხია, რამდენი ვინმე,
მოსჩქეფს "რუსთაველი",
როგორც რო მდინარე,
დავდივარ ქუჩაში
და ვხედავ სიზმრებს,
დღესაც, რა თქმა უნდა,
ძაღლივით ვიდარდებ...
თვალს მაყოლებენ
სიწმინდით ბავშვები და
მაწანწალები მიღიმიან,
მარტოობაში მარტო დავთვრები და
და შარას გავუყვები მტვრიანს...
მტრიან საქართველოს
ვერ ვუშველე,
ვეღარც ჯვარ-ხატთან
ვერ ვიჩოქე,
სიმწრით გავხავი გამხმარ
მინდვრებს,
პოეტის იღბალი მომილოცეთ!
იციან ხეებმა, რა არის მარტოობა,
რა არის ქარი და სიმაღლე,
პოეტი განა რამეში სანდო არის?
არც იცის რა უნდა
ამ დედამიწაზე!

დათუნას

შვილო, ჩოქვითა და უცრემლოდ
დედა გეეედრება პატიებას,
პოეტად დაბადება წყევლაა და
სიცოცხლის სიცოცხლეში დატირება.
ვაი, სიმწარეში გამოზრდილო,
ხორცის და მდუღარის ნაგლეჯო,
გიტოვებ დაფლეთილ საქართველოს,
სისხლში გაბანილ შავლეგოს...
სიალ-სიმართლეს უბრალოს და
ბრალიან ღალატის სიმწარეს,
ლამაზი ქალის დვრინი იცან,
უგლოვ-უთავშლო ცის ნამი...
სანათასავით სანთელს ვანთებ,
დაუმარხავ ძვლებს დავტირი,
ბედკრული მიწის სისხლი გვმართებს,
რისხვად დგას მცხეთა და შატილი...
ვერ შეეიძელ, ვერ ვითამარე,
ფრთას ვათრევ დაჭრილი არწივის,
ჯვარი ჩამლევს და თბილს სამარეს
ცრემლი გადარეცხს ქარ-წვიმის...
შვილო, სიმწარეში გამოზრდილო,
ხორცის და მდუღარის ნაგლეჯო,
შენი საჯილდაო უნდა ზიდო,
შენი სისხლიანი შევლეგო!

* * *

ერთადერთობა მარტოობაა
და შეყინული ტუჩზე სალამი,
ერთადერთობა სიმწრით თრობაა
და დაკარგული ამ დიდ ქალაქში...
და სიყვარული განა ორია?
უცხო ნათელი ბნელის ლაქაში,
და შენზე ფიქრიც ისე შორია.
როგორც ბაზარზე გიჟის
მალაყი...
და მოთმინება ღორღის ხროვაა,
საკუთარ თავთან ავი თამაში...
ერთადერთობა ღმერთის ხმობაა
ჩიორას გლოვა მყუდრო ჭალაში.

ლოცვა

დარი არ დარობს და
ხმა არ ზეობს,
გული დაწურული კივის,
სამშობლოს სახატე გაძარცული,
ცხედრების სიჩუმე ცივი...
ლანდები რიალებენ სითეთრეში,
სამართალს ეძებენ და სწუხან,
სული დაიმარხა მძიმე ხრეშით,
იხარა სამარის სურომ...
საღვთო დაიკარგა სავალი და
სანთლების ჩანავლდა წყება,
უფალო წყალობას გეევედრები,
უფალო, ჯანღია და ბნელა...
ნება შენია და ბატონი ხარ,
შენით არს სანათლო ესე,
აჰა, ქართული ყანა-ველი.
გუთნისდედა ხარ და თესე,
თესე ერთობა და სიყვარული,
სიბრძნე, სიწმინდე და შვება,
თესე სიკეთე და სინანულის
მწველი სიტკბოება თესე...
ისევ ვიგალობებთ შენს დიდებას,
ისევ დაგიჩოქებთ ცრემლით,
გრემსა და იყალთოს ავაშენებთ,
იმედით გავხედავთ მერმისს...
ნება შენია და უფალი ხარ,
შენით არს სანათლო ესე,
აჰა, ქართული ყანა-ველი,
გუთნისდედა ხარ და თესე!

როგორ კვდებიან პოეტები

როგორ კვდებიან პოეტები?! –
პოეტებს კლავენ.
მთის ზოლთან წყდება
სინათლის ღიმი...
და არეული ნაბიჯებით
ეშვება ღამე...
და ტკივილების
მოირწევა
მწვანე სათიბი...
როგორ კვდებიან პოეტები? –
პოეტებს კლავენ!
მზერაში ავობს
სხვაობის გესლი...
და ნაპარავი გვირგვინებით
იზრდება მთვარე...
და ნატყვიარი ეომება
ჟამთასვლას ლექსი.
მამა-პაპათა იჩეხება
ოცნების ზვარი...
უქმად ფართხალებს
ზარი სიონის
და გასაქცევი რომ არ სჩანს
კარი,
სარკმელთან დგება,
გალაკტიონი.
როგორ კვდებიან პოეტები? –
პოეტებს კლავენ!
იწირავთ ხანა მზეგაძარცული...
არის ფარდები,
ვარდებით წყნარი...
ხალხი ვარდების ფერით გართული.
ვნებდები ფრთებს და ვნებდები ქარებს,
შორია მიწა
ხერხის და ფანდის...
ხსოვნას შერჩება
ლექსი კი არა
ნახევი ფარდის.

* * *

რაო, სამყურავ,
ყურადღებით მისმენ და გტკივა?
მარტოობის და უჭერობის
ჩემის ტკივილი...
ვჩივი ბედკრული სილამაზე
დამიჯდა ძვირად,
მიჭირისუფლე, სანთლისაგან
ვიქეცი ცვილად
და სიმღერიდან დამრჩა
კივილი...
რაო სამყურავ,
ვერცა ხარობ და ვერცა ხიბლავ?
შენზე მოარულს,
ქვეყნის ჭრელი ჟივილ-ხივილი.
გზაფრავს და სიზმრით ნაქსოვია
ცვარი და წვიმა,
და გენატრება უმზეოში
უჩინოს ძილი...
შენ თუ გამიგებ,
შენ თუ მიძმობ და მიერთგულებ,
აღერილ ყელზე უიღბლობის
ელვარებს მძივი,
არვინ მაყურებს საუფლოში,
ყველა მიყურებს
და მენატრება უმზეოში
დაღალულს ძილი...

* * *

მოხვედ, უფალო,
მე ვარ ის მეასე,
ფარას რომ გავექეცი
და დაგეკარგე...
ჯერ მარტომ ბალახობა მოვისურვე,
მერე მზეს გავყევი დასავლისკენ,
მზეს გავყევ ცხელსა და ალერსიანს,...
გზად ნისლიც ენახე გასუდრული,
თქეშიც. მწვერვალთა ამპარტავნება,
უფსკრულების ამოშავება...
ლამაზი იყო ამბოხი გონის,
ჯიშსა და მსგავსში ერთადერთობა...
მარტოობა მოვიდა გვიან,
სინანულსაც დააგვიანდა,
მონატრებამ კი დაიკივლა
კართან საფლავის...
მოხვედ უფალო?!
სალამი შენდა,
ამიტატე და მომეფერე
რბოლით დაქანცულს,
ვიცი, გიყვარვარ,
არც ძებნაში დაღლილხარ,
მჯერა, დაგიძახე და გაიგონე
ძახილი ჩუმი,
ჭამონ ხორცი და მყავი ჩემი დაამარილონ,
მე გამოგყვები
შენს სხივებში სულგანაბული,
ცრემლი მდის,
მე ვარ ის მეასე და დაკარგული,
მწყემსო კეთილო,
სალამი შენდა!

* * *

ბზობას სიონში ვერ შეველ,
შეწევნის ვეღარ მხვეწნელი,
მბზინავმა, ავად მცინარემ
ჩავიარე და შევდექ...
რას მიმოდიხართ ყოვებო,
ისევ ლამაზობს ქედანი?!
მთა-წვერს სიმწარით გაჰკივის,
თავის გორისას ეძებს...
ღობე მაღალი ვარღვიე,
რაც შევძელ ეგეც მადლია,
ჭრელ-ჭრული მძივი ავისხი
მძიმე მგლოვარის ცრემლზე...
სისხლი ტკივილმა ამღვრია,
მტერთან ავი და უფერი,
შლილ ყოილებთან მოლაყბე,
მავალი იღბლის ბეწვზე.
ბზობას სიონში ვერ შეველ...
შეწევნის ვეღარ მხვეწნელი...
მბზინავმა, ავად მცინარემ
ჩავიარე და შევდექ...
წყევლამ მიწია მზებნელსა.
აღარსად მიწა სამარე...
არ გაქილიკებთ გულშავთა,
არას გახარებთ ლეშზე.
ღრუბელთა სიმწუხარეში
ერთი კლდე ვიცი ნალესი
ჩემი ობლების შემწე!..

* * *

გამლელთა მზერა
სიშორით მზარავს,
გაწვდილი ხელი
ნისლით ივსება,
სისხლისფერია
სავსე ქისები,
გვამები სავარძლებში,
გვამები სავარძლებში
ქვეყნისგან ნარჩევ ძვალს
ხრავენ...
დავარცხნილ მოწაფეს
ღოჯს აულესავენ
და დინჯად ცოცავენ
საკუთარი საფლავებისკენ,
ხარობენ, სცოდავენ
გვირგვინით მოწამის,
არ სცნობენ ღმერთსა და
ზეყანას...
წუთისოფელი ცრუა და ქოსაა,
ოსანა, უფალო იესო,
ოსანა...

* * *

ვაი, შენს იქით წყალი ვარ,
ავი და აღმა მდინარი,
ოხერი წუთისოფელი
ღატაკია და მდიდარი,
მე სანთელივით ჩამდნარი,
შენ, შუქად ჩამომდინარი,
მე ფეხად, შენ ტახტრევანზე
ცოდვა მადლისთვის მძინარი...
ვაი, შენს იქით ჯავრი ვარ,
წაღმა-უკუღმა მცინარი,
ბევრის ნატერა და დარდი ვარ,
ბევრის ძილმწარე სიზმარი...
სამჯერ ვიკივლე ჭიუხში,
სამჯერ ვიყავი ყამარი,
მონადირისა რა ვიცი,
ალბათ ირჩია თამარი...
დამიღონდები როცა რო
გადაიბღავლებ ქარაფებს,
ცისკენ წასულა პირიმზე,
აღარაფერი ადარდებს...

რუდიარდ კიპლინგის ორი შედევრი

1. სიტყვის ინგლისელი დიდოსტატის, აღმოსავლეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კალმოსნის, რადიარდ კიპლინგის შემოქმედებაში ალმასებრ ბრწყინავს ინდოეთის თემაზე დაწერილი მოთხრობების ციკლი, რომელთა შორის გამორჩეულია **"დრეი ვარა იაუ დი"**.

ინდოეთის მიწის მკვიდრს (წარმოშობით ავღანელს) ღალატობს ცოლი, რომლის საყვარელი ქალის ქმრის შიშით გაეცლება იქაურობას. ღირსებაშელახული ავღანელი, თხემით ტერფამდე მოცული, შურისძიების გრძნობით, თავგამოდებით მისდევს შეურაცხმყოფელის კვალს; ხან სად უღამდება და ხან სად უთენდება. ერთ დღეს, როცა იგი დგას ერთი დაბა-დასახლების შუა ბაზარში და გზის განსაგრძობი სახსარს საშოვნელად ჭყიდის მოპარულ ცხენებს და ნაირგვარ ნუგბარს, შეიცნობს თავის ძველ ახლობელ ინგლისელ ოფიცერს და მოუთხრობს მას თავის ამბავს.

ასეთია ქარგა ამ მოთხრობისა, რომელიც დაწერილია მძაფრი რიტმული პროზით. კიპლინგს მეტი ხატოვანებისათვის ტექსტში შენარჩუნებული აქვს ინდური სიტყვები ("საჰიბ" – ბატონი, "აფრიდი, ჰათჰანი" – ავღანელი); ნაწარმოებში ასევე მეტი ექსპრესიულობისათვის ჩართულია შეძახილები – "აჰი, აჰი!" და ა. შ.

ამ ნაწარმოებში მწერალს გამოხატული აქვს ადამიანის სულის ძალა, უდრეკი ნება და გულში ამოჭრილი მიზნის მიღწევისათვის ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვის, ასევე ვთქვათ, შეუძლებელის შეძლების უნარი."

კიმი", სიტყვის ინგლისელი დიდოსტატის, რადიარდ კიპლინგის, შემოქმედების მწვერვალი გახლავთ. ეს რომანი შექმნა 36 წლის კიპლინგმა. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოების დაწერამდე მწერლის შემოქმედებითი ხაზი აღმავალია, მერმე კი – დაღმავალი, რადგან კიპლინგმა სწორედ ამ თხზულებაში დასტია მთელი თავისი მწერლური მუხტი, სწორედ მასში ჩაქსოვა მთელი თავისი ოსტატობა და შესწირა უზარმაზარი ენერგია. მან იგი ხუთჯერ გადაწერა თავიდან ბოლომდე სამჯერ მას მერე, რაც წიგნი აწყობილი იყო. რომანში გატარებულია ის იდეა, რომ ყოველ რაიმე მაღალი აზრის მატარებელ პიროვნებას სჭირდება დაცვა და მზრუნველობა. კიპლინგმა ამ ნაწარმოებში გამოიყენა თავისი ადრინდელი მოთხრობების სიუჟეტები. ამიტომაც არის, რომ თხზულება იოლად ექვემდებარება სეგმენტაციას. მისი ყოველი კარი დასრულებულ მოთხრობას მოჰგავს. "კიმი" აღიარებულ იქნა ჯერ ინგლისური, შემდეგ კი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო რომანად; სწორედ ამ ნაწარმოებით დაიმკვიდრა კიპლინგმა კლასიკოსის სახელი. მისი თანამედროვე ინგლისელი კალმოსანი ენგუს უილსონი «კიმს» მიიჩნევდა ოდესმე დაწერილ რომანთა შორის ყველაზე გასაოცარ შედევრად. ინგლისელ-ამერიკელი პოეტი, დრამატურგი და ესსეისტი, თომას ელიოტი "კიმს" უწოდებდა უშესანიშნავეს ნაწარმოებს. ინდოელი კრიტიკოსები ნირად ჩაუდრიხი, კ. ბასკარ ნრო და სხვანი ერთხმად აღიარებენ, რომ კიპლინგს, ვინც ღრმად შეიცნო ინდოელის ზედროელი სული, ამ ქვეყნის მრავალსახეობისა და მისი მშვენიერების გამოსახვის მხრივ ტოლს ვერ დაუდებენ თვით ინდოელი კალმოსანნიც. მარკ ტვენი აღფრთოვანებული გახლდათ ამ რომანით. "კიმი" მართლაც რომ დიდებული წიგნია. მე ყოველ წელს წესად მიდევს მისი ხელახლა გადაკითხვა", - წერს იგი.

რაღა თქმა უნდა ამ რთულზე რთული ლიტერატურული ფენომენის თარგმნას იოლად ვერ გავართმევდით თავს, რომ არა ინგლისური ენისა და ლიტერატურის უზადო სპეციალისტი, არიანე ჭანტურია (ამ ყოველმხრივ შესანიშნავ პიროვნებასთან მაქვს ბედნიერება პირადი მეგობრობისა და იგი ჩემი შეუცვლელი შემწე და მრჩეველი გახლავთ ყოველი ინგლისურენოვანი თხზულების თარგმნისას). მინდა მოვიხსენიო აგრეთვე ჰინდი ენის საჩინო მცოდნე, ნიკოლოზ კენჭოშელი, ვინც დაგვეხმარა ინდოეთის ტოპონიმებისა და ინგლისურ-ინდური კომპოზიციების ქართულად მართებული დაწერილობის დადგენაში. ჯეროვან პატივს მივაგებ ჩემი ლიტერატურული ძმადნფიცის, ერეკლე საღლიანის გულისხმიერებას, რომელიც მან გამოიჩინა ამ, მართლაც ღირსშესანიშნავი, ნაწარმოებისადმი და განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი საზოგადოება "რერიხის" მესვეურს, ბ-ნ თამაზ თავაძეს, რომელმაც თავს იდო ფრიად საძნელო საქმე,- "კიმი"-ს ანალიზი და გარჩევა რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით. აქვე დავსძენდი: ინდურ სიტყვათა და გამოთქმათა (რომლებსაც რომანის ავტორი იყენებს მეტი ხატოვნებისა და ექსპრესიულობისათვის) კომენტირების გარდა ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ზოგ ქართულ სიტყვათა თუ თქმათა ახსნა-განმარტებაც, რათა მკითხველისათვის (ძირითადად ახალგაზრდობას ვგულისხმობ) გაგვეადვილებინა ტექსტის კითხვა. ვთავაზობთ მკითხველს მოთხრობა "დრეი ვარა იაუ დი"-სა და რომან "კიმის"-ს (დასაწყისის) ქართულ თარგმანს.

ედიშერ გიორგაძე

დრეო ვარ და ალუ ლი

რადიარდ კიპლინგი

რაჟეთუ საკვლე არს უურიმა და გულის ნყროვითა ქმარი მისი. არა პრიდოს ღღესა სასჯელისასა.

იგავნი სოლომონისანი 6, 34

ქიშმიში თუ ნუში, საჰიბ, აღჯანაბადი? იქნებ ყურძენი ქაბულისა, ანდა მერანი გავეშებული? ოღონდ ინებოს საჰიბმა, წამომყვეს და თვალი ჰკიდოს. ცამეტი წლისაა და რა არ ემარჯვება, სამი წელია პოლოს თამაშობს. ისე ადგია აღკაზმულობა, გეგონება, თან დაჰყვაო დაბადებიდან. ქალის უნაგირსაც ირგებს და... ო, წმინდაო ყურშიდ და უნეტარესო იმამებო! რას ხედავს ჩემი თვალები, ეს ხომ თვით საჰიბია! აღიესო გული და ხარობენ თვალნი ჩემნი. ღმერთმა ჯანი მოგცეს. ტირაჰის კამკამა წყლის ბადალია მეგობრის მზერა უცხო მხარეში. რამ გადმოგაგდო ამ წყეულ ქვეყანად? დელის სამხრეთით, შენ კარგად იცი, ასე ამკობენ, საჰიბ, ამ კუთხეს: ავაზაკნი ბინადრობენ იქ და როსკიპნი. ამბობენ, მიბრძანესო? ეჰო! აბა, ბრძანება რის ბრძანებაა თუ არ გადუხველ. ო, ჩემო ძმაო და მეგობარო, რა ნათელ საათს შევხვდით ერთმანეთს. გულს გაკლია რამ? ჯანმრთელად ხომ ხარ? ანდა ოჯახად როგორ გაქვს საქმე? ამ ბედნიერ დღეს კვლავ შევიყარეთ ჩვენ ორთავენი.

გეახლო? დიდია შენი წყალობა, საჰიბ. ამ არემარეს თუ ვიშოვით ცხენების სადგომს? სამი ცხენი და ფუთები უნდა დავაბინაო. ბიჭიც თან მახლავს. გახსოვდეს, საჰიბ, ცხენის ქურდი ვარ. პოლიციამ ეს კარგად უწყის. აბა, რა ესმით ცხენის ქურდობის ველად დაზრდილ ამ ზანტ მცონარებს. ხომ გახსოვს, საჰიბ, პეშავარში ქამალმა რომ მიაკაკუნა ჯუმრუდის ჭიშკარს, ყაჩაღმა ქამალმა და იმღამესვე წაასხა მთელი რემა პოლკოვნიკისა. მოკვდა ქამალი, მაგრამ დარჩა ძმისწული მისი და უფრო მეტი ცხენები გაქრება უგზოუკვლოდ, თუ ქაიბერის პირდაფჩენილი დარაჯები თვლემას არ მოიშლიან.

კურთხევა ღვთისა და წინასწარმეტყველის წყალობა სახლსა ამას. შენ, შაფიზ-ულა, ხეს მიაბი ულაყი ცხენი და წადი წყალზე, დანარჩენები მზეს მიეფიცხონ, ხელს ნუ შეუშლი, ორად მოკეცე თაქნაბადი და ხურჯინივით გადაადე მაგ ცხენებს ზურგზე. ნუ შეშფოთდები, მეგობარო, ალმაცერად ნუ გაცსქერი ემაგ ვერანებს, ხვალვე გავყიდი. მოვატყუებ იმ შტერ ოფიცრებს, რაკი ჰგონიათ, კარგად იციან ფასი ცხენისა. ჭაკი მაკედაა, ქურანა-ქაჯია ტყიური, წაბლა? – მიხვდები ალბათ, რატომაა ფეხდაბორკილი. გავყიდი, მერე დაებრუნდები პუბიში ანდა ეჰ, აღარ ვიცი, მივაშურებ პეშავარის ხევს.

ო, მეგობარო ჩემი გულისა, რა კარგია, რომ კვლავ გიხილე. მთელი დღე ტყუილები მეკერა პირზე. მდაბლად ვუკრავდი თავს ყოყოჩა საჰიბ ოფიცრებს. ამიტომაც გამომშრალია ბაგენი ჩემნი გულმართალი საუბრისათვის. ოღრრ! ვიდრე ლუკმას ჩაიდებ პირში, თამბაქო უნდა გააბოლო. ეს საუცხოო რამაა, საჰიბ. გვერდს ნუ მომისვამ, ჩვენი მამული არ გეგონოს, ემანდ ბანზე მოიკალათე. მე კი აგერ დავაფენ სამოსს. უსაშველო წყურვილი მკლავს. ვფიცავარ გამჩენს, სამმაგად რომ გვიზღავს მადლობას, ჩვენ მიერ შეთვლილს, ნუგბარია წყალი ეგე, როგორც წყარო შეორანისა, თოვლის ნაჟური.

ჩრდილოეთში ვინც გეგულება, ყველა ჯანმრთელია და ცოცხალი, კხოდა ბაქშიცა და სხვანიც. იარ ხანმა ქურთისტანიდან ცხენები მოლალა – ოცდაათი და ექვსი სული მარტოოდენ. აქედან ნახევარზე მეტი საჩალანდროა. სიტყვა დააქუხა იარ ხანმა ქაშმირ სარაიაში. ასე უბნობდა: დროაო უკვე ინგლისელებმა გამოგზავნონ ზარბაზნები და ემირიც გაუყენონ მოუსვლელ გზას. ახლა თხუთმეტი საგუშაგოა ქაბულის გზაზე. იარ ხანს ეგონა, დაკაში ყველაფერი რიგზეაო. და სწორედ მაშინ ჩამოართვა გუბერნატორმა ბალხური ჯიშის კვიცების ჯოგი. ეს უღმერთობაა, საჰიბ, და იარ ხანიც იწვის და იდაგება გახელებული. სხვების ამბავსაც გეტყვი ახლა: მაჰბუბ ალი კვლავ პუბიშია. წერს რაღაცას. მარტოოდენ ღმერთებმა უწყიან თუ რას წერს. ტუგლუქ ხანი ჯურღმულშია კოხატის პოლიციასთან შეხლა-შემოხლის გამო. ფაზ ბეგმა წელი დაჰყო იზმაილ-კი-დჰერაში. წამოვიდა და ბუხარული სარტყელი წამოგიძღვანა. ამაოდ დაშვრა. არავინ უწყოდა, ო, ძმაო ჩემო, საით იყავი, რომელ მხარეს უნდა გვეძებნე. წყალმა ჩაგყლაპა და მეწყერმა წაგიღო თითქოს. სახლიკაცებმა ახალი საქმე გაჩარხეს. აქ, პაკპათჰანთან ახლომახლო საკვებს ზიდავენ სახაზინო ოთხთვალების ჯორებისათვის. ამბობენ, ბაზარში ერთ მოლას საოცარი ამბავი შემთხვევია. ოჰო, აი, როგორი ამბავი, მისმინე, აბა... ვაგლახ, სხვაგან ქრის შენი გონება.

რად მეკითხები ემაგდენს, საჰიბ! ჭუჭყიანია ჩემი სამოსი, რადგან მტვრითაა გზები მოფენილი. სევდიანია ჩემი თვალები. რადგან საოცრად კაშკაშებს მზე. გარუმბებულა ეს ფეხებიც, რადგან მყაყე წყლით განვიბანე და ჩაცვენილა ლოყები ჩემი, რადგან უგვანია საკვები აქაური. ცეცხლი წაჰკიდებია მაგ შენ ფულს, რა თავში ვიხლი. უმდიდრესი ვარ. მე კი ვფიქრობდი, მყავს მეგობარი უგულითადესი. ეჰ, სამწუხაროდ, შენც მაგათი რჯულის ყოფილხარ. სევდა ახრჩობს ადამიანს? მიეცით ფული, ამბობენ საჰიბები. პატივაყრილია? მიეცით ფული, ამბობენ საჰიბები. აი. როგორნი არიან ისინი და შენც, თვით შენც კი ამდაგვარი ხარ.

რას მისჩერებიხარ წაბლას კოჭებში? აფსუს, ტყუილად მისწავლებია ცნობა ცხენისა. კოჭლობს? მერე რა? აზამი გზები გამოუვლია და ცხენიც კოჭლობს. ორმაგი ტვირთი აწევს ხომ, საჰიბ, ამჯერად მაგ ცხენს.

ახლა შემოგთხოვ, ნება დამრთო, დაგვტოვო მარტო. წყალობა მიიღო საჰიბმა, პატივი დამდო, დარბაისლუ

რად გამოთქვა ეჭვი, რომ ეს ცხენები ნაქურდალია. ხომ არ დაგვდებს უფრო მეტ პატივს და არ გვანახებს ვირის აბანოს. უხმოს მეკარეს ან ქუჩის მხვეტელ, ყურმოჭრილ მონებს, კერძო მყოს მათი, მე ხომ საპიბის მეგობარი ვარ, წყალი მისვამს მისი სახლის საჩრდილობელში. მან კი მიმუხთლა. რას იზამ, ხდება. ხომ არ გვიბოძებდა რვა ანას იგი. ამით მოინანიებდა შეცდომას თვისას და ახალს ჩაიდენდა უფრო უარესს.

მომიტევე, ო, ძმაო ჩემო, გგონია ვიცი რასა ვბოდავ? თუმც აფრიდი ვარ, მაინც ნაცარს დავიყრი თავზე. აქეთობისას იმ ველიდან გზაა მეტად ძნელი სავალი. ცხენსაც იმიტომ დაუშავდა ასე ფეხები. ლიბრი გადაეკრა თვალებსა და დაითრგუნა სხეული ჩემი უძილობისაგან, გადახმა გული დარდისა და სირცხვილის გამო. მაგრამ ვფიცავ ღმერთს, მომნიჭებელს სამართლისა, ალაჰ-ალ-მუმიტს, მოვესწრები შურისგებასაც.

ძმებივით ვიყავით აქნობამდე. ერთი თეფშიდან კერძსა ვჭამდით. ცრუ ვარ ახლა და უმადური წინარე შენდა. მისმინე; თუ უსაშველოდ დიდია დარდი, მაშინ სიტყვაა მისი წამალი. ერთგული კაცის გონება კი ჭაა ისეთი, სადაც ნასროლი ქვა აღსარების ღრმად იძირება, აღარავისთვის და არასდროს აღარ ჩანს მერე.

ხევიდან ფეხით ამოვადწიე. ასე განვვლე მრავალი ვერსი. ქვესკნელის ცეცხლი შანთავდა სხეულს. რატომ? რის გამო? ასე იოლად რად გადივიწყე ძველთაძველი ჩვენი ადათი? წესები მათი, ვინც ცოლებსა და ქალიშვილებს ვერცხლზე ჰყიდიან. დაბრუნდი ისევ ჩრდილოეთში. გამოერიდე ოხერ-ტიალებს. მხოლოდ იქ ნახავ შენ ღვთისნიერ ხალხს; როცა მოვრჩები ამ საქმეს სრულად, ჩემად მოგიხმობ. შინისაკენ გავსწიოთ ერთად. ატმების ბაღებს დაუფარავთ იქ ველ-მინდორი. აქაურობა მტვრით გათხვრილა, ქოთს ყველაფერი. ნეტარი სიო დანავარდობს თუთის ხეების ლბილ შტოფოთოლზე. ქათქათა თოვლი წყლად ქცეულა და ნიაღვრად მოედინება. ღარტაფებში კოცონები ბრიალებენ. ქარავნები მიდიან მაღლა, ქარავნები მიდიან დაბლა, ხოლო კარავთა შუბის წვერები ნელი რხევით ესიტყვებიან კალოებიდან ადენილ ხმაურს. ვეება ცხენი შესჭიხვინებს ამხანაგს თვისას, საღამოს ბინდში რომ მიცურავს და იძირება. უჰ, რა კარგია ახლა ჩვენსა. მაშ, დაუბრუნდი ისევ ჩრდილოეთს, მშობლიურ წიაღს, კეთილ მომძეებს!

სევდა რადა მკლავს? თუ არ ქალისთვის, ვისთვისღა აბა, იგლეჯს გულს კაცი და ნაფლეთ-ნაფლეთ წვავს მას ნელ ცეცხლზე. ო, ნუ დამცინებ, გთხოვ, მეგობარო. ო, დრო მოაწევს, იცოდე შენიც.

აბაზაელი ქალი იყო, ცოლად რომ მყავდა. ასე მოვიქეცი, რადგან მსურდა შერიგება ჩემი თემისა და გჰორის ტომის. აწ ახალგაზრდა აღარ ვარ, კირმა შეფეთქა თეთრად ჩემი თმა-წვერ-ულვაში, იქნებ არ უნდა ავყოლოდი ჩემს გულის წადილს?.. რაჰმანი ამბობს: თუ კაცის გულს სიყვარული განეწონება, ჭკუა და გონება ებინდება, თვალთა ისრებით გიმონებს და წამწამებით, გადარკალული წარბებით გიპყრობს, ტყვედ გიგდებს ხელად. ვერც გამოგიხსნის ვეღარავინ. ესაა და ეს. სხვა არაფერი. გახსოვს სიმღერა, პინდის ბანაკში რომ მღერიან უზბეკები ემირისანი, როცა ცხვარს წვავენ.

ძაღლებია აბაზაელნი და ცოლნი მათნი მოციქულნი ჯოჯოხეთისა. საყვარელი ჰყოლია იმ ქალს მისივე მოდგმის, მამამისმა კი კრინტიც არ დაძრა ამის გამო. ო, ძმაო ჩემო, წყევლა-კრულვა შეუთვალე, როცა ილოცებ, ვერაგ დაუდ შაჰს, როგორც მე ვწყევლი მთელ ამ გზაზე ფაქრიდან იშამდე, ყოველ ლოცვად დადგომის ჟამს; დაუდ შაჰს, თავი რომ შერჩენია ჯერ კიდევ მხრებზე და მკლავებიც ასხია ტანზე, ვინაც თავს ლაფი გადამასხა და ერთი გოჯა მალიკანდას მთელ საქალეთის სასაცილოდ გადამაქცია.

ორი თვის თავს ჰინდუსტანს წაველ, ჩერატში. თორმეტი დღე დავყავი მხოლოდ. დავიბარე კი, ორი კვირა დავრჩები მეთქი. ასე მოვიქეცი, გამოცდა მსურდა მე იმ ქალისა. თქმულა: არ ენდო უმწეოსო. ხეობას რომ შემოვაღწიე, დღე სულს ღაფავდა. და სწორედ მაშინ ყურთ მესმა ხმა მამაკაცისა, ჩემი სახლის წინ რომ იმღეროდა. დაუდ შაჰისა იყო ეს ხმა, ხოლო სიმღერით, ცად აღვლენილით, უბნობდა ასე: დრეი ვარა იაუ დი – სამთავე ერთი. ასე მეგონა თითქოს გულზე მომავლეს თოკი და ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკი მოეჭიდა ამ გაბაწრულ გულს ჩემს მოსაშთობად. გზის კიდესთან მივცოცდი ჩუმად, მაგრამ წვიმებს ნესტი ეწოვათ ჩემი თოფის პატრუქისათვის და ველარ შევძელ მოკვდინება დაუდ შაჰისა. ქალის სიკვდილიც მწყუროდა ძლიერ, ორთავესი მწყუროდა სისხლი და დაუდ შაჰი გადაურჩა ჩემს შურისგებას. მღეროდა იგი ჩამომჯდარი სახლკარის ზღურბლთან. მაშინ განახვნა კარი ქალმა, გამოეგება, მე კი მუცლით გავკარ კლდეს და ახლოს მივხოხდი. ფეხი დამიცდა ქვაზე და მაშინ გადმომხედეს ზევიდან ორთა. იატაგანი ვიშიშვლე, მაგრამ დასაკარგავში მოისროლა თოფ-იარაღი, ანაზდად გაქრა მოქიშპე ჩემი. სული ტკბილია.

სვეტივით იდგა ქალი ერთ ალაგს, რომ აღვიმართე მის წინაშე და შეეკითხე: ეგ რა ჰქმენ, ქალო? დაურიდებლად შემომხედა. თუმცა უწყოდა ჩემი ზრახვა, გადიკისკისა და მითხრა ასე: არაფერია, მე ის მიყვარდა, შენ კი ძაღლი ხარ და ცხენის ქურდი, ბნელში მძრომელი. ახლა დამჩეხე.

მე კი ჯერ ისევ თვალდავსებულმა არნახული სიმშვენიერით, - აბაზაელ ქალს ვერ შეედრება სილამაზით ქვეყანაზე ვერავინ, ო, ძმაო ჩემო, - მივუგე ასე: არ გეშინია? შემეპასუხა: ერთი რამისა, ცოცხლად დარჩენის. ოჰო, ვუთხარი: ამის ნუ შეგეშინდება. თავი დახარა და ისე დავკარ კისერზე დაშნა, რომ ჩემს ფეხებთან გადმოგორდა თავი მაშინვე. გავხელდი, ვითარც სისხლში მოსდგამს ჩემი ტომის ხალხს. მოვღინჯე დანით ორთავე ძუძუ, რათა ერთ გოჯა მალიკანდას ჯამაათი დაზაფრულიყო. ეს ზრახვა მქონდა. წყალს მივეც სხეული მისი. იმ მდინარეს, ქაბულს რომ ერთვის. დრეი ვარა იაუ დი... სხეული უთავო, სული უსინათლო და გული ჩემი შავად ფერილი, - სამივე – ერთი, ერთი – სამთავე! იმ ღამეს დაუყოვნებლივ გადაველ გჰორში. ვეკითხებოდა ხალხს დაუდ შაჰის ასავალ-დასავალს. მითხრეს, პუბიში წავიდაო ცხენთა ბაზრობაზე. რას ერჩი. ახლა ხომ მშვიდობაა თქვენს სოფლებს შორის. მივუგე მაშინ: მშვიდობა ეთქმის განა ღალატს და ურჩ ტკბობას ქაჯ ატლასი ჰურელისადმი?.. სამჯერ ვახალე თოფი ჭიშკარს, გადვიხარხარე და ჩემს გზას გავუყევ.

იმ ღამეს, ძმაო და მეგობარო ჩემი სულისა, სის-

ხლნასვამი იყვნენ ვარსკვლავნი და მრგვალი მთვარე ზემოდან რომ დამჩერებოდა, ფატარი მიწის გემო მქონდა დახაშმულ პირში. არ გამეტეხა დიდი ხანია ლუკმაც მცირედი. გჰორის ხეობიდან გადმოდენილ წვიმას ვხვრეპდი, ჩემს სახეზე უხვად დადენილს.

მაჰმუბ ალი მოვიძიე პუბიში. მწერალი იყო მაჰმუბ ალი და გარინდული იჯდა ჭილოფზე. იარაღი გადავეც, ამას ითხოვდა ჩვენი ადათი. არას ვნაღვლობდი, გულს ამოჭრილი ასე მქონდა; შიშველი ხელით უნდა მომეხრჩო მოსისხლე ჩემი, ქიშმიშის კუნწულს რომ მისწვდები, სწორედ იმგვარად. თქვა მაჰმუბ ალიმ: დაუდ შაჰი პეშავარში გადასულა, დელისაკენ მიმავალ გზაზე ცხენებს აქუჩებს. ასე ამბობს: ბომბეის კონკების კომპანია ყიდულობს ცხენებს, რვა სულს თითო ვაგონისათვის. ასე მითხრა მაჰმუბ ალიმ და მისი თქმული სიმართლე იყო.

მაშინღა მივხვდი. ნადირობა არ იქნებოდა ისე იოლი, მე რომ მეგონა. ჩემი რისხვის ასარიდებლად შორეთს ლტოლვილი უცხო ქვეყნის სამანს იყო მტერი მიმდგარი. გადარჩება კი? ხომ ცოცხალი ვარ ჯერჯერობით? რა გადაარჩენს. დაე ილტვოდეს ჩრდილოეთით. დორას ჩავიდეს, ან მიაღწიოს შავ წყალს სამხრეთის. უკან მივყვები ნაბიჯ-ნაბიჯ მივსდევ სატრფოს კვალს მიჯნური ხელი, და მივეწევი და მკლავს შემოვხვევ. ეჰო! უნაზესად შემოვხვევ ხელებს და ვეტყვი ასე: სამაგალითოდ აღსრულე შენი საქმე და საზღაურიც უხვი გერგება. ჩემს ძმურ მოხვევნას ვერსად წაუვა დაუდ შაჰი ცოცხალი თავით. არც ნესტოები დასჭირდება სასუნთქად მერე, აღარც ცხვირ-პირი. ოღრ, რა უყავ დოქი, ისე მწყურია, ჭაკმა ცხენმა რომ იცის ხოლმე წყლის მონატრება დამაკებისას.

თქვენი კანონი? რად მიღირს იგი? მითხარი აბა რომელი ცხენი მისჩერებია მარულისას მოედნის ზღუდეს. ან ალი მუსჯიდის ძერებს აფრთხობს ლეშზე გადმოწოლილი ჩრდილი გჰორ კუტრის. საზღვარს გაღმა წამოიწყო ეს ყოველივე და გათავდება იქ, სადაც ღმერთი ისურვებს, ან ამქვეყნად, ან ჯოჯოხეთში – სამივე ერთია, ერთი, სამივე.

მისმინე ახლა, გულის დარდის მესაიდუმლევ. ნადირობის ამბავს მოგითხრობ: პუბიდან პეშავარში გადაველ. უპატრონო ძაღლივით ვეხეტებოდი ქუჩებში. მტერს ვეძიებდი. მეზმანა ერთხელ, თითქოს დავლანდე, დიდ მოედანზე თხრილში ნაგუბარი წყლით პირს იბანდა. ახლოს მივედი, არავინ დამხვდა. იქნებ ის კაცი, მე რომ ვიხილე, სულაც არ იყო დაუდ შაჰი. იქნებ ის იყო და მიიმალა ჩემი დანახვით შეძრწუნებული.

მეწვრილმანე ქალიშვილმა მითხრა: ნაუშერაში სდომებია დაუდ შაჰს ასვლა.

- შენ, გულო ყოველთაო გულთა, ნუთუ არ გწყალობს დაუდ შაჰი, არ დადის შენთან – შევეკითხე მე.

- ო, როგორ არა.

- მწყურია ძლიერ მისი ნახვა, მეგობარი ვარ. ორი წელია, რაც არ შეეყრილვართ. დამმალე აგერ, გვეედრები, დარაბების ჩრდილში დავუცდი.

და მომიგო ქალიშვილმა:

- ო, პათჰან, შემომხედე თვალებში!

მე შემოვბრუნდი, მკერდზე მივაწექ, თვალებში ჩავყურებდი, ვეფიცებოდი, რომ ვამბობდი ღვთიურ სიმართლეს. მაშინღა მითხრა მან: "ჯერ არ მინახავს მეგობარი ქვეყნად არც ერთი, მომლოდინე მეგობრისა ამგვარი თვალებით. ატყუეთ ღმერთი და წინასწარმეტყველნიც, ნება თქვენია, მაგრამ იცოდეთ ვერ მოატყუებთ ქალს ვერასოდეს. იცოდე, ჩემი გამოისობით ერთი ღერიც კი არ მოაკლდება დაუდ შაჰის თმას". მოვკლავდი, მაგრამ შემიპყრობდნენ, წყალში ჩავყრიდი სუყველაფერს.

გამეცინა და გამოვბრუნდი, შუკას გავყევი. ის კი დაეყრდნო ფანჯრის რაფას და მომძახოდა დამცინავ სიტყვებს. ჯამუნი ჰქვია, როცა მოსისხარს წესს აუგებ. კვლავ დაბრუნდები პუშავარში და სასურველი აღარ იქნება ეგ ჯამუნი საყვარლებისთვის. აკ გახდება იგი, აკ – ხეიბარი ხეს მიყრდნობილი, კლდე-ღრედ გდებული. ჰო! ჰო! აკ იქნება იგი მას შემდგომ.

პეშავარში ცხენები შევისყიდე, ყურძენი, ნუში, ბლომად ჩირიც ზედ მივაყოლე. ეს ხორაგი მისთვის მინდოდა, ხელისუფალთ ეჭვი აღარ დჰბადებოდათ და წინ მქონოდა მე გზა ხსნილი. ნაუშერასაც მივაღწიე, მაგრამ დამიძვრა. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავ, საით მეძებნა. ნაუშერაში დავყავ დღე-ღამე. გვიანობისას, როცა ცხენებთან ერთად მეძინა, ხმა შემომესმა, მთელ ღამეს თავს დამტრიალებდა, შეუსვენებლივ ჩამჩურჩულებდა: პირქვე ვიყავი ჩამხობილი (ასე ძილი ალქაჯს სჩვევია), და ხმაც ყურში რომ ჩამძახოდა, ეშმაკეული იყო იგიც. ჩამჩიჩინებდა: სამხრეთით წადი და უსათუოდ ჰპოვებ დაუდ შაჰს.

მისმინე: არ გადაგღალა გრძელმა ამბავმა? დაქსელილია უთავბოლოდ, მოსასმენადაც ძნელია ფრიად. ახლა განსაჯე, მე თავს გადამხდა ეს ყოველივე. ყოველი ვერსი გამოვჩრჩილე პუბიდან აქამდე. ნაუშერადან წინამძღვრად ის ხმა მომსდევდა და წყურვილი შურისძიებისა.

ატოკს მივადექ, ავ მდინარეს. ეს სახელი ჩვენებურად ავბედითს ნიშნავს. ჰო-ჰო! ლომგული კაცი ავ სიტყვასაც ფარსაგად აქცევს და ამიტომაც არ მომეცარა ატოკთან ხელი და კვლავ მომესმა კლდეს მინარცხებულ ტალღათა გრგვინვის ჩამახშობელი ხმა ავსულისა – ვიდოდე მარჯვნივ. მივენდე ამ ხმას, პინდიგჰებისკენ გადავუხვიე, ძილი გამიკრთა იმ დღეებში, არ მომეკარა. აბაზაელი ქალის თავი სულ თვალწინ მედგა დღითა და ღამით, ჩემს ფეხებთან დაგორებული. დრეი ვარა იაუ დი, დრეი ვარა იაუ დი! ცეცხლი, ნაცარი და სარეცელი – სამივე ერთი, ერთი-სამთავე.

შორს ვიყავი მაშინ ქორ-ვაჭართა საკალი გზიდან, ამ გზას ირჩევდნენ ზამთრის პირზე სიალკოტში გადამავალნი და მერე სამხრეთით გზა-შარაზე გაივაკებდნენ, სადაც ჯარისკაცთ ყაზარმები გადაჭიმულა. საპიბი შემომხვდა პინდიგჰების ბანაკში. თეორი ჭაკი იყიდა ჩემგან კარგ ფასად და მითხრა, ვინმე დაუდ შაჰს გაუვლიაო შაჰპურისაკენ ცხენებით. მაშინღა მივხვდი, არ ტყუოდა ხმა იდუმალი და უსწრაფესად გავეშურე მლაშე ქედისკენ. აღიდებული ჯელუმი ნაპირზე გადმოსულიყო. ცდა არ ძალმიძდა. გადაცურვისას ყორანა ცხენი წყალმა წაიღო და დაახრჩო. თავ-ფეხიანად გადაყლაპა მრუმე მორევმა. ცუდად მენიშნა. ჩემზე აღმართა მკაცრი ხელი მაღალმა ღმერთმა. აქეთა მხრიდან, როცა წყალში ვდენიდი ცხენებს, გაღმა ნაპირზე დაუდშაჰი ფონს გასულიყო.

ო, ალჰიას, ალჰიას! ფლოქვებმა ჩემი ჭაკი ცხენისა განფანტეს ჯერაც ცხელი ფერფლი იმ კოცონისა, დაუდ შაჰს რომ დაენთო ადრე. როს განთიადი აფერადდა, გადმოვაღწიე მეორე ნაპირს. ვერ მოვატანე. მუხლებში ქარი თუ ჩაუდგა ვერაგს სიკვდილის შიშით. გეზელქორივით გავენთე მაშინ შაჰპურისაკენ. გზად არ ვუხვევდი. ვშიშობდი, არსად ამცდენოდა. შაჰპურიდან ჯელუემს გავყეი ნაპირ-ნაპირ, რადგან ვფქრობდი თავს არიდებდა რეჰნას უდაბნოს. მაგრამ მალე საჰიბალთან გადავუხვიე და დავადექი გზას მიმავალს ჯანგისა, სამუნდრისა და გუგერასაკენ. ასე ვიარე, სანამ ერთ ღამეს ჩემი ლურჯა არ მიადგა მონტგომერისკენ მიმავალ შარას. ადგილი ესე იყო ოკარა. აბაზაელი ქალის თავი კვლავ ვიხილე ყვითელ ქვიშაზე დაგორებული. იქიდან აველ მე ფაზილაკში. იქ რომ შეხედეს ძვალტყავა ცხენებს, შიმშილისაგან დაოსებულებს, პირში მახალეს, დაგიკარგავსო ჭკუა-გონება. კვლავ ჩემთან იყო ხმა იდუმალი. გონება ჭრიდა, დაღლილი ვიყავ მარტოოდენ დაუდ შაჰის უნახაობით. ცას განეზრახა, არ მეწერა ხილვა მისი არც რანიასა და არც ბაჰადურგარში. მაშინ დელიში შევაღწიე დასავლის მხრიდან, მაგრამ იქაც ვერ ვპოვე მტერი. საოცარება ვნახე მრავალი, ძვირფასო ჩემო, გზებზე მავალმა. ვუყურე როგორ გადადიოდნენ მალაყებს რეჰნას უდაბნოს მღვრიე ქვიშაში გაზაფხულის ჟამს ატეხილი ულაყებივით გადარეული შმაგი ქაჯები. ისიც მესმოდა, ორმოებიდან ჯინები რომ უხმობდნენ ერთურთს. ჩემ თვალწინ გადაიარეს დიდმა ჯინებმა.

არ არიანო ქვეყნად ქაჯები, ასე ამბობენ საჰიბები. ჭკუით სავსეა თეთრი კაცი, მაგრამ ბევრი რამ სიზმრადაც არ დალანდებია. ბედაურთა და ქაჯთა ბუნება უცხოა მათთვის. ჰო! ჰო! იცინე, უბადრუკად ჩამთვალე თუნდაც, მე კი ერთს გეტყვი, სავსე მთვარე როს ანათებდა, ტინგიცა ქაჯთა ბრბო მინახავს კივილ-კივილით ქენაბის სალ მეჩეჩებზე ახტუნებული.

არ მეშინოდა? იცი რას გეტყვი ჩემო ძმაო, ადამიანის ვნება-სურვილი, როცა ერთ მიზანს განეწონება, აღარ ეშინის მას არც კაცის, ღვთის ან ეშმაკის. თუ შურს ვერ ვიგებ, თოფის კონდახით მივლეწ-მოვლეწავ სამოთხის ბჭეებს, ან ბასრი დანით გავიკაფავ გზას შავეთისას და დაუდ შაჰის გვამს გამოვთხოვ ქვესკნელთ მეუფეს. აბა, რომელი სიყვარული დაედარება გრძნებით სიძულვილს. იყუჩე, ვიცი შენი გულისნადები. ნუთუ თვალებზე დამეკრო ლიბრი, ანდა ამემღვრა სისხლი ძარღვებში? არა სიშმაგე არ მოსდებია სხეულსა ჩემსა. მშფოთვარე ვნებამ მომაშთო მხოლოდ.

არ მეცნობოდა ის ადგილები, დელის სამხრეთით რომ გადაშლილა და ამიტომაც ვეღარ გეტყვი, თუ რა გზები გამოვიარე. ისე კი ბევრი ქალაქი განვვლე. მეწერა, უნდა წავსულიყავ სამხრეთისაკენ. ოდეს ცხენები გამოჩნდებოდნენ, დავეგდებოდი მწირ მიწაზე, დღის მობრძანებას ველოდებოდი. არ მომეკარა ძილი ვერანი გზაზე დაქანცულს; გამოგიცდია, ჩემო ძმაო, უსაშველო უძილობა, რომლის დაძლევაც არავის ძალუძთ? როცა ყოველი სახსარი გტკივა, ყოველი ძვალი, გასკდომაზეა საფეთქლები... დრეი ვარა იაუ დი, დრეი ვარა იაუ დი! თვალი მზისა და თვალი მთვარისა, რულდაკარგულნი თვალნი ჩემნი – სამივე ერთი, ერთი-სამთავე.

იყო ქალაქი, რომლის სახელიც გადამავიწყდა, და იმ ქალაქში მთელი ღამე მიხმობდა ვიღაც.

გამოგეცხადე იმ მიდამოდან, ჰამიპურს რომ უწოდებენ. დახე ღვთის ნებას! უნდა მენახე ხარებად ჩემდა და საწინდრად მომავალი მეგობრობისა. ვტკბები შენი სახის ჭვრეტით და ქანცგაცლილი ფეხები ისევ ჯანით



მევსება. ვივიწყებ უკვე მძიმე გზაზე გამოვლილ ურვას. გულიც ჩამდგარა საგულეში, რადგან ვიცი, დგება ჟამი აღსასრულისა.

იქნება მოხდეს, დაუდ შაჰს აქ, ამ ქალაქში გადავეყარო, ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე, რადგანაც ჟამსა გაზაფხულისა მთიელს ყოველთვის მოუხმობენ ცად აწვდენილი მწვერვალები. იხილავს განა ჩვენი მხარის მთებს და გორაკებს? ყველგან მივწვდები; არ გაცუდდება ეს შურისგება, მშვენივრად ვიცი, და ისიც ვიცი, ღმერთს ჩაბღუჯული ჰყავს დაუდ შაჰი. ფათერაკს არც რას გადაეყრება, ვიდრე ვიპოვი. საღსალამათი მოვაკვდინო დუშმანი იგი, ტანმრთელი და სიცოცხლით სავსე, ასეთია სურვილი ჩემი. რაც უფრო ძნელად ძვრება კანი, უფრო ტკბილია ბროწეული.

დაე, ეს მოხდეს მზის ცხოველ შუქზე, როს შემეძლება საცნაურვყო პირსახე მისი და საწადელიც ჩემი ესრედ დაგვირგვინდება. როს აღვასრულებ მე ჩემს საქმეს და ღირსეული გავხდები ისევ, მადლობას ვუძღვნი ღმერთს, გამგებელს კანონთ სასწორის. მერმე დავწვები, მთელ დღეს, მთელ ღამეს, კვლავ მთელსა დღესა და მთელსა ღამეს ვიძინებ ისე, რომ არც რაიმე სიზმარეული არ შეაშფოთებს ჩემს დავანებას.

აი, ახლა კი ო, მეგობარო, უკვე გასრულდა ამბავი ჩემი, აჰი! აჰი! ალჰიას, აჰი!



ბარი 1

თქვენ, რომელნი ვლით იწრო ბილიკით,[1]
გეენის ალში, განკითხვის დღემდე,
იყავთ დამთმენნი, მოწყალეთ ექმნეთ[2]
კერპთა მომლოცავთ კამაკურაში.[3]

ბუდა კამაკურაში.

კიმი მხედარივით შემოჯდომოდა ძველთუძველესი ავჯაბ-გჰერის[4] წინ აგურის სადგარზე დაზვინულ ზარბაზანს, ზამ-ზამს. ქალაქის მმართველობამ რა ხანია გასცა ბრძანება არვინ შეხებოდა ზარბაზანს, მაგრამ ავარა კიმი არას დაგიდევდათ ამ განკარგულებას და აგრე გასინჯეთ უფლებაც მოსავდა ამისა.

ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, დრო-ჟამის მიერ ჭაობისფრად ქცეული ზარბაზანი პირველი ალაფი გახლდათ დამპყრობელთა. ამიტომაც თქმულა, ვინც ფლობს ზამი-ზამს, ამ ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს, იგი ფლობსო პანჯაბს. ინგლისელები დაპატრონებოდნენ პანჯაბს; ვინ ვინ და კიმი ხომ ნამდვილი ინგლისელი იყო, ამიტომაც შემოჯდომოდა აგრე თამამად მხედარივით ზამ-ზამს, ამიტომაც გადაუძახა ძირს ზარბაზნის როჭოჭიზე ჩამოკანჭურებული ლალა[5] დინანთჰას ატროებული ბალღი.

მზით გაზანგულ კიმს ვერაფრით ვერ გაარჩევდით ბაზრის ბიჭბუჭებისაგან; თუმცაღა მას თითქმის დავიწყნოდა საკუთარი დედა-ენა და ადგილობრივ კილოკავზე ლამის აქაურებზე უკეთ ლათაიობდა; თუმცაღა მისი გამდელი, მეტისი ქალი მისიონერებს ყურებს უჭედავდა ბავშვის მკვიდრი დეიდა ვარო, მაგრამ ეს იყო: ბიჭის ძარღვებში ნაღდი ინგლისელის სისხლი დიოდა. დიახაც ინგლისელი გახლდათ. ვაგლახ, რომ ყველასა და ყოველზე ღარიბი და უპოვარი.

კიმის დედა ძიძად ედგა ერთ პოლკოვნიკს. მერე ეს ქალი ცოლად გაჰყვა მაევრიკელებადწოდებულ ირლანდიელთა პოლკის ჯეელ მედროშეს, ვინმე კიმბოლ ო'ჰარას, ვინაც ემაგ რაზმს უკან არ გასდევნებია თავის სამშობლოში. სინდ-პანჯაბ-დელის რკინიგზის მოხელის ქუდი მოირგო ყოფილმა მედროშემ და სამუდამოდ ჩარჩა ინდოეთში. დიაცი მისი ქოლერამ მოაშთო ფიროზპუნს და ო'ჰარამ მას მერე იწყო ლოთობა და წალმა უკუღმა ხეტიალ-ბორიალი მატარებლის ლიანდაგებზე თავის სამიოდე წლის თვალმერცხალა ბიჭთან ერთად.

ბალღის ბედ-იღბალზე მზრუნველი-მოფიქრალი საზოგადოებები და კაპელანები[6] ცდას არ აკლებდნენ, დღენიადაგ მეცადინობდნენ როგორმე ბიჭი ხელიდან გამოეგლიჯათ ყოფილ მედროშესათვის, მაგრამ ო'ჰარა ერთს ალაგს როდი ჩერდებოდა, დაყიალობდა უთავბოლოდ, ვიდრე არ გადაეყარა ძველი ავეჯით მოვაჭრე მეტის ქალს, ვინც თავის კალთის ქვეშ შეიფარა ბიჭუნა და ვინაც, როგორცა ვთქვით, თავს კიმის დეიდად ასაღებდა. თრიაქს ემალებოდა ეს დედაკაცი. ო'ჰარა ცალი და ანათალი[7] შეიქმნა მისი, თავადაც მიყჰო ხელი ამ უკეთურებას და მალე მიაბარა უფალს სული. გაჰყვა ინდოეთში ულუკმაპუროდ დარჩენილ, ცარიელტარიელსა და უსახლკარო თეთრკანიანთა კვალს.

სიცოცხლის ბოლოს ო'ჰარას მთელ ავლა-დიდებას შეადგენდა სამადსამი საბუთი: ერთს ne vazietuz[8] შეარქვა, რამეთუ ქაღალდზე პატრონის ხელმოწერის ქვემოთ სწორედ ეს სიტყვები იყო გამოყვანილი. მეორე ცნობა დასტურჰყოფდა მის დათხოვნას სამხედრო სამსახურიდან, ხოლო მესამე კიმის დაბადების მოწმობა გახლდათ.

- ეს საბუთები კაცად აქცევენ პატარა კიმბოლს, ამიტომაც არ უნდა იშორებდეს ემაგ ქაღალდებს, - ამოთქვამდა თრიაქის სანეტარო ბურუსში გაბანგულ-გახვეული ო'ჰარა, - რამეთუ იქ მუზეუმს მიღმა წამოჭიმულ თეთრ-ლურჯად შეფეთქილ ჯადუ-გჰერში ამაების გარეშე ხელი მოეცარებათო მისან-მჩხიბავთ.

მოვალს დღეი იგი, - უბნობდა ყოფილ მედროშე, როს კიმის რქა[9] აიზოდება მშვენიერებისა და ძალოვანების დიდროვან სვეტთა ზედან და ბედაურზე ამხედრებული პოლკოვნიკი ჩემს ბიჭს ამალად აახლებს მჯობთა-მჯობ მეომართა პოლკს; პატივს დასდებს ნაშიერს ჩემსას, ვინაც ათასწილ უნდა აჯობოს მამაიმსს. ცხრაასი აფთარ-ალქაჯი, ვისთა ღვთაებაც მწვანიან ველზე მოვლენილი წიქარა[10] არს, სამსახურს გაუწევს ამ პატარა ბიჭს. დიაღაც აგრე იქნებაო ეს, თუ არ გადაივიწყეს ფიროზპუნის რკინიგზის ხაზის ერთი საწყალობელი ათის-

1."ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საქირველი გზა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებას და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას". მათე. 7.13-14

2.მწერალი (თავად ქრისტიანი) მოუწოდებს ერთმორწმუნეებს სხვათა რელიგიის, კერძოდ ბუდას მოძღვრების მიმღენთა შემწყნარებლობისაკენ.

3.პირველი სტროფი კიპლინგის ლექსიდან "ბუდა კამაკურაში".

4.ავჯაბ-გჰერი (ჰინდ.) – "საოცრებათა სახლი"; აგრე უწოდებენ ადგილობრივი მკვიდრნი ლაჰორის მუზეუმს.

5.ლალა (ჰინდ.) – ბატონი, მოძღვარი, მასწავლელი; აგეთია ინდოეთში გავრცელებული რელიგიის, ბრაჰმანიზმის, ერთერთი განშტოების, ინდუიზმის მოძღვრისადმი მიმართვის თავაზიანი ფორმა.

6.კაპელანი (ლათ.) – კათოლიკე მღვდელი რომელიც მსახურობს კაპელაში. (სამრეკლოში)

7.ცალი და ანათალი (ქართ.) – მსგავსი, ტოლფასი.

8.Ne vazietuz (ლათ.) – შეუცვალებელი. ამ სიტყვას მიაწერენ ხოლმე გამომცემლები წიგნის ბოლოს, ნიშნად იმისა, რომ ტექსტი საბოლოოა. ასევე მოსამართლენიც დოკუმენტის ბოლოს აწერენ ამ სიტყვას, რათა არ დაუშვან კიდევ რაიმეს მიმატება.

9.რქა – ძლიერების წყარო, ძალაუფლების, დიდების, სიამაყის სიმბოლო. "რქაი მისი ამაღლდეს დიდებითა". ფს. III.9.

10.წიქარა (ქართ.) – წითელი ფერის ხარი.

თავი, - ამას იტყოდა, ცრემლი მოერეოდა პარმაღზე გამომდგარ ბამბუკის ჩალეწილ სავარძელში გალართხულ ო'ჰარას, მწარედ აქვითინდებოდა ბეჩავი.

მისი სიკვდილის შემდეგ მეტისმა ქალმა პერგამენტი, ქაღალდი და დაბადების მოწმობა ტყავის შელოცვილ ქისაში გამოკერა და ეს ავგაროზი ყელზე ჩამოჰკიდა კიმს.

- მოვალს დღე იგი, - ქალის რის ვაინარჩობით იგონებდა ო'ჰარას წინასწარმეტყველებას, - როს მწვანე ველზე მოქანდებიან ზორბა წიქარა, კოჭმაღალ ბედაურზე ამხედრებული პოლკოვნიკი, და ცხრაასი აფთარალქაჯი... (მან დამტვრეული ინგლისურით წაინთქვა ბოლო სიტყვები). – ჰო, - მხარი აუბა კიმმა, - მახსოვს მაგრამ მამა ამბობდა, ჯერ ორი კაცი უნდა მოვიდესო თადარიგის დასაჭერად; მაგონდება მამა ამბობდა, აგეთიაო ჯადოქართა ადათ-წესი.

გამდელს კიმი ამ ქაღალდებიანად ჯადუ-გჰერში რომ გაეგზავნა, პროვინციული ლოჟის თავკაცები, რაღა თქმა უნდა, უმალ სტაცებდნენ ხელს ბიჭს და თავს უკრავდნენ მასონთა მიერ დაარსებულ, მთიანეთში[1] მიკარგულ ობოლთა თავშესაფარში. საბედნიეროდ, ქალს იოტის ოდენითაც არა სჯეროდა ჯადოსნობისა.

კიმი თავისებურად სჯიდა ამ ჯამაათის გამო. მას მერე, რაც ბავშვობის პერანგი გაიძრო და ყმაწვილკაცობაში შედგა ფეხი, რაღაც მანქანებით ახერხებდა ხელიდან დასძვრენოდა მისიონერებსა და მზერა მიწერტებულ თეთროვან კაცებს, სულს რომ ართმევდნენ შეკითხვებით, ვინ ხარ და რას საქმიანობო. ან კი რა უნდა ეპასუხნა? კიმი ხომ მართალი ითქვას, დიდი ცუდმადი ვინმე იყო. ის საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა გალავანშემოსალტულ ქალაქს, ლაჰორს, დელის კარიბჭედან ვიდრე ფორტ[2] ლიჩამდე. ძმაბიჭობდა იმგვარ ცხოვრებას მიდევნებულ გარდანქეშანებთან,[3] თვით ჰარუნ ალ რაშიდს სიზმრადაც რომ არ მოელანდებოდა; ათას ერთ ღამის ზღაპრების გმირის მინაგვარად ბრუნავდა ფათერაკების მორევში; ოღონდ რა გაეგებოდათ ყველა ამაების მისიონერებსა თუ საქველმოქმედო საზოგადოებების მოხელეებს, რა იცოდნენ მათ ამა ყოველის ყადრი.

ქალაქის უბნებში კიმს "მთელ დუნიის ციდა ყონაღი" შეარქვეს. დასტურ რომ შეჰფეროდა ამ ჯეელს ეს მეტსახელი. თასმასავით მოქნილი ბიჭი უჩინმაჩინივით დაძვრებოდა ხალხით გატენილ სახლების ბანებზე. ნებიერი და მორთულ-მოკაზმული, ზეპური[4] ახალგაზრდობის გაჭირვების ტალკვესი გახლდათ. ქალ-ვაჟთა სატრფიალო ქსელ-ხლართებს აბამდა. თავად უწყოდა ფარსაგ რასმე რომ არ იქმოდა, თუმცა მას მერე, რაც ენა აიდგა, განა ყოველგვარ უკულმართობას არ ეზიარა?! კიმი, ფათერაკების მაძიებელს რომ ეტყვიან, სწორედ ის იყო. უჩუმრად დაიპარებოდა ბნელ ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, აყურადებდა ბრტყელ სახურავებზე ხვატის დროს თავშეყრილ დიაცთა ოხვრა-ყაყანსა თუ გლახბელზე ვაივიშს. ძრომიალობდა წყლის მილებზე, კისრისტეხით ხტოდა ბანიდან ბანზე. ალმურწაკიდებული ღამე ჰფარავდა. მეგობრობდა მდინარის პირას. აგურით ნაშენი ტაძრების წინ, ხეებქვეშ ფეხმორთხმულ, ნაცრით მოფეთქილ ფაკირებთან. გულითად სალამს მიუძღვნიდა სამოწყალოს სათხოვარიდან მობრუნებულ ამ ჯამაათს და თუ ახლო - მახლო არავის დაიგულებდა, მათი ხონჩიდან იყოფდა ლუკმას, გამდელი ქალი თვალცრემლიანი ეაჯებოდა ჩაეცვა ევროპული შარვალ-ხალათი და მზისა თუ ავდრისაგან გამოხუნებული ქუდი დაეხურა; მაგრამ ზოგ-ზოგ საქმეებზე დაძრული კიმი ჰინდუსთა ან მაჰმადიანთა ტალავარს ამჯობინებდა. ერთმა მაღალშობილმა კაცმა, ვისი გვამიც მიწისძვრის დღეს ჭის ფსკერზე ნახეს უფეშქაშა მდაბიო კასტის ჰინდუ ბიჭის სრული აღჭურვილობა. კიმმა ეს სამოსელი გააქანა პანჯაბის უზენაესი სასამართლოს უკან მიშენებულ ნილარამის ხე-ტყის საწყობში, სადაც შრებოდა მდინარე რავიზე დაცურებული კედარის სურნელოვანი მორები და ამ ნაგებობის სხვენზე. დირეებს ქვეშ ამოდო. საქმეზე მოჩქარე, ანდა გართობას მოწადინებული კიმი გადმოალაგებდა მთელ თავის ავლადიდებას, მოირთვებოდა და ჰეი გიდი! მხოლოდ გამთენიისხანს თუ შემოდგამდა თავის სახლის პარმაღზე ფეხს, მექორწილეთა კვალდაკვალ დევნითა თუ მორწმუნეთა ზეიმზე ყიჟინით არაქათგამოცლილი. შინ იშვიათად თუ დაუხვდებოდა მცირედი კერძი. განჯინას მეტწილად თაგვები ხრავდნენ. იგი კვლავ გაიხურავდა კარს და გაუტევდა გარეთ, რათა იქაურ თანატოლებთან ეძიებინა მუცლის ამოსაყორი.

ახლა ის ქუსლებს უბაგუნებდა ზამ-ზამს, კიენა ჩოტა-ლალსა და მეშაქარლამეს შვილთან, აბდულასთან, "მეფე და კოშკის" თამაშით გართული. დროდადრო თავს აიღებდა, მუზეუმის წინ გამოწყობილ მომსვლელთა ფეხსაცმლების მოდარაჯე პოლისმენს გაჰკრავდა კბილს. ახოვანი პანჯაბელი შემწყნარებლურად იღიმებოდა. ის ხომ რა ხანია იცნობდა კიმს და ვინღა არ იცნობდა ამ ბიჭს: თულუხჩი, გადამშრალ ქუჩას რომ რწყავდა თხის ტყავის ტიკიდან; ახალ, შესაფუთ ყუთებთან ნიადაგად წელგახრილი მუზეუმის დურგალი, ჯავაპირ სინგჰი; რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მას სცნობდა ყველა ახლო-მახლო მცხოვრები, გარდა ქალაქის შემოგარენიდან საოცრებათა სახლისაკენ დაძრული გლეხკაცობისა. ამ მისადევარში[5] მსახლობელთ ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე იხილავდნენ ჯადუ-გჰერში თავმოყრილ, მათ მშობლიურ ადგილებსა თუ ინდოეთის სხვა კუთხეებში საუცხოოდ ნახელავ საგნებს. მუზეუმში ხომ შეგროვილი იყო ინდური ხელოვნებისა თუ ხელოსნობის იშვიათი ნიმუშები და მათი თავმდეგიც[6] როდი ამადლიდა ვინმეს ახსნა-განმარტებას.

- განზე გადექ! გამიშვით. ერთი ზემოთ ავძვრე! – იჭაჭებოდა აბდულა და ზამ-ზამის ბორბალზე მიფოფხავდა.

- მამაშენი ხაბაზი იყო, დედაშენმა კი გჰი[7] აწაპნა, - მღეროდა კიმი, - მუსლიმანებიც რახანია ჩამოდღავდნენ ზამ-ზამიდან.

- განი, განი! – თანატოლს აჰყვა და აჭყიოლდა ოქრომკედით ნაგვირისტევი. ქუდით მორთული ჩხოტალალი. მართალია მამამისის ქონება ნახევარ მილიონ

1.მთიანეთი – აქ, ინდოეთის ერთ-ერთი კუთხის, სახელწოდება.
2.ფორტი (ინგლ.) – თხრილით შემოსალტული სიმაგრე.
3.გარდაანქეშანი (ქართ.) – ვაჟკაცი; თავზეხელაღებული
4.ზეპური (ქართ.) – მაღალშობილთა, თავადთა წრე
5.მისადევარი (ქართ.) – ქალაქის გარეუბანი, შემოგარენი.
6.თავმდეგი (ქართ.) – მცველი. აქ, ექპონანტების მცოდნე.
7.გჰი (ინდ.) – კარაქი.

ფუნტ სტერლინგს აღწევდა, მაგრამ ინდოეთს რომელი ქვეყანა მიედრება აბა დემოკრატიის მხრითა და კუთხით. აი, მიზეზი თუ რატომაც იყო აგეთი ბობოლა გვამის ნაშიერი ამ ჩამოტყაულ ბავშვებში გარეული.

- ინდუსებიც[1] პანტასაკით ჩამოხვავდნენ ზამ-ზამიდან, მუსლიმანებმა ჩამოაბრძანეს. მამაშენი ხაბაზი იყო...

კიმს სიტყვა შეაშრა პირზე, რადგან აგნიასებული მოტი-ბაზრის მხრიდან გამოფრატუნდა კაცი, მსგავსი რომლისა მთელი დუნიის ყონაღს, ვისაც ეგონა ყველა კასტის ხალხსა ვცნობო, ჯერ არ ეხილა. ასე ექვს ფუტამდე იქნებოდა სიმაღლით, ცხენის საძაგრავი ქსოვილისაგან შეკერილი, დატალღული, მქრქალი ტანსაცმელი ემოსა. ოღონდაც კიმმა ემაგ სამოსის ვერც ერთ ნაოჭში ვერ დალანდა მისთვის ნაცნობი, ვაჭრობისა თუ სხვა რამ ხელობის კასტის ნიშანი. კაცსა მას ქამარში გაჩრილი ჰქონდა ისეთი კრიალოსანი, წმინდა ბერები რომ ატარებენ. თავზე დიდი ბერეტის მსგავსი ქუდი ეხურა. ბაზრის ხარაზი ფუნ შინგივით ყვითელი და დაშაშრული სახისა იყო. ქუთუთოების კუთხეებიდან ოდნავ ზემოთ აჭრილი ჭრუტა თვალები ფერად კენჭებს მიუგავდა.

- ვინ არის ეს? – იკითხა კიმმა და ღოსტებს მიუბრუნდა.

- კაცია ალბათ, ადამიანი! – უსაზმნოდ გადაუგდო სიტყვა აბდულამ. ესა თქვა და თვალები გადმოქაჩა, თითი ჩაიჩარა პირში ჩაროზით ღუქნადარის ჯიშმა და მოდგმამ.

- ეგ ხომ ეგრეა, - დაყაბულდა კიმი, - მაგრამ გამოტეხით გითხრათ, ასეთი ინდოელი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია.

- იქნებ ქურუმია? სიტყვა შეაწია ჩხოტა ლალმა, თვალი ჰკიდა რა კრიალოსანს, - შეხე, სასწაულთა სახლისაკენ გასწია.

- დაიცა, დაიცა! – თავი გააქნია პანჯაბურად მეტყველმა პოლისმენმა. – რა ვქნა, რომ თქვენი ენისა არაფერი მესმის. ეი, მთელი დუნიის ყონაღო, შენ მაინც მითხარ, რა სულიერი გვეწვია?

- აქეთ მოასწავლე, - გასძახა კიმმა, შიშველი ქუსლები გააელვა ჰაერში და ისკუპა ზამ-ზამიდან.

ბერიკაცებს დაბნეულობა დაეტყო. იგი უხერხულად შეტრიალდა და გაემართა ბიჭებისაკენ. მოხუცის შალის მოსასხამს ჯერაც უდიოდა მთის ხევების ნეშომპალას უსიამო სუნი.

- ო, ბალღებო, მარქვით თქვენს გაზრდას, ეგ რა სახლია? – იკითხა მან გამართული ურდუ ენით.

- აჯაიბ გჰერი, საოცრებათა სახლი გახლავს. კიმმა, პასუხობდა რა მოხუცს, არც ლალა უწოდა მას და არც მიანი,[2] რადგან ვერა და ვერ გამოეცნო რა რჯულისა იყო უცხო სტუმარი.

- აჰა, საოცრებათა სახლი? შეიძლება შიგ შევაბიჯო?

- კარზე აწერია, რომ ყველას აქვს ამის უფლება.

- მერედა უფასოდ?

- ფულის ტომარა როდი ვარ, მაგრამ შევდი-გამოვდივარ როცა მომესურვება.

- დავბერდი, დავჩაჩანაკდი და რა გასაკვირია, რომ ვერ გავერკვიე. – მან კრიალოსანი ჩამოკაკლა და მუზეუ-



მისაკენ შებრუნდა.

- რა კასტას ეყუდენი? სად გიდგას სახლი? შორიდან მოხველ? – გადმოაფრქვია კიმმა კითხვები.

- კულუდან მოვალ, კაილასიდან, ოღონდ ნაკლებ გეცოდინებათ ეს ადგილები. მთიანეთიდან მოვემართები, აქ მან ღრმად ჩაისუნთქა. – სადაც ჰაერი და წყალი ახლად-ახალია, ცინცხალი და ციე-ციური.

- აჰა! ხიტაი[4] ყოფილა, - ამაყად წარმოთქვა, თავის მიხვედრილობაში დარწმუნებულმა აბდულამ. ეგ არ იყო ფუნ შინმა რომ გამოაპანღურა თავისი ღუქნიდან, რაკიღა ამ ბედოვლათმა კინაღამ ზედ დააწიტა ფეხსაცმლებს ზემოთ დაყუდებულ ღვთაების ქანდაკს.

- პახარია, პახარი[4] – აბუტბუტდა პატარა ჩხოტალალი.

- ჰე, შვილო ჩემო, მთიელი ვარ, მთიანეთიდან, სადაც შენ ვერასოდეს შეაღწევ. გსმენია ბჰოტიალის[5] შესახებ? მე ხიტაი კი არა, ბჰოტია ვარ, ლამა, თქვენებურად – გურუ, რახან გწადს იცოდე.

- ტიბეტელი გურუ?[6] – გაიოცა კიმმა. – ასეთი კაცი, რაც მართალია ჯერ არ მინახავს. ნუთუ ინდუსები ტიბეტშიც არიან?

- ჩვენ მშუვალი[7] გზის მიმდევნი ვართ, ყუჩად ვმყოფ ლამასერიებში, მე კი იმ ფიქრით წამოველ, იქნებ აღსასრულამდე მოვეხილა ოთხი წმიდა ალაგი. ახლა კი, ბალღებო, თქვენც იმდენივე უწყით ჩემს გამო, რაოდენიც მე, თმათეთრმა მოხუცმა; და მან გულთბილად

1.ინდუსი (ინდ.) – ბრაჰმანიზმის განშტოების, ინდუიზმის მიმდევარი.
2.მიანი(ინდ. –ბატონი მუსულმანისადმი მიმართვისთავაზიანიფორმა.
3.ხიტაი (ინდ.) – ჩინელი
4.პახარი (ინდ.) – უცხოელი
5.ბჰოტიალი (ინდ.) – ასე უწოდებენ ტიბეტელები თავიანთ ქვეყანას
6.გურუ (ინდ.) – მოძღვარი
7.მშუვალი (ქართ.) –საშუალო ასკეტიზმსა და ჰედონიზმს შორის.

გაულიმა პატარებს.

- მომხეული[1] იქნები?

ლამამ უბეში მოაფათურა ხელი და იქიდან ამოაძვრინა მოწყალების სათხოვნელი, კიდეებმოცვეთილი ხონჩა.

ბიჭებმა თავი დაუქნიეს ნიშნად იმისა, აქაოდა ჩვენც ხალხნი ვართ ქვეყანაზე და მაგ ხონჩა-ტაბაკსაც პირველად როდი ვხედავთო. ყველა მათი ნაცნობი ქურუმი ხომ მოწყალებას თხოულობდა.

- არა, ახლა ლუკმაც არაფერი მინდა. – მან კისერი

- კიმმა გაიცინა. – ნეტა ვიცოდე რას მიედ-მოედებით. ეს სხვა კაცია. აბა, მოუსვით დედიკოებთან და მათი კაბის კალთაში შერგეთ თავი. მერე იგი ლამას მიუბრუნდა, - წავიდეთ.

ბიჭმა ტკაცუნით მიაბრუნა მომსვლელთა თვითმრიცხველი ტურნიკეტი.

მოხუცი ფეხდაფეხ მიჰყვა მას, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი მუზეუმში გაოცებისაგან ადგილზე გაშეშდა. შემოსასვლელში აღმართულიყო ბერძნულ-ბუდაური ქანდაკებები, შექმნილნი უცნობ და მივიწყებულ სახის-



ისე მოდრიკა, როგორც სჩვევია ხოლმე ბებერ კუს, როცა მზეს უშვერს ხოლმე თავს.

- ერთი მითხარი, მართალია, რომ ლაპორის საოცრებათა სახლში ბევრი წმიდა ხატი ინახება? – იგი ამ სიტყვებს ფრთხილად წარმოთქვამდა, ემანდ არაფერი შემცდესო.

- მართალია, - მიუგო აბდულამ. – ის სავსეა წარმართული ხატებით. შენ რა, კერპთაყვანისმცემელი ხომ არა ხარ?

- მაგას ყურს ნუ უგდებ, - მიმართა კიმმა ლამას. – ეს მთავრობის სახლია და აქ რა უნდა კერპებს, აქ მხოლოდ თეთრწვერა საჰიბია.[2] წამოდი გაგაცნობ.

- გადამთიელი ბერები ბავშვებს ჭამენ, - წაიჩურჩულა ჩხოტა-ლალმა.

- ჰოდა, ეგეც უცხოელია და ბუტ-პარასტი.[3] – კვერი დაუკრა მუსულმანმა აბდულამ.

1.მომხეული (ქართ.) მომშეული
2.საჰიბი (ინდ.) – ბატონი
3.ბუტ-პარასტი – კერპთაყვანისმცემელი
4.აღალმა (ქართ.) – ქანდაკება
5.სტუპა – ბუდისტური არქიტექტურული ნაგებობა (თაღის ფორმის). გადმოცემის მიხედვით აქ ინახება ბუდაელ წმინდანთა ნაწილები
6.კვიჰარა (ინდ.) – ბუდაური მონასტერი
7.დევი (ინდ.) – ბოროტი არსება
8.ბოდისტავა (ინდ.) – ბუდაური რწმენის მიხედვით, ბუდამ, ვიდრე მეუფედ გარდიქცეოდა, განიცადა რამდენიმე გარდასხეულება; ერთერთი გარდასხეულების ჟამს იგი ბოდისტავა იყო.

მოქმედთა მიერ. სწავლულთ უწყიან თუ რა დროს შესძინა მათმა გრძნეულმა ხაელ ამა აღალმებს[4] ბერძნული იერი. აქ იყო თავმოყრილი ასობით ექსპონატი: ფრიზები, რელიეფური ფიგურები, ქანდაკთა ფრაგმენტები, ფილები ზედ ამოკვეთილი ფიგურებით, ოდესღაც რომ ფარავდნენ ჩრდილო ქვეყნების ბუდაური სტუპებისა[4] და ვიჰარების კედლებს. ახლა კი ეს ამონათხარი და იარლიყებდაკრული ფილები მუზეუმის სიამაყე გახლდათ. გაკვირვებისაგან პირღია დარჩენილი ლამა ხან აქეთ მიტრიალდებოდა, ხან იქით. ბოლოს იგი შეჩერდა დიდი გორელიეფის წინ და აღფრთოვანებული მზერა მიაპყრო მეუფე ბუდას გვირგვინის დადგმის გამოსახულებას, აპოთეოზს ამ დიდმნიშვნელოვანი ამბისა. მოძღვარი დაბრძანებული გახლდათ ლოტოსზე, რომლის ფოთლები ოსტატს ისე ღრმად ამოეჭრა, ფილისაგან გამოცალკევებული გეგონებოდათ. ბუდას გარს ერტყა თაყვანისმცემელ მეფეთა, უხუცესთა და ძველთა ბუდათა მთელი იერარქია. ქვემოთ ჩანდა ლოტოსებით, თევზებითა და წყლის ჩიტებით მოფარული ტბა. ბუდას თავს ზედან გვირგვინი ეკავა ორ, პეპლებისგვარად ფრთებგამოსხმულ დევს[7] ორ სხვას მოჰქონდა ქოლგა, წვერზე რომლისა ჩინობდა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბოდისტავას[8] თავსაბურავი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ლექსსდანდობილი

ვისაც სამოცდაათიანი წლების "ირმის ნახტომი" ახსოვს, არც ის დაავიწყდებოდა, თუ რა ნიჭიერი ლიტერატორები დაჰკანკალებდნენ გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" ამ ჩანართს.

თვით ასეთ - ცენზურით გაცრილ გაზეთში - შექმნილი ეს ეროვნული ოაზისიც კი სულმოთქმის ერთგვარ საშუალებას აძლევდა ახალგაზრდა თუ დამწყებ ხელოვანთ.

ლაშა გახარია – თავადაც ახალგაზრდა პოეტი და ჟურნალისტი – თამამად უკვალავდა გზას ახალბედა ხელოვანთ და, ბევრი მათგანი მართლაც რომ, ჩინებული შემოქმედი დადგა. აქვეყნებდა მათს ნაწარმოებებს და, საკუთარზე ნაკლებად ზრუნავდა.

გადიოდა წლები. ლაშა მთლიანად ჟურნალისტურ საქმიანობას მიეცა და, დაიწყო კიდეც "ძველ რვეულში ლექსის მოწყენა",.. თუმცა, მისი ადრინდელი ლექსები მაინც გვახსოვდა "პირველი სხივიდან" თუ უბის წიგნაკებიდან.

და აი, ბედმა კვლავ შეგვახვედრა, კვლავ მოგვაწყურა წყაროლექსები!...

როცა სიყმაწვილე ჩავლილია, ბავშვური უხერხულობანიც ქრება და, ბუნებრივად მჟღავნდება ის, რაც წლებს მოუწურავს და ერთ გულს ვერ დაუტევია!

ასე მოხდა ამჯერადაც: ერთ საინტერესო სალონურ საღამოზე ისეთი ლექსები წაგვიკითხა... ბევრ ცნობილ პოეტს რომ შეშურდებოდა!

არაფერი აკლდა ამ ლექსებს: თემატური მრავალფეროვნება თუ ვერსიფიკაციული სიახლე, მხატვრული სახეები თუ მეტაფორული ხატოვნება... და, რაც მთავარია, გულის სიმები!

იაპონელი დრამატურგის ტაკიმაცუს აზრით, ხელოვნება იმის ძნელადშესაცნობ ზღვარზეა, რაც არსებობს, და იმისაც – რაც არ არსებობს.

ლაშაც ამგვარ ზღვარზეა და შესანიშნავად აკავშირებს ისეთ ცნებებს, რაზეც ბარე ორი ჩაიქნევდა ხელს. არსებული, მაგრამ ჩვენგან დაუნახავ-გაუაზრებელი, მეფსეულად იელვებს ხოლმე მის სტრიქონებში და უკვე ჩვენია – სამახსოვრო ფოტოსურათივით!.. და თუ "სიყვარულის პირველი გუნდა გაუსროლელი შემორჩა ხელში"... ეს მისი ბედია. აი, სოლოლაკის ის ქუჩა კი "...ციდა, როგორც ხვანცა კუდი კვიცის" – მთელი პოეტური გამზირია, რომელსაც არც მთვარის ბლიცით გადაღებული პალმის სიმორცხვე აკლია და, აღარც – ყავარჯნიანი შემოდგომის ჭრელპაჭიჭები, არც თოვლის სველ გუნდას მიჩერებული ქალის ცხელი მზერა და აღარც... ლექსის ძმებისადმი ვედრება!..

საბრალისია შემოქმედი, რითმების წვიმაში ვერლიბრს რომ შეჰფარებია, მაგრამ... არანაკლებ საწყალობელია ისიც, ვინც რითმას ისე დაჰყავს, როგორც ბრმა მხედარი ცხენს. ამას ვერ ვიტყვით ლაშაზე. ჯერ ერთი, იგი ცეცხლივით გაურბის ვერლიბრს და, რითმას ისე ატარ-ათამაშებს, როგორც ნაცადი ჯომარდი ბედაურს. თვით გაცვეთილ თუ სხვათა უღლიდან გამოხსნილ რითმებსაც კი თავის უღელში აბამს.

და "*თუ პოეზია ვერ დამალვა და გულის ამოსროლაა... ბედისწერული*!.." ლაშაც მხარულით მიჰყვება ბედის მდინარეს და ნაპირს არც გაჰყურებს. მან კარგად უწყის, რომ... ადგილისდედასმოწყვეტილი კაცი ბევრს ვერაფერს შეჰქმნის ღირებულს და ტიციანის კალმახივით ლაყუჩახეული შემორჩება რიყეს! ამიტომაც არ გაჰმზერს ნაპირს – წყალწაღებულივით.

ადგილისდედა უალაგოდ არ მიხსენებია. მის ლექსთა უმეტესობას კოლხური მოტივი ასაზრდოებს.

"ხატაური" ახლაღა აჭაშნიკებს ლაშას ლექსებს და, აქ წარმოდგენილი ციკლიც, თითქოსდა, ფუნჯის ოსტატის მიერ შექმნილი... ავტოპორტრეტია პოეტისა.

ცრემლსა და ღიმილს შორისაა არსი ყოველი შემოქმედისა. ბედმა არც ერთი დააყვედრა მას და, აღარც – მეორე. მართლაც რომ, ამგვარ ბეწვისხიდზე იარა ამ კაცმა – უკიდურესი სიხარულიდან - უკიდურეს წუხილამდე!...

ამად ეევედრება მისი ლირიული გმირი უბნის მეწაღეს: "*ძმაო, იქნებ, გამიკერო ლანჩა, ჩაღმართამდე ცოტა კიდევ დამრჩა*!" ეევედრება და, უარს ამბობს ახალ ხამლებსა თუ ყირხის წუღა-მესტებზე.

ანდა... რაში სჭირდება? წინ ხომ... ღამის ბილიკია!

ცრემლით განბანილი სული ჯკვრივით "შასჭამს და დახრეკს" ხოლმე სხეულს, რათა ერთხელ მაინც იგრძნოს ფრთალაღობა და სიმსუბუქე, ერთხელ მაინც გადმოხედოს იმ გახრულ ძვლებს და ჩამოსძახოს: მანდ ეყარე, ბარს ქარი მოიტანსო!...

"და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა"...

მანამდე კი მთელი პოეტური აღმართ-დაღმართებია!....

ერეკლე საღლიანი

ნაადრევი მგზავრული

უბნის მეწაღეს – გასამრჯელოდ

ძმაო, იქნებ გამიკერო ლანჩა.
ჩაღმართამდე... ცოტა კიდევ დამრჩა.
ქარიც შემხსენ, მერე რა, რომ არ ჩანს,
თოკს, ხომ იცი, არ ატანენ დამრჩვალს.
ვინძლო, ჩქარა გამიკერო ლანჩა!

მისაშველე, თორემ... გული მიმდის.
სულიც მიმდის – წუთისოფლის მინდი.
მკვდრისმზემ უკვე ჩამობერტყა შინდი,
მალე ჩავა და ამოვა ბინდი.
ჩქარა, თორემ... ზიარებაც მიმდის!

ნუ გამიშვებ ამ არღვეულ ლანჩით
და ქარ-ბაწრით, ასე ვაინაჩრად.
ბოლო ვალი გავისტუმრე ხანჯლით
და სახარჯო ქამარიღა დამრჩა.
ნუ გამიშვებ ასე ვაინაჩრად.

რაო, ახლებს შემიკერავ ხამლებს,
რომ თავიდან ვცვითო დღე და ღამე?
არა. ჯღანებს დამიკერე რამე.
ჯაგლაგსაც ხომ ძველს აჭედენ ნალებს!
ახლებს ნუღარ შემიკერავ ხამლებს.

თუ ბალღებმა მოგაკითხონ ხვალ-ზეგ,
ნუ შეიყრი მაგ წურბელა წარბებს.
ფეხშიშველა ნუ მიტარებ გზაზე.
რაღა დარდი... მადლი დადე ქვაზე.
იქ რომ მოხვალ... არ დაგაწვენ ნარზე.

ჩქარა! ჩქარა გამიკერე ლანჩა,
თორემ...ღამის ბილიკიღა დამრჩა!

ნუ გამატან ყირზის წულ–მესტებს,
მე რა ვიცი, რა უხდება ქვესკნელს!
აქ ჩააცვი ფეხშიშველა ფრესკებს.
მეც მაცხოვარს ვუსაკურთხებ ლექსებს.
ნუ გამატან ახალ წულა-მესტებს.

ამ ბოთლისკენ ნუ აცეცებ თვალებს,
ორნახადი ცრემლებია მწარე,
შვლაპ ღვინოზეც ვეღარ გადავცვალე.
თუ არ დალევ... განა დაგაძალებ,
თან წავიღებ, იქ ჩამოვდგამ, ხვალე.

აწ წავედი და დამირჩი კარგად.
არ დავეძებ, რაც აქ დამიკარგავს.
მამა იქაც წამოდგამდა ჯარგვალს.
დედა წერწეტ ჩოხას მომიქარგავს.
აწ წავედი... და დამირჩი კარგად.

ცალფად მაინც გამიძაფე ლანჩა,
თორემ უკვე ის ბილიკიც არ ჩანს!..

ცრემლის წერტილი

"სოხუმში მოსალოდნელია წვიმა"

გურამ ოდიშარია

სოხუმში დიდხანს იწვიმებს, გურამ.
ცოდვის ღრუბლებმა ასე იციან.
ის პალმის ქალი და გედი სურა
თვალმა სარჩევშიც ვერ მოიძია.
ალბათ, ხმებიან დაჭრილი ხენი –
ვეღარ არწევენ მთვარეს სნებიანს.
იასამნებიც, თავშეუხვევნი,
ცრემლა მტევნებით ცას აშრებიან.
გახსოვს, ბოლო დღე: პარკინსონიან
ზღვას რომ კანკალით მიჰყავდა ბავშვი...
და მონაზონმა კვიპაროსმა სველ
ხელთათმანივით წაიძრო შაშვი.
ნაღმის ქოლგები თუ გახსოვს?.. ის ცა
კვლავ სიზმარ-სიზმარ დამაქვს ბეჭებით
და მენანება სხვის თითზე რიწა –
გაწბილებული სასძლოს ბეჭედი.
და მენანება ის კოინდარი,
ის ალმასხანი, მყნობა, ის ხამი...
და რიჟრაჟივით ჟრჟოლვა კოდორი, -
კალმახები რომ სხია სისხამი.
იქ, ალბათ, ისევ წვიმს და ქარია,
უხსენოდ ჭკნება კვირტი და კერტი.
ასე გაუშრა ძუძუ მარიამს,
როცა კალთიდან გადმოსვა... ღმერთი.
შრება, კალამსაც ვერ გააქვს პწკარი,
ვით გუთნეული დაღლილ წეროებს.
გაგრის პანაშვიდს ვერ დავესწარი...
გასასვენები მყავდა მეორე.
დავჩერებივარ სტრიქონს, ნაკიანს,
თითს რომ აყოლებს ნოსტრადამუსი...
შენს წიგნს წერტილი აღარ აკლია,
მაგრამ... სამძიმრის ცრემლიც დავუსვი.

აწ...

მეზობლის გოგომ
შეიგვიანა...
ვეღარ იპოვა...
ამწყდარი ღილი.
გაზაფხულია...
წუხელ ნიავმაც
ჩვილ ალუჩაზე
მოიჭრა კბილი...

აწ ორთავენი ერთად ივლიან.
სიყვარულია
ისეთი ხილი...
კვლავ გაუტკბება
ალუჩა ნიავს,
კვლავ ააწყდება გოგონას ღილი...

ამო იარა

სტუდენტმა გოგომ
იის კონებით,
ვარაზისხევი ამოიარა.
ჩაიღიმილა თავმოწონებით,
ამ ნასესხებზე...
მამსხმოიარა!

გახსოვს,
მაშინაც აქ გოგონებდი...
მაგრამ...
სიბერის გამო
კია არა...

ნაწვიმარზე

მეც მყვარებია გოგო,
მაგრამ ეს იყო წინათ.
ახლა ისე ვარ, როგორც....
გადაღებული წვიმა.

* * *

შრიალებს დილის
თალხი ფურცელი.
ვხედავ, თალხია
საღამოსკენაც.
მხოლოდ დარდის ცა
დარჩა უცვლელი
და... ძველ რვეულში
ლექსის მოწყენა.

ყივჩაღის მონანიება

ვაი, რა ცუდი ყოფილა
ცოლზე ქართველის ცილობა...
თავქვეშ თოქალთო მიდია,
ათასგანა მჭირს ჭრილობა.

ვაი, რა მწარე ყოფილა
სხვისი მიწისა შვილობა!

ირმის ტყავისა სანაცვლოდ
ჭინჭარში გდება, ტიალად,
ხელუკუ ჩამორთმეული
ძმურად მოწვდილი ფიალა,

მაგრამ... თუ ქალმა გაცდუნა,
მაგრამ... თუ გულმა იალა,
სისხლმა იყივლა,
აგჩინჩხლა,
თივისებრ აგაბრიალა!..

ხორცი ხოხბისა კი არა,
პური-თავთუხის კი არა,
ღვინო - ბადაგი კი არა...
თმის ერთი ღერიც მოგარჩენს,
ათასიმც გჭირდეს იარა!

ვაი, რა ძნელი ყოფილა,
ქართველთან ცოლზე ცილობა!
ქვიშას ვჭამ მუხრანისასა,
ათასგანა მჭირს ჭრილობა...

სასაფლაოზე

თაია* უქმი მთის ეკლესია.
წყაროზე გრილად დახრილა თუთა.
მტკრიან შარაზე დის პროცესია
და მიაქვს კუბო ცასავით სუფთა.
საღამოვდება. შორი დობერით
დაჰბრუნავს ორბი ცას უყავაროს.
გაჭრილ საფლავთან ზის დედაბერი
და უნიავებს გვიმრის მარაოს.

*თაია სოფელი სამეგრელოში

სინანული

მეულლეს

შემინდე,
რომ ვერ გიძღვენ ამ შობას
შეპირებული ციცქნა კრებული.
გარეთ ხომ
ისევ ლაღობს ბავშვობა –
ნათხოვარ ციგით გახარებული!

ნუ იტყვი: რომ ვერ
მიტან ჭიქიანს,
რომ დენდ პოეტებს
ფულს ვესესხები...
მოდი და ჰკითხე
შუკო ჯიქიას,
თუ ჭიქა არყად
ღირან ლექსები!

ვიცი, რომ ოჯახს
დიდი კუჭი აქვს –
ვერ დაანაყრებს მწირი ჯეჯილი
და ეს ლექსიც ხომ
სტამბის ჭუჭყია -
გულიდან ლუკმად ამოგლეჯილი!
მაგრამ... აქ, სულში,
სულ სხვა ლექსია –
ყრმა მოცარტივით
ჰანგთა მთოვარი,
ამაღლებული, ვით ეკლესია
და წამებული, ვით მაცხოვარი.
ჰოდა, ნუ მყვედრი,
თუკი ამ შობას
ვერ მოგახარე ლექსთა კრებული, -
გულწრფელი, როგორც შორი ბავშვობა
და უკვე... ჩემებრ გაფითრებული.

ცხელი ბოდვა

გიორგი ნადირაძეს

გიორგი! მაგრამ...
მაინც ასანა!
ვკვდები...
მედეა მიფცქვნის
მანდარინს.

შენთვის სალექსე
მქონდა მასალა,
ვშიშობ...
არ დამრჩეს
გაურანდავი.

ვიცი,
სათოფედ არ გაიკარებ
ხორკლიანსა და
უშალაშინოს.

ვინ წააწერა sesam...
იმ კარებს?

ძმაო, ამ ბოდვამ
არ შეგაშინოს.

წუხელ სიკვდილმა
ჯამი მიხაკა...
ცოტაც მაცალა,
მჭლეს და სიცხიანს.

მერმე მესროლა
ცეცხლი-მიხაკი, -
გულისჯიბეს რომ
სწვავდა ტიციანს!

წყურიშ–ჩერია,
წყურიშ–ჩერია...
ქარს ალის თმა და
ჭინკებს - არული!
ისევ გრიგალი
და მისტერია,
თუ უნაღებო
ცის სიყვარული!
ისევ უმზეო დღე,
ნისლიანი,
თუ საოცნებო
ჭორვილის ზეცა!–
ისე თბილი და
ალერსიანი, -
დედა რომ
საბანს შემოგიეცავს.

ვაჟას

რამ გათქმევინა, მაშვრალო,
რად არ მოველო წვიმადა?...
ამხელა დარდით გამშრალო,
რა ჩამოგშლიდა მძივადა!

ღირდა კი წუთისოფელი,
შენ რომ ინატრე, იმადა?!

ნიკო სამადაშვილს

შენ, ძმაო, გატყობ...
მართლა შარზე ხარ,
ან საყდრის ჩიტი
გიჟივის თავში. –
რაღა ამ მკაში
ახარბებ მზეს ხარს...
ისედაც ღამე
გაგყმუის ყბაში.

ისე დაცლილხარ
ლოთის ბოთლივით,
ვერ აგავსებენ
ეს ვენახებიც...
ასე ლექსებად
ტანგაფოთლილი
ვერც "დიდ ბატონებს"
დაენახები.

აგბრუნებია
ბედის ურემი
და აწ ღვთიშობელს
სთხოვ პატიებას,
რომ წმინდა ნინოს
ნაფეხურები
სხვას დაუკრიფე
სისხამ იებად.

და ხარ
ამ ართვალ
რითმების თვლაში,
საანგარიშოს
გართობს ჩხაკუნი.
თუ შეხვიდოდი
ორჯერ ტანაში...
ვერ იმისნებდა
თვით ორაკული.

აბა, რა გითხრა
ამაზე მეტი:
\ან რას გარგია
სხვა ეპოლეტი\
ქრისტესისხლაზე
შენც შეგრჩა წვეთი
გაუხარელი ერთი პოეტის.

თეთრი

აპნისის დილამ ისევ დამასწრო,
გაზმორება და თვალის გახელა.
მალე გამოვა ქუჩა საბაზროდ

ფიროსმანი რომ ჰქვია სახელად.
ჩამოურბინა უკვე მალაკნებს,
ჩამოატარა იის კონები,
სარუსთაველოდ ირჩევენ კაბებს
ხატპეპელები და გოგონები.
ამოიკრიფა ნისლი ხევიდან,
ურცხვი სარეცხი თოკზე ქაქანებს,
ჩამოიარა თეძოს რხევითა
მზერით თარგმნილმა ჩემმა შაგანემ.
მწყრალად გახედა მუშტივით ბოქლომს
და სხვა დუქნისკენ წაშავდა ლოთი...
რა ლამაზია მემაწვნე გოგო
ეს თეთრი დილა რომ დააქვს ქოთნით.

წერილი დედას

წუხს მაგიდაზე შენი ბარათი, -
შუბლის ღარებით საგსე და ჩუმი.
წუხს... მაგიდაზე შენი ბარათი, -
ასდის ქინძის და ომბალოს სუნი.
ღამეა, დედი, ბეუტავს სანათი,
სიზმრის კვირტები უსკდება თბილისს.
თვლემს მაგიდაზე შენი ბარათი, -
შენი ჩაკრული მჭადივით თბილი.
ვხედავ: ჩაგიდგამს ცეცხლში ქოთანი,
ძლივს ერთი წველა ამოგყავს ყველი,
მამას აწვალებს ფიქრი ბედელზე...
კვამლი ისლიდან პირველ თოვლს წველის.
მამაც კვამლივით ეკიდა გუთანს, -
მიწას ლოცავდა მარცვლიან პეშვით.
მე სიყვარულის პირველი გუნდა...
გაუსროლელი შემომრჩა ხელში.
მწერ: ჩამო, შვილო, თოვლი გაკვალე,
დაგენაყეო წამლად მშობელი,
ავი სიზმრების შიშით ვკანკალებ,
თვალზე ცრემლი მაქვს შეუშრობელი.
ჩამოდი... მრავალს შეიტყობ ამბავს,
აქაც ბევრია გასახედავი,
აქაც მოასწრებ მაგ ლექსის ჯღაბნას,
ან წამაკითხა... რას წერ, ნეტავი!..
ჩამოვალ, დედი, მენდე ამაში,
გაიჭრიალებს ჩვენი ჭიშკარიც
და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში
გადაიცხადე ყველა სიზმარი!..
ჩამოვალ, დავთმობ ფიქრს ნაწანწალევს,
მამას გავყვები ჩვენს საფუტკრეში,
ოღონდ ეს ერთი ლექსიც მაცალე, -
სულის კვამლი და გულის ნუგეში!..
ოღონდ, ნუ მყვედრი, ბეუტავს სანათი.
სიზმრის კვირტების ფაჩუნი მესმის.
თვლემს მაგიდაზე შენი ბარათი
და კალმისწვერზე ილევა ლექსი...

ლექსის ქუჩაზე

სოლოლაკში ერთი ქუჩა ვიცი, -
ციდა, როგორც ხვანცა კუდი კვიცის.
იქ სკვერია - კვერცხისხელა ციცრის
და ჭიშკარი გალანცული ფიცრის.
იქ ნიავმაც სხვა ფაციცი იცის,
ვით საყვარლის მომლოდინე ქალმა.
როცა მთვარე სურათს უღებს ბლიცით...
კასრში დგომა ერცხვინება პალმას.
იმ ფინიკთან ჩვენც გვიყვარდა დგომა, -
ლექსით აცრილ მუზის ხელისბიჭებს
და ვუქებდით ჩავლილ შემოდგომას
ყავარჯნებს და ფოთლის ჭრელ პაჭიჭებს.
იწყებოდა მერე თოვლის რთველი,
დაბრილ ტოტებს ვუბერტყავდით პალმას.
ახლაც მტკივა ერთი გუნდა, სველი,
ცხელი მზერით რომ გამიდნო ქალმა.
ახლა ქუჩას სხვა სახელი ჰქვია,
ტრაფარეტზე არც ვკითხულობ ვისი.
ვერ მიხსენებს მთვრალი მალაქია, -
უბნის წეკო რომ დაჰქონდა ქისით.
ლექსისძმებო, დამიბრუნეთ ვალი...
მოდით, ისევ შევახვედროთ მთა მთას,
დამისველეთ ამომშრალი თვალი,
ნუ შემაშრობთ ამ... უთოვლო ზამთარს.

მკითხველისადმი

რაც გამოვტოვე... ნუ წაიკითხავ.
არც სარჩევს შერჩა ჩემი ტკივილი,
რითმა, რომელიც მახრჩობდა დიდხანს...
დაკარგულია, ამწყდარ ღილივით.
თავისუფალი მსურდა საყელო,
როგორც მდინარეს ჩახსნილი ხიდი.
იქნება, ასე ამოვახველო,
ჭლექიანივით, საწუთროს ბინდი.
მანამ კი ნულარ დაეშურები,
სათქმელს უცრემლოს და უკაეშნოს,
ნურც სველ ლექსებზე დამემდურები,
სულ წვიმდა, სული სადღა გამეშრო?!..

პოეტის ეჯერი ლექსი

ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნას

"მარად ახალი ქნარის:
შვიდი სიმიდან ერთის
ნაზი მინორი უკვე
მარადისობას ერთვის...

ღრმათა უფსკრულთა პირად,
სიმაღლეებში მთების,
სად მწვერვალებზე ფიფქებს
დაუკეციათ ფრთები...

სად არწივთა და ჯიხვთა
არის საუფლო ცივი,
სადაც მძინვარებს მიწყივ
შლეგი ზვავების მძივი...

იქ, იმ ბურუსში თოვლის,
ხიფათისაგან ფლიდის,
გაუჩინარდა ზურაბ
ჯაფარიძე და მიდის...

საით, პოეტო, საით,
საით, კაცო და ძმაო,
ქართულ სიტყვის და ლექსის
დაუშრეტელო ზღვაო.

გიხმობთ, ამაოდ გიხმობთ,
გეძებთ, ამაოდ გეძებთ,
რატომღა გვტოვებ, თუკი
ერთხელ გვითხარ და გვეძმე.

ვინ მიგიტყუებს ეგზომ
ცერი ბილიკით, მალით,
ვინ მიგიძღვება, ბიჭო,
ოჩოპინტრე თუ დალი.

რა ბედისწერა გმართავს,
რა განგებაა, გვამცნე,
რა ბედაურზე შეგსვეს,
რა შესამოსელს გაცმენ.

რომ ამნაირად უცებ,
მოულოდნელად, ზარით,
ცრემლი გვაპკურე ყველას
და მოიხურე კარი...

მიხეილ ღანიშაშვილი

ოთახი, სადაც ჩემს ფიქრებს ღვიძავს,
შიშს და სიჩუმეს ვეღარ იცილებს,
სადაც ამხნევებს შვილობილს ძიძა
და ფეხშიშველა დაძრწის სიცივე...
სივრცეს აწყდება თავაწყვეტილი,
ქარის რისხვა და ტალღის სიმლაშე,
და ვდგავარ, როგორც მრავალწერტილი,
სიზმარისა და ცხადის წინაშე.

სევერიონ ნადირაძე

ჟურნალ "ხატაურის" რედაქცია ულოცავს 70 წლის იუბილეს ცნობილ პოეტს ჯანსუღ ჩარკვიანს და აქვეყნებს მისივე ლექსს.

საუბარი შვილთან

რაო? აღიტყუე? – ენა ამოიდგი?
ადრე არ ისწრაფვო,
ადრე არ აღიკარვო.
დღეს თუ ხვალ აღტყინება გამოგივლის,
აღესრულე და ახლოს არ გაიკარო.

ქვითა და კირით
შეკიბული გაქვს აღსავალი,
ბაქან და ბაქან
მოდის შენი ხარისხეული,
შენ როცა გაჩნდი,
შენი წილი ქვა და სამარე,
შენ უკვე დაგხვდა ღრუბელივით განრისხებული.

არც აღმატება,
არცა შვილი, ოქროს ლაგამი,
მხოლოდ აღმართი,
ისიც, ისიც მხოლოდ ყაფარი.
შენივ რჯული –
სხვა ვერავინ მოქცემს მაგალითს,
შენივე სხეული –
შენივე სულის თავშესაფარი.
ელოდე ასე
და გჯეროდეს, მაინც ამოვა –
ოდეს საცისკროდ,
ოდეს ღამით, დღისით ოდესმე,
შენ ხარ შენი სხეული და
თავი წყალობა,
მე კიდევ, შენთვის სიტყვა მეთქვა,
მისთვის მოგესწრე.
თორემ მე წავალ,
მელოდება მთების ხანძარი,
მე რწმენას ჩემსას,
რა თქმა უნდა, აღარ შევიცვლი,
გადავაბრუნე
ჩემი ქვა და ჩემი არძანნი...
მოჩანს აღმართი?!
მიდი, შვილო, აბა შენ იცი!

დამძახებელი არ არის

გაფრინდაული – ვარ. ბერი ლუხუმი – ვარ,
ლელა ბაჩლელი – ვარ, სიკვდილი მინდა ალალი,
სანათა სანთელს აანთებს, სანათა საკლავს კლავს,
ტყუილად გასცქერს გზას, დამძახებელი არ არის.
ბახტრიონ გალავანზედა, მაღალზე მაღალ მთაზედა,
გაფრინდაულის გვარისა ისევ გადიფრენს ზეზვაი,
მაგრამ ძველისძველ გზაზედა, მაგრამ სანიშნო გზაზედა,
ბატკანი მოდის მარტო, ყელზე ჰკიდია ეჟვანი.
არაფერი არ შეცვლილა, სულაც არავინ დაღლილა,
ასიათასჯერ შობილა ძველი ჭირი და სამხილი,
ციხის ქონგურზე შემდგარი იმედი გეზვერავს მაღლიდან,
არავის დაჩლუნგებია მზეში ნაჭედი მახვილი,
არაგვთანაც და ქსნთანაც ისევ ყველანი ვართ;
ვინც ვიყავთ, ისევ მოვედით, სიკვდილი გვინდა ალალი,
თეთრსაც ჩავიცვამთ, ჭრელსაცა, მტრისას გავყვებით
კვალს,
მაგრამ არავინ ჩანს, დამძახებელი არ არის.

ლალი თოთაძე

* * *

ყოველ ღამ მათრობს – შრიალი ხეთა,
ფშავის არაგვის ვერცხლის
ტალღები...
რას ხედავს, ნეტავ,
სიზმარში მცხეთა,
როდესაც ჯვართან წამით ვმაღლდები?

სად მიაქვს სევდა უკუნის ქარებს
მტკვართან დაძენწილ მტირალ
ტირიფის,
ან რა აჟრჟოლებს დერბენტის კარებს
გელათში დიდი მეფის ძილისპირ?!

რა ტკივილი გვწვას ჩვენთაგანს, როცა
მიწაში შრება წინაპრის ძვლები
ავადმბრუნავი არ გვინდობს დროც და
ავადმთრგუნაეი არ გვზოგავს წლები!

როცა მამული თავის შავ სვე-ბედს
კბილით ღრღნის, როგორც ტაიჭი
აღვირს,
გულს მოიგლეჯავ მკერდით, ვით სველ
ბელტს
და მოთმინების ფიალას დაღვრი.

ღამით კვლავ მათრობს ღიღინი ხეთა
და მთის არაგვის ვერცხლის
ტალღები...
გამაგებინა უფალო ნეტავ
რად შეჰყმუიან მთვარეს ძაღლები?

მიხეილ ზანდუკელი

მგელი

დაღამებიდან განთიადამდე
ანათებს ჩემი თვალების შუქი.

მე მივდევ ქედებს
მშიერი და კისერგაწვდილი.
გავეკიდები ხეობიდან
ამოსულ ნისლებს,
რადგან მგონია,
რომ მეცხვარეს
დაუსხლტა ფარა,
შემოეხეტა უპატრონოდ
მთის ვიწროებში.

...კბილებში ქრება
გაცრეცილი ნისლის ნაფლეთი,
ცახცაცებს მთელი
ჩემი ტანი,
"კისერი-მშვილდი",
თრთიან ფეხები –
ერთგულების მკაცრი ნიშნები.

მე აღარ მახსოვს,
როდის მოვწყდი
მშვენიერ სოფელს,
რამ გადმომაგდო
ასე მარტოდ
უსიერ ტყეში,
ან რად შეიცნო
ჩემში მტერი ადამის მოდგმამ.

მაინც არ მინდა,
მორჩილებით დავხარო თავი,
გავუყვე თეთრი სახლებისკენ
მიმავალ ბილიკს,
რადგანაც ვიცი:
მეც ძაღლივით დამაბამენ
ფარეხის ახლოს
და ვუდარაჯებ იმას,
რასაც უნდა ვმუსრავდე.

ტრისტან მახაური
1983 წ.

შუაღამის მზე

სულიკო ავჟანდაძეს

წუხელ ვიხილე,
არ ყოფილა უცხო სიზმარი,
ჩემს სიბნელეში აკიაფდა
ვით მთვარე ღამით,
და გავიოცე, და ავტირდი,
და ავმეტყველდი,
მზემ ჩემს სხეულში გაახილა
უეცრად თვალი.

ხათუნა ჟორდანია

ხალხური პოეზია

ლასტის საღობით გავღობე
შაეთ საწუთროს მზღვარია,
მიჯნა სავანედ დავასვი
სანახშო ურთხლის სარია.
გამოვიყვანე, შავწირე
უფალს უღელი ხარია,
მაგრამ რაი რა? – დრო დადგა
მამკითხა ცოდვა ბრალია.
წავყევი, რაღა მეთქმოდა,
შვილი ვარ, ჩემი ვალია,
კარგა ხანს არვის გაგეღოთ! –
გავიჯახუნე კარია.
გაველ სიკვდილის ველზედა,
ავარდა ნიავ-ქარია,
მზეკაბან – ღელვობს ყაყაჩო,
ძოწზე უხდება ხალია.
დრო-სივრცეს ბოლო არ უჩანს,
ვაპმე რა საოცარია,
არ ცხელა თუმცა ათას წელს,
აქ არ ყოფილა ცვარია,
ენდე, ი ჩემი სამხვეწრო
უღელი თეთრი ხარია.
შამამხედეს და შამზმუვლეს,
თვალთ მასდგათ ცრემლის ღვარია,
სახრე არ გვახსოვს შენგანო,
არ დაგვდგომია ძალია,
გარდავისახე პირჯვარი, -
ერთ მადლად ესეც კმარია,
ცა ისრე გამომიბრწყინდა,
სოფლის მზე მინანქარია,
დახედე უფალი ჰგიეს,
ბრიალებს, როგორც ალია!

* * *

ედემის ჩაღმა ფერდაზე
ვენახი ჩასდევს ღვთისაო,
ასხია ქარვა გიშერი,
სულ თაფლ-ბადაგი სდისაო,
გაისმის გაბმული ზუნი
სამოთხის ფუტკრებისაო,
სულ სიმღერა და გალობა
დგა ანგელოზებისაო,
ცალი მხრით მთვარე დაჰნათის,
ცალითაც ნათელ მზისაო,
მარნიდან მადლი იფრქვევა, -
სურნელი მირონისაო,
შინაით წყარო გადმოდის,
წყაროსთან ჩიტი ზისაო,
შაჰხარის ოქროს ნისკარტა
სუფევას სამებისაო.

სოფლისა ზღვაი აღძრულა
ღელვითა ცოდვისაითა,
ზედ ნაფოტივით მაქანებს
არვი გავცურო საითა,
ქვესკნელით შამყეფს ეშმაკი
ლაქარდიანის ხმაითა,
ჩამა, რას ეტანჯვინები
საწუთროს ბეხრეკ თავითა,
ბრმაა ეგ შენი უფალი,
ვერ შეაჯერებ კაითა,
სუ ეგრე გაცოდვიშვილებს,
მინამ იქნები მაითა?!
უცქირეთ ბრუნდის გაგდებულს,
მეპატიჟება საითა!..

* * *

შიო მარნიწინ ავწიდნე,
მაღლარზე ბაბილოვანი,
იგრე დაესხა დალოცვილს,
მოიდა სამფეროვანი,
ზოგი ქარვას ჰგავს, ზოგი ლალს,
ზოგი გიშრისად მთოვარი.
ზოგი ღრმად ჩამაიღვენთა,
ზოგი გამაჰყვა მრგვლოვანი,
ზოგი თავითვინ ჩუმაა.
ზოგი მგალობელ-ხმოვანი,
მავკრიფო? გული არ მაძლევს,
ისე კი რა ვთქვა, დრო არი.
იგრეა რო წამიკითხამს
ედემის ხილი რო არი!
მოდით დანაყრდით, შვილებო,
უკვე ნამდვილად დრო არი!
სხვამც დაიქადნოს ეგეთი,
ვენახი სწორუპოვარი.

მოგვაწოდა ღიღინო ცახურმა.

* * *

რა ვქნისა? ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს გარესა,
კარ ვერ გასტეხეს ძალათა,
მემრე თქვეს ჟამი მოალის:
კარ გაიღების თავადა.

საოპერო ხელოვნება

ოპერა, ხელოვნების ნაირგვარი დარგებიდან, ადამიანის განცდათა ერთადერთი საუკეთესო გამომსახველ-გამომხატველია. მისი ძირითადი სახვითი საშუალება მუსიკასთან ერთად, ადამიანის ხმა გახლავთ.

ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალი სისტემატურად წარმოაჩენს ოპერის ისტორიას, გამოჩენილ იტალიელ, ქართველ თუ უცხოელ კომპოზიტორთა და მომღერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

საქართველო სიმღერის ქვეყანაა. ამიტომაც მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი შექმნილიყო ადამიანის ხმის ისეთი განსაზღვრება, როგორიც მოგვცა დიდმა ქართველმა თეატრალმა, ილია ზურაბიშვილმა.

ამ შესანიშნავ პასაჟს მისი წიგნიდან "თეატრალური პორტრეტები" (ასე ვთქვათ, ჰიმნს, აღვლენილს ადამიანის ხმისადმი) ვურთავთ ცნობილი მომღერლისა და ვოკალის თეორეტიკოსის, პაკომო ლაური-ვოლპის ესსეს, გამოჩენილი იტალიელი ბარიტონის (საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული) ეუჯენიო პირალდონის შესახებ. ეს ნარკვევი, ვთარგმნეთ გამოჩენილი ქართველი მომღერლის, ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით იტალიური ენის სპეციალისტ გიორგი ბუხნიკაშვილთან ერთად. აქვე მოგვაქვს ფრიად საინტერესო ცნობა აკაკი წერეთლის შეხვედრისა შესანიშნავ ტენორ ლეონიდ სობინოვთან, რომელიც მოგვაწოდა ცნობილმა ქართველმა მუსიკოსმა, გივი თუშიშვილმა.

ედიშერ გიორგაძე.

ვანო სარაჯიშვილი

პორტრეტი

ადამიანის ხმას ვერც ერთი საკრავი ვერ შეედრება გრძნობის აღძვრაში... ემოციურად ნაკლებად მეტყველ ფორტეპიანოზე რომ არაფერი ვთქვათ თვით ისეთი სრულყოფილი საკრავის, შესახებ როგორიც ვიოლინოა და ვიოლონჩელა, ქედს იხრის ადამიანის ხმის წინაშე.

ეს არცაა გასაკვირი.

მაშინ, როდესაც მსმენელსა და მესაკრავეს შორის არის კიდევ სხვა, უსულო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რამ, რასაც საკრავი ჰქვია, მომღერალსა და მსმენელს შორის უშუალო, პირდაპირი კონტაქტია.



მართალია, ადამიანს თავისი ხმის გამოსაცემად მთელი აპარატი აქვს – ბგერათა იოგები, ხორხის რეზონატორი და სხვა. – შეიძლება უფრო რთულიც, ვიდრე რომელიმე საკრავი, მაგრამ ამ აპარატს ის მექანიზმური იერი არ სდევს, როგორც ყოველ საკრავს, რაც უნდა სრულყოფილი იყოს იგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს აპარატი თვით ადამიანშია მოთავსებული, მისი განუყოფელი ბუნებრივი ნაწილია, მისი სისხლი და ხორცი. საკრავი კი ადამიანის გარეთ არის თავისთავად და აჟღერდება მხოლოდ მექანიკურად, როდესაც ხელოვანი მას ხელს შეახებს.

მესაკრავესაც და მომღერალსაც საერთო ისა აქვთ, რომ ესა თუ ის მუსიკალური აზრი, რაც მათ მხატვრულ წარმოდგენაშია, თავიანთ საკრავებს უნდა გადასცენ. და სწორედ აი ეს გადაცემაა დამახასიათებელი ერთისაც და მეორისთვისაც. მე მგონია, ეს გადაცემა მომღერალში რეფლექსურად ხდება, თითქოს თვითონ იყოს საკრავი და თავისუფლად ჟღერდეს, როგორც ერთი მთლიანი ერთეული, რომლის შემადგენელი ნაწილები კომპლექსურად და თანაბრად არიან აღძრულნი. მესაკრავემ კი თავისი მხატვრული აღტყინება უნდა გადასცეს თავისთავად უსიცოცხლო საგანს, მისი არსების გარეშე მყოფს და გააცოცხლოს იგი. აი, ამ უსულო საგნის აჟღერებაში, გაცოცხლებაში, ჩემი აზრით, არის მექანიზაციის ელემენტები. და სწორედ ეს უკარგავს საკრავს სიცოცხლის იმ ნიშანწყალს, რაც ადამიანის ხმას ახასიათებს.

აკაკი წერეთელი და ლეონიდ სობინოვი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებაში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. 1861 წელს აქ პირველად ჩატარდა ქართული საღამო, რომელმაც შემდეგში სისტემატური ხასიათი მიიღო. "ქართულ საღამოებში", რომელიც ძირითადად ლიტერატურულ-მუსიკალური იყო, გამოდიოდნენ და თავის ოსტატობას უჩვენებდნენ ქართველი მწერლები, მუსიკოსები და კულტურის სხვა გამოჩენილი მუშაკები, რომელთაც დიდი მოწონებით ხვდებოდა მსმენელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საღამოებში, გარდა ქართველებისა, სხვა ეროვნების გამოჩენილი ადამიანებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, რასაც წარმოდგენილ პროგრამაში თავისებური ეშხი და სილამაზე შეჰქონდა.

ერთ-ერთი ასეთი დაუვიწყარი საღამო გაიმართა 1913

წელს პეტერბურგის სათავადაზნაურო საკრებულოში. ხალხით გაჭედილი, ვეებერთელა ლამაზი დარბაზი მოუთმენლად ელოდა შეხვედრის დაწყებას. ჰქონდათ კიდეც საამისო მიზეზი, რადგან მათ იმ დღეს ორმაგი სიამოვნება ელოდათ. საღამოს უნდა დასწრებოდა ქართველი ერის საამაყო შვილი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი მგოსანი, აკაკი წერეთელი, და მეორე ის, რომ სცენაზე უნდა გამოსულიყო მაშინდელი ახალგაზრდობის კერპი, სახელგანთქმული მომღერალი ლეონიდ სობინოვი, რომლის შესახებ რეცენზენტები წერდნენ: *"მისი ნარნარი ხმა ატოკებს სულს, ატოკებს გულს, ანეტარებს სულიერ განწყობილებას და უხილავი ნექტარით დამთვრალი მსმენელი მეშვიდე ცაზე გადაჰყავს, რათა ერთი წუთით მაინც მოსწყვიტოს იმ "საშინელებათა სამყაროს", რომელსაც დედამიწა ეწოდება".*

საღამო სობინოვმა გახსნა. მის გამოსვლას საზოგადოება დიდი ოვაციით შეეგება და მანამდე არ უშვებდა სცენიდან, სანამ არ გამოაცხადეს, მეორე განყოფილებაშიც იმღერებსო. აკაკი წერეთელი ამ დროისათვის დარბაზში არ ჩანდა... დაიწყო მეორე განყოფილება. გამოჩნდა სობინოვი, აუღერდა ბალალაიკა... ამ დროს ფოიედან გაისმა ტაშის ყრუ ხმა, რომელიც დარბაზს თანდათან უახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. და აი, განათდა ღვთაებრივი სახე მხცოვანი პოეტისა. დარბაზმა უკან მოიხედა და ფეხზე წამოდგა. აკაკის თან ახლდა "არწივისცხვირა ქეჩეჩთმიანი" თანამემამულეთა გუნდი. რომლებმაც ტაშის გრიალში მგოსანი პირველ რიგში მიაცილეს. შთამბეჭდავი იყო პოეტისა და მომღერლის შეხვედრის მომენტი. სობინოვმა მოიწადინა მხცოვანი პოეტის გაცნობა და მასთან პარტერში ჩავიდა. ეს ეპიზოდი შემდეგნაირად აღწერა გაზეთმა "შერცხალმა" (1913 წ. N27) ვინმე გალიორკამ: პოეზიამ ქნარს ჩაუქროლა, სათუთმა სიმებმა წკრიალი მორთეს და მისი იდუმალი ხმით მოხიბლული საზოგადოება ფეხზე წამოდგა. პოეტისა და არტისტის ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები – ეს ემბლემა, ორი ერის კულტურის ნათესაობის და კავშირისა, ტაშის გრიალით აღინიშნა".

სცენის რაინდები

გამოჩენილი იტალიელი ტენორი ჯაკომო ლაურიეოლპი, ვინც ერთ პერიოდში თვით ბენიამინო ჯილისაც უწევდა მეტოქეობას, მარტო ბრწყინვალე მომღერალი კი არა, ვოკალის ღრმა თეორეტიკოსი გახლდათ. მისი ნაშრომი ამ დარგის სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნებად იქცა. მათ შორის გამოირჩევა "პარალელური ხმები". იგი ავტორმა უძღვნა მომღერლებს, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს ვოკალური ხელოვნების ისტორიაში. წიგნის ერთ-ერთ თავს "მომღერალი მსახიობები" ჰქვია. აქ, სხვებთან ერთად, საუბარია განთქმულ ბარიტონზე ეუჯენიო ჯირალდონიზე, ვინც არაერთხელ გამოსულა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, ვინც მეგობრობდა ვანო სარაჯიშვილთან და ცოლად ჰყავდა სილამაზით ცნობილი ქუთაისელი ქალი თამარ ერისთავი.

ჯირალდონი– კაშმანი

ღირსეულ მომღერალ-მსახიობთაგან უპირველესად მოვიხსენიებთ ეუჯინიო ჯირალდონის (შვილს არანაკლებ ბრწყინვალე ბარიტონისა). ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს მის მიერ დიდებულად განსახიერებული როლი ოპერაში "ანდრეი შენი". ჯირალდონი რაღაც გასაოცარი შთამბეჭდაობით ამოთქვამდა ფრაზას "ძალი შესწევს სიყვარულისა" დიახაც, საკმაოა ერთი ფრაზაც მსახიობის გონიერების, წარმოსახვის, გრძნობიერების გამოსავლენად. საოპერო სცენის ეს გიგანტი თვით დიდ დრამატულ მსახიობს ერნესტე ძაკონისაც არ დაუდებდა ტოლს. ამ განსაკუთრებულ ნიჭს ჯირალდონი უერთებდა ლბილ, მომადლებულ, თავისუფლად ლაღად მდინარე ხმას, როგორითაც ვერ დაიკვეხნიდნენ ვერც სკოტი, ვერც ვანი მარკუ. მართალია, მათ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭეს (პირველმა – ამერიკაში, მეორემ - საფრანგეთში), ვიდრე ჯირალდონიმ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ უკანასკნელმა რუსეთში გაუძღო თვით ბატისტინისთან მეტოქეობას და თუ სასიმღერო ხელოვნებით არა, დრამატული მხრით მაინც აჯობა მას. უკეთილშობილესი არტისტი და ამასთან დიდებული, გენიალური მომღერალი გახლდათ ტრიესტელი ბარიტონი კაშმანი. მის არსებაში ერთმანეთთან შეზავებული უნარი და ცოდნა ქმნიდა თითქოსდა სულის იდუმალი წყაროებიდან მჩქეფარე, შთამაგონებელი ვიბრაციებით მდიდარ ხმას.

აი, რა ამსგავსებდა ერთმანეთს ჯირალდონის და კაშმანს, სცენისა და სიმღერის ამ ორ მეუფეს, თუმცაღა კაშმანის ჩანგზე მეტი სიმი მოითვლებოდა.

ჯირალდონი და კაშმანი იყვნენ საოპერო სცენის რაინდები.

ბუნების ჯილდომ და თვით ამ რაინდთა გონიერებამ გამოძერწა თეატრისა და ცხოვრების ორი დაუვიწყარი, დიდი ფიზიკური და სულიერი სილამაზის ადამიანი.

ეს ფოტო ჯირალდონის ვანო სარაჯიშვილისთვის უჩუქებია წარწერით: ჩემს მეგობარს ვანო სარაჯიშვილს ალფრთოვანებითა და აღფრთოვანებით.

ეუჯინიო ჯირალდონი.

პეტერბურგი. 1909 წელი.

ჟურნალ "ხატაური"-ს რედაქცია გულისტკივილით აღნიშნავს ნიჭიერი პოეტის-ამირან ასანიძის გარდაცვალებას. ვბეჭდავთ მის ორ სახუმარო ლექსს. როცა ახალგაზრდა ამირანი პირველმა შეყვარებულმა დაიწუნა უმანქანობის გამო, ლექსით უპასუხა.

ქალო, რამ შეგაქანაო,
მე ვინ მომცა მანქანაო,
მანქანა რომ მქონებოდა
რა მინდოდა აქანაო.
გიჯობს შენი საქანელი
უმანქანოდ აქანაო.

მწერალ ვილენ მარდალეიშვილის პოპულარობას ქალებში შემდეგნაირად ხსნიდა:

ეჰა, რამდენი დიაცი,
მკერდით ატარებს შენს სურათს,
ცენზურის ხარჯზე ქალს აბამ,
ქალების ხარჯზე ცენზურას.

პოეტი, - ზაურ ბოლქვაძე ალმანზორ თავაძის გამოსვლით მოხიბლული, უძღვნის ამ "სხარტულას"

საქართველოს ორად-ორი,
ჰყავს ბრწყინვალე ორატორი,
პირველია თავაძე და
მეორე კი ალმანზორი.

პოეტი ცოტნე ალბუთაშვილი

მიიწვია გამგებელმა, რომელსაც სტუმრად ჰყავდა დეპუტატი და უთხრა: აი მე დეპუტატი მყავს სტუმრად – ხედავთ. ცოტნეს უთქვამს:

კაფია

მჩულბოტობ ჩემო ძმობილო,
დეპუტატ რომ გყავს კლასელი.
ვიცი, არ იპირზეითნებ,
არც მაგას ზიზღავ სასმელი.
გასულხართ "კანცოვკაშია",
წინ ვეღარა ხართ, წამსვლელი.
მაგას ამომრჩევ უოხრე,
შენ კიდევ სკამზე დამსმელი.

მოგვაწოდა შოთა ხოდაშნელმა

ალექსი ჭინჭარაულს გურულებმა ადესა ასვეს. მან კი "კაფია" უძღვნა:

ერთი გურულებს უყურეთ
ჩემი დათრობა სცადესა, -
მეორე დღეა, მასმევენ,
"ბაკლები" გააკვლადესა.
საქმეს ვერ შველის, ძმანებო,
თქვენი ყწალწყალა ადესა,
ეიპიტაური სჯობია,
სად ის არის და სად ესა.

ციოდა, ქარი მსუსხავი,
გორებზე გადაშხიოდა...
ჩემი კბილების ორკესტრი
იმ ქარის ზუზუნს ჩიოდა.
განა რა იყო? გრიგალებს,
დავიმჩნევ თუნდაც სიოდა,
მაგრამ ის ქალი მაკლდა და...
ჰაუ. რარიგად ციოდა!

* * *

ზვავი ვერ მომკლავს მთებისა
მთიდან რომ გააქვს გრიალი.
ტყვია ვერ მომკლავს მტრებისა,
ტყვია ბევრ ცოდვებიანი.
ვერც დუშმნის ენა გამჩხიბავს
დაუნდობ შხამ-გესლიანი,
მოვჰკვდები ლექსით დაჭრილი,
ლექსით გულ-წყლულებიანი,
საფლავზე მოვა ლექსის ხე
ლექსით ტოტ-ფოთლებიანი.

მოგვაწოდა შოთა ხოდაშნელმა

კაცობრიობის ბიბლიურ სამყაროსთან სიახლოვემ, ძირეულად გარდაქმნა მრავალ ერთა სულიერი ცხოვრება. შუა საუკუნეებში ესპანეთში შეიქმნა ებრაული კულტურის ძლიერი ცენტრი. არაბულ, ესპანურ სულიერ სივრცესთან ზიარებამ და უძველეს ეროვნულ წიალთან სისხლხორცეულმა კავშირმა ახალი სფეროები წარმოაჩინა იმდროინდელ ესპანეთში მოღვაწე ებრაელ პოეტთა შემოქმედებაში. ვბეჭდავთ XI-XII ს-ის მკვიდრი ერთ-ერთი პოეტის მოშე იბნ ეზრას ორ ლექსს, რომელიც ჩვენი უნიჭიერესი მთარგმნელის – ჯემალ აჯიაშვილის წყალობით ქართული პოეზიის კუთვნილებად იქცა.

მიდის მდინარე, მიეფინება...

მიდის მდინარე, მიეფინება...
ცაო, შენ გესავ-სევდა მინელო!...
მთით მომდინარე ტალღის დინება
სად წარადინე, წარსადინელო!
წყლის წიაღთაგან მესმის ღაღადი,
ალმით დაღმა ვალს უცხო ჩვენება,
მძიმედ მიქშუის, მიდის ნაკადი, -
ზღვის უდაბნოში მიესვენება.
წყალო, თქვი რამე ყოფნა-არსობის...
ისევ ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,
კლდეზე მკრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის,
მიწაც ქაფს იშრობს ნაღვართქაფალი.
"- უხმოდ რომ ილტვი დანამდურივით,
გვარქვი, რას გვითქვამს ცათა უფლება!"...
ყურად არ იღებს, მიდის დუმილით,
ბნელ წიაღებში მიიმწუხრება...
"– უნდა მოგვწყლა თუ უნდა გვახარო? –
რაო, რას ბჭობენ ზესთა ტახტები!...
ვენახს ვერ მოსცემ, ნავენახარო,
თუ ხელმეორედ დავენახდები?...
... ისევ მზეს მიაქვს, მიაკიაფებს...
ისევ უტყვია მისი დინება,
მიდის მდინარე, ზვირთებს მიაფენს, -
ცხელ უდაბნოში მიიჩრდილება...
" – მაინც რას ამბობს ცათა კრებული,
ჩემო მთაო და ჩემო ტრამალო, -
უნდა ქვე დავხვდე გაოგნებული,
თუ ლაჟვარდებში შევიფრთამალო?
მალე მივაღწევთ ცათა წიაღებს,
თუ გაგრძელდება ჩვენი კირთება?...
მიდის მდინარე, ტალღებს მიაფენს, -
ბნელ სივრცეებში მიიზვირთება...
აჰა, ლოცვად ვდექ, ხამლი ვიძარცვე,
მაინც უბრად დგას ბნელი ტინები,
ისევ შევდგები სჯულის ფიცარზე,
ისევ შეგძრავ და შეგეტირები:
"- საით სად მოხველ, მწუხრის ზეწარო,
მარქვი, როდემდე უნდა ვეწამო,
ვაი საყდარო ქვეშეთისაო, -
გაუვალო და გაუხვეწავო!...
სევდამ ხელი გვყო, ურვამ მოგვიცვა...
უხმოდ განგვიდგა იგი დროება,
აღარ გვეთნევა ჟამი როკვისა,
არც სიხარული გვესათნოება.
წყალი ურწყულს ჰგავს, დაბა – უდაბნოს...
ვკოცნი, რას ვკოცნი, ღმერთმა დასწყევლოს:
სახეს უგვანს ვეჭვრეტ, ბაგეს უთაფლოს,
ძუძუს უტკბოს და უნელსაცხებლოს...
იწვის, ტყე იწვის, იწვის ტაძარი,
ტყისკენ გარბიან სათნო კრავები,
მოყვასს მტრად ვიხდი ნამოყვასარი
და სათვისტომოს ვებუღრავები.
ცეცხლი ედება დაცლილ ხანაგებს,
ცრემლად იცლება ვაზის მტევანი
და სიბნელესთან მაამხანაგებს
ჩემი მეკვლე და თანამდევარი.
წყალო, კვლავ გკითხავ: წერას ბედისას
როდის მოვდრეკ და მოვისადავებ!...
სიდან სად მოვდექ, საით გადაველ,
"კვლა – სადაურსა მიხმობს სადაველ"...
...ისევ მზეს მიაქვს, მიაციაგებს...
ისევ უტყვია მისი დინება,
მიდის მდინარე, ტალღებს მიაფენს,
ბნელ სანახებში მიიჩრდილება...
ტყეს გამოვცილდი ჩემი გალობით,
აღარც ბოლო ჩანს, აღარც სათავე,
ბნელში გზას მიკვლევს თანდათანობით
დროის მეკვლე და მეთანდათანე...
"- ჩემო დღეო თუ ჩემო შავეთო,
მაცნე ბედისა თავზე მევლება:
ყმად დამიდგება სავარსკვლავეთო,
თუ ჯოჯოხეთი დამემხვევლება?...
...ისევ ყრუდ ბრუნავს მღვრიე მორევით,
ძნელად არ უჩანს ძალის მოკრება,
გარე-მოვლით ვალს, მიდის ზმორებით –
ზღვის წიაღებში მიიფოფრება...
ვეტყვი: "- რად კვდება ჩემი ნუგეში,
რატომ ვერ გულობს გული საგულედ,
თქვი: ყანობირთა სითავუხეში
რად დამიტოვეს უჭირნახულოდ?
გულზე რად მოხვდათ ჩემი სიბეცე,
ბჭე სინათლისა რატომ შეხურეს?...
მეგზურს თუ ნახავს ცათა კიბეზე,
ფეხი თუ ჰპოვებს მესაფეხურეს?...
...ისევ ჩრდილში რბის უხმოდ მედინი,
ჩალად არ უჩანს ჩემი ბრალდება,
ისევ ქარს მისდევს ტანასხლეტილი,
ბნელ წიაღებში მიიწვართება...
ასე მიღმა ხმობს ჩქამი ხმიერის,
ასე შორით ვეჭვრეტ ცაო მდუმარო,
რომ ხვაშიადი ცათამიერის
მიწყივ ახშო და აიდუმალო...
გული მაინც გთხოვს, მაინც გსასოებს...
გარნა უქმად რბის დღეთა რიგები
და წუთისოფლის საჯამბაზოებს

კვლავ საძრახისად ვეცივლივები...
ისევ ყრუდ ელტვის სული ჩრდილოეთს,
ველარც წიბოს ვგრძნობ, ველარც წიბურებს,
ველარც ქარი შლის სანაპიროებს, -
ვინღა გვიძმობს და გვიმოციქულებს?
ვინ ჩამოჰყვება საღვთო ბილიკებს,
სად გაბრწყინდება სისხლი ტარიგთა?
მზეს რანაირად ჩამოგვირიგებს,
თუ ყველაფერი ბნელში ჩარიგდა?
"–რაკი თქმას შეგთხოვ, ესეც მითხარი:
ხმა მიჯნურისა როდის ჩაგესმა?
ენამ ვით გამცნო მოსაკითხავი,
ბაგემ რა გითხრა უბადაგესმა?
რით წარვუდგებით ცათა გალავნებს,
სად გასრულდება ჩვენი კირთება?"...
ისევ ყრუდ მიაქვს, მიაქარავნებს,
ბნელ წიაღებში მიიზვირთება...
"-ფრთაო, ნათლისავ, თავზე გევლები,
გარნა რას ხმობენ ბნელი ხევნები?...
რომელ წყალს ერტყმი, რომელ მდინარეს,
ვის სადინარებს ესათხევლები?
აჰა, გასრულდა ესე ზმანება,
აწ აღასრულე საქმე საქველო,
სცან საბიერის საზოვანება,
მზეს წარესაბე, წარუსაბველო!
ამცნე: ძალი მცენ, სული ჩამიდგან...
ჩემი სასო ხარ, ჩემი ნუგეში...
გულო, წყალს ჰგავდი დასაბამიდან,
უხნეს იყავ თუ... უჭაბუკესი.
"-წყალო, სთქვი რამე ყოფნა-არსობის!.."
ისევ ყრუდ ისმის ტალღის თქაფანი,
კლდეზე მრთალად ჩანს კვალი ღვარცოფის, -
მიწაც ქაფს იშრობს, ნაღვართქაფალი.
მიდის, მზედ მიაქვს ოქროს თაველი,
მაგრამ კვლავ ბურავს ბური საბურეს
და შესტირიან შესართავები
ზღვათა სიღრმეს და სიუდაბურეს...
ისევ ყრუდ ელტვის მყუდრო წიაღებს,
ისევ უტყვია მისი დინება,
მიდის მდინარე, ტალღებს მიაფენს,
ბნელ წიაღებში მიიჩრდილება...

სასაფლაონი

მგზავრო, ვზივარ და დუმილით გიცქერ,
უკმურ მიწაში თვლემენ ლანდები;
დუმს სასაფლაო... სიკვდილის ფიცხელ
ბნელს წარუხოცავს განძი რამდენი...
იყუჩე მგზავრო! – უკეთურ მხრისკენ
შენც ამავე გზით წარემართები.

ძახილი...

ყაყაჩოების ველზე გავრბივარ
წინა ღამის ნაწვიმარით განბანილია ყანა.
მე კი გავრბივარ.

ჩემს წინ უკიდეგანო ზღვაა გაშლილი ყაყაჩოებისა და მზეა ისეთი, ყანის გადაღმა, ხის ტოტებზე ჩამომჯდარი, უნებურად ვჩერდები მზით გამთბარი ნაწვიმარის სურნელით გაბრუებული და მოჩვენება, როგორც სიზმარი მოდის ჩემთან.

იქნებ არ იყო მოჩვენება, იქნებ მართლა მეძახდა ვიღაც?!

იქნებ ოდესღაც მართალა ვიყავი აქეთ.

იქნებ მეორედ ვისრუტავ ციური ნამით განბანილ ამ ველის სურნელს.

თვალებს უნებურად ვხუჭავ, თითქოს ვიხსენებ, თითქოს ხმაც მესმის, თითქოს ვხედავ კიდეც... რომ... ეს მე ვარ... როგორც სიზმარი, მოვიდა ხილვა...

შუა მინდორზე ვწევარ. თვალებს ვერ ვახელ. სადაცაა მოვა უჩინრად მბრძანებელი და გავყვები.

სული ფრთხილად გაეყრება ხორცს. განქრება.

აღარ ვიქნები, დარჩება ჩემგან მხოლოდ ამბავი უსახელო მოკვდავის.

მთელი მინდორი ყაყაჩოებით ავსებულა.

შუა მინდორზე ყველაზე ლამაზი სიკვდილით ვკვდები.

თვალთაგან ჯერ კიდევ ვამჩნევ ჩემს ირგვლივ სისხლის ტბორებს.

ეს ჩემი სისხლია, სისხლი ქართული და მისით ახლა ამ ყანას ვაპურებ, ამ ყაყაჩოებს, შენ და მას, იმას, ყველას, ვინც კი დადიხართ კიდით-კიდემდე ქართულ მიწაზე.

მე ზურგიდან გულს გამიარა ისარმა. მომხდურთ ცხენდაცხენ რომ გავედევნე, ეს მაშინ მოხდა... მერე ისინი რაღაცამ შეაკრთო და განქრნენ.

ნუთუ ქალის სიკვდილისა მოერიდათ?

ჩემს თეთრონს ნაწვიმარზე აუსხლტა ფეხი და იმან დამღუპა...

მე ვერავინ მიპოვის, ისე მაღალია ყანა...

ჩემს სისხლს ვერავინ შეამჩნევს, იმდენი ყაყაჩოა ირგვლივ!

მე შენი ტოლი ვიყავი...

ათასწლეულების წინათ შენსავით მიყვარდა სირბილი ყაყაჩოების ველზე ჩემს გულისსწორთან ერთად!

შენსავით ვაგროვებდი ფერად-ფერადებს და გვირვინებს ვწნავდი ჩემთვის და მისთვის.

შენსავით მიყვარდა სიცილი, თეთრზე უთეთრესი კაბა, ისე ვქრები, უნაზესი ამბორიც არ მიმყვება მისი.

მე ყველაზე ლამაზი სიკვდილით ვკვდები – ყაყაჩოების ველზე! და იებს ვნატრობ, რადგან, იის ყვავილობბისას დავიბადე.

და განქრა მოჩვენება.

თვალებს ვახელ, ლამაზი ბურანიდან ვერკვევი. ჩემს წინ კვლავ უკიდეგანო ზღვა გადაშლილა ნაწვიმარი ყაყაჩოებისა, მაგრამ აღარ ძალმიძს სირბილი გალუმპულს, უნებურად სევდით ვივსები, ვბრუვდები მზით და მოთენთილი ნელ-ნელა ვიკეცები თითქოს და მართლა უკიდეგანო ზღვაში ვინთქმები, ყაყაჩოების ზღვაში!

ნინო კიკილაშვილი – მაჩაბელი.

იყავი მეფეც...



"იყავი მეფეც, სამშობლოის გტანჯავდა ბედი.
არ გაგიღუნავს არცა მკლავი და არცა ქუდი...
საქართველოში წმინდანივით იცხოვრე, რადგან,
შენ თავზე უფლის ნაბოძები გვირგვინი გადგას".

საიუბილეო თარიღი ამ ლექსით მოგილოცათ პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა. აღარ ჩამოვთვლით თქვენს მიერ განსახიერებულ ეპიკურ თუ ეპიზოდურ როლებს კინოსა და თეატრში. თქვენი შემოქმედება დასტურია, რომ არ არსებობს დიდი და პატარა მხატვრული სახეები.

ისინი შეიძლება ერთმანეთისაგან ტექსტის, ან მასალის სირთულით განირჩეოდნენ, მაგრამ არამც და არამც მსახიობისმიერი რანგობრივი განსხვავებულობით. შენს შემოქმედებაში იკვეთება შენი ნაფიქრალი და ნააზრევი. "ხელოვნებაა თავად უკვდავება" კონსტანტინე არსაკიძის ეს სიტყვები თქვენი ცხოვრების წესად დაამკვიდრეთ. სვეტიცხოველში გაასრულა დიდმა ხუროთმოძღვარმა თავისი ჩუმი და იდუმალი ცხოვრება და ასევე უშურველად გასცემთ სიცოცხლეს თქვენ მარადიული ფასეულობების დასამკვიდრებლად.

ბატონ აკაკი გაწერელიას უთქვამს ერთ-ერთი თანამესანგრისათვის: *"ლეგენდად რჩება ის, ვინც აქაური არ არის და აქაურობას ეწირება."* და თქვენდამი ლეგენდად ქცეული სიყვარული ხალხისა გამოწვეულია იმით, რომ შეგიძლიათ გასცეთ ყველაფერი და ზოგჯერ შეიძლება რიგითი ამბის გამომსახველი ფილმიც, თქვენი გმირის წყალობით დიდი გაქანების ნაწარმოებად იქცეს. ამიტომაც ხედავს, კარგად ხედავს ერიც და ბერიც, რომ თენგიზ არჩვაძის სახეებში ყოველთვის იყო უჩუმარი დვრინი, უჩუმარი წუხილი. გამოუხატავი, მხოლოდ თვალებით ნათქვამი. მას მხოლოდ გამოხედვით შეუძლია გაგრძნობინოთ ტრაგიზმის მთელი სიმძაფრე. არ სჭირდება ზედმეტი ქმედება. "მე ვარ ჩემი ერის შვილი ყოველგვარი პარტიების გარეშე", ეს უკვე მუშნი ზარანდიაა. სიმართლე ღაღადებს მის ბაგეთაგან და ანდამატივით იზიდავს მნახველს და მსმენელს. თქვენ ბატონო თენგიზ მართლაც ჩვენი სვედამწვარი სამშობლოს ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილი ხართ. რაც მას უხარია, ის გიხარიათ. რაც მას სტკივა, ის გტკივათ. მოარულ სიკეთედ ქცეული მსახიობი სხვებსაც ჩააგონებთ, რომ გათავისუფლდენ კომპლექსებისაგან.

"ეძებდე ადამიანში სინათლეს" აი, მთავარი თვისება ჭეშმარიტი შემოქმედისა, თქვენ ჭეშმარიტად ასეთი პიროვნება ბრძანდებით.

და კიდევ ერთი... სულიერი გამყინვარების ეპოქაში ბევრმა უარი თქვა ეზიდა მისეული ჯვარი და დაეცა. ამიტომ დაუცემელი ადამიანები თავის თავში ინახავენ გადარჩენილ საქართველოს.

ღმერთმა თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს და სამშობლოს სიყვარულის თქვენეული, უბადლო განცდაც სამარადჟამოდ მზეობდეს ჩვენში.

უნივერსიტეტში ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა ჩამოაყალიბეს ახალი პოეტური ორდენი "ზარები გრიგალში" ვბეჭდავთ სამ მათგანს დანარჩენების პოეზიას შემდეგ ნომერში გაეცნობა მკითხველი.

* * *

"შენ გაგეცალე ერთხელ რადგან დავჩნდი
მტვრად ფეხის, რაც შევქმენ მისი."

ანზორ აბულაშვილი

ანგელოზი მოფრინდა,
ორი უცხო პროფილით
წამის უარყოფიდან
ყოფით უარყოფილი.
მარად არსად ყოფილი,
მოვალ უარყოფიდან
მარად არსად ყოფილი
სიცოცხლე არ მყოფნიდა
ასგზის უარყოფილი.
მზე ჩაეშვა სარკეში
უჟამო ჟამს ქართა გენს,
შეველეწე მკლავებში
დაუნდობელ კართაგენს
მარად ცვლაში გაფენა
ვიქნებოდი ცაში ვით
აღარ მინდა გაფრენა
აღარც ყოფნა ბავშვივით.
ანგელოზი მოფრინდა
ორი უცხო პროფილით
წამის უარყოფიდან
ყოფით უარყოფილი.

კობა ღვინჯილია

მამა

მისი ხელები
თითქმის ყოველთვის
მზეს და ბალახებს მეუბნებიან...
და შეუძლიათ
გულის სიღრმეში შემონახული
ჩემი ბავშვობის მოფერება
და მოფრთხილება...
მისი ხელებით
მე შემიძლია დავიჯერო
მართალი მიწა,
და ვასწავლო საკუთარ ხელებს
მზე და ბალახი...
მე შემიძლია,
საკუთართავშემოკარგულმა,
მის ხელებში ჩემს თავს მივაგნო,
და ნუგეშივით ჩავეჭიდო
დედის ჭაღარა თვალების ბილიკს...
მისი ხელები
თითქმის ყოველთვის მზეს და ბალახებს
მეუბნებიან...

ნათია ნაცვლიშვილი.

ღამეა ისევ, ისევ ქარი ქრის,
მე ისევ ლექსს ვწერ, რიტმულად, წყნარად,
მინდა გადავდო გვერდზე კალამი,
მაგრამ რითმები მოდიან ღვარად.
და მახსენდება ის ღამეები,
როცა უბრალო გოგონასაგან
ნაზად ვძერწავდი ფიქრთა დედოფალს
და ჩემს უდიდეს ტრფიალის საგანს.
მე შენ შეგქმენი, ისე, იმგვარად,
ვით აფროდიტას ნარნარი თმები,
მე აგიტაცე ცისფერ ღრუბლებთან
და ანგელოზის შეგასხი ფრთები.
მე შენ გხატავდი, გრთავდი, გამკობდი,
ჩემს ოცნებაში ათასგვარ ფერით,
შენს ბავშვურ ღიმილს, ტუჩზე დაფენილს,
ხარბად ვიჭერდი პოეტურ მზერით.
მე მოგიძღვენი ლექსები, ქალო,
მე შენ მწყუროდი, ვით წყარო მთისა,
მე ჩვეულებრივ თვალებს ვხედავდი,
მაგრამ დავხატე თვალები ღვთისა,
მე ვიდექ შენს წინ უხილავ ფუნჯით,
მე შევქმენ შენგან ღვთაება – ქალი,
მე გამოგძერწე, როგორც მინდოდა,
და ბოლოს კრძალვით მოგაპყრე თვალი.
მე შენ დაგხატე, ცად აგამაღლე,
და მერე შენს წინ დავხარე თავი,
სილამაზის და კარგის შექმნისთვის
ვით არსაკიძეს, მომკვეთეს მკლავი.
და მე გაგშორდი, მე გაგეცალე,
და ჩემს გარშემო იშვა წყვდიადი,
მე მოგანიჭე თავისუფლება,
რადგან შენ იყავ უცხო დიადი.
მაგ ტურფა სახით, მე რომ შევქმენი,
იქნებ შეიგრძნო კმაყოფილება,
მაგრამ გახსოვდეს, შენ იყავ ნული
და მე გაქციე სრულყოფილებად!

ლექსო ლეკიაშვილი

წიწამური

"უნივერსიტეტის ბაღიდან, ნაძირალამ მოიპარა ილია ჭავჭავაძის ბიუსტი".

არა, ეს დილა არ ითქმის დილად,
განახლდა ჟამი ოხვრა-ჭმუნვისა,
ეს წიწამური იყო ნამდვილად
ოცდამეერთე საუკუნისა.

ლევან ალავერდაშვილი

წინწკალა

(წინწკალა თმთრი ყვავილოვანი ბალახია, მისი ყვავილი წვიმის წვეთისოდენაა)

ეიზრდები ყველგან - ტყეშიც, გზისპირებზეც. ფიქრი, აზრი, განცდა - ყოველი არსის თვისებაა. მეც ვფიქრობ, ვაზროვნებ, განვიცდი: "არაფერი არ იზრდება ცალკე, თავისთვის, თავისთავად, როგორც ადამიანი არ იზრდება ადამიანის გარეშე.

აღზრდაა ყოვლის ძალა, ყოვლის გარემომცველი – ასე მსმენია".

გათენდა. მზემ ცეცხლისფერი თვალები შემომანათა, იებმა და ენძელებმაც გამიღიმეს, გამიცინეს, იაჟუჟუნამ "სალამიო" გადმომძახა, მდაბლად დამიკრა თავი...

ადამიანმა კი გული მომიკლა - ფეხი დამადგა, ისე გაიარა, არც კი შემამჩნია; მას შემდეგ ღვარად ჩამომდის ცრემლი, მიტევების გრძნობა მიპყრობს. მე გავმთელდები, აღვდგები, მოვა ჟუჟუნა წვიმა და დამსხვრეულ ფოთლებს შევივსებ, მაგრამ მაინც ვფიქრობ – ადამიანო! რად დამიტოვე გულზე იარა? რად მომიკალი მზით და სითბოთი გამთბარი გული?!

და მაინც ვფიქრობ:
რად ვერ აღვზარდეს ადამიანებმა?
რად ვერ ჩაგბერეს კეთილი სული?

ციალა ბრეგვაძე

ნანუკას ნოველებსა და ჩანახატებში მეოცნებე გოგონას ამოიცნობს მკითხველი.

"*დატკბი ძილით და სიზმრებით,*" წერს ის და ფიქრობს, რომ ადამიანის სიზმრებიც მისი სულიერი მდგომარეობის შესაბამისია.

მრავალ ოცნებათაგან, ერთ-ერთი ოცნება "ქართული მეცნიერების ტაძრის", ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კარის შეღებაა.

ჟურნალი **"ხატაური"** უსურვებს მას ამ ლამაზი სურვილის ასრულებას და რედაქციაში ეპატიჟება ნიჭიერ ახალგაზრდებს.

"მოგზაურობა ოცნების სამყაროში"

ოცნება აუხდენელია, ახდენილია ან სულაც ასახდენი. პატარა გულით ეს ნანატრი ლამაზი ფიქრი, წამით ჩაგაგდებს მის უჩვეულო ქვეყანაში, შემოგიპატიჟებს, გეტყვის: მობრძანდითო, შემოგატარებს გუგუნა მატარებლით მის მრავალ ქალაქს. ხელის გულზე გატარებს, მთელ შენს ოცნებებს ერთ დიდ ტომარაში ჩაყრის, დაგპირდება უპირებელს, დაგაჯერებს: ამ ოცნებებს კიდევ ბევრი მიუმატე და უსათუოდ აგისრულდებაო, მაგრამ შენ კი ბავშვურად ღიმილი გადაგეკვრება პირ-სახეზე, ეშმაკუნები თვალში გაიხარებენ, ანგელოზი ფრთებს აგიფაფხურებს, თვალს ჩაგიკრავს და წაგაქეზებს, ამით ისარგებლებ, გაიფიქრებ, რაც გაქვს, ისიც არ დაკარგო. თანდათან რეალობას წყალი უდგება, შენ ხომ ოცნების არარეალობაში მოხვედი, შენ ხომ წამები დაგრჩა, დაატნევ ხელს ხურჯინს ოცნებებით სავსეს და ჩუმად, ფეხაკრეფით წამოგიგორებ. შენს ბავშვურ ღიმილს ეშმაკუნების ღიმილი შეეპარება ამას თან ერთვის ანგელოზთა გამაფრთხილებელი და განაწყენებული გამოხედვაც თან ერთვის, თუმცა ისინი რწმუნდებიან შენს უმანკოებაში. "მიპატიებიას" თვალებით შემოგანათებენ და შენც მეტი რა გინდა – ხტუნვა-ხტუნვით წამოხვალ, უცებ დაინახავ ნისლში ჩაფლულ დიდი ალაყაფის გალავანს, რომელიც გარს ატყია ოცნების ფუძედ აშენებულ ქალაქს. უკვე დრო გერთმევა, მიწა ფეხქვეშ გეცლება, ერთი, ორი და აახელ თვალს. "ეჰ!!! სიზმარი ყოფილა – მეძინა? მეძინა! ოცნების სამყაროში ვიყავი, რა ელფერი ჰქონდა ყველაფერს, რა ფანტასტიკური სურნელება ასდიოდა ხურჯინს – ნეტა? რა ნეტაა?!, ნეტა კი ამისრულდეს რომელიმე მათგანი მაინც. – აგისრულდება უსათუოდ აგისრულდება, ახლა კი დაიძინე ჯერ ჯადოსნური ღამე კვლავ ჩვენი სტუმარია, დატკბი ძილით და სიზმრებით, ოცნებები კი, რასაკვირველია, თავისთავად აგისრულდება.

ნანუკა ზარანდია

ერთ-არსებისა ერთისა

სამება - ერთარსება ძველქართულ საერო მწერლობაში

ძველ ქართულ საერო სიტყვაკაზმულ მწერლობაში არაერთჯერ ვპოვებთ ცნებას «სამება-ერთარსება»-ს სხვადასხვა გამოთქმით -

- ჩახრუხაძე (მე-11 საუკ.) ერთ თავის ხოტბაში: - სიბრძნით ქმნა ღმერთმან,

სამებით ერთმან

ცა და ქვეყანა...

სამებით ერთი - ღმერთი არის იგივე ერთარსება - **სთნდა** შექმნა ცისა

შვიდ სვეტ-მტკიცისა

ერთ არსებასა სამსახიერსა (თამარიანი 1,21)

ანუ: სურდა (სთნდა) შექმნა ცისა, რომელიც მტკიცე შვიდი სვეტისაგან, ანუ შვიდი მნათობის ცათაგან არის შემდგარი, - სურდა ამის შექმნა **ერთ არსებას, რომელი არის სამსახიერი, ესე იგი: სამების მქონეაო.**

შავთელის «აბდულ-მესია» იწყება ასე - სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა...

შავთელი მეორე გვარადაც, პოეტურად ასე უგალობს სამება - ერთარსებას: -

ღმრთისა სამ მზისა,

ვინ ზესთ სამ ზისა,

ეთერთ, სამყაროთ

და ღრუბელთასა (28,2).

ანუ: ღმერთი სამ-მზე, რომელს აქვს სამი მზე, ესე იგი: რომელში არის სამება - მამა, ძე, სული წმიდა; ის, რომელიც (ვინ) არის სადმე, სადღაც (სამ) ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთა ზემოთო. აქ ამნაირად: ღმერთი არის სამი მზით, ესე იგი: წმიდა სამებით, შედარება, რომელს გავეცანით აქვე, თავში: მზესთან შედარება სამებისა, ამგვარად ღმერთი არის სამი მზით, ანუ წმიდა სამებით.

მადლისა პური,

სიბრძნის სადგური

მზედარი ღმრთისა

სამხატოვნისა (14,1)

ღმერთი სამხატოვანი არის ღმერთი პირით, სამებით.

მან, უცოდველმან,

ზესთამან არსმან,

თვითებისამან

მიუწდომელმან,

დაუწყებელმან,

ნათელმან ერთმან,

სამებისამან (64,1-2).

ანუ: მან, რომელი არის უცოდველი; რომელი ყოველთა მხედველია; რომელი არის უზენაესი, უზეშთაესი არსი; რომელი არის თვითება, ცალკეულად, თვითეულად; რომელი არის მიუღწეველი; რომელი არის დაუწყებელი; რომელს საწყისი არა აქვს; რომელი არის ნათელი ერთი-ღმერთი; რომელი არის სამებისაგან ერთი - იესო ქრისტე, შენ შეგქმნა ცისკრად დღისაო.

აკად. პროფ. აკაკი შანიძის მიერ აღდგენილ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში (თბილისი, 1937 წ.) მოიპოვება თვით აკ. შანიძის მიერ გახსნილი ქარაგმა -

«მადიდებელი წმიდისა **სამებისა ერთარსებისა...**

ს.ს. ორბელიანი ცნებას «**სამება**» ასე განმარტავს:

სამება - ერთი ღმერთი სამ გვამოვანი, ერთი არსება და ერთი უფლება. ვახტანგ მეექვსე, სჯულმდებლის «სამართლის წიგნი»-ს შესავალში აცხადებს -

ღმერთმან ყოველთა არსთა და არაარსთა მომყვანებელმა... სამთვითებითა და ერთარსებით ცნობილმან...

იმავე წიგნის მეორე ნუსხაში -

დიდება ღმერთსა, სამებით ერთსა, მამასა ძისა მშობელსა და სულისა გამომავნილებელსა.

როგორ დავივიწყოთ მეფე თეიმურაზ I (1588-1663), რომელიც იოსებისა და ზილიხანის მიჯნურთა ამბავის შესავალში ბრძანებს - **არსებით** ვიტყვი ცნობილსა, **სამებით** ერთუფლებად,

ბუნებით განუყოფლად, ღვთაებით შეერთებულად...

შენცა მტკიცედ გაქვს, გიპყრია

სამ ერთ-არსების ცნებანი...

სამებით ერთსა ვაქებდეთ...

თეიმურაზ I სამებას ახასიათებს თავის ლექსში: «თამარის სახე დავით გარეჯს» -

შენ სამებაო, ერთარსებაო...

მეფე თეიმურაზ მეორე (1700-1762) თავის **«სარკე თქმულთა»**-ში ბრძანებს: -

"ვადიდებთ **ერთარსებითა** ჩვენ

ღმერთსა სამ-ბრწყინვალებით...

მე უსწავლელმან ვითა ვსთქვა აწ შესხმა სამებისანი?..

სამხატოვნებით მონება, ერთ-უფლად მონებისანი...

ჩვენს ღმერთსა თაყვანსა ვცემდეთ სამებას სამის თვითებით:

მამას უშობელს, ძეს შობილს, მამისა თანა თითებით,

სულსა წმიდასა, გამოსრულს მამისგან მოუწყინებით,

სამს გვამს ვქადაგებთ ერთ უფლად, ღვთაებით, ერთ ხელმწიფებით..."

აი, აქ არის **«ერთარსებისა ერთისა»** სრული დახასიათება!

იოანე ბატონიშვილი თავის **«კალმასობა»**-ში ამბობს: "ვითარცა ჩვენ გვრწამს: მამა, ძე და სული წმიდა, სამ გვამოვნებით და ერთ არსებით, მამა უშობელად, ძე - შობილად, ხოლო სული წმიდა - მამისაგან გამოსრულად."

თეიმურაზ ბატონიშვილის აზრს უკვე ვიცნობთ: **«ერთარსება სამ გვამოვანისა ღმრთისა მამისა და ძისა და სული წმიდის არს. ერთ არსებას ერთი ბუნება და ერთი ღვთაება აქვს** მას სამ გვამოვანსა ღმერთსა»...

ამგვარად: ქართულ საერო მწერლობაში - **ერთარსება** არის **სამება**: მამა, ძე და სული წმიდა.

6. სამება - ერთარსება ქართულ ისტორიულ მწერლობაში

აღარ იქნება საკვირველი, თუ ცნებას ერთარსება - სამება-ს ქართულ ისტორიულ მწერლობაშიც შევხვდებით -

ქართლის ცხოვრება - სარწმუნოებასა ზედა **სამების წმიდისა, ერთარსებისა ღმრთისა...** ვინაიდან იცან შენ **სამება ერთარსება...**ადიდეთ **სამება ერთარსება... მინდობითა ღმრთისათა...** მინდობითა ღმრთისათა, დაუსაბამოსა, **სამებისა ერთარსებისა...**

არამედ მსახურებისათვის სამებით ერთარსებისა...

ჟამთააღმწერლის ისტორიაში **- სამებისა წმიდისა ერთი არსება ცხადყო და გუასწავა...**

ამგვარად: ვითარცა სასულიერო, ეგრეცა საერო მწერლობაში ცნებას «ერთარსება» სავსებით ცხადი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს - **ერთარსება** არს **წმიდა სამება**.

7. ერთარსება ვეფხისტყაოსნისა

შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ვეფხისტყაოსნის **ერთარსებისა ერთისა** არის **სამება, წმიდა სამება ღმერთი**?! არა გვაქვს საბუთი ეს დებადი უარვყოთ. ის საბუთი კი მრავალი ვიხილეთ, რომლის ძალით ცნება «ერთარსებისა ერთისა» არის ქრისტიანული ფილოსოფიის დებულება და არ არის იგი არავითარ შემთხვევაში არც პაგანური ნეოპლატონური სწავლისა «სამება» და არ არის იგი არც ისლამური და არც სხვა რომელიმე სწავლის «ერთარსება», არამედ არის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული.

ამ მიმოხილვამ დამარწმუნა, რომ **ერთარსება** არის ღმერთი სამება, და მზე, ხილული მზე კი არის ხატი ამ სამებისა; ამიტომ, როდესაც ავთანდილი იტყვის -

«ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად», - იგი განგვიმარტავს შემდეგ დებულებას -

ჰე, მზეო, როგორც თქვეს: შენ ხარო ხატი მზიანისა ღამისა (ღმრთისა); შენ ხარო **ხატი ერთარსებისა,** ანუ ხატი იმ ღმრთისა - **ერთისა**, რომელი არს სამება, წმიდა სამება - ერთარსება; შენ ხარო ხატი იმისა, რომელი არს უჟამო ჟამისა, ანუ ღმერთისაო...

მაშასადამე; ავთანდილის მთელი ეს თქმა არის ქრისტიანული ფილოსოფიის დებადი.

აღინიშნოს ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის არც ერთ ხელნაწერში ეს შაირი არც გადაკეთებული და არც დამახინჯებული არ არის.

ვიქტორ ნოზაძე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ზარიანი ჟოდო ოჯუნიდან

ის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე იწვა და მზეს ეფიცხებოდა. კითხულობდა შექსპირსა და ჰომეროსს, მოწიფულობის ასაკში – ბიბლიას. ფიქრობდა პოეზიაზე და, რაც მთავარია, ამერიკის მომავალზე. შექსპირში ის მხოლოდ ტრაგედიებს ხედავდა, ჰომეროსში – ომს. ბიბლიის შესახებ კი მას თავისებური შეხედულება ჰქონდა.

სწორედ ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ბაყაყები "ბალახის ფოთლებს" შეექცეოდნენ. ის, რასაც ღღეს მოვისმენთ, შესაძლოა, ჩვენს პარლამენტარებს ჩემნაირად ან ჩემზე უკეთ ეთქვათ, მაგრამ ისინი ღღეს, რატომღაც, ღუმილს არჩევენ. ღუმან განა იმიტომ, რომ ქვეყნის ტკივილისა აგვაღებინა; ვუჩვენოთ ხალხს, რა გზას გვთავაზობს დემოკრატიის ამერიკული მოდელი და რა საშიშროება ელის საქართველოს მისგან. ვფიქრობთ, ამით არანაირ დანაშაულს არ ჩავიდენთ ამერიკელი ხალხის წინაშე. პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით აშკარად ვიტყვით იმას, რისი თქმაც გვინდა,სამართლეს თვალს გავუსწორებთ. არ მოვერიდებით არავითარ ავტორიტეტს, თუნდაც ისეთს, როგორიც გახლავთ ამერიკისათვის უოლტ უიტმენი, რომლის უზარმაზარი ქანდაკება ამშვენებს ნიუ-იორკის ხედს და ამაყად გადაჰყურებს მთელ მსოფლიოს ატლანტის ნაპირებიდან.



არა გაეგებათ რა, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ მომავალზე ფიქრობენ და დიდი ქვეყნების პოლიტიკოსებისა ეშინიათ. ეშინიათ და ამიტომ პირი თეეზივით წყლით აქვთ დაგუბებული. ამბობენ, პოლიტიკას ბევრი წყალი უყვარსო, - თანაც დაგუბებული. ალბათ ამიტომაა, რომ ღღეს ქართულ პრესაში უფროდაუფრო მომრავლდა ყველასათვის გულსატკენი და ავბედითი პროგნოზები; და ეს ავბედითი პროგნოზები ხალხსა და ქვეყანას შავი აჩრდილივით დასტრიალებს თავს.

რა არის ეს შავი აჩრდილი და როგორ გადავურჩეთ მას?! პასუხი ერთია, ეს გახლავთ საქართველოში ძველი ტრადიციების, კულტურისა და განათლების მოსპობის საშიშროება, მოკლედ სულიერი საწყისების ამოძირკვის საშიშროება ამერიკული ცხოვრების წესის შემოღებით. საუბარი ლოზუნგური რომ არ გამოგვივიდეს, მოდით, გადავიღეთ იმ ძირითად მხარეზე, რამაც ხელში კალამი

წერილში ვისაუბრებთ უიტმენის იდეოლოგიაზე, მის მრწამსზე და შეხედულებებზე განათლებისა და კულტურის სფეროში. განა უიტმენის იდეოლოგიით არ საზრდოობს მთელი ამერიკა და თითქმის მთელი ღღევანდელი ევროპა. თუ ბიბლიაში ბაბილონის გოდოლი ვერ აშენდა, ჩვენ ამგვარ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ, - გაიძახიან ამერიკელები. ენახოთ, რას ნიშნავს ყოველივე ეს. ზემოთ გითხარით, ბიბლიაზე უიტმენს თავისებური შეხედულებები ჰქონდა – მეთქი. როცა ბიბლიას გაეცნო, თქმულებამ ბაბილონის გოდოლზე მისი გონება მეტისმეტად აააფორიაქა. უეცრად გონს მოეგო და ბაბილონის გოდოლში მან თავისი ქვეყნის მომავალი დაინახა. *"განა ჩემი ქვეყანა ბაბილონის გოდოლის შენების შებრუნებული სახე არ არისო; გოდოლი ვერ აშენდა იმიტომ, რომ იქ ხალხი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა. ჩემს ქვეყანაშიც, გვინდა თუ არ გვინდა, ხალხი სხვადასხვა ენაზე მეტყველებს. მოდით, ალაპარაკდეთ ყველანი ერთხმად, ყოველგვარი*

ძალდატანების გარეშე ინგლისურ ენაზე და ახალი ბაბილონის გოდოლიც, ე.ი. ამერიკა უეჭველად აშენდებაო. აშენდება არა მარტო როგორც ძლიერ ქვეყანასა და დიად სახელმწიფოს შეეფერება, არამედ სინამდვილეშიც აშენდებაო" **(მხედველობაში ჰქონდა დოვლათი, რადგან ამერიკა მრავალეროვანი ქვეყანა იყო და შექმნილი დოვლათის გასაღებაც მეტისმეტად გაუადვილდებოდა).** აი, ეს გახლავთ ერთადერთი მშფოთვარე ფიქრები, რასაც უიტმენი გულში დიდხანს ინახავდა. იცოდა, რომ ამ იდეის გასატარებლად დიდი სახელი იყო საჭირო, ზედაც – ძლიერი ხელი, რამაც ღამე ძილი გაუტეხა და დღე – მოსვენება დაუკარგა. *"თუ ლინკოლნი გახდება პირველი პრაქტიკოსი ფუძემდებელი ერთიანი ამერიკის დემოკრატიული პოლიტიკისა, მე, უოლტ უიტმენი, უნდა ვიყო მთავარი იდეოლოგი და ნამდვილი მებაირაღე ჩემი მრავალეროვანი ამერიკელი ხალხისა".*

გვსმენია, ყოველი ქვეყნის აწმყო და მომავალი საკუთარი ხალხის ხელშიაო, თუ ეს ნამდვილად ასეა – გიხაროდენ. გამოდის, რომ ამ "სენტენციით" ჩვენი ქვეყნის აწმყოც და მომავალიც ჩვენს ხელთ ყოფილა. ახლა კი მივყვეთ მსჯელობას, გავეცნოთ ამ დიდ ამერიკელ პოეტსა და ჩვენთვის უაღრესად საინტერესო პიროვნებას. მისი გაცნობით ბევრ რამეზე შეიძლება თვალი აგვეხილოს, ბევრზე ეჭვი გაგვიჩნდეს, ბევრმა რამემ ჩაგვაფიქროს და, რაც უფრო მთავარია, დღევანდელმა წერილმა თვალნათლივ გაგვააზრებინოს ჩვენი ტანჯული ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც. თუ ეს ასე მოხდა, ვიტყვით, რომ სხვების პროგრესით ან შეცდომებზე ადამიანები მართლა რაიმეს სწავლობენო.

მაშ ასე, დავიწყოთ!

რომელიმე თქვენგანმა მათემატიკური მანიპულაციების მომშლელი ვირუსი რომ გამოიგონოს და მსოფლიოში არსებულ ყველა კომპიუტერში შეუშვას, როგორ გგონიათ, რამდენი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკას გააბედნიერებს ამით და რამდენი ცივილიზებული ქვეყნის შვილი დარჩება, თუნდაც არითმეტიკული (გამრავლება და გაყოფა მაქვს მხედველობაში) ცოდნის გარეშე? ვფიქრობ, მილიონობით. ალბათ, დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობაც ამ საფრთხის წინაშე დგას. ამიტომ სავალდებულოდ მიგვაჩნია, დაწყებით სკოლებში კვლავ დარიგდეს მოძველებული, "საბჭოური" რვეულები, სადაც ყდებზე გამრავლების ტაბულაა მოცემული და არა შიშველი ქალები. ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის. ახლა კი მივუბრუნდეთ კვლავ უიტმენს.

უიტმენის წარმოდგენაში ნიუ-იორკი სახეებისა და მხარეების ზღვა იყო, ამერიკა კი – ოკეანეთა საკრებულო. ეს გახლდათ სამყაროს სულთა თავშესაფარი უამრავი საოცრებითა და უამრავი მოულოდნელობით აღსავსე. როგორც კრიტიკოსები გადმოგვცემენ, მის ნაწერებს რიგითი ინტელიგენტის ხელი ეტყობოდა. 1842 წელს გამოცემული მისი რომანი **"ფრენკლინ ევანსი"** იმდროინდელი საშუალო პროზის დამახასიათებელი ნიმუში გახლდათ. კაცი – პოეტი, რომელიც ამერიკაში და ასევე მთელ მსოფლიოში **"ბალახის ფოთლებით"** უნდა გამოჩენილიყო, მწერლობაში ნელ-ნელა მოდიოდა და გვიან მოვიდა. ლიცეუმებსა და უნივერსიტეტებში სწავლა-განათლება მას არ მიუღია; ის გახლდათ რიგითი ასოთამწყობი. და აი, ერთხელ უიტმენმა სტამბაში ემერსონი წაიკითხა. ემერსონი იმდროინდელ ამერიკაში ყველაზე დიდ მწერლად ითვლებოდა. ის გახლდათ ღრმად ერუდირებული და უდიდესი ინტელექტის ადამიანი. წაიკითხა და თვალები აევლო, აევლო ისე, რომ თითქოს იქიდან ახლადატეხილი ბულა-კამეჩის სისხლი გადმოენთხა. დროთა განმავლობაში ნელ-ნელა დამშვიდდა. დამშვიდდა და ახლა თაეში ატლანტის ოკეანიდან მონაბერმა ნიავმა გაუარ-გამოუარა. უეცრად კვლავ წამოენთო, ეს კაცი ჩემი მოძღვარიაო, დაიღრიალა და ველური სიხარულით აღტყინებული ბგერები ოკეანის ტალღებს შეუერთა. შედეგით კმაყოფილმა ხელი მოჰკიდა კალამს და "ბალახის ფოთლების" დასათაურებით ლექსების მოწერას შეუდგა. წერდა ისე, თითქოს ახლადდაბადებული ადამი ყოფილიყო. პირველი კრებული 1856 წელს გამოსცა. კრებულში სულ თორმეტიოდე ლექსი იყო. წიგნი, რასაკვირველია, თავის მოძღვარს – ემერსონს გაუგზავნა: *"შარშან ზაფხულს ნიუ-იორკში ერთი წიგნი გამოქვეყნდა. გაურკვეველი ურჩხული, რომელსაც საზარელი თვალები და კამეჩის ძალა აქვს. წიგნი ამერიკულია და პოეტიც, ულაპარაკოდ ამერიკელი.* – წერდა ემერსონი ინგლისში თავის მეგობარ მწერალს ტომას კარლაილს. *"გთხოვ წაიკითხო თუ არ მოგეწონება, ფურცლები დაწვი და შენს ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდე".* ეტყობა, კარლაილმა ემერსონი უპასუხოდ დატოვა, რადგან გამოხმაურების შესახებ არც ჩვენ ვიცით არაფერი და არც თავად უიტმენმა. წიგნმა ფიასკო განიცადა. უიტმენი რის უიტმენი იყო, სულით დაცემულიყო. მან განახლებული ძალით ხელმეორედ გამოსცა წიგნი, ახლა უკვე ოდნავ შევსებული. მას ხომ თავისი დიადი მიზნები ასულდგმულებდა. გარეკანზე ემერსონის წერილიდან ამონაწერი მოათავსა: "წიგნი ამერიკულია და ავტორიც, ულაპარაკოდ ამერიკელიაო". ხოლო წინასიტყვაობის ნაცვლად წიგნს თავისი წერილი დაურთო სათაურით "წერილი ემერსონს", სადაც გულახდილად გადაუშალა თავისი გულის სატკივარი დიდ მწერალს და ამასთანავე ღრმა პატივისცემა და მეტისმეტი მოკრძალება გამოხატა მის მიმართ. თუმცა ამ გამოცემასაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი და უიტმენი მიდის დაჭრილი ძმის მოსანახულებლად ვირჯინიაში. ამბობდნენ, დაჭრილთა მძიმე და უნუგეშო მდგომარეობამ ისე იმოქმედა უიტმენზე, რომ

იგი მათ გვერდიდან აღარ მოშორებია.

აი, სწორედ აქ იწყება მისი ბედის შემობრუნება. უოტმენი წერს უამრავ, ადრინდელთან შედარებით მცირე ზომის ლექსებს. ლექსებში თითქმის მუდმივად პრეზიდენტ ლინკოლნს აქებს და ადიდებს; წერს და აქვეყნებს წიგნად პუბლიცისტურ წერილებს სათაურით *"დემოკრატიის გზები"*. აქაც არ ივიწყებს პრეზიდენტ ლინკოლნს. და უკვე აშკარად თავის აზრებს ახვევს ამერიკელ ხალხს. მალე წერილებს ბევრი მიმდევარი უჩნდება. ეტყობა, პრეზიდენტმა ლინკოლნმაც კეთილი თვალით გადმოხედა პოეტს, რადგან უკვე მოქანდაკე სიდნეი მორისი მუშაობს მის ქანდაკებაზე, მხატვარი ჰერბერტ ჯილქრისტიკი მის პორტრეტს ხატავს. უოტმენი დღითიდღე იზრდება დროსთან ერთად. თავის ჩანაწერებში "პრეზიდენტ ლინკოლნის სიკვდილი" ის წერს: *"ლინკოლნის პრეზიდენტობაში გამოჩნდა ახალი ღირსება ჩვენი ქვეყნისა, რაც დღემდე არ იციან სხვა ქვეყნებში და ჯერ ჩვენთანაც კი ვერ გაუგია კარგად ხალხს: ეს გახლავთ ის მყარი საფუძველი და შემაკავშირებელი ძალა ყოვლისა, რაც ამერიკის დიადი მომავლის წარმომშობია"*. ამ სიტყვებს თუ კარგად ჩავუკვირდებით, თვალნათლივ დავინახავთ იმას, რაც მუდმივად აფორიაქებდა თავად უოტმენს. რასაც ახლა მოგახსენებთ, სავალდებულოდ მივიჩნევთ კარგად გაიაზროს მკითხველმა. კერძოდ: 1876 წელს ინგლისურ და ამერიკულ პრესას შორის მძაფრი პოლემიკა გაჩაღდა უოტმენის შემოქმედების ირგვლივ. ინგლისელებმა ბრალი დასდეს ამერიკელ კრიტიკოსებს უოტმენის დაუფასებლობის გამო. რამ აიძულა ინგლისელები, ასე რომ ემოქმედათ, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მოგვინდეია. მოდით, ნუ გადავტვირთავთ ჩვენს წერილს ახალ-ახალი გამოცანებით.

ახლა კი ვნახოთ, თუ როგორ წარმოუდგენია უოლტ უოტმენს ამერიკის დიადი მომავალი და რას ნიშნავს მისთვის ყოველივე ეს.

"როგორც ფილოსოფოსი, ემერსონი მეტად დახვეწილი და კეთილშობილური მანერების მწერალია", - წერს ის თავის ადრინდელ მოძღვარზე, - "წარმოვიდგინოთ, რომ ემერსონის წიგნები გახდეს სისხლხორცეული ნაწილი ამერიკული სულისათვის და ამერიკული ხასიათის საკვებ რძედ იქცეს. წარმოგიდგენიათ, როგორი დასუფთავებულნი, უსისხლონი და უნუგეშონი შევიქმნებოდით ჩვენ, ამერიკელები. არა, არა, ძვირფასო მეგობარო, ქვეყანას ესაჭიროება არა მეტისმეტად განსწავლული ხალხი და ჭეშმარიტი ინტელიგენტები, არამედ ღირსეული ფერმერები, მეზღვაურები, ხელოსნები, კლერკები და ვაჭრები. ქვეყანას ესაჭიროება ჭეშმარიტი საქმიანი ადამიანები და სოციალური ურთიერთობანი, ძლიერი მამები და ძლიერი დედები, ვისაც ნამდვილად ეყვარება სამშობლო. დაე, ისინი ნუ შეათანხმებენ ერთმანეთს ქვემდებარესა და შემასმენელს, თუკი სიამოვნებთ, ისე იხარონ და ისე იხორხოცონ, თითქოს თოთო ბავშვი ღრიალებსო. სწორედ ეს არის, რაც ამერიკას სჭირდება, სჭირდება დიდი რაოდენობით და ძლიერი ამერიკაც ძირითადად ამ გზას ისახავს მიზნად. ამერიკა მიისწრაფის ამ დიდებისაკენ არა ინტელექტით და ცოდნით, არამედ ინტუიციით, ყველა ქვეყნისაგან განსხვავებულად. ის მიისწრაფის რაღაც განსაკუთრებულისაკენ (რას ნიშნავს ეს განსაკუთრებული? აქ უოტმენი თავის განზრახვას ბოლომდე აშკარად არ ამხელს).

უაღრესად დახვეწილი ხალხის შექმნა თითქოს ურიგო არ უნდა იყოს, - განაგრძობს იგი, - მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ამერიკისათვის უსათუოდ სიკვდილის მომტანი იქნება. დახვეწილობა ხომ იდეას ახრჩობს. ჩვენ, ამერიკელებმა უნდა შევიგნოთ ერთი რამ: ამერიკა განსაკუთრებულ და ბრწყინვალე კასტას, როგორც უკვე მოწინავე ევროპულ ერებს აქვთ, ვერასოდეს შექმნის. მათთან შედარებაზე ან დაპირისპირებაზე ჩვენთვის ფიქრიც კი ზედმეტია, მაგრამ შექმნა მრავალტომიანი უზარმაზარი მიწის სივრცეებზე ახალი დიადი ქვეყანა და ნამდვილი, ჭეშმარიტი ხალხი, ამ სახელის ღირსნი რომ არიან, ამერიკის არსებობის ძირითადი მიზანი უნდა გახდეს. და თუ ეს განხორციელდება (და ამ ბოლო დროს, მგონია, რომ განხორციელდება), ეს იქნება უდიდესი ნაყოფი ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკისა".

და ბოლოს უოტმენი ასე ახასიათებს თავის მოძღვარს, "ზოგჯერ ეჭვიც კი მიჩნდება, მართლა იცის თუ არა ემერსონმა ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია, ვთქვათ, ბიბლიისა, ჰომეროსისა და შექსპირისა. მგონია, რომ არა. მართალია, მას მოძღვარი ვუწოდე, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით, ემერსონს რაღაც განსაკუთრებული ძალა აღაფრთოვანებს, როგორც ჯენტლმენს და გულში ფიქრობს, რომ ეს უდიდესი თვისება ღმერთთა და პოეტთა, უნდა ემორჩილებოდეს ოქტავებს, მოქნილ ხერხებს, დახვეწილ ჟღერადობასა და ზმნებს. მოძღვარი რომ ვუწოდე მას, ამის გახსენება სრულიად არ მაწუხებს, მერწმუნეთ, კმაყოფილებასაც კი განვიცდი. ამგვარი სულიერი წვრთნით ჩეძნაირი ყმაწვილკაცთა უმეტესობა გამოცდილებას იძენს. ემერსონები ზრდიან გოლიათებს, თავადვე რომ ანადგურებენ მათ". აქ უოტმენს თუ დავეთანხმებით, გამოდის, რომ გოლიათებს თურმე განსწავლული აღმზრდელები სჭირდებათ.

გეკითხებით ყველას, რა დავაშავეთ ჩვენ, პატარა ქვეყნის შვილებმა შრომასთან ერთად სწავლაც თუ გვწყურია? დაე, ჩვენ, ქართველები, ვიყოთ განსწავლული და კულტურულნი, სულიერად ამაღლებულნი და მშრომელნი, ვიყოთ ძველი ტრადიციების მატარებელნი, რითაც ამერიკელები, ალბათ, ვერანაირად ვერ დაიკვეხნიან და ეზარდოთ ისეთი ქართველი გოლიათები, რომლებიც გამოადგებიან პირველ რიგში ჯერ თავიანთ ქვეყანას და შემდგომში მსოფლიოს უძლიერეს ცივილიზებულ ერებსაც. დაე, ასწავლონ მათ მსოფლიოს საზოგადოებას, თუ როგორია ხალხთა შორის ნამდვილი სიყვარული და ნამდვილი მეგობრობა. ნამდვილი სიყვარული და ნამდვილი მეგობრობა ჩვენი წილხვედრია, რაც ქართველებს ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და ნურასოდეს შეგვეცილებიან იმაში, რაც მათი საქმე არ არის. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. აი, ასეთი დემოკრატიას ჩვენ ნამდვილად მივესალმებით.

და მახსენდება სენტ-ეგზიუპერი: "ბავშვობაში, როცა რაიმეს ვაშავებდი, ბიძაჩემი სულ მუდამ ამერიკით მაშინებდა, წავალ ამერიკაში და ბავშვების გასალახ მანქანას ჩამოვიტანო. ო, რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარდა ამერიკა"...

P.S. *ბევრჯერ შემეკითხეთ შენი პოზიცია გავეგებინეო. პოზიცია ნამდვილად არ გამაჩნია. მე მიყვარს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა.*

ჯემალ რატიანი

თბილისი 3.03.97 წ.

სოლომონ დოდაშვილი – მგზნებარე ქართველი პატრიოტი, ერუდიტული მოღვაწე და ფილოსოფოსი

ვიდრე ამ პატარა სტატიას დავწერდი, არაერთი და ორი მისდამი მიძღვნილი მონოგრაფია წავიკითხე. მრავალი უძილო ღამე გავატარე ამ ოცნებით, წამებული მამულიშვილის ლანდთან ბაასში, მასზე ფიქრებში იმ ადამიანების ლანდთან, რომელიც, "სამშობლოს საკურთხეველზე დაიფერფლა, როგორც დიდი მოქალაქე თავისი ქვეყნისა". \შალვა რატიანი\ მე მგონი, ლიტონი სიტყვები არაა ლეიბნიცის სიტყვები, რომელთა განმეორებაც დიდ ილია მართალს უყვარდა: ***"აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"!***

სოლომონ დოდაშვილსაც ჰყავდა, რა თქმა უნდა, ღირსეული წინამორბედები და მასწავლებლები, ბერძენი ფილოსოფოსებიდან მოყოლებული... დიდი იოანე პეტრიწი და სხვანი, განა დიდი რუსთაველის უკვდავი წიგნის **"ვეფხისტყაოსნის"** სტრიქონები კი არ გაუნათებდა სულს მეოცნებე ჭაბუკს, რომელიც ღაღადებს: *"მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლულ თქმულსა, სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"*... რომ *"ესე ამბავი მართალი ჩინ ქვასა ზედა სწერია, ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"* თავის მონოგრაფიაში შესანიშნავი მეცნიერი თ. კუკავა მართებულად აღნიშნავს: *"პატრიოტიზმმა დოდაშვილს უკარნახა განმანათლებლობა, ისიც, რომ ყოფილიყო ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებელი თავისი დროისა, მაგრამ არა ყველაზე ადრეული განმანათლებელი"*, რადგანაც, როგორც ცნობილია, განმანათლებლური იდეები გაჩნიათ მის უფროს თანამედროვეებსაც: **იოანა ხელაშვილს, დავით და იოანე ბაგრატიონს!** მათ, რა თქმა უნდა, დიდი ზეგავლენა იქონიეს მასზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. თავის მხრივ მან ზეგავლენა მოახდინა ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ *"ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწრთვნა სოლომონ დოდაშვილთან... თუ დოდაშვილი არ იქნებოდა, მაშინ შეიძლება არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო"* ***(ვახტანგ ორბელიანი).*** ამის თაობაზე შედარებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს სიღნაღის სოლომონ დოდაშვილის მემორიალური მუზეუმის დირექტორი ქ-ნი მანანა დემურიშვილი: "მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავტორი პოემისა "ბედი ქართლისა". არის მემკვიდრე ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა 1832 წლის "მამულის გამოხსნის შეთქმულებაში"

1832 წლის შეთქმულების მარცხით დამთავრებას მოჰყვა ხანგრძლივი რეაქცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეთქმულების აქტივი გამოაკლდა საზოგადოებრივი მოძრაობის რიგებს. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტვირთი, რომელიც 1832 წლის თაობამ დატოვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც ჩაიშალა **"მამულის გამოხსნის შეთქმულება"** 1832 წლისა! ნ. ბარათაშვილი გიმნაზიის უფროს კლასში იყო, სადაც უკვე იგრძნობოდა შეთქმულების იდეური ატმოსფერო. ბარათაშვილის დროს გიმნაზიაში მასწავლებლებად იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და ახალგაზრდა ლიტერატორები დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი, ყველა ისინი მონაწილენი იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა. იმავე წლის 11 დეკემბერს ხელისუფლებამ დაატყვევა დოდაშვილი, ყიფიანი და ავთანდილაშვილი. სამხედრო სასამართლომ სოლომონ დოდაშვილს, როგორც შეთქმულთა ერთ-ერთ მთავარ ლიდერს, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც შემდეგ გადასახლებით შეუცვალა. სოლომონ დოდაშვილი წელიწადნახევარს პატიმრად ჰყავდათ თბილისში, ავლაბრის ყაზარმაში, შემდეგ 1834 წლის ივნისში გადაასახლეს რუსეთს, ვიატკას, საიდანაც იგი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. სოლომონ დოდაშვილი, ვიდრე დაატყვევებდნენ, ექვს წელიწადს (1827-1832 წლამდე) მასწავლებლად იყო ჯერ კეთილშობილ-

თა სასწავლებელში და შემდეგ გიმნაზიაში, როდესაც კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, სოლომონ დოდაშვილი ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე ხუთი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია ს. დოდაშვილის დიდი როლი 1832 წლის შეთქმულებაში, როგორც ორგანიზატორისა და დიდი იდეოლოგისა. სოლომონ დოდაშვილი იყო წევრი შეთქმულების თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამეულისა, ალექსანდრე ორბელიანსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად". ქ-ნი მ. დემურაშვილი მართებულად დასძენს, რომ: სოლომონ დოდაშვილის მიერ გამოცემული პირველი ქართული ჟურნალი "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა" მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის შემზადებას აჯანყების დაწყების წინ: ნ. ბარათაშვილს – მამულის გამოხსნის "შეთქმის" დაღუპვა მტკივნეულად განუცდია. მთელი სიმპათია და სიყვარული ახალგაზრდა ბარათაშვილისა შეთქმულთა მხარეზე ყოფილა! 1833 წელს ახალგაზრდა ლიტერატორთა წრეს გამოუშვია ხელნაწერი ალმანახი – ლექსთა კრებული, ქართულ ენაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილს დაუწერია სატირა ლექსად. ეს სატირა მის ამხანაგებს – ლევან მელიქიშვილს, პეტრე ბაგრატიონს და ნ. ბარათაშვილს ფოსტით გაუგზავნიათ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის თავად ნ. ფალავანდიშვილისათვის იმ იასე ფალავანდიშვილის, ძმისათვის რომელმაც 1832 წლის შეთქმულება გასცა. მთავარმართებლის ბრძანებით ტატო თავისი მშობლებლისათვის ჩაუბარებიათ რათა ურჩი შვილი სათანადოდ დაესაჯათ. მრისხანე, ანჩხლ თავად მელიტონ ბარათაშვილის ხასიათი კი ყველას კარგად მოეხსენებოდა! 1836 წელს უკვე ულვაშდამშვენებული ნ. ბარათაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში წერს ძვირფას ძია გრიგოლ ორბელიანს სადღაც შორეულ მხარეში გადასახლებულს, ხოლო უფრო ადრე 1836 წელს მასვე მშვენიერი ლექსი უძღვნია, სადაც ყაბახის კარგსა და ავზეა საუბარი, და იმაზეც, რომ "ძიავ ყაბახი, სამშობლო შენი წაგვართო ავის ენისა გესლმან"-ო... "ავი ენის გესლში" – იგულისხმებოდნენ 1832 წლის შეთქმულების გამცემლები – იასე და მისი ძმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილები.

ბ-ნი აკაკი გაწერელია თავის ცნობილ წერილში, რომელიც ს. დოდაშვილის "ლოგიკის" ქართულ თარგმანს მიეძღვნა, მოჰყავს საკმაოდ გრძელი ციტატა, ბ-ნ ა. ქუთელიასი: *" დოდაშვილი, ერთ-ერთი ქართველი განმანათლებელია, თავისი დროის გამოჩენილი მოაზროვნე და ფილოსოფოსი. "რაზნოჩინელი" სოლომონ დოდაშვილი პირველი იყო იმ მოწინავე ახალგაზრდათაგან, რომელთაც რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ თავიანთი ცოდნის შესავსებად და განსავითარებლად რუსეთის ცენტრს მიაშურეს"* (გვ. მე-5-ე) რედაქტორს საკითხის საკმაოდ ამომწურავი ფაქტიური მასალა მოჰყავს წინასიტყვაობის ამ თეორიული ლაიტმოტივის დასასაბუთებლად. მართლა და, ვინც კარგადაა ჩახედული მე-19 საუკუნის 20-ანი წლების საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, უყოყმანოდ დაეთანხმება "ლოგიკის" ქართული გამოცემის რედაქტორს დოდაშვილის საზოგადოებრივი აზრის განვითარების შეფასებაში. დოდაშვილის იდეების პროგრესული ხასიათი და რესპუბლიკანიზმი არც წინათ ყოფილა საჭოჭმანო... და დასძენს "როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, დეკაბრისტებთან დაკავშირებული იყო არა მარტო ტერიტორიულად, არამედ იდეურ-პოლიტიკურადაც. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა, რომ დოდაშვილმა პეტერბურგში გადაიწერა დეკაბრისტ რილეევის წერილი, რომელიც ამ უკანასკნელმა მისწერა თავის ცოლს, სიკვდილით დასჯის წინადღით. ეს წერილი სოლომონ დოდაშვილმა თბილისში ჩამოიტანა და ინახავდა დაპატიმრებამდე".

"პეტერბურგში ხდება დოდაშვილის არა მარტო დემოკრატიული და რესპუბლიკური იდეების ჩამოყალიბება, არამედ მის გულში მტკიცედ ესახება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, თავისი სამშობლოს ნაციონალური განთავისუფლებისა და რესპუბლიკურ ყაიდაზე გარდაქმნის იდეა". აქვე უნდა დავძინოთ, რომ მან თავისი საყვარელი ნაშრომი "ლოგიკა" მიუძღვნა ხარკოვის უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის მზრუნველს ა. ა. პეროვსკის, რომელიც პუშკინის თანამედროვე და მეგობარი იყო. რაც იმას მეტყველებს, რომ მისი პიროვნებისათვის უცხო იყო ყოველგვარი შოვინისტური გამოვლინება. დოდაშვილი, როგორც თავის პირად წერილებში, ისე ნაშრომებში "ლოგიკა", "რიტორიკა" და სხვა, დიდი პატივისცემით იხსენებს, როგორც რუს მოაზროვნეებს, აგრეთვე სხვა ქვეყნის მეცნიერებს და დიდ ერუდიციას ამჟღავნებს ფილოსოფიის ყველა დარგში, თუმცა ნაადრევად გარდაიცვალა გადასახლებაში ავადსახსენებელი სენით – ტუბერკულოზით. სამწუხაროდ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია ის ფაქტი, თუ პასუხობდნენ მას ასეთივე გულითადობით უცხოელი კოლეგები... იგი ღრმად ერუდირებული ფილოსოფოსი და პედაგოგი გახლდათ, აგრეთვე შესანიშნავი ჟურნალისტიც... დიდი განმანათლებელიც. აი რა სიტყვა წარმოთქვა სოლომონ დოდაშვილმა 1828 წლის 6 ივნისს ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდამ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსაშვებ აქტზე: ***"უმეცრება არს სარწმუნო თანამგზავრი მონებისა"*** და იქვე დასძინა: ***"ახალნერგნი ესე სწავლანი, განთესილნი ყოვლით კერძო, არა წინასწარ გვაუწყებენ, რომელ მამული ესე ჩვენი მოისთვლებს ოდესმე მათგან ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა?! არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა ხელოვნად"*** ამ ფაქტს იხსენებს ბ-ნი ს. ხუციშვილი თავის წიგნში "მანათობლები" და დასკვნაც გამოაქვს: *"სოლომონ დოდაშვილმა თავის ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური მოღვაწეობა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას და ხალხის განათლებას მოახმარა"*... დაასკვნის რომ ს. დოდაშვილისა და მისი მეგობრების სახით ქართველ განმანათლებლებს, მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, შესანიშნავი ფილოსოფოსები და განმანათლებლები ჰყავდა! მაგრამ, როგორც ჩანს, არც მათთვის იყო უცხო სიმარტოვის და მტანჯველი ეჭვების ის სუსხი როგორც მათ შემდგომ მავალი თაობებისათვის, ეს გან-

ცდა მერე შესანიშნავად გამოთქვა ილია მართალმა: *სათაყვანო მამულს როს მწუხარედ მომართავდა "შენს მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო. მავანთ და ჩავანთ"*

მკერდი დიდი ხნის დამშვენებული ჰქონდათ (რუსი იმპერატორის ბოძებული ჩინ-მედლებით), ხოლო ს. დოდაშვილის ნაობლარ, ნაადრევ სამარეს დიდი ხნის მოდებული ხავსი "ამშვენებდა", ვიდრე ჩვენმა მადლიანმა ერმა მისი ნეშთი მთაწმინდის მიწას არ მიაბარა.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს (ძველი სტილით), კახეთში (ქიზიყში) სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში, მღვდლის, იოანე დოდაშვილის ოჯახში, იოანე – სოლომონ დოდაშვილის მამა წარმოშობით გლეხი იყო, მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა, 9 შვილი (სამი ქალიშვილი და ექვსი ვაჟიშვილი), ამათგან სოლომონი მისი უფროსი ვაჟიშვილი ყოფილა. პირველდაწყებითი სწავლა ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში, 1821 წლამდე. სწავლა განაგრძო სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ გაიგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ყურადღება დაიმსახურა თავისი გულმოდგინე სწავლით, ნიჭითა და სამაგალითო საქციელით. 1822 წლის 15 მარტს დაინიშნა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც დაჰყო 1824 წლის გაზაფხულამდე. მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, მამის სასტიკი წინააღმდეგობისა და მატერიალური სიდუხჭირისა, მან მაინც შეძლო პეტერბურგში წასვლა 1824 წლის გაზაფხულზე. საქართველოდან დახმარების არავითარი იმედი არ ესახებოდა, მაგრამ თან მიჰქონდა (ავგაროზივით) წერილი ბერი იოანე ხელაშვილისადმი, სადაც მას გიორგი ავალოვი დიდი თხოვნით მიმართავდა: *"ქიზიყის სოფლის მაღაროდამ მოვიდა აქ, მანდ წამოსასვლელად სოლომონ ივანოვიჩ დოდაევი, რომელსაც უსწავლია თბილისის სემინარიაში და აწ გამოუსტუმრებიათ სწავლის შესასრულებლად ალექსანდრე ნევსკის მონასტრის სემინარიაში და, ვინაიდან არავინ ჰყავს მანდ მცნობი, ამისთვის შეგეედრებ და გთხოვ დაუგდებლობას მისსა, რომლისგანაცა მიიღებთ წერილსა ამასა".*

იოანემ სოლომონი გულთბილად მიიღო და შვილივით შეიყვარა, რადგანაც მასში დიდ ნიჭიერებასთან ერთად კეთილსინდისიერებაც და გულმოდგინებაც შენიშნა!

ბერი იოანე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი გახლდათ. ერუდირებული ადამიანი, იგი თან ახლდა ბატონიშვილებს და იქ ჩასულ ქართველებსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. სოლომონ დოდაშვილი ისე შეჰყვარებია და დამეგობრებია, რომ ზოგიერთს იგი იოანეს შვილობილი ჰგონებია. რითი მოიგო იმ ღვთისნიერი ბერის გული სოლომონმა, რაღა სწორედ ის დაიახლოვა და ამოარჩია ყველა იქ ჩასული ქართველი ახალგაზრდებისაგან? პასუხი ერთია:

"სხვა არავინ იშვილა. მასში იხილა შიში ღვთისა და სიბრძნე და ამისათვის იშვილა, ამისათვის დასახა "სულიერ ძედ" და სისხლისმიერ ნათესავებზე, გარნა "ურჩებზე" მეტადაც კი შეიყვარა და ეხმარებოდა ყოველნაირად"! მძიმე იყო სოლომონის მდგომარეობა და როგორ არ დახმარებოდა მას, ღვთისნიერ ახალგაზრდას, ღრმად მორწმუნე ბერი. იოანეს სიტყვებით რომ ვთქვათ,- "მკვდოვანს" და "უხვასტაგოს"!

სოლომონი არ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტში მოსმენილი ლექციებით და ზოგიერთ დარგში ცოდნის სრულყოფისათვის კერძოდაც ემზადებოდა სპეციალისტებთან, რისთვისაც სათანადო თანხები იყო საჭირო...

სოლომონი იოანეს შემწეობით მოეწყო ბაგრატ ბატონიშვილთან მისი შვილების მასწავლებლად.

სოლომონი თავდავიწყებით მეცადინეობდა, თავსა და ენერგიას არ ზოგავდა, მიუხედავად იმისა, ძლიერ ხშირად და სერიოზულად ავადმყოფობდა, შეშფოთებული იოანე ბერი ეკლესიაში "დღემუდამ, ჟამი ყოველი" ზენაარსს შვილობილის – სოლომონის" კურნებას შესთხოვდა და რა იცოდა კეთილმა მამობილმა, რომ მისი შვილობილი იმდროისთვის უკურნებელი სენით – ჭლექით იყო ავად! ვაგლახ, რომ მას სულიერი მამა სამშობლოსათვის თავდადებულ პატრიოტად ამზადებდა, ხოლო დემონი - ნაადრევი სამარისათვის. 1827 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სადისერტაციოდ წარადგინა თავისი ნაშრომი "ლოგიკა". უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმდენად კარგად შეაფასა ახალგაზრდა მეცნიერის ეს ნაშრომი, რომ საჭიროდ ცნო მისი დაბეჭდვა (რა თქმა უნდა რუსულად), ნაშრომი იოანეს დახმარებით დაიბეჭდა და მისმა გამოსვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია როგორც პეტერბურგის, ისე საქართველოს საზოგადოებაში, რადგანაც ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველმა კაცმა პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი. ნაშრომი ცნობილმა გამომცემელმა ა. ფ. სმირნოვმა გამოუშვა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაში იყო პუშკინთან, კრილოვთან, ჟუკოვსკისთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან: სოლომონ დოდაშვილი ხალისით და იმედით აღსავსე დაბრუნდა, მაგრამ აქ მას დიდი სატანჯველი ელოდა. დახვდა და მანაც თავის სამშობლოში "მწვავედ ნახავერდები უდაბნო მოვლო" მსგავსად მრავალი ღირსეული მამულიშვილისა, აქედან გაუყენეს იგი, ციმბირის გზას. უღმერთოდ ეწამა, ვიდრე ციმბირის გაყინულ მიწას არ მიაბარეს მისი სხეული, მისი ნაობლარი სნეული სული კვლავ საქართველოს ევლებოდა თავს... და აი, როცა კარგად თუ ავად ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის, მშობლიურმა ხალხმა მამადავითის წმიდათაწმიდა მიწას მიაბარა მისი ნეშტი და ხელთუქმნელი ძეგლიც აუგო.

წერილი დაიწერა სოლომონ დოდაშვილის დაბადებიდან 195 წლისთავის აღსანიშნავად (იბეჭდება საგრძნობლად შემოკლებით!)

შალვა მჭედლიშვილი.

როცა ალაზა ხაიაურზე ვფიქრობ, აფხაზური ანდაზა მახსენდება. "შვილის სიკვდილი ვისაც არ განუცდია, შვილის გარდაცვალებას ვერ მომისამძიმრებსო".

ათი წლის წინ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა გაინაწილეს სანაქებო ქართულმა ოჯახებმა.

რეზო ჭიჭინაძის ძირძველ ქართულ კერაზე გლოვის ზარმა ჩამოჰკრა. ალაზამ გულით დაიტირა ბატონი რეზოსა და ქალბატონ ბაბოს უმრწმესი შვილი ირაკლი.

ამ უბედურებას კი, თავად ალაზა ხაიაურის უბედურება უძღოდა წინ.

ვაჟკაცობით განთქმულ შვილს – ვაჟას მგლოვიარე მამამ თავისი ხელით მიაყარა მიწა.

ალაზა ხაიაურისა და რეზო ჭიჭინაძის მეგობრობა დიდ სიყვარულთან ერთად დიდმა წუხილმა კიდევ უფრო შეაკავშირა.

დაბა თიანეთი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ღირსეული განშტოებაა. ბევრს დღესაც ახსოვს მირზა გელოვანის მოულოდნელი მოვარდნა ქართულ პოეზიაში. სამწუხაროდ, მაშინ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დამკვიდრებულ მოლექსეთა ყურს ვერ მისწვდა ახალგაზრდა პოეტის გამორჩეული ხმა. ეს ხვედრი გაიზიარა ალაზამაც.

"უმცირესობა ლექსს ეწირება, უმრავლესობა-ხმაურს და სახელს".

ალაზამ პირველი გზა აირჩია. საკუთარი თავის განდიდებაზე არ უზრუნია. არც სხვას მოუკლავს თავი, რომ ჯეროვნად წარმოეჩინა მისი ადგილი ქართულ პოეზიაში. მასთან მეგობრობა - ეს იყო დიდი ცხოვრებისეული სკოლის გავლა. ცხოვრობდა ჩვენს გვერდით ეს საოცარი კაცი და თავისი ცხოვრებით გვაძლევდა მაგალითს. ყველაზე ძირფასი და ფასეული, რაც მან უხილავი ხელით ჩემში ჩარგო, ისაა, რომ მაღიზიანებენ "ხმაურს და სახელს" შეწირული ადამიანები.

ალაზასთან საუბარი იყო ერთდროულად ერის წარსულში დაბრუნებაც და ერის იმ ნათელ მომავალში გადაადგილებაც, რომელმაც საყდრისაკენ მიმავალ გზას უნდა შეუყენოს თითოეული ჩვენგანი. ხელისუფალთა და მეხოტბეთაგან მონიჭებული ჯილდოები და პრემიები ფერმკრთალდება იმ სიყვარულის ფონზე, რომელიც ალაზამ დატოვა.

გიორგი არჩემაშვილი

* * *

ღმერთო ჩემო, რა შავი დღე ვნახე,
ვინ ელოდა ამ უდროო დაისს...
ვერ ჰკოცნიდეს დედა შვილის სახეს...
ვაი ბედო...ვაი... ვაი...ვაი...

ზეასვლისას დავიზაფრეთ ეგზომ,
ეს საწუთრო რა ყოფილა მაინც...
ნამეხარო მუხავ, ძმაო რეზო,
ალაზას ხვედრს იზიარებ...ვაი...

მზე ჩავიდა ჩვენი სიამაყის,
ამოგვივა იგი არასოდეს,
ვიდრე დროც ჩვენ ხმელ ფოთლებად დაგვყრის
ვკოცნოთ შვილთა საფლავებზე ლოდებს...

ცივ სიპებზე ცხელი ცრემლი ვღვაროთ,
თუმც დაჭრილ გულს ვერაფერი შველის..
ველარ მოვლენ ტურფა საბაღნაროს
ჩემი ვაჟა და ირაკლი შენი...

სხვა წამალი? არაფერი... ღმერთიც
ვერ იშოვის შვილისათვის წამალს,
გვეწამლება მხოლოდ ერთადერთი –
ჩვენს შვილებთან იმქვეყნად რომ წავალთ.

იქნებოდეს ჩვენი ძეგლები ასეთნი, სახე-ენა შეუბრალნი!...

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-I ათასწლეულები ხასიათდება, როგორც უძველესი ქვეყნებისა და ცივილიზაციის აღმავლობა-დაცემის, ძველის შთანთქმისა და ახლის წარმოშობის ხანა.

კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე აღინიშნება, კულტურათა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დამყარება და ხდება პოლიტიკურ-ეკონომიკური მეთოდების ჩამოყალიბება.

სახელმწიფოთა იზოლაცია, ცხოველთა პოპულაციის საქმეში, საშუალებას იძლეოდა ჩამოყალიბებულიყო ძაღლთა სასურველი ტიპები.

შუამდინარეთში, მეურნეობის განვითარების მიხედ-

ამონატვიფრი 3200-3000 წ. ჩვ. წ. აღ-მდე (ბრიტანეთის ლონდონა მუზეუმი)

ვით წარმოიშვნენ ძაღლთა შუალედური ჯიშები. ქვეყნის მოსახლეობაში მიწათმოქმედების ან მესაქონლეობის განვითარება, განაპირობებდა ცხოველთა ზოგიერთი სახეობის უპირატესობის კანონზომიერებას. მესოპოტამიის ჩრდილოეთ რეგიონში მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებული იყო მესაქონლეობით. სამხრეთით პირიქით, შუმერები აქტიურად მისდევდნენ მიწათმოქმედებას. აქედან გამომდინარე, შუმერებმა ძაღლს დააკისრეს მოვალეობა, დაეცვა საცხოვრებელი და ნათესები გარეული ცხოველებისაგან. ძაღლები გამოირჩეოდნენ უხეში, მასიური და მძიმე აგებულებით, მოკლე ბეწვით, სიავითა და აგრესიულობით. ჩრდილოეთში ძაღლები უპირატესად მწემსებად გამოიყენებოდა და მთის უხეში გრძელბეწვიანი ნიშნებით ხასიათდებოდა.

შუმერების განადგურებულ სახელმწიფოზე აღმოცენდა ასირია და ბაბილონი. მესოპოტამიის ქვეყნების მაღალგანვითარებულმა სოფლის მეურნეობამ და საერთო კულტურამ სტაბილური ეკონომიკით ხალხს საშუალება მისცა სელექციით გამოეყენებინა ძაღლი, რომელმაც მოგვიანებით ასირიულის სახელი მიიღო. ისინი მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში, როგორც ძაღლი - პირადი მცველი, გამოიყენებოდნენ სანადიროდ ლომებზე, ტახებზე და სხვა.

შუმერებმა ასირიელებს, ბაბილონელებს, ბერძნებს, სპარსებსა და სხვა ხალხებს გადასცეს ბრწყინვალე საჯიშე მასალა, რომელიც გამოიყენებული იქნა ძაღლების მოლოსური, ანუ ბერძნული ჯგუფის ფორმირებაში, ძველი საბერძნეთისა და რომის ტერიტორიებზე.

მოლოსურ ჯგუფს, რომელშიც ერთიანდება ესპანური, ფრანგული, ბრიტანული, ბელგიური, ბრაზილიური, არგენტინული მასტინოები, ბულბასტიფი და ბერბული, თავში უდგას მეფედ აღიარებული ძაღლი - მასტინო (**MASTINO NAPOLETANO**), რომელზეც ამჯერად გვექნება საუბარი.

მას საპატიო ადგილი უჭირავს ინტელექტუალურ ჯგუფში: კავკასიური ნაგაზი, სენ-ბერნარისა და ნიუფაუნდლერის გვერდით. თუ რას ნიშნავს ძაღლის ინტელექტუალობა, შევეცდები აეხსნა მარტივად. ჩვენებური კავკასიური ნაგაზის მაგალითზე: თუ კავკასიური ნაგაზის ინტელექტუალობა ძალს მის ძირითადად პროფესიაში, - მეცხვარეობაში, განსხვავებით სხვა მეცხვარე ჯიშის ძაღლებისაგან, რომლებიც სპეციალური საწვრთნელი კურსის გავლის შემდეგ, მწყემსის ხელმძღვანელობით მუშაობენ ცხვარში. ჩვენი ეროვნული ნიამაგე, დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს და უფრო მაღალკვალიფიციურ ლონეზე ასრულებს თავის პროფესიულ საქმიანობას. ან, სენ-ბერნარის მაგალითი: ხშირად გვინახავს ტელეეკრანით სხვადასხვა ჯიშის გაწვრთნილი მაშველი ძაღლები, რომლებიც დიდი სიმპათიით განაწყობს მაყურებელს. მაგრამ სენ-ბერნარი, გარდა იმისა, რომ ზვავიდან გამოიყვანს დაზარალებული, თვითონვე ხდება რა ნაწილი აქვს მას გადარჩენილი და უმუშავებს დაზიანებულ ადგილებს. ასევე განსხვავდება მასტინო, მისი ინტელექტუალობა, რომელიც ძალს მისსავე, თანდაყოლილ, პირადი მცველის პროფესიაში: ამ ამპლუაში მას ბადალი არ ჰყავს, იმ შემთხვევაშიც, თუ გაწვრთნას ვერ მოვახერხებთ. საკმარისია შემოვიფარგლოთ ისეთი აუცილებელი ბრძანების სწავლებით, როგორიცაა: - **"ჩემთან!"**, **"დაჯექი!"**, **"არ შეიძლება!"** და სხვა, თუმცა კი ბრწყინვალედ ექვემდებარება წვრთნას. საერთოდ, რეკომენდებულია გაწვრთნათ თვითონ, ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით. აქვს ძალიან კარგი მეხსიერება, მისი გაკვეთა საბედისწეროა, ამი-

ტომ სასურველია დაკმაყოფილდეთ რითაც ბუნებამ დაავჯილდოვა: - რკინისებური ნერვებით, რაინდული შემართებით, დარბაისლობით.

აი, როგორ ახასიათებს მასტინოს XIX საუკუნის ცნობილი იტალიელი მოღვაწე – ტეპპე: - *"ეყრდნობა რა თავის ძლიერებას, მასტინოს სძულს შულლი და არასოდეს ესხმის თავს საფარიდან; უტევს პირდაპირ და წარბშეუხრელად; დასცემს რა მოწინააღმდეგეს, მიწაზე მილურსმავს ისე, რომ არ დააზიანებს, თუ განწირული წინააღმდეგობას შეწყვეტს. ასეთი ძაღლი სულგრძელია ბავშვებისა და პატარა ცხოველების მიმართ, ტყვილ-უბრალოდ არ ებმება უსიამოვნებაში, მაგრამ თუ პროვოცირებენ, - ვაი გაუფრთხილებელს".*

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმში, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ძაღლის ჯიშის ძეგლს, საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი მესოპოტამიურ ტერაკოტას. ექსპონატზე გამოსახული ძაღლი ძალიან ჰგავს თანამედროვე ნეოპოლიტანურ მასტინოს. ვრცელი ბიბლიოგრაფია საშულებას გვაძლევს თვალი შევავლოთ მასტინოს განვითარება-ჩამოყალიბებას.

ომებისა და ხალხთა მიგრაციის შემდეგ ჯიში გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში: ფინიკიაში, საბერძნეთში, გალეთში, ბრიტანეთში, მაგრამ ვინაიდან იმ დროს იგი წარმოადგენდა ძვირფას ძღვენს, როგორც უერთგულესი პირადი მცველი, გვერდს უმშვენებდა მრავალ დიდ მბრძანებელს – მეფე კიროსს, ალექსანდრე მაკედონელს, იმპერატორებსა და სხვა მონარქებს.

მასტინოს ჯიშის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა თვით იულიუს ცეზარმა, რომლის მმართველობის პერიოდია ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის შუახანი. იგი დიდად განცვიფრდა და აღფრთოვანდა ძაღლებით, რომლებმაც ერთ-ერთი ლაშქრობისას კინაღამ მარცხი აგემეს ერთ მის ლეგიონს, მათი სიძლიერითა და სიმამაცით მოხიბლულმა, რომში წამოიყვანა რამდენიმე ძაღლი. დამორჩილებულ ქვეყნებში, დანიშნა პროკურორები, რომლებიც პასუხს აგებდნენ ამ ჯიშის ძაღლების მოძებნა-მოპოვებასა და რომში ტრანსპორტირებაზე. ამგვარად მოუყარა თავი ძაღლებს რომში, რომლებსაც მოგვიანებით ეწოდა რომაული მასტინო. იულიუს ცეზარმა შექმნა ძაღლების ლეგიონი, ამიერიდან ისინი წარმოადგენდნენ სამხედრო ძალას რომის იმპერიაში და ერთგულად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ლეგიონერების მხარდამხარ, ასევე არენებზე, ისინი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდნენ ლომებს, ვეფხვებს, ხარებს, გლადიატორებს - რომაელთა გასართობად.

I საუკუნეში ერთ-ერთმა დიდმა მოღვაწემ კალუმელამ თავის ბრწყინვალე ნაშრომში **"De Re Rustika"** პირველმა აღწერა რომაული მასტინოს დანიშნულება და ჩამოაყალიბა სტანდარტი. მასტინოს სახელი მომდინარეობს ლათინური **"Massatinus"**– იდან, რაც ნიშნავს ადგილ-მამულის ღმერთს. კალუმელამ დაადგინა, რომ მასტინო თვითგანსწავლულია სახლის, დიდი ტერიტორიებისა და ადამიანების მცველია.

რენესანსის პერიოდის იტალიურ გრავიურებსა და გამოჩენილ ოსტატთა სურათებში, მასტინო წარმოგვიდგება დიდი, ორგანიზებული ნადირობის მთავარ ფიგურად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კარგად იგეშება მხეცებზე.

ვინაიდან მასტინო ოფიციალურად არ იყო ძაღლის მოყვარულთა საზოგადოებაში აღიარებული და ამის გამო ვერ იღებდა გამოფენებში მონაწილეობას, ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში, წმინდა სისხლის მასტინო შემორჩა მხოლოდ ერთეულ დიდებულებს და სულ მალე განადგურების ზღვარს მიადგა.

მსგავსი ძაღლების მოყვარულთათვის შესახსენებლად და სანახავად ნეაპოლში, 1946 წელს, ჯიშიანი ძაღლების გამოფენაზე, კონკურსგარეშე, თავი მოუყარეს სულ რაღაც 6 მასტინოს.

მაყურებელთა შორის იყო ერთი კინოლოგი, რომელზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გუალიონემ, რომლის განმეორებამ მზერამ დაატყვევა შემდგომში ნეაპოლიტანური მასტინოს მამად წოდებული პიერო სკანციანი. მოგვიანებით ბატონი პიერო სკანციანი ასე იგონებს ამ შემთხვევას: "მე ის იმწამსვე ვიცანი, ის იყო ერთი იმ ათასი მებრძოლი ძაღლიდან, რომელიც პაულიუს ემილიუსმა, მაკედონიის მეფეზე გამარჯვების აღსანიშნავი ტრიუმფისას, წარუდგინა რომის მოსახლეობას 168 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს იყო ეპირის დიდი ძაღლი, ასირიელთა შავი გუალიონე, რომელშიც ჩანდა არა მტრობა და ქედმაღლობა, არამედ კეთილშობილება, რომელიც გასცემს და არას მოითხოვს, ის მიმზერს და ბჭობს".

პიერო სკანციანიმ, დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად, შეძლო მოსაშენებლად შეეძინა ხვადი გუალიონე და ძუ პაჩიანა. მასტინოზე უზომოდ შეყვარებულმა პიერო სკანციანიმ, ტიტანური შრომის ფასად, შეძლო,

გადაშენებისაგან გადაერჩინა და მსოფლიოს კინოლოგთა ფედერაციაში გაეწევრიანებინა ეს უძველესი ჯიში, რომელსაც ეწოდა ნეაპოლიტანური მასტინო, შექმნა ნეაპოლიტანური მასტინოს მოყვარულთა საზოგადოება და კიდევ მრავალი რამ გააკეთა, რათა ამ ჯიშს ტრიუმფით შემოეკლო დედამიწა. მოგვიანებით, მარიო კუ-



ერჩი ფლორენციიდან, თავისი ცნობილი ხვადით – გუალიონე II-ით, ასევე გახდა ჩემპიონი სხვადასხვა გამოფენაზე. ვინმე კლემენტო ბიონდომ კონჩელოდან, კუერჩის აჩუქა მასტინოს კიდევ ერთი ოჯახი, სახელად "ფიამა", იმ პირობით, რომ მათი ლეკვები გახდებოდნენ მსოფლიოში საუკეთესონი. მარიო კუერჩის ხელში "ფიამა" გახდა პირველი ოჯახი, ნეაპოლიტანური მასტინოს 1953 წლის იტალიის ღია ჩემპიონატზე. ეს იყო სკანციანის "გეალიონეს" შემდეგ, რომელიც უკვე 1949 წელს იყო ჩემპიონი. მარიო კუერჩის ძაღლსაშენის "დი პონცანო"-ს ძაღლები, ტრადიციულად, წლების მანძილზე ხდებიან იტალიის ჩემპიონები. "დი პონცანო"-ს ძაღლები ხარისხის გარანტები ხდებიან აშშ-ში, სადაც "ტოსკანო დი პონცანოს" ლეკვებზე დიდი მოთხოვნილება იყო, გერმანიაშიც მასტინოების ხარისხი დამოკიდებულია ჩემპიონ "ედეა დი პონცანოზე", რომელიც მოსაშენებლად შეისყიდა ფრაუ დენჯერ ლეგაუმ, ასევე მსოფლიოს ჩემპიონ საჰიბ-II დი პონცანოს, ინტერჩემპიონები საჰია დი პონცანო, გრეტა დი პონცანო და არონ დი პონცანო, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით გერმანულ მასტინოთა ხარისხზე, გერმანიაში, მასტინოს გამოფენაზე ბატონ ლეო ჰელბიხს ჰკითხეს: - რატომ აკუთვნებს ყველა, პირველობას ძაღლს, რომლის აღნაგობაც შორსაა სრულყოფილებისაგან? რაზეც გასცა ასეთი პასუხი: - "ეს ძაღლი 2000 წელია ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენი 100-200 წლით თუ შემოიფარგლებაო".

ასევე აღსანიშნავია მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი "კალიგულა და პინცანოს" შთამომავლობა, რომლითაც ამაყობენ ცნობილი პოლონელი კინოლოგები, მასტინოს მოყვარულთა საზოგადოებაში ცოლ-ქმარი გრაბოვსკები. ისინი დიდად ემადლიერებიან "დი პონცანოს" ძაღლსაშენს და მათთან ერთად ჩვენც, ვინაიდან *"კალიგულა დი პონცანოს"* პირდაპირი შთამომავალი, თბილისელი შერხანი, საქართველოს ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთათვის, ერთ-ერთი უსაყვარლესი ძაღლი გახლავთ, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ბევრი მეგობარი შეიძინა. სეირნობის დიდ მოყვარულს, თითქმის ყველა უბანში ჰყავს გამორჩეული თაყვანისმცემლები, რომელთა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილებს უყურადღებოდ არ გაუვლის, აუცილებლად შეჩერდება, მიესალმება. კეთილგანწყობის ნიშნად ან შემოთავაზებულ წყალს მიირთმევს, ან გაგრილდება, რისგანაც სხვასთან თავს იკავებს და გზას გააგრძელებს. მასთან დამეგობრება იოლი არა არის, თუ არ დარწმუნდა ადამიანის გულწრფელ თავაზიანობაში, არც თვითონ გაჩერდება და არც თავის მეგობარს გააჩერებს სალაპარაკოდ. ერთხელ, ძუ მასტინოსთან, სახელად ვენძისთან, სტუმრად მისული მოთმინებით ელოდა, როდის მიიღებდა თავის ულუფა ძვალს, ძვალი შუაზე გაიყო, ერთი ნაწილი მიეცა ვენძის, მეორე შერხანს. შერხანი დასწვდა თავის წილ ძვალს და მძიმე ნაბიჯებით გაემართა ვენძისაკენ, იგი უკვე გართული იყო ძვლის დამუშავებით და თავთან დაუდო თავისი წილიც. ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავში ზრდილობის კოდექსი უდევს და გარშემო მყოფთაგან მოითხოვს ყველა მუხლის დაცვას.

ნეაპოლიტანური მასტინოს ყველა მეგობარი მსოფლიოში მადლობელია პიერო სკანციანისა, მის მიერ ურთულესი სამუშაოს გაწევისათვის. მან მოგვცა საშუ-



ალება დღემდე ვტკბებოდეთ ამ უძველესი ჯიშის ძაღლით.

ღრმად თუ ჩავიხედავთ ამ არაჩვეულებრივი ძაღლის თვალებში, ვიგრძნობთ, რომ ნეაპოლიტანური მასტინო უკვე მრავალი, მრავალი ათასწლეულია, რაც კაცობრიობის ისტორიას შემორჩა. აი, ასეთია ეს, მართლაც, ადამიანის დიდი მეგობარი მასტინო.

კინოლოგი გიორგი დიასამიძე.

ხელოვნება თავად ოსტატობა

ეგვიპტის ისტორია ეროვნებისათვის

ძველი ეგვიპტე: ისტორია, მითი, რეალობა. ძველი სამეფო ხანის ხელოვნება

ამ ჰიმნიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენ რასმე აერთიანებს ოსირისი საკუთარ არსში: იგი არის ნილოსი, მომნიჭებელი ღვთაებრივი ტენისა და სიცოცხლისა; ყოფიერებასთანაა დაკავშირებული. იგი მზის ღმერთის, რას მსგავსად კვდება და შემდეგ მკვდრეთით აღდგება, მაგრამ თუ რას კვდომისა და გაცოცხლების ციკლი ყოველდღიურად მეორდება, ოსირისის მისტერია წლიურ ციკლს უკავშირდება. ძველი ეგვიპტელები ყოველწლიურად აღნიშნავდნენ ოსირისის სიკვდილს (მაისში) და მის აღდგომას (ნოემბერში). რაც სწორედ წელიწადის დროთა ცვლას, ბუნების კვდომა-განახლების ციკლს ემთხვეოდა.

ოსირისის კავშირს ბუნების ძალებთან მრავალი გამოსახულება გვიდასტურებს. მას წარმოადგენდნენ პაპირუსის ფოთლებისაგან გაკეთებული გვირგვინით, მისი ზღაპრული ნავიც ამ მცენარისა იყო. ოსირისი ხშირად გამოისახება ამა თუ იმ მცენარესთან: ლოტოსთან, ვაზთან. რელიეფებსა და ფრესკებზე ოსირისის აკლდამა უმეტესად მცენარეებით არის განედლებული. უძველეს ტექსტებში იგი ხშირად «ვაზის მეუფედაც» არის მოხსენიებული. ზოგჯერ იგი პურის მარცვალთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთ ტექსტში, სადაც მიცვალებული გაიგივებულია ოსირისთან, ვკითხულობთ: «მე ვარ ოსირისი... მე ვცხოვრობ როგორც მარცვალი... მე ვარ ქერი». ფარაონის მეფედ კურთხევის მისტერიაშიც ოსირისი გაიგივებულია ქერთან და პურთან. ამ უკანასკნელთან ოსირისის კავშირს გამოხატავს გათხრების დროს აღმოჩენილი მეტად უცნაური ნივთები: ეს არის საგანგებოდ, ფეხებიან ჩარჩოზე გადაჭიმული ქსოვილი, რომელზეც ოსირისის ხისგან გაკეთებული კონტურული გამოსახულება დევს. მასში ყრია მიწა, შიგ ხორბლის თესლით. ამგვარად ამოსული ჯეჯილი ოსირისის მობიბინე მწვანე სილუეტურ მოხაზულობას ქმნიდა. ოსირისის ისტორია ბუნების მუდმივ განახლებაზე მიწათმოქმედთა უძველესი წარმოდგენის ტრანსფორმაციაა, წარმოდგენისა მიწაში ჩაგდებული მარცვლის სიკვდილსა და გაცოცხლებაზე. ჰორი კი, რომელიც ოსირისს მკვდრეთით აღადგენს, სხვა არაფერია, თუ არა ცხოველმყოფელი მზის სხივი.

ნილოსთან ოსირისის გაიგივება ასევე მიგვითითებს მის კავშირზე ნაყოფიერებასთან. «პირამიდების ტექსტებში» ოსირისი მოხსენიებულია როგორც «ანკარა წყალი». არსებობს ლეგენდა, რომ ნილოსი მისი ფეხიდან გამოედინება. გარდა ამისა, არსებობდა რწმენა, რომ ნილოსის ადიდება იწყებოდა იმის გამო, რომ

ამ ჰიმნში მინიშნებული გაახალგაზრდავებისა და ჭაბუკად ქცევის მომენტი აშკარად მიგვითითებს, რომ იგი კვდომა-აღდგომადი ღვთაებაა, რითაც ბუნების ცხოველმყოფელ ძალებსა და ნაყოფიერებას უკავშირდება. გარდა ამისა, იგი გარდაცვლილი ფარაონის კულტსაც ითავსებს.

ჰელიოპოლისური ვერსიის თანახმად, ოსირისი გებისა და ნუტის შვილია. იგი უხსოვარ დროს მეფობდა ეგვიპტეში. ოსირისმა ასწავლა ეგვიპტელებს მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა-მეღვინეობა და წარმატებით მართავდა ქვეყანას. შურით დაბრმავებულმა მისმა ბოროტმა ძმამ სეთმა მოკლა იგი, რათა თვითონ გამეფებულიყო ეგვიპტეში. მზის ღმერთმა რამ გაგზავნა ანუბისი (მიცვალებულთა ღვთაება), რომელმაც შეაგროვა სეთის მიერ მთელ ქვეყანაზე მიმოფანტული ოსირისის სხეულის ნაწილები, გააკეთა მუმია და შეახვია სახვევებში. დედალ შეავარდენად ქცეული ისისი მოფრინდა, ოსირისის გვამზე დაეშვა, სასწაულებრივ იღო მუცლად ჰორი და შვა იგი. ჰორი მოევლინა ქვეყანას, როგორც ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე მამისა და შურისმაძიებელი. დედამ იგი ნილოსის დელტის ჭაობებში გაზარდა მალულად. უკვე ჭაბუკი, იწყებს ბრძოლას ოსირისის მკვლელის, სეთის წინააღმდეგ; იწვევს მას, ამარცხებს და მამის სრულუფლებიან მემკვიდრედ იქცევა, თვით ხდება მეფე და ხელისუფალი. ამის შემდეგ ჰორი მსხვერპლს გაიღებს მამისათვის, მას საკუთარ თვალს გადააყლაპებს და ამით მკვდრეთით აღადგენს. მაგრამ ოსირისი დედამიწაზე არ ბრუნდება, იგი მიცვალებულთა საუფლოში რჩება მის გამგებლად, ხოლო ჰორს ცოცხალთა სამეფოს მმართველობას უთმობს.

უპირველეს ყოვლისა, ოსირისის კულტი ბუნების ცხოველმყოფელ და მუდმივგანახლებად ძალებთან, ნა-

გაგრძელება. დასაწყისი ისილეთ "ხატაური" №4

ოსირისზე მგლოვიარე ისისის ცრემლი მდინარეში მოხვდა. დღემდე ადგილობრივი არაბი მოსახლეობა ნილოსის ადიდების ღამეს «ცრემლის ღამეს» უწოდებს.

ნაყოფიერებასთან ერთად ოსირისის კულტი აგრეთვე გარდაცვლილი ფარაონის კულტსაც მოიცავს. ყოველი ფარაონი გარდაცვალების შემდეგ გაიგივებული იყო



მენტუჰოტეპ I-ის ჰებ-სედის ქანდაკება. დეირ-ელ-ბაჰარი, ძგ.წ.აღ.XXI ს.

ოსირისთან. ამიტომაც აკლდამებში ხშირად გეხვდება სამეფო სამოსელითა და გვირგვინით შემკული ფარაონის სკულპტურული გამოსახულება ოსირისის პოზაში - მკერდთან გადაჯვარედინებული ხელებით, რომლებშიც მას სამეფო ინსიგნიები - კვერთხი და მათრახი უჭირავს. შესაბამისად, ასეთ გამოსახულებას ოსირისისებურს უწოდებენ. მითის მიხედვით, ოსირისი მკვდრეთით აღდგა, მაგრამ არ დაბრუნებია ამქვეყანას, დარჩა მიცვალებულთა ქვეყანაში და თვით იქცა უკვდავების მიმნიჭებელ ღვთაებად, მიცვალებულთა მსაჯულად. «მიცვალებულთა წიგნში», რომელსაც აკლდამებში ატანდნენ გარდაცვლილებს, საგანგებოდ იყო ხაზგასმული ოსირისის სამსჯავროს იდეა. ოსირისის სამსჯავროს ხშირად გამოსახავდნენ ხოლმე რელიეფებსა და ფრესკებზე. ამ სცენაში ოსირისი წარმოგვიდგება ტახტზე მჯდომ მეუფედ, სამეფო ინსიგნიებით: გვირგვინით, კვერთხითა და მათრახით. აქვე არიან გამოსახული ეგვიპტის 42 ნომის ღვთაებანი, რომლებიც სამსჯავროს ქმნიან. ორი ქალღმერთის თანხლებით წარმოდგენილია გარდაცვლილი - განსასჯელი. ამ სცენის აუცილებელი ატრიბუტია სასწორი, რომელზეც სიბრძნის ღვთაება თოთი და მიცვალებულთა გვამის ღვთაება ანუბისი გარდაცვლილის გულს წონიან. სასწორის ერთ მხარეს გული დევს, მეორეზე კი - ჭეშმარიტების ქალღმერთის გამოსახულება. თუ გული და ჭეშმარიტება წონასწორობაშია, მიცვალებულს ამართლებენ და ეგვიპტურ-სამოთხის აყვავილებულ მინდვრებზე აგზავნიან. სხვა შემთხვევაში კი მას ჭამს ამავე სცენაში ოსირისთან ახლოს გამოსახული საშინელი ცხოველი - ნახევრად ძუ ლომი, ნახევრად ბეჰემოთი, სახელად «ამამათ» (რაც «შთამნთქმელს» ნიშნავს).

ამგვარად, ოსირისი მრავალსახოვანი ღვთაებაა, მის მრავალ არსთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნაყოფიერების ღვთაებისა და მიცვალებულთა მსაჯულის ფუნქცია.

ძველი ეგვიპტელებისთვის დამახასიათებელი იყო ფეტიშიზმი (უსულო საგნების გაღმერთება). ისინი თაყვანს სცემდნენ პირველყოფილ ქვას - ბენ-ბენს, ასევე გავრცელებული იყო მცენარეთა გაღმერთება - მაგალითად, წმინდა მცენარეებად მიაჩნდათ ლოტოსი, პაპირუსი. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ცხოველების კულტი (ტოტემიზმი). ეგვიპტეში ცხოველები წმინდა არსებებად ითვლებოდნენ. ისინი ტაძრებში ცხოვრობდნენ, მათ დიდი გულისყურით უვლიდნენ. სიკვდილის შემდეგ კი მათ მუმიებს აკეთებდნენ და დიდი პატივით კრძალავდნენ საგანგებო სასაფლაოებზე. მაგალითად, მემფისთან გათხრებისას ნაპოვნია წმინდა ხარების (აპისის) სასაფლაო. თითქმის ყველა ეგვიპტური ღვთაების მიწიერი განსახიერება იყო რომელიმე ცხოველი: ანუბისისა - ძაღლი ან ტურა, ქალღმერთი ბასტეტისა - კატა, სოხმეტისა - ლომი, ჰათორისა - ძროხა და ა.შ. მოგვიანებით ამ ღვთაებებმა ადამიანის სახე შეიძინეს (მოხდა ანთროპომორფიზაცია), ძველი წარმოდგენები ახალს შეერწყა და გაჩნდა გამოსახულებანი ადამიანის სხეულითა და ცხოველის თავით. მაგალითად, სიყვარულისა და მხიარულების ქალღმერთი ბასტეტი გამოისახებოდა კატისთავიანი ქალის ხოლო, ნაყოფიერების ქალღმერთი რენენუტი - გველისთავიანი ქალის სახით და ა.შ.

ამგვარად, ეგვიპტური ღმერთების პანთეონი საკმაოდ ვრცელია და მათი კულტი უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ხოლო თვით ეგვიპტური მითი ძალზე მრავალფეროვანია და უღრმეს შრეებს მოიცავს. მითების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ეგვიპტელთა რწმენასა და მსოფლმხედველობაზე შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა და აქედან გამომდინარე, რელიგიასთან უშუ-

ალოდ დაკავშირებულ ეგვიპტურ ხელოვნებასაც მოვუძებნოთ გასაღები.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ წარმოედგინათ ეგვიპტელებს კოსმოსი, სამყარო; როგორ იყვრებოდა მათ წარმოსახვაში ერთიან უსასრულო წრედ ზესკნელი, შუასკნელი და ქვესკნელი; როგორ ქმნიდა ერთიან კოსმიურ ორბიტას ზეციური და მიწიერი. კოსმოსის აგებულების ეგვიპტური კონცეფცია უშუალო გამოხატულებას პოვებს მათ ტაძრებსა და სამარხებში. ტაძარი მათი წარმოდგენით, არის ცა დედამიწაზე, კოსმოსის მოდელი და ღმერთის ადგილსამყოფელი, საცხოვრისი, რომელშიც მისი არსება განიფინება. ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ყოველი ტაძრის აგება დედამიწაზე არის ერთგვარი იდეალური ტაძრის ფორმის ხორცშესხმა, განსხეულება. იდეალური ტაძარი ისევე რეალურად არსებული და ხელშესახები იყო მათთვის, როგორც მიწაზე მატერიალურად განხორციელებული მისი ორეული. იდეალური ტაძარი შემოქმედი ღვთაების გულში


ფარაონ ჯოსერის პირამიდა. საკარა
ძვ. წაღ XXVIII ს.

ჩაფიქრებული არქეტიპია, რომელიც მატერიალურად განხორციელდა დემიურგის მიერ წარმოთქმული სიტყვით და ეს იყო პირველი ტაძარი დედამიწაზე.

ეგვიპტეში არსებობდა ე.წ. «სამშენებლო ტექსტები» - წმინდა წიგნები, რომლებიც ტაძრების გეგმებსა და აშენების წესებს შეიცავდა. მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ შემოგვრჩა წარწერა ედფუში, ჰორის ტაძრის გალავანზე, რომლიდანაც ვიგებთ, რომ არსებობდა «ტაძართა გეგმების წიგნი», დაწერილი დიდი ხუროთმოძღვრის, ქურუმის, ღვთაება პტაჰის შვილის, იმხოტეპის მიერ. ეგვიპტელთა რწმენით, ეს წიგნი მემფისის მახლობლად დაეშვა ციდან. ზოგი მეცნიერი (ი. ვესელოვსკი, ფურნიე დე კორა) თვლის ,რომ ეს წიგნი, ალბათ, წარმოადგენდა ციურ მნათობთა მიხედვით ტაძრის ორიენტაციის მთელ სისტემას.

როგორც ეგვიპტური მითოლოგიიდან დავინახეთ, ეგვიპტელებს ღრმად სწამდათ ადამიანის სულის უკვდავება. ისინი თვლიდნენ, რომ სიკვდილით არ მთავრდება ადამიანის არსებობა. უბრალოდ, არსებობის ერთი ფორმა მეორეთი იცვლება და ადამიანი მიწიერი სამყაროდან სულიერ სამყაროში ინაცვლებს. გაივლის რა ოსირისის სამსჯავროს, განიწმინდება და იწყებს ახალ ცხოვრებას ამდუატის ქვეყანაში, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება მიწიერი ცხოვრებისაგან. მიცვალებულმა რომ მშვიდად იცხოვროს იმქვეყნად, მას სჭირდება ყოველივე ის, რაც ამქვეყნად გააჩნდა. დიახ, ყველაფერი, საკუთარი სხეულიც კი. ამიტომაც ინახავდნენ ეგვიპტელები გარდაცვლილის სხეულს მუმიის სახით. მუმიას კი ესაჭიროებოდა საგანგებოდ აგებული მოსასვენებელი, სამარხი. ნიშანდობლივია, რომ უძველესი დროიდან უმეტესად სწორედ სამარხი ნაგებობები შემოგვრჩა და არა სხვა დანიშნულების შენობები (სასახლეები, საცხოვრებელი სახლები და სხვა). ეგვიპტელები «სამუდამო განსასვენებელს» ყველაზე მკვიდრი მასალისაგან - ქვისაგან აგებდნენ, მაშინ, როდესაც სხვა დანიშნულების ნაგებობები ხისა და ალიზისაგან შენდებოდა. აქედან ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეგვიპტელები საიქიო ცხოვრებას და როგორი გულისყურით ემზადებოდნენ მისთვის. მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი გრანდიოზული ხეოპსის პირამიდაც ხომ უპირველეს ყოვლისა ფარაონის აკლდამა-ძვალთშესალაგია. მაგრამ სანამ ეგვიპტური სამარხი გიზას პირამიდების კრისტალურად დახვეწილ, კლასიკურ ფორმას მიაღწევდა, მან განვითარების გარკვეული გზა გაიარა.

პირველი დინასტიების ფარაონთა სამარხი, ე.წ. «მასტაბა», მარტივი ფორმისა იყო: ალიზისაგან ნაგები ტრაპეციის ფორმის შენობა ორი, მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილისაგან შედგებოდა. მიწის ზემოთ განლაგებული იყო სამლოცველო და მასში სამარხი ინვენტარი ინახებოდა, ხოლო მიწის ქვეშ - სამარხი კამერა სარკოფაგითა და მუმიით. ასეთი სამარხები გვხვდება საკარაში, აბიდოსში, ნაქადაში. თვით სიტყვა «მასტაბა» არაბულად სკამს ნიშნავს. ასე ეძახიან თანამედროვე ეგვიპტელები ამ აკლდამებს და ეს სახელწოდება სამეცნიერო ლიტერატურაშიც დამკვიდრდა. დროთა განმავლობაში მასტაბას ფორმა გართულდა: გაიზარდა მიწისზედა ნაწილი, მიემატა სხვადასხვა დანიშნულების სათავსები. გაჩნდა დერეფნები, სამლოცველოები, საკუჭნაოები და სხვ. მოგვიანებით სწორედ მასტაბადან განვითარდა პირამიდის ფორმა. ძველი წელთაღრიცხვის XXVIII საუკუნეში III დინასტიის ფარაონ ჯოსერისათვის საკარაში აგებულ იქნა

სამარხი კომპლექსი, რომლის ცენტრს ჯოსერის ცნობილი საფეხურებიანი პირამიდა წარმოადგენს. ისტორიამ შემოგვინახა მისი ხუროთმოძღვრის, იმხოტეპის სახელი, *რომელიც ეგვიპტის მთელი არსებობის* მანძილზე ცნობილი იყო როგორც ბრძენი, ხელდასხმული, მეცნიერი, ასტრონომი და ექიმი. მოგვიანებით იგი ეგვიპტელებმა გააღმერთეს კიდეც, როგორც ღვთაება პტაჰის შვილი, ხოლო ბერძნები მის სახელს მედიცინის თავიანთი ღვთაების, ასკლეპიოსის სახელსაც კი უკავშირებდნენ.

ფარაონ ჯოსერის სამარხი კომპლექსი უამრავი ნაგებობებისაგან შედგებოდა და უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული (550X280მმ). გარს ერტყა გალავანი, რომლის კედლებში დატანებული იყო ერთი ნამდვილი ბჭე და 13 ცრუ კარი. ფარაონის სამარხი პირამიდა ამ ანსამბლის ცენტრში იდგა და მის დომინანტს წარმოადგენდა. გამოკვლევების შედეგად წარმოიშვა მოსაზრება, რომ იმხოტეპმა ჯოსერის პირამიდა მისი ძმისა და წინამორბედის – III დინასტიის დამაარსებლის, ფარაონ სანაჰტას მასტაბაზე ააგო. პირამიდის საფუძველი სწორკუთხა იყო (140X118 მ.), სიმაღლე 60 მეტრს აღწევდა. ეს არის ერთმანეთზე შედგმული 6 მასტაბა, რომელთა ზომები სიმაღლესთან ერთად მცირდება და პირამიდის საფეხუროვან ფორმას ქმნის. თავისი გრანდიოზული ზომების გამო პირამიდა გაბატონებულია მთელ ანსამბლზე. იგი ყოველგვარ დეკორსაა მოკლებული. მისი მასიური, სადა ფორმები სიდიადის შთაბეჭდილებას ქმნის, ხოლო საფეხურების ზემოთ მიმართული დინჯი რიტმი და კუთხოვანი სილუეტი თავშეკავებულ, ზომიერ ზესწრაფვას გამოხატავს.



პირამიდაში შესასვლელი მოწყობილი იყო ჩრდილოეთის მხრიდან, კიბე ჩადიოდა ქვემოთ, მიწისქვეშ მოთავსებული სამარხი კამერისაკენ. სწორედ აქ, წითელი გრანიტით მოპირკეთებულ სათავსში უნდა ყოფილიყო დასვენებული მუმია. გარდა ამისა, პირამიდის ქვეშ იპოვეს, მიწისქვეშა გასასვლელები და მცირე კამერები, სადაც კიდევ ორი ალებასტრის სარკოფაგი აღმოჩნდა.

პირამიდის სამხრეთით მდებარეობდა კიდევ უფრო მცირე ზომის ნაგებობა; როგორც ჩანს, ეს იყო ცრუ- აკლდამა – კენოტაფი. გარდა ამისა, აქვე იყო სამლოცველოთა მთელი წყება, ღია ეზოთი, რომელიც ჰებ-სედის რიტუალისათვის იყო განკუთვნილი (ჰებ-სედი - რიტუალი ფარაონის ძალების განახლების, აღორძინების მიზნით).

ჯოსერის სამარხი კომპლექსი არა მარტო მისი პირამიდის გამოა მნიშვნელოვანი, არამედ იმიტომაც, რომ აქ სამშენებლო მასალად ასე ფართოდ, პირველად იქნა გამოყენებული ქვა. გაჩნდა ქვის სვეტები, მაგრამ არა ცალკე მდგომი – ისინი ჯერ კიდევ კედელთანაა მიდგმული (ასეთ სვეტებს პილასტრები ეწოდება). ამასთან, ქვის არქიტექტურაში გამოყენებულია ხისა და აგურის ნაგებობისათვის დამახასიათებელი ფორმები. მაგალითად, ჭერზე ხის ძელების გადახურვის *იმიტაციას ეხედებით, ზოგან კედლის ქვის წყობა აგურით* ნაშენს მოგვაგონებს, თვით სვეტების პროპორციები ხის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ პროპორციებს უახლოვდება. ეს სადა, მკაფიო, მონუმენტური ფორმების მქონე კომპლექსი მნიშვნელოვანი საეტაპო ძეგლია ეგვიპტური არქიტექტურისა. მართალია, აქ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მოძებნილი ქვის ნაგებობისათვის დამახასიათებელი შესაბამისი ფორმები, ჯერ კიდევ არ არსი სათანადოდ ორგანიზებული ანსამბლის ერთიანი გეგმარება, მაგრამ მოპოვებულია მომავლისათვის ძალზე არსებითი და მნიშვნელოვანი: განსაზღვრულია მთავარი და წამყვანი სამშენებლო მასალა – ქვა, მოძიებულია ცენტრალური ნაგებობის, პირამიდის ფორმა, რომელშიც არსებითია ნაგებობის სიმაღლეში ზრდის ტენდენცია.

პირამიდის ფორმის ევოლუცია ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში გრძელდება ფარაონ სნოფრუს პირამიდით დაშურში. მისი ფორმა გარდამავალია ჯოსერის საფეხუროვან პირამიდასა და პირამიდის კლასიკურ ფორმას შორის. ფაქტობრივად სნოფრუს 100 მ-ის სიმაღლის პირამიდის ორი საფეხურიღა აქვს და იგი კლასიკურს უახლოვდება. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია გიზის ცნობილ პირამიდებამდე.

უდაბნოს უკიდეგანო, ყვითელქვიშიან სივრცეში ქვის კრისტალებივით ამოიზრდება სამი უზარმაზარი პირამიდა. კაშკაშა მზის შუქზე გამოკვეთილი, მკაფიო, გრანდიოზული, მდუმარე სამკუთხა სილუეტები ადამიანისათვის ამოუცნობზე, მიუწვდომელზე, რაღაც მარადიულსა და საკრალურზე ღაღადებს. ეს ერთი შეხედვისთანავე ნათელია. უმარტივესი, კრისტალურად ნათელი, სამი რიტმულად განმეორებული გეომეტრიული ფორმა იდუმალებისა და მიუწვდომლობის, მოწიწებისა და გაოცების, აღტაცებისა და შიშის გრძნობასაც კი ბადებს ადამიანში. ჩვენს წინაშეა იდუმალების საბურ-

ველში გახვეული მარადიულობა და პირველყოფილი სიბრძნე. რას გვეუბნებიან, რას ინახავენ ისინი? ოაზისისა და უდაბნოს შესაყარზე აგებულ პირამიდებს მიღმა იწყება უდაბნო – სიკვდილის საუფლო. პირამიდებიც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგანან თითქოს და ამ ორი მარადიული ფენომენის საიდუმლოს მცველებად გვევლინებიან. როგორ ამოვიცნოთ მათი საიდუმლო? ორი საუკუნეა, მეცნიერები თავს იმტვრევენ ამ საკითხზე; ალბათ, კიდევ მრავალი თაობა შეეცდება ჩაწვდეს ეგვიპტის სიმბოლოდქცეული გიზას ანსამბლის არსს, მაგრამ ადამიანები ყოველთვის ამოიცნობენ იმას, რის დასანახადაც თვითონვე იქნებიან მზად. ჩვენც, ჩვენი მზაობის შესაბამისად მოგვიწევს საიდუმლოთა სიღრმეებში ჩაწვდომა.

გიზას ანსამბლი რთული კომპლექსია, რომელშიც IV დინასტიის სამი ფარაონის: ხეოპსის (ხუფუ), ხეფრენის (ხაფრა) და მიკერინის (მენკაურა) (ძველი წელთაღრიცხვით XXVIII საუკუნე) პირამიდები შედის.* მათ შორის ყველაზე დიდი და სრულყოფილია ფარაონ ხეოპსის პირამიდა, აგებული ხუროთმოძღვარ ხემიუნის მიერ. გეგმით იგი კვადრატულია (ჯოსერის პირამიდისაგან განსხვავებით, რომელიც მართუთხა საფუძველზე დგას). მისი სიმაღლე 146,59 მ-ია, ყოველი წახნაგის სიგრძე – 230,35 მ. პირამიდა ნაგებია კარგად გათლილი და ერთმანეთთან უდუღაბოდ, მჭიდროდ მიჯრილი ქვის ბლოკებისაგან, პირამიდის მშენებლობას დაახლოებით 2300000 ქვის ბლოკი დასჭირდა, რომელთა წონა 2,5-სა და 30 ტონას შორის მერყეობს. გარედან პირამიდა მთლიანად იყო მოპირკეთებული კარგად გათლილი ქვიშაქვის ფილებით (ამჟამად ფილები შემორჩენილია მხოლოდ ხეფრენის პირამიდის ზედა ნაწილში, ამიტომაც, მას "ქუდიან პირამიდას" ეძახიან).

ჰეროდოტე გვამცნობს, რომ მისი მშენებლობა 30 წელს გაგრძელდა, აქედან 10 წელი პირამიდასთან მისასვლელი გზების მშენებლობას მოანდომეს.

პირამიდაში შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან იყო მოწყობილი. აქედან ფართო დერეფანს პირამიდის თითქმის შუაგულში მოთავსებული სამარხი კამერისაკენ მივყავართ. გარდა ამისა, პირამიდაში და მიწისქვეშ არის დერეფნების მთელი ქსელი – ლაბირინთი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კიდევ ორ კამერას მათგან ერთი განლაგებულია პირამიდის ქვედა ნაწილში, მეორე - მიწის ქვეშ.

ცენტრალური კამერის თავზე საგანგებო განმტვირთავი კონსტრუქცია იყო გაკეთებული. ეს იყო სამკუთხედი კამერის თავზე, რომელიც შექმნილია ერთმანეთთან ირიბად მიჯრილი უზარმაზარი ქვის ბლოკებისაგან. ბლოკები სიმძიმეს ორად ანაწილებდა და ამგვარად, ზემოდან ქვების უზარმაზარი მასის დაწოლით კამერის ჭერს ჩამონგრევისაგან იცავდა. ეს კონსტრუქცია ეგვიპტელთა მნიშვნელოვან საინჟინრო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

თითოეული პირამიდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისაგან შექმნილი სამარხი ანსამბლის ნაწილს, უფრო სწორად, მის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა. თითოეული კომპლექსი გალავნით იყო გარშემორტყმული. შენობის ურთიერთგანლაგება მკაცრად იყო რეგლამენტირებული ფარაონის დაკრძალვის რიტუალით. სამგლოვიარო პროცესია მიცვალებულითურთ, მორთული სარიტუალო ნავებით გადალახავდა ნილოსს და მის დასავლეთ ნაპირს მიადგებოდა. აქ იწყებოდა დაკრძალვის გრძელი რიტუალი, აქვე აგებულ, ე.წ. ქვედა


ფარაონ სნოფრუს პირამიდა. დაშური. ძვ. წ.აღ XXVIII ს.

სულისმოსახსენიებელ ტაძარში. ამ ტაძრიდან პროცესია გადახურული დერეფნით სიღრმეში, პირამიდისაკენ მიემართებოდა. მაგრამ მანამდე მიცვალებულს დაასვენებდნენ პირამიდის აღმოსავლეთით მდებარე კიდევ ერთ, უკვე ზედა სულისმოსახსენიებელ ტაძარში, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: მთავარი დერეფანი, ცენტრალური ღია ეზო, ხუთი ნიშა, სადაც ფარაონის ქანდაკებებს ათავსებდნენ, აგრეთვე, სიღრმეში იყო სამლოცველო სამსხვერპლოთი. ამის შემდეგ მიცვალებული ჩრდილოეთის შესასვლელით პირამიდაში გადაჰქონდათ, დერეფნით შედიოდნენ კამერაში, სადაც მუმიას სარკოფაგში ჩაასვენებდნენ, ამოქოლავდნენ გასასვლელებს და დაკრძალვის რიტუალიც ამით მთავრდებოდა. პირამიდის კუთხეებში დგავდნენ ხის ნავებს, რომლებითაც ფარაონს მიღმიურ ქვეყანაში უნდა ემოგზაურა.

გარდა ამ ნაგებობისა, თითოეული პირამიდის ეზოში აგრეთვე იყო ფარაონის მოხელეების, ნათესავების, ოჯახის წევრების სამარხები – მასტაბები. ბუნებრივია, ისინი, შესაბამისად, ბევრად უფრო მცირე იყო ზომით. მაგალითად, მიკერინის პირამიდის სამხრეთით მისი სამი ცოლის სამი მცირე პირამიდა იყო აგებული.

გიზას ანსამბლის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა სფინქსი – უზარმაზარი ლომის ფიგურა ადამიანის თავით (სიგრძე – 57 მ, სიმაღლე – 20მ). მეცნიერები თვლიან, რომ ეს ფარაონ ხეფრენის გამოსახულებაა, ფარაონთა ტრადიციული თავსაბურით – კლაფტით. იგი მთელი ანსამბლის მცველად გაიაზრება. საუკუნეების განმავლობაში აოცებდა ადამიანებს ეს იდუმალებით მოცული ფანტასტიკური ფიგურა და უბიძგებდა მათ, ამოეცნოთ მისი არსი და დანიშნულება. ამგვარად,

სფინქსი იდუმალის, ფარულის, ამოუცნობის სიმბოლოდ იქცა.

ასეთია ძველი სამეფო ხანის გიზის ანსამბლი. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიზაში, ჯოსერის სამარხი ნაგებობიდან კიდევ ერთი, შემდგომი ნაბიჯია გადადგმული. აქ უკვე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ქვის, როგორც სამშენებლო მასალის როლი. ეგვიპტელებმა უკვე იციან ქვის კონსტრუქციული და დეკორატიული შესაძლებლობანი.

გიზას ანსამბლში ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული ნაგებობაა ფარაონ ხეფრენის ქვედა სულისმოსახსენიებელი ტაძარი. აქ პირველადაა შექმნილი ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულ სათავსოთა რიტმული კომპოზიცია. პირველად მნახველი მცირე ზომის ვიწრო სათავეში ხვდება, რომლიდანაც შემდეგ ფართო, სვეტებიან დარბაზში გადაინაცვლებს და აქ მას თავისუფლებისა და სიხალვათის შეგრძნება ავსებს.ამ დარბაზს მოსდევს გრძელი და ვიწრო სამნვიანი დარბაზი, რომლის სივრცე სიღრმისაკენ ძლიერი მიმართულების ხასიათდება. ამ დარბაზიდან კი მნახველი ქანდაკებებით გარშემორტყმულ ღია ეზოში ხვდება. ეზოს შემდეგ იწყება საგანგებოდ დავიწროებულ დერეფანთა და გასასვლელთა მთელი წყება, რომლებიც თითქოს ერთგვარად ანელებენ და აძნელებენ სიღრმისაკენ სწრაფვას, მაგრამ საბოლოოდ მიადგებიან მთავარ საკურთხეველს და შემდგომ - თვით პირამიდას. ამგვარად, სულისმოსახსენიებელი ტაძარი შედგება ერთ სწორ ღერძზე ასხმული ნაგებობისაგან, რომელიც თავისი სხვადასხვაგვარი სივრცითი გადაწყვეტით მრავალფეროვან განწყობასა და შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა კი ყოველ მათგანში არსებითია ერთიანი მოძრაობა, მიმართულება სიღრმისაკენ, რომელიც შუაგზაზე კონდენსირდება, გადმოიღვრება ღია ეზოში, როგორც ღია ჭურჭელში; აქ თითქოს ერთგვარი პაუზა კეთდება, ამოსუნთქვა ხდება, შემდეგ სათავსთა ჯაჭვი კვლავ გრძელდება და საბოლოოდ პირამიდას ებჯინება. ფორმები დიდსა და მცირე სათავეებში ყველგან ერთნაირად მასიური და მონუმენტური, მკაცრი და სადაა; ჭარბობს სწორი, თლილი, კუთხოვანი ფორმები. მორთულობა გამოყენებული არ არის; არავითარი რელიეფი ან ორნამენტი – მხოლოდ მონუმენტური, საერთო მასიური ფორმების შესატყვისი დიდი საკულტო ქანდაკებები. განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი პირველი სვეტებიანი T-ს ფორმის დარბაზი, რომელშიც წითელი გრანიტის ტექნიკურად უნაკლოდ გათლილი, გაპრიალებული ზედაპირის მქონე ოთხკუთხა, მონოლითური, მასიური სვეტების დინჯი რიტმი სიდარბაისლის, დიადი სიმშვიდის განწყობას ქმნის. იატაკი თეთრი ალებასტრისაა. დარბაზის თეთრწითელ ფერადოვნებაში პოლიქრომიულობა შეაქვს კედლებთან მიდგმულ სხვადასხვა ფერისა და სახეობის (მალაქიტი, გრანიტი და სხვ.) ქვისაგან გამოთლილ მონუმენტურ ქანდაკებებს, რომლებიც ჭერში დატანებული ღიობებიდან შემოსული, მათკენ მიმართული შუქით ნათდება. ზომები და მასშტაბები დიდია, მაგრამ არაგრანდიოზული. სამაგიეროდ, ამ დარბაზისათვის დამახასიათებელია რაციონალური მკაფიოება, სიდიადე, სისადავე და სიმკაცრე, ხოლო ჭერის ღიობებიდან ქანდაკებებზე მოხვედრილი სინათლის ნაკადი შუქ-ჩრდილის ცოცხალ თამაშს ქმნის სივრცეში და იდუმალების განწყობას აძლიერებს.

ჩვენამდე მოღწეულ ნაგებობათაგან აქ, ხეფრენის ქვედა სულისმოსახსენიებელ ტაძარში, ეგვიპტურ არქიტექტურაში პირველად ვხვდებით ცალკე მდგომ საყრდენს – ბოძს, რომელიც ეგვიპტური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი გამოგონებაა. მას მომდევნო ეპოქები-



სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ქვის სვეტისა და მასზე გადებული კოჭის გამოყენებამ ეგვიპტელებს საშუალება მისცა შეექმნათ დიდი და გრანდიოზული სივრცეები, შემოეტანათ ახალი სივრცითი ელემენტი – სვეტების ან ბოძების რიგის რიტმი, რომელშიც ერთნაირი სტერეომეტრიული სიდიდეები პერსპექტივაში მცირდება და გარკვეული ტოლი ინტერვალების შემდეგ მეორდება, ეს კი სიღრმისაკენ სწრაფვის შთაბეჭდილებას ქმნის. არათანაბარი განათების გამო ბოძების წახნაგები სხვადასხვა სიძლიერით ნათდება და ღია და მუქი სიბრტყეების შემცველ პლასტიკურ მასებად აღიქმება. ამგვარად იქმნება დიფერენციული სათავსები მრავალფეროვანი სივრცეებითა და შუქ-ჩრდილების თამაშით.

ანი კლდიაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

*ტექსტში პირამიბის ევროპული სახელწოდებებია მოცემული, ფრჩხილებში კი-საკუთრივ ეგვიპტური

ბაირონი და კრივი

სიტყვის ცნობილი დიდოსტატი ბაირონი ინგლისის მრავალი სპორტული კლუბის სიაში იყო მოხსენიებული. იგი მონაწილეობდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში. პოეტი აქტიურ მოთამაშედ გვევლინებოდა, როცა ინგლისის ქალაქების – ჰაროუსა და იტონის ახალგაზრდული გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდა კრიკეტში. მას ძალზე იტაცებდა ფარიკაობა და ცურვა, ოღონდ კრივი გამორჩეულად უყვარდა. იგი მეგობრობდა იმ დროის გამოჩენილ მოკრივეებთან. ახლო ურთიერთობა ჰქონდა დაუმარცხებელ ჩემპიონთან, ბრიტანული კრივის სიამაყესთან ჯონ ჯექსონთან. მეგობრობდა აგრეთვე ინგლისის მომდევნო ჩემპიონთან, ტომ კრიბთან. დღიურში ერთ ადგილას ბაირონი განმარტავს რინგის ოსტატებთან თავისი ახლობლობის მიზეზს:" ***დღეს სადილად მესტუმრა ჯექსონი. ხვალ კრიბთან ვსადილობ. კარგია მათთან მეგობრობა. რამდენი ენერგია სჭვივის მათში. მე კი, ძალის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. მართალი გითხრათ, ვერც სულიერი ენერგიით დავეკვეხნიდი ოდესმე და ვერც ფიზიკურით. მათთან ურთიერთობა კი განმამტკიცებს და სიძლიერით აღმავსებს."*** ჩანაწერები მოწმობს, რომ ბაირონი თავადაც ცდილობდა მიჰყოლოდა ძალოვან მამაკაცთა კვალს. "ყოველდღიურად ვვარჯიშობ კრივში, - ვკითხულობთ ერთგან, - *დღეს ჩავატარე სპარინგი მისტერ პერლინგთან. თავი ავიყვანე ხელში და ვცდილობდი დინჯად მებრძოლა. ძნელია თავშეკავება, მაგრამ კრივმა სწორედ ეს თვისება განმივითარა. ამის გამოისობით, ასე განსაჯეთ, მისტერ პერლინგი ძირს განვნთხე.*"

ბაირონი ჯექსონს იტალიიდან სწერდა იმის შესახებ თუ რარიგ გამოადგა უცხოეთში კრივის გაკვეთილები. "აქ ერთმა თავზეხელაღებულმა ჩხუბისთავმა, ვისაც თვალში არ მოუვედი, თავზედურად შემომიტია. მაშინ შინაგანობაში მივართვი ლაზათიანი ინგლისური მუშტი და უზრდელობა უკან ამოვანთხევინე".

პოეტმა თავის მასწავლებელს ლექსიც მიუძღვნა სათაურით: "პროპერციუსის მიბაძვით".

"მან, ვინც არ იცის მუშტების ქნევა
ვიდრე გაბედავს გამოსვლას რინგზე
წვრთნა გაიაროს უნდა ჯექსონთან,
თუ სურს საქმე რომ ვიდოდეს რიგზე".

ბაირონს მიაჩნდა რომ, კრივი ხელს უწყობს შემოქმედებასაც: "ყოველდღიურად ვვარჯიშობ ჯექსონთან ერთად ღიაფანჯრებიან დარბაზში, წონას ვიკლებ და სულიერად ვმაგრდები. რამდენადაც მეტად ვიღლები ვარჯიშის დროს, მით უკეთესი განწყობილება მეუფლება. საღამოს კი მშვიდი თვლემა მიპყრობს და ამ დროს უკეთ ვაზროვნებ". მეორეგან მას მოჰყავს კრივისა და შემოქმედების უშუალო კავშირის კონკრეტული მაგალითი: "დღეს მთელ დღეს ვივარჯიშე კრივში, ვიდრე ლექსის თხზვას შევუდგებოდი. მერე კი დავწერე ოდა ნაპოლეონზე და საბოლოოდ სუფთადაც გადავწერე". ბაირონი ყველგან ავლენდა თავის აღფრთოვანებას მოკრივეებით: "ახლახან ვისადილე ტომ კრიბთან ერთად. ტომი ნაღდი ვაჟკაცია. მრავალი ხელობა აქვს ნაცადი. ბოლოს არჩევანი კრივზე შეაჩერა და რინგის დიდებული ოსტატიც დადგა. სადილზე კრიბმა სიტყვა წარმოთქვა. იგი უკმაყოფილოა საკუთარი თავით, იმით, რომ კრივს თავი დაანება. გამოტყდა რომ კვლავ არენისაკენ ისწრაფის". აქ ბაირონი ხოტბას ასხავს კრიბს: "აგრე ტომ! ეს ასეც უნდა იყოს, ნამდვილ მებრძოლს ასეც შეშვენის", - ამბობს იგი და მუშტი-კრივის ღვთაებებს – პოლუქსსა და კასტორს შესთხოვს შეეწიოს ამ ღირსეულ მამაკაცს.

და ბოლოს მოვიყვანთ ბაირონის კრივთან დამოკიდებულების კიდევ ერთ მეტყველ ჩანაწერს: "*ხშირად ვსადილობ ჯონ ჯექსონთან, მერე კი წესად მაქვს ჩამოვუ-*

არო ჩვენემ ნაცნობ-მეგობარ მოკრივეებს. გუშინ განვაახლე ვარჯიში ჯექსონთან ერთად. შესანიშნავად ვგრძნობ თავს. თანაც დიდებულად ვსუნთქავ. ოდესღაც არცთუ ურიგო მებრძოლი ვიყავი. ძლიერი დარტყმაც მქონდა და გრძელი ხელების წყალობით შორ მანძილზე ბრძოლაც მიადვილდებოდა. კრივი ჯანმრთელობისათვის ყველაზე კარგი სახეობაა. ის გაცილებით უკეთ აყენებს სხეულს, ვიდრე ფარიკაობა. ამას თამამად ვამბობ, რადგან ჩემთვის არც დაშნის ჟღარუნია უცხო. ამ მხრივ ფრიად ნაცადი ვარ, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ რინგზე ბრძოლას იგი ვერაფრით გაუტოლდება. განზრახული მაქვს მუდამ ვივარჯიშო და არასოდეს ვუღალატო კრივს." **1814 წლის 17 მარტი. ლორდ ბაირონი.**

ედიშერ გიორგაძე

ნიკოლაი ხალეპოვანი

რერიხი-ჟოჯოვანი

თბილისი გრძნეული ქალაქია, - წერს ერთ ადგილას გრიგოლ რობაქიძე და ამ გამოთქმაში გულისხმობს საქართველოს დედა-გულის მართლაცდა საკვირველ უნარს – კარგის შეთვისებასა და ცუდის უკუგდებას.

სწორედ ამიტომაც ირჩევდა არაერთი სწავლული, კალმოსანი თუ ხელოვანი თავისი შემოქმედების სასინჯ ქვად თბილისს.

აი, მიზეზი რატომაც ჰპოვა თბილისში ასეთი მყუდრო ნავსაყუდელი ნიკოლაი რერიხის ნააზრევმაც და ნახატებმაც.

რერიხის შესახებ პირველი წიგნი აღმოვაჩინე 1937 წელს დახვრეტილი ბიძაჩემის, ილია ჯანდიერის მიერ დატოვებულ ბიბლიოთეკაში. მისი ნახატების ბოლო ალბომს პირველად დავადგი თვალი ჩემი უახლოესი მეგობრის, ფუნჯის შესანიშნავი ქართველი ოსტატის, ავთანდილ ვარაზის სამუშაო მაგიდაზე.

უცნაური შთაბეჭდილება აღმიძრა ამ ნამუშევრებმა. ეს იყო თითქოსდა მოლაპარაკე ნახატები. ამ სურათებზე ფერწერას თითქოსდა წინ უსწრებდა სიტყვა აზრი-ლოგოსი.

მხოლოდ მერმე შევიტყე, რომ ეს სრულიადაც არ გახლდათ შემთხვევითი; რომ რერიხი პირველად საზოგადოების წინაშე წარსდგა როგორც ლიტერატორი და მხოლოდ შემდეგ, როგორც მხატვარი, რომლის შემოქმედების ძირითადი თემა ინდოეთი იყო.

მერედა რამ მიიყვანა და დაამკვიდრა ინდოეთში ეს წმინდა ევროპული ყალიბის პიროვნება.

იმან, რასაც ჰქვია მისწრაფება შეუცნობელის შეცნობისაკენ.

კანტმა ორ სფეროდ გაჰყო, მთელი სამყარო. ფენომენებად, რასაც სწვდება აზროვნება და ნოუმენებად, რის შესაცნობადაც აზრი უძლურია და რომლის ნათელყოფა ხელეწიფება მხოლოდღა ჭვრეტას.

ინდოეთში კი შექმნილი გახლდათ მთელი სისტემა მჭვრეტელობისა.

აი, რას შეისწავლიდა და შთაიგრძნობდა ჰიმალაის ფერდობებზე დამკვიდრებული ნიკოლაი რერიხი. სწავლობდა იგი და ასწავლიდა სხვათაც, რადგან როგორც ლათინები ამბობენ, სხვათა განსწავლის დროს გაცილებით უკეთ შეიცნობს ყოველი კაცი იმ საგანს, რომელსაც განსჯის. ასე გახდა რერიხი მოძღვარი, ანუ ინდოელთა სახელდებით – გურუ.

თავის მოგონებებში რერიხი წერს: ერთხელ, უცხოეთში მოგზაურობისას ერთ ყმაწვილთან ერთად ვიჯექი ბუნების წიაღში. ჩვენს წინ გაიარა საოცრად სიმპათიურმა, ფიქრიანმა კაცმა. ყმაწვილი ადგა და მიესალმა მას.

– ვინ არის ეს კაცი? – ვკითხე მე ყმაწვილს. – მასწავლებელი, - მიპასუხა მან. – შენი? – არა, იგი მე არ მასწავლის. – მაშ, რატომღა მიესალმე? – იმიტომ, რომ იგი მასწავლებელია.

ასე აფასებენ ინდოეთში მასწავლებელს, ანუ გურუს და სწორედ ასეთ ფრიად პატივდებულ გურუდ იქცა რერიხი ბევრზე ბევრი ადამიანისათვის.

ამ სწავლულ კაცს საოცრად ესადაგება ძველი ქართული გამოთქმა, - ღრმად მეცნიერი, - რაც გულისხმობს ცოდნისა და ჭვრეტის ურთიერთშეხამებას, საგანთა წიაღში ღრმად შეღწევისათვის.

აღმოსავლეთი, კერძოდ კი ინდოეთი იძლეოდა ასეთი უნარით აღჭურვის საშუალებას.

არაერთ ევროპელს წარსტაცა აზრი და გრძნობა აღმოსავლეთმა და შეიყვარა ქვეყნიერების ეს ფრთაც და მისი ხალხიც.



ინდოეთის ჰაერეთს ნაზიარები რადიარდ კიპლინგი წერდა:

დელისაკენ მიმავალ გზაზე მრავალი ვნახე. ყველა ისინი და-ძმანი იყვნენ ჩემნი.

იგივე სიტყვები შეეძლო გაემეორებინა ამქვეყნისა და მის მკვიდრთა მიმართ ნიკოლაი რერიხს:

დიდ მოაზროვნეს, დიდ მხატვარს, გულთაზრიან მჭვრეტელსა და დიდსა გურუს.

ედიშერ გიორგაძე.

მან უდიდესი პატივისცემა გამოხატა ვანგას მიმართ. ამასთან დაკავშირებით ერთ პატარა ფაქტს მოვიყვან.

სვიატოსლავ რერიხი უდიდესი აგნი-იოგი იყო. ერთხელ მას უთხრეს, რომ არსებობს დიდი იოგი ბაბა

სანტისაი (საი-ბაბა), რომელიც უამრავ სასწაულებს ახდენდა. სვიატოსლავის პასუხი არაორაზროვანი იყო *"თქვენ შეგიძლიათ მიხვიდეთ მასთან,, მაგრამ მე მასთან შეხვედრა არაფერში მჭირდებაო"...* ვინც კარგად იცის რერიხის მკაცრი დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ მაღალი იერარქი, რამდენიმე იერარქით დაბლა მდგომ საფეხურს არასოდეს შეხვდება, ადვილი გასაგებია თუ რატომ არ მოისურვა სვიატოსლავმა სანტისაისთან შეხვედრა. ამით მან ხაზი გაუსვა იმ გრანდიოზულ განსხვავებას, რომელიც ფაკირიზმსა და აგნი-იოგას შორის არსებობს. ასე რომ, მხოლოდ გარეგნული ეფექტებით როდი იზომება ადამიანის სულიერი მხარე. ერთი მხრივ სვიატოსლავმა სანტისაის აგრძნობინა განსხვავება, მეორე მხრივ კი პატივისცემა გამოხატა ვანგას მიმართ და ესტუმრა მას. ეს მართლაც მრავლისმეტყველი ფაქტია.

სვიატოსლავმა ვანგასგან კიდევ ერთხელ დამატებით შეიტყო მამის ღირსების, რანგის შესახებ. აბა, დაუკვირდით, რას ამბობს ვანგა. რერიხის ტილოებში ჩაშიფრულია ის ცოდნა, რომელიც საუკუნეების შემდეგ იქნება სრულად გაგებული. ვანგას სიტყვები აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და სვიატოსლავის სტუმრობა ამაზე ნათლად მეტყველებს.

- "ჩაშიფრული", "დაფარული ცოდნა", ასეთი სიტყვები ხშირად გვესმის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერს არ გვეუბნებიან, რისთვისაა ეს "შიფრები" საჭირო, განა არ შეიძლება, ყველაფერი აშკარად ითქვას?

- დაფარული არაფერი არ არის, პირიქით, სამყაროს სურს, რომ დედამიწაზე ადამიანებს სრული ცოდნა ჰქონდეთ, მაგრამ პატარა გონებაში რომ დიდი ცოდნა ვერ ეტევა? მეორეკლასელი მოსწავლე ვერასოდეს ვერ ამოხსნის მეათეკლასელისთვის განკუთვნილ ამოცანას, სანამ არ გაიზრდება და ცოდნას არ დაიგროვებს. მასობრივი თვალსაზრისით, კაცობრიობა დაახლოებით ასეთ მდგომარეობაშია და ეს არის სწორედ ევოლუცია, განვითარების აღმავალი გზა, როდესაც ადამიანები, მოსწავლის კლასიდან კლასში გადასვლის მსგავსად, ნელ-ნელა უახლოვდებიან ჭეშმარიტებას.



კონკრეტული თვალსაზრისით კი, ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებიც ინფორმაციულად, ინტელექტუალურად მომზადებულები არიან. ისინი ინტუიციურად ან პირდაპირ გახსნით ახერხებენ თუნდაც რერიხის სურათის "წაკითხვას". დაფარული არაფერია, ცოდნა ყოველთვის ჩაშიფრულია, რათა ადამიანმა გახსნას შიფრი

და ამით დაადასტუროს, რომ იგი მზადაა ახალი ცოდნის მისაღებად.

და კიდევ ერთი. ის, რასაც ჩვენ რერიხის ტილოების შესახებ ვიტყვით, ბევრისთვის დამთხვევაა, ფანტაზია, ან, შესაძლოა, შემთხვევითობაც იყოს. მაგრამ ჩვენ არავის ვატყუებთ. აღმოსავლეთში ერთი გამოთქმა არსებობს: *"არა არს თვალები, იმ თვალებზე მეტად ბრმა, რომელთაც დანახვა არ უნდა"*. ვისაც სურს ის დაინახავს. ადამიანთა უმეტესობა კი იჯერებს და



ნახ №3

ნახ №4

იღებს სასურველს და იმავდროულად არასასურველს უარყოფს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კონსტრუქციულად რერიხის სურათები იმდაგვარადაა აგებული, რომ აშკარა მოტივები ნელ-ნელა გადადის ფარულზე, რითაც მიგვანიშნებს, რომ თუ აშკარა სინამდვილეა, ფარულიც სინამდვილე უნდა იყოს. აქ გამოცნობის ფაქიზი უნარის გამოვლინებაა საჭირო.

- რერიხის სურათებს არა ერთი ექსპერტი, ხელოვნებათმცოდნე თუ უბრალო ადამიანი სწავლობდა. ყოველი მათგანი სრულიად სხვადასხვა მომენტებზე ამახვილებდა ყურადღებას: ფერებზე, ფიგურებზე და ა.შ. მაინც რისი დანახვა შეიძლება ამ ტილოებში?

- უპირველეს ყოვლისა, მინდა ვურჩიო მკვლევარებს, რომ რერიხის სურათების შესწავლა სხვადასხვა ფერის სინათლის დასხივების ფონზე მოახდინონ, თუნდაც ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი დასხივების ქვეშ. მერწმუნეთ ეს სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს ნახატებს. შეიძლება, ხილული სპექტრშიც იყოს გამოყენებული, მოათავსეთ ეს ტილოები ვარდისფერ, ლურჯ, იასამნისფერ განათებაში და ტილოები უკვე სრულიად სხვა განზომილებას წარმოაჩენენს, მაგრამ თავდაპირველად იმაზე ვისაუბროთ, რაც უფრო შესამჩნევია ანალიზისათვის.

მშვენიერი სურათია **"ჰიმალაის დიდი სული"** (ნახ. 1) აქ ყველაფერი აშკარა და ნათელია. კლდეში გამოკვეთილი, ორი მონუმენტური ფიგურა. ერთი აშკარა ტიბეტური ნაკვთებით, მეორე კი აშკარა კავკასიური

თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლური ნაკვთებით. მეტს ჩვენ თითქოს აქ ვერაფერს ვერ ვხედავთ. მე

ნახ №5

ამჯერად შეგნებულად არაფერს ვამბობ სხვა გამოსახულებაზე, რომელიც ასევე ამ ტილოზეა აღბეჭდილი. მაგრამ გადავიდეთ სხვა სურათზე **"უდიდესი და უწმინდესი ტანგლა" (ნახ. 3).** მშვენიერ დათოვლილ მწვერვალებს ვხედავთ. მოდით, მოვაცილოთ ყველა დეტალი და მარტო მწვერვალები დავტოვოთ. (ნაჩვენებია კონტურით), ხედავთ? გაწოლილი ქალწული. თმები, თავი, მკერდი, ფეხები და ა.შ. აი კიდევ ერთი სურათი **"კანჩენჯანდა" (ნახ.5).** სარკოფაგში მწოლიარე მიძინებული მუმია (ნაჩვენებია კონტურით). დამეთანხმებით, რომ ეს უფრო ადვილად შენიშნეთ. ჩვენი თვალი უკვე აეწყო და აღარ გვიჭირს შენიღბული ფიგურების გარჩევა, გასაღები მინიშნება კი ის პირველი სურათი იყო, სადაც კლდეში აშკარად ჩანდა მონუმენტი. თვალი ნელ-ნელა ეჩვევა გარჩევას, ჯერ აშკარა დანახვის უნარს იღებს, შემდეგ უფრო შენიღბულის, კიდევ უფრო შენიღბულის და ასე ნელ-ნელა გადაჰყავხარ რერიხს სულიერი სამყაროს გამოსახულებაში. თუ კი აშკარაა რეალობა, ესეც რეალობა უნდა იყოს. როდესაც თვალი უკვე აეწყობა, უკვე აღარ გაგიჭირდება **"ბუდასა და მისი თანამგზვრების გარჩევა". (ნახ.№6)**

ნახ №6

შეხედე ამ მთას (ნაჩვენებია შტრიხით), ასეთი მთა ბუნებაში არ არსებობს, აწყობილი თვალით კი დაინახავ, რომ ეს არის ბერი, თმებით, თვალებით. ამ სურათს საინტერესო ისტორიაც აქვს. მისი სიუჟეტი რეალურია. როდესაც რერიხს და მის მეუღლეს ტიბეტში მოგზაურობისას ენატრებოდათ "ტაშილამასთან" შეხვედრა, სრულიად უკაცრიელ გზაზე გაჩნდა ეს კორტეჟი. და როდესაც საზიდარი მიუახლოვდა ცოლ-ქმარს, იქ მჯდომი დიდი სიყვარულით მიესალმა რერიხებს, შემდეგ კორტეჟი წინ წავიდა და გაქრა. როგორ გაჩნდა, საიდან მოვიდა ან სად წავიდა, არავინ იცის. ეს იყო ამ მთიდან გადმოსული სულის რეალიზაცია. გეთანხმებით, რომ ეს უკვე ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თუ გჯერა საი-ბაბას სასწაულებისა, რომელიც მართლა ახდენს საგნების მატერიალიზებას, განა ეს დასაჯერებელი არაა?

ამ სურათზე კი **"სოფია სიბრძნე" (ნახ.2)** ცეცხლოვანი სიცრცის აშკარა გამოსახულებაა. ადამიანისთვის ეს სიმბოლოა, მაგრამ ამ სიმბოლოში ფანტასტიკური რეალობაა და აი, კიდევ ერთი ტილო **"ლაბორის მადონა" (ნახ.4).** ვხედავთ წმინდა მარიამს, რომელიც ჯოჯოხეთში უშვებს თავის მანდილს, გადაარჩენს ცოდვილ სულს. დემონი კი (ნაჩვენებია წრეში) შურით შესცქერის ყოველივე ამას. ეს უდიდესი ქრისტიანული აქტია, წმინდა მარიამი ყველას მხსნელია და ეს ასევე რეალურია, როგორც ტიბეტელის სახება პირველ სურათზე. ასე ნელ-ნელა გადავყავართ რერიხს სურათების სულიერ სამყაროში, ასე მიგვანიშნებს, რომ ის, რაც სიმბოლურია, იმავდროულად აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ამ ნახატებშია შიფრიც და მისი გასაღებიც, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ხაზის დემონსტრირებაა...



მთელი კაცობრიობის, თვით პლანეტის სიცოცხლეა გაუფასურებული... აგერ, მასობრივი განადგურების უდახვეწილესი საშუალებები! ხუთ მილიარდს პირი დაუღია, ელის, პარანოიკები როდის მოუღებენ ბოლოს და უხარია!..

ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს თავის პირად მოთხოვნილებებს ერისა და მისი სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს...

***

ადამიანს, კაცობრიობას, მის სინამდვილესა და მომავალს უზნეო, მოვალეობადავიწყებულ ადამიანზე მოსისხლე მტერი არა ჰყავს.

***

მონღოლებმა სამოცდასამთავე ამირეჯიბს თავები წაუგდებინეს. ერთი გვარის მიერ გაღებული ამდენი და ერთდროული მსხვერპლი ქართველი ერის ისტორიაში, რამდენადაც ვიცი, ცნობილი არ არის. პირადად მე ასეთი ფინალის მიზეზად იქ ჩასულ "მონღოლთა ზედა" არაერთგზის გამარჯვებული ამირეჯიბებს ამპარტავნობასა და მკაფიოდ გამოხატულ მუხლმოუდრეკლობას ვთვლი, რაც ყაენმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, ურჩთ ყაენური, პასუხი მიაგო.

***

თავხედობა გოდოლებს მუსრავს, მაგრამ დამპყრობლის შესანარჩუნებლად არ კმარა, - იქ ჭკუა, განზოგადოების უნარი, შემოქმედებაა საჭირო.

***

მამაკაცი რწმენით ცხოვრობს და არა მხოლოდ პურით. ადამიანის ერთ-ერთი რწმენა ტახტისა და მისი დაწესებულებების სიწმინდის, პატიოსნების რწმენაა. როცა ეს წმინდა საწყისი მისი ხელით ვერაგობას სჩადის, მაშინ ამას რწმენის დაკარგვა, ფეხქვეშიდან ზნეობრივი საფუძვლების გამოცლა მოსდევს და აქ გასამრჯელო ვეღარაფერს ხდება.

***

ყოველი ინდივიდუმი პირადად მისთვის ხელმისაწვდომი ხერხით ეწინააღმდეგება ხელისუფლებას.

***

შეიძლება, იმპერიის დამოკიდებულება როგორც საკუთარ მოქალაქესთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, განისაზღვროს ფორმულით: "გჯამ იმიტომ, რომ შენ არ შემჯამო, და იმიტომაც გჯამ, რომ ორგანიზმი გასუქებას მთხოვს!" ხსენებული ჯამა-ყლაპვა კეთილსახიერი, კაცობრიულად სამართლიანი მიზნებით არის შენიღბული, ქრისტიანულ ჰუმანიზმზე აგებულ დემაგოგიას ეყრდნობა და კარგად აკინძული "რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის" საშუალებით ხორციელდება.

***

სახელმწიფო არის ნელ ცეცხლზე მოთუხთუხე, ვეებერთელა სალაფავიანი ქვაბი და მოქალაქე – ქვაბთან ჭიპლარით მიერთებული არსება. დგება დღე, თავს იჩენს სრულიად გაუგებარი საჭიროება, რომ საკვები მილი ვიღაცამ მაკრატლით გადაჭრა და, აი, მაშინ... ატაცებულ-აფოფინებული დარბის ათეულობით მილიონი ადამიანი, ყოველ მათგანს თავისი ჭიპლარი უჭირავს და ზოგი ძველ ქვაბთან კვლავ მიერთებას ლამობს, ზოგი ახალს დაეძებს, ზოგი მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებულის პოვნას არის გადაგებული... და ეს ორომტრიალი გრძელდება იქამდე, სანამ ვინმე ძველსაცე ქვაბს სხვა საღებავით შეალამაზებს და ახალ სახელს შეარქმევს. მაშინ ჭიპლარები ისევ ტკიპებივით ეკვრიან ქვაბს და "ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე".

***

ზოგადკაცობრიული სამართლიანობისა და ზნეობრივი ნორმების დაურღვევლად თანამედროვე სახელმწიფოს კეთილდღეობა გამორიცხულია. მეორე მხრივ, ადამიანთა უმრავლესობამ ხსენებული სამართლიანობა და ზნეობრივი ნორმები თუ არ დაიცვა, სახელმწიფო კი არა, თვით სიცოცხლეც მოისპობა. ცბიერება სახელმწიფოს ის იარაღია, რომლითაც მან საზოგადოებას სამართლიანობისა და სიკეთის ნორმები უნდა აღასრულებინოს.

***

ყველა დროის ხალხის საიდუმლო პოლიცია, თუ მისი ფუნქციების შემსრულებელი სხვა რამ ადმინისტრაცია, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმისთვის ნავარაუდევ სტრუქტურას, რომ მმართველ დაწესებულებებს ყოველი ცალკეული მოქალაქის ცხოვრების, საქმიანობისა და შეხედულებების გარშემო, შეძლებისდაგვარად, ვრცელი ინფორმაცია უნდა მოეპოვებოდეთ. არსებობს კიბე შინაგან საქმეთა მინისტრიდან უბნის ზედამხედველამდე და უამისოდ კანონის აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა. როცა ჩვენ ვხედავთ და მოწმენი ვართ იმისა, რომ მავანი წყობილება დგას და მას უახლოეს ხანებში დამხობა არ ემუქრება – ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა მოქმედი კანონებისა და თავისი პოლიციის მხარეზეა და, მაშასადამე, საერო ინფორმაციაც პოტენციურად არსებობს – მხოლოდ უნდა შეგვეძლოს ვიცოდეთ მისი მოპოვება. ეს დებულება პარადოქსად ჟღერს და სწორედ ამაშია მისი სიძლიერე: პარადოქსი მოაზროვნე კაცს ანალიზზე უბიძგებს; ანალიზი კი უეჭველად მიიყვანს დასკვნამდე, რომ საქმე პარადოქსთან კი არა, ჭეშმარიტებასთან გვაქვს.

გვერდი მოამზადა თამაზ თავაძემ



ჩვენი ფოსტა

ბალადა სვან მონადირეზე

ამბავი ძველია, უშგულში ჰყვებიან –
სვან მონადირესო დალ შეჰყვარებია...
დალმა დაიშალა ოქროს დალალები,
ზედ არც კი შეხედა, გაქრა ქარაფებში,
მიჰყვა მონადირე, მისდევს გაშმაგებით.
და თუ დალს მისწვდება, დალ ვერსად წაუვა,
დალ-ქალღმერთს უარი აღარ გაუვა,
მირბის მონადირე... მთის იქით მთებია,
აქ უკვე ქალღმერთის საბრძანებელია.
გარშემო ლოდები, პირქუში კლდეები,
ეჰა, მონადირეე, ძნელ საქმეს შეები –
დალი ქალღმერთია, ყინულის გული აქვს,
ფრთხილად აქ შენეულ დღის აღსასრულია!
მაგრამ ზენა ძალით მონუსხა პირიმზემ,
არ ესმის შმაგ მიჯნურს, კვლავ ზევით მიიწევს...
უფსკრულს გადაეელო, ოქროსფრად ინათა –
მზემ დალის დალალები აათინათა.
ხელი გაიწვდინა თმებზე შესახებად,
განახვნა ბაგენი დალის შესაქებად.
დალს ესმა კაცის ხმა და რისხვით აივსო,
ავია, მონადირის სიცოცხლის დაისო...
უფსკრულის პირას დგას წინ ხელებგაწვდილი,
ვერ გრძნობს, ახლოვდება სიკვდილის აჩრდილი...
და როცა ეგონა, ავცდიო განსაცდელს,
როცა გაიფიქრა მივწვდიო საწადელს –
ოქროს დალალებში ლურჯად გაიელვა,
ეს დალის თვალებია - ცა რომ აირეკლა.
თვალებში ძალა აქვს, ჯადო რამ გრძნეული,
უმზერს მონადირეს რისხვით ანთებული,
ციცია ეს მზერა, ხელ-ფეხის შემკვრელი,
დამძიმდა სხეული ნადირთა მძლეველი,
ბიჯიც ვერ გადადგა – უფსკრულს მიეყინა,
ცხრა ზეცის რისხვა ერთად მოევლინა
გაქვავდა ვაჟკაცი, ქვის კოშკად გადიქცა,
ღმერთმა დაამსხვრია ოცნება კაცისა!...

* * *

ამბობენ სვანეთის ლამაზი კოშკები,
ვაჟკაცებიაო ერთურთის ტოლები,
ოქროს დალალები დალის მიჯნურები,
მისი ციცი მზერით გულგაყინულები...
... და დგანან კოშკები, ნისლი თავს ეკლებათ,
დგანან სიყვარულის მდუმარე ძეგლებად...

მზიური დუგლაძე
1968 წ.

შვილო ზურაბ, სადამდის –

ზურაბ ნარმანიას ხსოვნას

სისხლის ცრემლი ვადამდის,
ულო რარიგ ფეთქავდი...
შვილო ზურაბ სადამდის?
- ვაიმე დედა ღმერთამდის!
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა ღმერთამდის!

რა კიბე და რა დარდი
საფეხურებს ვკიაავდი...
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა ზეცამდის

საოცრთი ფიქრებს ვრანდავდი,
ოქროს სხივებს ვიხსავდი.
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა მიწამდის!

ეშმაკ უფსკრულს ვადადი,
ჩემთან როგორ ბედავდი.
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა დედამდის!

ყელში სული ამამდის,
ლექსებს ცრემლით ენამავდი...
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა მამამდის!

სევდა ფიქრით ნაბარდნი,
სულო რისთვის ფშეფისავდი,
შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე დედა შვილამდის!

ჩემი სული სად ადის,
საძოთხისა მდელოამდის,
შვილო, ზურაბ, სადამდის?
ვაიმე. - საქართველოამდის!

ეფიტე ძოსია

დონატელლო. წმინდა ფრანცისკი. ფრაგმენტი

წმინდა ფრანცისკ ასიზელის ლოცვა

ო, ღმერთო მაღალო!
შენი სიმშვიდის იარაღად გარდამაქციე
რათა მიყვარდეს იქ, სადაც მე ვძულვარ,
რათა მივუტევო იქ, სადაც მჩაგრავენ,
რათა შევარიგო იქ, სადაც ჩხუბია,
რათა სიმართლე ვადიდო იქ, სადაც შეცდომა მეფობს,
რათა მივიტანო რწმენა იქ, სადაც რწმენას სრესს ეჭვი,
რათა სინათლე ავანთო იქ, სადაც ბატონობს ბნელი,
რათა სიხარულს ვთესდე იქ სადაც სადგურობს სევდა.
ო, ღმერთო მაღალო!
ნუ მიმისწრაფებ მისკენ
არა ვლებულობდე ნუგეშს, არამედ თვით ვანუგეშო,
არა გაგებულ ვიყო, არამედ მესმოდეს სხვისი,
არა ვუყვარდე, არამედ მიყვარდეს სხვა.
ვინც გასცემს, ხომ მხოლოდ ის ღებულობს.
ვინც თავს ივიწყებს, ის თვით პოულობს.
ვინც მიუტევებს, მას თავად მიეტევება.
ვინც საკუთარ თავში კვდება, ის სიცოცხლისათვის იღვიძებს
და თუ ჩვენ შენში მოვკვდებით-
ჩვენ შევალთ მარადიულ სასუფეველში.

ამინ!

ჟურნალის გარეკანი: "ჰიმალაის მთები" - ფოტო სურათი ავტორი უცნობი
"მაცნე" - მხატვარი ნიკოლოზ რერიხი